კვირის პალიტრა

გზა

N17 V.2006. ფასი 6

63

1168
2006

„ამას რომ წაიკითხავენ, ჩემი მისამართით შეურაცხყოფა შეურაცხყოფაზე წამოვა...“

ერთად ცხოვრებ
მოლოდინი, მემანიშვილ
სახლში დაბადებულ
იდეა და ელიტურ
„რაზბორკებ

ფრთხილად, ალფონსია! ანუ ინტიმი ვნების გარეშ

თეონა თავართქილაძის ორკვირიანი მოგზაურობა წყალქვეშ და...

...ვანიკო თარხნიშვილის საქმიანი ვიზიტი ბუშთან

ფსიქოტიპი — ფოტოგადაღება რომელიც დახვრეტის ტოლფასია

გამოვიდა მაისის ნომერი



თქვენ ხელ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
№17 (307)
27 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ — 3 ᲛᲐᲘᲡᲘ, 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ ᲐᲜᲣ „ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲤᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲡ, ᲫᲛᲐᲝ!..“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲙᲐ
ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲗ ᲛᲝᲝᲭᲕᲘᲚ ᲒᲔᲠᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲜ 5
ᲤᲝᲜᲓᲘ
ᲔᲓᲯ-ᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ 7
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲗᲔᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲝᲠᲙᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ ᲓᲐ ᲕᲐᲜᲘᲙᲝ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲑᲣᲨᲗᲐᲜ 9
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ
„ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲐᲛᲔ, ᲡᲪᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ...“ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲓᲐᲜ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲣᲠ „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲓᲔ“ 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
- ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ 13
- „ᲓᲐᲨᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲠᲝᲚᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲔᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲝᲛᲘᲕᲐ“ 14
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔᲡ ᲣᲚᲐᲚᲐᲢᲔᲡ ᲐᲜᲣ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲚᲝᲒᲘᲜᲨᲘ... 17
ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲘ ᲚᲔᲥᲡ-ᲡᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ, ᲥᲣᲩᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲖᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲩᲐᲚᲘᲩᲐᲠᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ 21
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 24
ᲡᲐᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝ
ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ, ᲑᲝᲛᲝᲜᲓᲣᲠᲘ „ᲠᲐᲖᲑᲝᲠᲙᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲩᲐᲡ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲝᲑᲐ 24
ᲘᲛᲘᲯᲘ
ᲣᲜᲔᲑᲘᲡᲧᲝᲤᲝ ᲐᲖᲜᲔᲡᲐᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ 26
ᲡᲪᲔᲜᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲐ ᲒᲘᲐ ᲑᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ „ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲜᲐᲖᲔ“ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ 27
ᲤᲡᲘᲥᲝᲢᲘᲞᲘ
„ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ“... 29
ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲘ
ᲗᲐᲗᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲐᲡ ᲬᲔᲠᲡ, ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲡ ᲐᲛᲒᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲒᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ 32
ᲡᲐᲮᲔ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲚᲣᲘ ᲓᲔ ᲤᲘᲣᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔ ᲪᲝᲚᲡ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲪᲠᲣᲕᲓᲐ 34

ᲝᲥᲠᲝ-ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲗ ᲛᲝᲝᲭᲕᲘᲚ ᲒᲔᲠᲑᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲜ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ, ᲒᲔᲠᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ ᲬᲐᲠᲕᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲫᲐᲚ-ᲦᲝᲜᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲨᲣᲠᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲔᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲜᲐ.

5

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲝᲠᲙᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ ᲓᲐ ...

„ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲬᲐᲕᲡᲣᲚᲕᲐᲠ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲐᲓ „ᲞᲐᲔᲖᲓᲙᲐᲨᲘ“, ᲠᲐᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ, ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲫᲚᲔᲑᲓᲘ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲗᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ ᲕᲣᲗᲛᲝᲑ, ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲘᲡᲙᲝᲗᲔᲙᲐᲖᲔ“.

9

ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲘ ᲚᲔᲥᲡ-ᲡᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ, ᲥᲣᲩᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲖᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ...

„ᲥᲣᲩᲐᲡ ᲞᲐᲒᲘᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲪᲔᲗ. ᲛᲐᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ, ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲒᲕᲘᲙᲔᲗᲔᲑᲡ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲥᲣᲩᲐ ᲮᲔᲚᲬᲐᲛᲝᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.“

21

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ, ᲑᲝᲛᲝᲜᲓᲣᲠᲘ „ᲠᲐᲖᲑᲝᲠᲙᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲩᲐᲡ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲝᲑᲐ

„ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲗᲐᲕᲡᲓᲘᲗ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲕᲐᲠᲦᲕᲘᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲕᲐᲨᲔᲜᲔᲗ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲡ „ᲪᲔᲜᲢᲠ-ᲞᲝᲘᲜᲢᲘ“ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ, ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲒᲐᲛᲐ“ ᲘᲧᲝ“.

24

ტაიმ-აუტი 36

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 38

იმიგრანტები

„საქართველოში ფორთხვით რომ მომიწიოს ჩასვლამ, იქ მაინც დავბრუნდები...“ 43

წმინდანები

მთის მწვერვალზე აღმართულ სვეტზე განმარტოებით მოღვაწე ასურელი მამა 44

ჯანმრთელობა

- ავარჯიშეთ მეხსიერება 46
- „ხმამაღალი“ კილი 47
- თევზი დეპრესიის წინააღმდეგ 47

საკითხავი ქალებისთვის 48

ასპარეზი

ანზორ კავაზაშვილი – მეკარე, რომელიც „დინამოდან“ წასვლით მოგებული დარჩა 49

ვარსკვლავი

ყოფილმა ჯეიმს ბონდმა რუსი ცოლი უფულოდ დატოვა! 52

ბომონდი 53

თემა

გაფლანგული დანაგოგი, ინტიმი ვნების გარეშე და...
მათ შეუძლიათ, ქალი გააშიშვლონ... 54

ნამდვილი ამბავი

„მაგოხისტი“ გინეკოლოგის უცნაური ამბავი 57

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 58

სამზარეულო

„გამიმართლა, ჩემი მეუღლე პრეტენზიული მჭამელი არ არის“ 62

კატასტროფა

„ლუგიტანიის“ უკანასკნელი რეისი 63

მუნდიალი 66

აუტო 68

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი

კვირის (27 აპრილი – 3 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი

ტესტი დამწყებ მილიონერთათვის 71

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

„ფოტოგადაღება დახვრეტის ან სქესობრივი აქტის ტოლფასია“...

ფოტოგრაფი უნდა იყოს ფსიქოლოგი, თერაპევტი... სანამ გადაიღებს, უნდა იცოდეს, ვინ არის მისი ობიექტი. შეცნობის პროცესი იმთავითვე იწყება. რა თქმა უნდა, ამაში უპირველესად, ინტუიცია გეხმარება. ადამიანს რომ შეხედავ, მისგან ან დადებითი მუხტი მოდის, ან უარყოფითი...

29

ყოფილმა ჯეიმს ბონდმა რუსი ცოლი უფულოდ დატოვა!

1997 წელს, ტიმოტი დალტონის ლოს-ანჯელესის სახლში ბიჭუნა დაიბადა, რომელსაც ინგლისელი და რუსი პაპების პატივსაცემად ორმაგი სახელი ალექსანდერ-პიტერი დაარქვეს. „მაშინ ვიგრძენი, მამობა რას ნიშნავს. უეცრად ხვდები, რომ სიცოცხლე მშვენიერია“.

52

ანზორ კავაზაშვილი – მეკარე, რომელიც „დინამოდან“ წასვლით მოგებული დარჩა

„მახსოვს, ჩემთან პირისპირ გამოსულმა პელემ დასარტყმელად მარცხენა ფეხი მოიქნია და მე სამი მეტრი ვიფრინე, რომ მისთვის გოლის გატანის საშუალება არ მიმეცა. თუმცა ვიღრე ჰაერში ვიყავი, ბრაზილიელმა ფეხის შეცვლა მოასწრო და მარჯვენათი ბურთი თავზე გადამიგდო...“

49

მონანიება

კეთილი, მაგრამ თუ ეს ძუკნა, – თვალით დევიძეზე ანიშნა, – ერთ დღეს გამოშიგნული ნახოთ, იცოდეთ, ბარიბარში ვიქნებით: ახლა კი, იქნებ, კეთილი ინებოთ და წაგვიყვანოთ. ჩვენი ნერვები დაჭრილისა და სისხლის ყურებას ვერ უძლებს, მეშინია არ...

38

ბიუჯეტის შევსების ახალი ხერხი

ანუ „სიამოვნება ფული ღირს, ძმაო!..“

ვერა და ვერ შეიგნო ჩვენმა მოსახლეობამ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს, მარტო გაზრდა კი არა, შევსებაც უნდა. ის კი მოსწონს, ბიუჯეტი ყოველწლიურად ასობით მილიონი ლარით რომ იზრდება. შევსებას კი, რატომღაც მტკივნეულად განიცდის. ახლა, ორივე საქმეს მთავრობა ხომ ვერ გააკეთებს? იმან უნდა გაზარდოს, ხალხმა უნდა შევავსოთ. როგორ უნდა შევავსოთ, ამაზეც მთავრობა ფიქრობს ჩვენ მაგივრად და მეთოდებსაც გვთავაზობს. მეტი რაღა ქნას?!

თუ გვინდა ევროპული სტანდარტების ქვეყნის აშენება და ეს გვსიამოვნებს, სიამოვნება ფული ღირს, ძმაო და ჯიბეებიც უნდა მოვიქექოთ: რაც აქამდე უფასო იყო, ფასიანი უნდა გავხადოთ; რაც ფასიანი იყო, გავაძვიროთ და ასე შევიდეთ ევროპულ ოჯახში (ოჯახში შესვლისას ფეხსაცმლის გაწმენდა არ დაგვავიწყდეს, ახალი წასმული აქვთ მასტიკა და ტალახი არ შევიტანოთ. სირცხვილია)...

აგერ, იპოვა კიდეც მთავრობამ ბიუჯეტის შევსების ახალი ხერხი: ავტოსადგომებზე მანქანის გაჩერება, 50 თეთრამდე უნდა გაიზარდოს. თანაც, მთელი დღე კი არა, ერთი საათი დგომა გახდება 50 თეთრი. რა თქმა უნდა, ამას მძღოლების განაწყენება მოჰყვა, სამსახურის წინ მდებარე ავტოსადგომებზე ვაჩერებთ მანქანას და საათში თუ 50 თეთრი ვიხადეთ, ხელფასს სულ მთლიანად „სტაიანშჩიკი“ წაიღებს, ამიტომ, არ გადავიხდითო... არ გადაიხდი — კაია!. მანქანა ცხენი ხომ არაა, ბუჩქებში მიაბა საბალახოდ ან გაუშვა, ქალაქში იაროს მთელი დღე, ფულის გადახდა რომ არ დაგჭირდეს, საღამოს მოგაკითხოს სამსახურთან და ჭიხვინით გამცნოს, სახლში წასვლის დროაო...

მე თუ მკითხავთ, მარტო ავტოსადგომები კი არა, სხვა ადგილებიც უნდა „გავაფასიანოთ“. მაგალითად: შუქნიშანმა რომ „გაგიწითლა“, ხომ ჩერდები?! ჰოდა, მოგიკაკუნებს მინაზე სპეცჟილეტში გამოწყობილი „სტაიანშჩიკი“ და დგომის საფასურს მოგთხოვს. თუ გადახდა არ გინდა, მოგესწრო და მწვანეზე გასულიყავი, ვინ დაგიშალა?!

თუ ჩემს პროვოკატორულ ფანტაზიას, ამ მიმართულებით კიდევ უფრო გავშლი, დაგანახვებთ, რომ ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. მაგალითად, უნდა გაძვირდეს სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრობა. რატომ?.. ხომ ხედავთ, ბიუჯეტს შაშვის ბარტყივით რომ დაუღია პირი. იმას ამოვსება არ უნდა?! „მარშრუტკას“ რომ დაუქნევ ხელს — გამიჩერეო, ის გაჩერებაც ფასიანი გახდება და მძღოლმა რატომ უნდა იზარალოს შენი გულისთვის?! გაჩერების და მგზავრობის ღირებულებაც შენი გადასახდელი იქნება. თუ არ გინდა ზედმეტის გადახდა, ესეც შენი ასარჩევია: ნუ გააჩერებ, პირდაპირ გაქანებულ მანქანას შეახტი. ჩამოსვლისასაც — გაქანებულიდანვე ჩამოხტი და მხოლოდ მგზავრობის ღირებულებას გადაიხდი...

ჯერ სადა ხართ, კიდევ მაქვს ნოვატორული იდეები: მარტო ტრანსპორტის კი არა, ხალხის დგომაც ფასიანი უნდა გახდეს. ეს პენსიონერები რომ დგანან საათობით ამხელა რიგში, ის ადგილი ხომ ტყუილად ცდება?! ერთი პატარა ბოსტანი რომ გააკეთოს მთავრობამ იმ ადგილას, ქვეყნის მოგებას ნახავს. მაგრამ არ შვრება ამას, რადგან იცის, რომ იქ პენსიონერებს უწევთ ყოველი თვის ბოლოს დგომა. ჰოდა, ის თანხაც პენსიონერებმა უნდა დაფარონ.

„უკეთესსაც“ გეტყვით: შემოვიღოთ ფასიანი ბირჟების ინსტიტუტი. უბნებში რომ ბიჭები „ბირჟას ამაგრებენ“ და მთელი დღე უსაქმოდ დგანან, რა ხეირი სახელმწიფოს ამით? — არაფერი. ჰოდა, გადაიხადონ დგომის ფული და აბირჟაონ, რამდენიც უნდათ...

ამას დაემატება ის, რომ უკმაყოფილო მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ხშირად გამართავს საპროტესტო აქციებს და მიტინგებს პარლამენტის წინ. რაც ისევ მთავრობის წისქვილზე დაასხამს წყალს: აბა, იმხელა ტერიტორია რატომ უნდა ცდებოდეს ტყუილად?! იქ დგომაც ფასიანი გახდება და ისე შეივსება ჩვენი ბიუჯეტი, რომ შეიძლება გასკდეს კიდეც.

სამაგიეროდ, ასე შევალთ ევროპულ ოჯახში სავსე ბიუჯეტით და გაღლეტილი მოსახლეობით. რას იზამ, სიამოვნება ფული ღირს, ძმაო!..

***P.S.** საპატრულო პოლიციელი აჩერებს მანქანას:*

— გააჩერე, გააჩერე!.. მანდ არა, ცოტათი წინ გასწიე, კიდევ, ოოო, კაია!.. აქ გააჩერე, ყოჩაღ! აქ გაჩერება არ შეიძლება, გადაიხადეთ ჯარიმა 10 ლარი!..

პროვოკატორი

„საზოგადოება დაინახავს, რომ შეგვიძლია არა მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნება...“

— ბოლო დროს აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას გული ცუდს უგრძნობს. მათ ეუთოსაც მიმართეს საჩივრით, რომ სენაკისა და გორის სამხედრო ნაწილებიდან მათზე თავდასხმაა მოსალოდნელი...

ზოთა მალაშხია, *ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე:*

— ეს განცხადებები 15 ივლისის მოახლოებას უკავშირდება — იმ დღეს, როცა საქართველოს პარლამენტმა კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ყოფნის მიზანშეწონილობა უნდა განიხილოს. ვადის ამოწურვის შემდეგ, რუსეთისადმი მიდგომა უფრო გამკაცრდება, თუმცა ეს საომარი მოქმედების დაწყებას ნამდვილად არ ნიშნავს. გაეროს რეზოლუციაში არის მითითება, რომ თბილისმა თავი შეიკავოს სამხედრო რიტორიკისგან. ჩვენ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმას მივყვებით, რომელიც მოწონებულია ევროსაბჭოს მიერ. მიზნებს ეტაპობრივად ვახორციელებთ. უახლოეს ხანში, საზოგადოება დაინახავს, რომ შეგვიძლია არა მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნება, არამედ იმ ზარალის კომპენსაციაც, რომელიც ამ რეგიონებში რუსეთმა მოგვაყენა. ჩვენ დავიბრუნებთ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებას. რაც შეეხება სამხედრო ბაზების მშენებლობას გორსა და სენაკში, ეს ჩვენი საქმეა, საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ტერიტორიაზე, რასაც გვინდა და სადაც გვინდა, იქ ავაშენებთ. ამისათვის ვინმესგან უნდა ავიღოთ ნებართვა? შესაძლებელია, ხვალ ან ზეგ, ანალოგიური სამხედრო ბაზის მშენებლობა, ჯავახეთში, ახალციხეში ან ახალქალაქში დაიწყოს. უმჯობესია, სეპარატისტებმა პრობლემა იქ ეძებონ, სადაც რეალურად არსებობს. ხომ ხედავენ, რომ ომის მოლოდინი მხოლოდ ცრუგანგაშია, რომლიც თავად მათ აძლევს ხელს. ■

„კანონში ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომლებიც არანაირ შეღავათს აღარ გვიტოვებს“

— ჩერნობილის ტრაგედიიდან 20 წლის შემდეგ, ბევრს მიაჩნია, რომ თავის დროზე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქ მივლინებულ ადამიანთა მიმართ დღევანდელი ხელისუფლებაც უყურადღებობას იჩენს...

ვაჟა ჩადუნელი, *ჩერნობილელთა კავშირის თავმჯდომარე:*

— ჩერნობილში მომხდარი ავარიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოდან ჩასული 1207 ადამიანი დაიღუპა. მათგან 104, უშუალოდ მონაწილეობდა ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში. დღეს, „ჩერნობილელებიდან“ 1300 ადამინია დარჩენილი, მათ შორის, თითქმის 95% — ინვალიდია, მაგრამ ჩვენი არსებობა ხელისუფლებამ საერთოდ დაივიწყა. ვეტერანის სტატუსი ჩამოგვართვეს. რაც კი შეღავათები გვქონდა ნულამდე დაიყვანეს, „ჩერნობილელთა“ შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანეს. ახლა, კომპენსაციის სახით, მხოლოდ 45 ლარს ვიღებთ, მივწერეთ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს. სიტყვიერად თანაგვიგრძნეს, დაგვპირდნენ კიდეც დახმარებას, მაგრამ რეალურად, კანონში ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომლებიც არანაირ შეღავათს აღარ გვიტოვებს. 45-ლარიანი პენსიით ინვალიდმა, ავადმყოფმა ადამიანმა თვიდან თვემდე როგორ უნდა გაიტანოს თავი, არ ვიცი. როგორც ბოლოს, ჯანდაცვის კომიტეტში გვითხრეს, შესაძლოა, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას, „ჩერნობილელები“ ომის ვეტერანებთან გაგვათანაბრონ და იმავე შეღავათებით ვისარგებლოთ, რომლითაც ომის მონაწილეები სარგებლობენ. თუმცა როდის განიხილება ეს საკითხი და საბოლოოდ, რას გადაწყვეტს ხელისუფლება, არავინ იცის. ჩერნობილელ ვეტერანებს კი დახმარება გვჭირდება. ■

„სიგარეტის გაიაფება მის მომხმარებელთა რაოდენობას გაზრდის“

— პარლამენტართა ნაწილი მხარს უჭერს იმ ცვლილებას, რომელიც თამბაქოზე აქციზის დაწევას ითვალისწინებს. თქვენ სიგარეტზე ფასის შემცირების წინააღმდეგ რატომ გამოდიხართ?

გიგი წერეთელი, *ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ამ საკითხს სკეპტიკურად ვუყურებ. სიგარეტზე ფასების შემცირების ტენდენცია მსოფლიოში არ შეინიშნება. ეს ეხმიანება საზოგადოების ჯანდაცვის პრობლემასაც. როგორც მედიკოსსა და პარლამენტარს, ძალიან გამიჭირდება, მხარი დავუჭირო ამ ინიციატივას. დარწმუნებული ვარ, რომ აქციზის შემცირებით, კონტრაბანდა არ შემცირდება. ჩემი აზრით, ფილტრიან სიგარეტზე მაინც უნდა გაკეთდეს აქციზი. ადმინისტრირება თუ არ იქნება, სატარიფო პოლიტიკით კონტრაბანდას ვერ შევებრძოლებით. თანაც, შესაძლებელია, საგადასახადო კოდექსში შევიტანოთ ის ცვლილებები, რომლებიც თამბაქოზე აქციზის დაწევას ითვალისწინებს, მაგრამ მთავრობამ აქციზი მერე ისევ ასწიოს. სიგარეტის მნიშვნელოვნად გაიაფება მის მომხმარებელთა რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მოზარდების მიდრეკილება ნიკოტინისკენ. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ მოსაზრებას ეთანხმება, რადგან საქართველოს მოსახლეობის 40% — მწეველია, 60% კი — არამწეველი. თუმცა, სანამ რაიმე გადაწყდება, სიგარეტზე ფასების „სპეკულაციური ზრდა“ უნდა შეჩერდეს. თამბაქოს შემომტანებს, აქციზის დაწევის მოლოდინში, არ შემოაქვთ ახალი პარტიები და იქმნება დეფიციტი, რაც თამბაქოს ხელოვნურ გაძვირებას იწვევს. ■

„მოსამართლეებს ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების ეშინიათ“

— ე.წ. „მეამბოხე მოსამართლეებს“ მაია ნადირაძის წინააღმდეგ სარჩელი შეგაქვთ. თავის დასაცავად, რისი დამტკიცება მოუწევს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს?

მერაბ ტურავა, *მოსამართლე:*

— მაია ნადირაძემ ტელევიზიით გააკეთა განცხადება და თქვა — ჩვენ გავათავისუფლეთ დამნაშავე მოსამართლეებიო. ამით უმრავლესობის ლიდერმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. რამდენიმე დღეში, ე.წ. „მეამბოხე მოსამართლეები“ ნადირაძის წინააღმდეგ საქალაქო სარჩელს შევიტანთ — პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის. გვინდა, ქალბატონ მაიას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოვთხოვოთ, წარმოგვიდგინოს მისი სიტყვების დამადასტურებელი ფაქტები. მან უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ჩვენ მართლა კორუმპირებული მოსამართლეები ვართ. მაია ნადირაძე რევოლუციამდელ მოსამართლეებს ერთიანად სცხებს ჩირქს. იმ წლებში მართლაც იყო უკანონო გადაწყვეტილებები, მაგრამ ის, რაც ბოლო ორი წლის მანძილზე ხდება, საშინელებაა. არც ერთი მოსამართლე საკუთარ თავს არ ეკუთვნის, არც ერთი მათგანი არ იღებს გადაწყვეტილებას კანონიდან გამომდინარე და შინაგან რწმენაზე დაყრდნობით, არა იმიტომ, რომ მოსამართლეებს ამის სურვილი არა აქვთ — უბრალოდ, ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების ეშინიათ. რეპრესიების გასატარებელი მექანიზმი კი, სწორედ კანონმდებლობის დონეზეა აყვანილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებობა, რომელშიც წარმოდგენილნი არიან პოლიტიკური თანამდებობის პირები, ამის დამადასტურებელია. უფრო მეტიც — 1-ელი მარტიდან, საბჭოში, რომელიც დისციპლინარული დევნის ორგანოა, გენერალური პროკურორიც კი შეიყვანეს. ეს, ხელისუფლების მხრიდან სასამართლოზე დიქტატის საუკეთესო გამოვლინებაა. ამის შემდეგ, ყველაფერი უფრო შთამბეჭდავად, პროკურორის ნება-სურვილიდან გამომდინარე გაკეთდება. ■

ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში საქართველოს სახელმწიფო გერბის ეტალონის შექმნაზე მუშაობენ. ოქრო-ვერცხლით მოოქვილ, 70-კილოგრამიან გერბს, საქართველოში ზაფხულში ჩამოიტანენ და საპატიო ადგილს მიუჩენენ. გერბის ავტორი — ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე, ნიდერლანდებიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნდა. ის, ასევე სტუმრობდა ავსტრიის ზარაფხანას, სადაც მისივე ესკიზების მიხედვით შექმნილი, ახალი 50-თეთრიანი მონეტების ჩამოსხმა იგეგმება.

ოქრო-ვერცხლით მოოქვილ გერბს, საქართველოში ზაფხულში ჩამოიტანენ

„ახალ მონეტებზე შეიძლება აფხაზური წარწერები გაჩნდეს“

ემა ტუხიაშვილი

— ერთია, დახატო გერბი, მაგრამ მოცულობაში მისი გამოსახვა, ბევრი ნიუანსის ცოდნას მოითხოვს, ამიტომაც, სახელმწიფო გერბის მოცულობის ეტალონის დასამზადებლად ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანა შეირჩა, სადაც ვმუშაობდი ცნობილ მოქანდაკესთან, იან პოსტერმანთან ერთად, რომელიც ბენელუქსის *(ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი. — ავტ.)* ქვეყნების პროვინციების გერბების ავტორი გახლავთ. საქართველოს გერბის ეტალონზე მუშაობა მარტში დაიწყო და ივნისი-ივლისისთვის დასრულდება. ამჟამად, ქვეყნის მთავარი სიმბოლოს თითოეული ნაწილის სკანირება მიმდინარეობს, რის შემდეგაც, სპეციალური ხელსაწყოს მეშვეობით სარკისებრი ზედაპირი მიიღება. მთავარი გერბის წონა დაახლოებით 70 კგ იქნება, მისი ზომები კი — 90X80 სმ. გერბი დამზადდება ლითონის სპეციალური შენადნობისგან, რომლის საფუძველსაც თუჯი და ლატუნი შეადგენს. რა თქმა უნდა, მოპირკეთებული იქნება მაღალი სინჯის ოქროთი, ვერცხლით და ფერადი მინანქრით. ჯერ არ არის განსაზღვრული, სად მიუჩენენ ადგილს სახელმწიფო გერბის ეტალონს. ზოგ ქვეყანაში, სახელმწიფოებრიობის მთავარი სიმბოლო მუზეუმში აქვთ დაცული, სადაც მისი ნახვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ზოგან კი — რომელიმე სახელმწიფო უწყებაში. უკვე გადაწყვეტილია, რომ რედაქტირებული სახელმწიფო გერბი 2007 წლის 1-ელი იანვრიდან იქნება მიღებული. ამგვარად, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში გერბის ეტალონი იარსებებს, შესაძლებელი იქნება, შენობებსა და სხვადასხვა ადგილას მისი მოთავსება.

— მანამდე კი, ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანოს შენობას, კვლავაც საბჭოთა საქართველოს გერბი ამშვენებს...

— წლების წინ, მართლაც, იყო მცდელობა, რომ საქართველოს პარლამენტის თავზე გამოსახული საბჭოთა საქართველოს გერბი მოენგრიათ, მაგრამ შენობის ფასადზე რაღაც ფრაგმენტები მაინც დარჩა. ჩემი მოსაზრება თუ გაინტერესებთ, ვფიქრობ, რომ ეს გამოსახულებები ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია და შენობაზე უნდა დარჩეს, რასაც ვერ ვიტყოდი, ხუთქიმიან ვარსკვლავზე, რომელიც აუცილებლად მოსაცილებელია. ისტორიის ნაწილია ასევე, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გერბი — შვიდქიმიანი ვარსკვლავისა და წმინდა გიორგის გამოსახულებით, რომელიც 1918 წელს, მაშინდელი მთავრობის დაკვეთით, ფრანგული წარმოშობის რუსმა მხატვარმა — ლანსეტემ დაამზადა. სხვათა შორის, მოგვიანებით, სწორედ ამ ადამიანმა შექმნა საბჭოთა საქართველოს გერბი, რომელზეც ასევე, შვიდქიმიანი ვარსკვლავი იყო გამოსახული. რა თქმა უნდა, ჩემი ოცნებაა, რომ საქართველოს სახელმწიფო გერბი, ჩვენი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან შენობაზე იყოს გამოსახული. მაგრამ ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა, თანაც ბევრ დროს მოითხოვს.

— ვიდრე საბოლოო, რედაქტირებულ სახეს მიიღებდა, ცვლილებები ამ გერბმაც განიცადა, არა?

— საქართველოს ჰერალდიკოსთა ასოციაციაში, ამ გერბზე უკვე 15 წელია, ვმუშაობთ. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ახალი სახელმწიფო გერბის შექმნის სურვილი ყველა წინამორბედ მთავრობას ჰქონდა. როდესაც კონკურსი გამოცხადდა, გერბის ნიმუშები ჩვენი ასოციაციის სამმა წევრმა წარვადგინეთ. რა თქმა უნდა,

ჩვენი ნიმუშები სემანტიკური თვალსაზრისით ერთმანეთს ძალიან ჰგავდა, მაგრამ ძალ-ღონე არ დავიშურე, რომ ჩემი ვარიანტი, ქართულ საწყისებთან მიმეახლოებინა. მაგალითად, როცა ნიმუშზე ვმუშაობდი, ჩემთვის ამოსავალ წერტილს გიორგი მეთორმეტისა და ერეკლე მეორის დროინდელი გერბები წარმოადგენდა. რედაქტირება გერბის ჩემეულ ვარიანტსაც შეეხო და ბევრი ისეთი სიმბოლო ჩამოშორდა, რაზეც გული ძალიან დამწყდა. მათ შორის, იყო მთა, როგორც კავკასიის სიმბოლო, რომელიც რუსეთის დიდ გერბზე დღემდეა შემორჩენილი — კერძოდ, მასზე გამოსახულია ორთავიანი არწივი და მის გარშემო ყველა იმ ქვეყნის გერბია დატანებული, რომელიც ოდესღაც ამ იმპერიის ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. მათ შორისა Царство Грузинское მთისა და ივერიული გვირგვინის გამოსახულებით. სხვათა შორის, მთა, როგორც კავკასიის სიმბოლო, მეფე ერეკლე მეორის ბეჭედზეც იყო გამოსახული. ჩემი აზრით, ეს გარკვეულწილად, პოლიტიკური დატვირთვის მქონე ნაბიჯიც იქნებოდა, რომ რუსეთის გერბიდან ჩვენი ქვეყნის სიმბოლო გადმოგვეტანა, — ისევე, როგორც ეს ფინეთმა და პოლონეთმა გააკეთეს, რომელთა გერბებიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ასევე ახლავს რუსეთის გერბის გამოსახულებას!..


მამუკა გონგაძე ოჯახთან ერთად

— საინტერესოა, ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში როგორი შეფასება ხვდა წილად ქართულ გერბს?

— ადამიანები, რომლებიც იქ მუშაობენ, თავისი საქმის პროფესიონალები არიან და მათ, უკვე არსებული შეკვეთის შესრულება ევალებათ, მაგრამ თავად გერბზე მუშაობის პროცესში ჩაბმულნი იყვნენ ბელგიელი, ბრიტანელი და შვედეთის სამეფო კარის ჰერალდიკოსები. ჩვენს გერბთან დაკავშირებით ერთადერთი პრეტენზია შვედებს ჰქონდათ, — რომლებმაც გვკითხეს — თქვენს ჰერალდიკაში სამეფო გვირგვინს რატომ იყენებთო? ბრიტანელი ჰერალდიკოსები აღიშნავდნენ, რომ გვირგვინი ჩვენი ქვეყნის მონარქიულ ტრადიციებზე მიანიშნებს და შესაძლოა,- ერთგვარი განაცხადიც იყოს იმისა, რომ არ არის გამორიცხული, მომავალში, ქვეყანა ისევ მონარქიულ წესწყობილებას დაუბრუნდეს. ჩვენს გერბზე გამოსახულია ივერიული გვირგვინი, რომელიც ლენინის მიერ იქნა მიტაცებული და დღეს, ჩვენი ქვეყნის საკუთრება აღარაა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ეს გვირგვინი, 25 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

— თქვენი ვარაუდით, ჩვენს ქვეყანაზე რა წარმოდგენა შეექმნება უცხოელს ახალი გერბის დანახვისას?

— უკანასკნელი წლების განმავლობაში, საკმაოდ ხშირად მიწევს საზღვარგარეთ ყოფნა. ჯერ მქონდა ძველი პასპორტი — ბორჯღალის გამოსახულებით და მესაზღვრეები რომ უყურებდნენ, ისეთი ქვეყნის წარმომადგენელი ვეგონე, სადაც ამ ციურ სხეულს ეთაყვანებიან. ცოტა ხნის წინ, პასპორტის გამოცვლა დამჭირდა. როგორც იქნა, ველირსე დოკუმენტს, სადაც სახელმწიფოს ისეთი გერბია გამოსახული, რომელიც ევროპული ცივილიზაციისა და მენტალიტეტისთვის აბსოლუტურად მისაღებია. ევროპელებს არც წმინდა გიორგის გამოსახულება აკვირვებთ, არც ლომების და არც სამეფო გვირგვინის.

— ამბობენ, რომ მალე, საკუთარი გერბი საქართველოს ყველა ადამინისტრაციულ ერთეულს, დაბას, ქალაქს ექნება...

— ცოტა ხნის წინ, ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა, რომელსაც მწირი ჰერალდიკური ტრადიციები აქვს, ჰერალდიკური საბჭო ჩამოაყალიბა და თავისი ქალაქებისა და რაიონების გერბების შექმნაზე ზრუნვა დაიწყო. ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, ამის ტრადიცია ნამდვილად გვაქვს, ახლა გვინდა, რომ ეს ტრადიცია აღვადგინოთ და ყველა ქალაქისა და დასახლებული პუნქტისთვის შევიმუშავოთ გერბი.

— თქვენ ახალი ქართული მონეტების ავტორიც ბრძანდებით, რომლებიც უკვე წლის ბოლოს შემოვა მიმოქცევაში.

— ჩემი ესკიზების მიხედვით, დამზადდება 50-თეთრიანი, 1 და 2-ლარიანი მონეტები, რომლებიც დაახლოებით 1 და 2-ევროიანის ზომების იქნება. მონეტების ავერსზე გამოსახული იქნება საქართველოს გერბი და მას მხოლოდ ქართული წარწერა ექნება. მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი ქართული ფულის კუპიურები ბილინგვურია — ქართული და ინგლისური წარწერა აქვს. ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რატომ არის ფულის ერთეულზე ინგლისური წარწერა — მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფაქტობრივად არსებობს მეორე სახელმწიფო ენა — აფხაზური. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში, ფულის ნიშნების დიზაინზე მუშაობისას, ეს ფაქტორიც გავითვალისწინო... ახალ 50-თეთრიანებს ავსტრიის ზარაფხანა დაბეჭდავს, 1-ლარიანებს — ჰოლანდიის, ხოლო 2-ლარიანებს — ბრიტანეთის ზარაფხანა. ■

ყოფილი სტიქაროსანი, ამჟამად კი, საქართველოს საპატრიარქოს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი, ირაკლი ქადაგიშვილი ქართველ საზოგადოებას უფრო მეტად პოლიტიკოსის ამპლუაში ახსოვს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი პირველი წევრი, გიორგი ჭანტურიას მეგობარი და თანამოაზრე აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა. ედპ-ს ოფისიდან ერთი სართულით ქვემოთ გადაინაცვლა და უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, იმ ფონდს ჩაუდგა სათავეში, რომლის მთავარი მიზანი, სულიერებისა და კულტურული საგანძურის შენარჩუნებაზე ზრუნვაა.

ედპ-დან წასული ირაკლი ქადაგიშვილი საპატრიარქოს სამსახურში ჩადგა

ემა ტუხიაშვილი

— სანამ ფონდის საქმიანობაზე ვისაუბრებთ, თქვენი პოლიტიკური ბიოგრაფიის მომენტები ხომ არ გავიხსენოთ?

— ჩემი პოლიტიკური ნათლობა 1980 წელს შედგა — სწორედ მაშინ, როდესაც გიორგი ჭანტურია გავიცანი. გიორგი შორეულ ნათესავად მეკუთვნოდა, ამასთან ერთად, სკოლის დამთავრების შემდეგ, მასთან ისტორიაში მოსამზადებლად მიმიყვანეს. ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა ეროვნულ, პოლიტიკურ, დისიდენტურ ორგანიზაციასთან.

— ალბათ, საინტერესო იქნებოდა გიორგი ჭანტურიას ინტერპრეტაციით გადმოცემული საქართველოს ისტორია...

— სწორედ მასთან ნასწავლი ისტორიით, მისაღებ გამოცდაზე ფრიადი მივიღე... შემდეგ, გიორგის წყალობით, პირველად მოვხვდი ეკლესიაში და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სტიქაროსანი გავხდი. 16-17 წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც გიორგი ჭანტურიასთან და კიდევ რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, იატაკქვეშეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღვადგინეთ. პარტიის წევრები ძირითადად, ერთმანეთის სახლებში ვიკრიბებოდით და რა თქმა უნდა, გვქონდა ერთი კონსპირაციული ბინა, სადაც პროკლამაციებს ვბეჭდავდით. ვცდილობდით, რომ ეს ბინა არაფრით ყოფილიყო გამორჩეული და მას პერიოდულად ვიცვლიდით. ჩვენი შეკრების ლეგალური და ღია ადგილი, სიონის ტაძრის ეზო გახლდათ.

— მაშინ თავისუფალი აზრი იდევნებოდა. თქვენ მიმართ რა მეთოდებს იყენებდნენ?

— ეს ის პერიოდი იყო, როდესაც დისიდენტური მოძრაობის გამოკვეთილ ლიდერებს აპატიმრებდნენ. მათ შორის იყვნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია და სხვები, მაგრამ კომუნისტები მასობრივ დაპატიმრებებს უკვე ერიდებოდნენ. იმხანად, უკვე შესუსტებული რეჟიმის პირობებში, ციხეში პოლიტიკური პატიმრის სტატუსით ათეულობით ახალგაზრდის გამომწყვდევა, კომუნისტური „დერჟავისა“ და მისი იდეოლოგიის უარყოფის გამოაშკარავება იქნებოდა. ამიტომაც, ჩვენი — შედარებით ახალგაზრდა დისიდენტების დასაშინებლად, სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ... მათ შორის — ინსტიტუტში ჩარიცხვის განგებ გაჭიანურებას, ჯარში იძულებით წაყვანას, ოჯახის წევრებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და ა.შ. ჩემს შემთხვევაშიც, ყველა ეს მეთოდი იქნა გამოყენებული. როგორც წესი, მოიძიებდნენ სანათესაოში ვინმეს, ვისაც მაღალი თანამდებობა ეკავა ან სამართალდამცავ სტრუქტურაში მუშაობდა და ის მშობლებს ატყობინებდა, რომ მათი შვილი არასწორ გზას ადგას, იღუპება და სასწრაფო მოქმედებაა საჭირო. სხვათა შორის, მამაჩემი ჩემს საქმიანობას უფრო გაგებით ხვდებოდა, ვიდრე დედა, რომელიც ძალიან ნერვიულობდა. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პროკლამაციების დაბეჭდვის შემდეგ, ჯარში გამამწესეს, თანაც — საქართველოდან ძალიან შორს. ეს ის ადგილია, სადაც დღეს რუსი ბიზნესმენი, ხოდორკოვსკი იხდის სასჯელს. ქალაქ ჩიტიდან 400 კილომეტრის მანძილზე, სტეპებში, ჩინეთის საზღვართან ახლოს, 2 წელი ვიმსახურე. ძალზე მძიმე პირობებში ვცხოვრობდით. არ იყო ყაზარმა და ფაქტობრივად, საველე პირობებში გვიწევდა ყოფნა. ჩემთან ერთად, მხოლოდ ერთი თბილისელი, ეროვნებით ქურთი მსახურობდა.

— მასთან არ ეწეოდით ეროვნულ-პატრიოტული იდეების პროპაგანდას?

— თბილისელი, ქალაქელი ბიჭი იყო. ამიტომ, მას ჩემი აგიტაცა დიდად არ სჭირდებოდა. მაგრამ პოლიტიკური საუბრები ხშირად მქონდა სხვა ჯარისკაცებთან, რომლებიც იმ დროს, სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენდნენ. მათ შორის, ბალტიისპირელებიც იყვნენ. ასეთი შინაარსის საუბრების გამო, ხშირად მიბარებდნენ იქაურ კა-გე-ბე-ში, „ასობი ატდელში“...

— გია ჭანტურია მკვლელობის მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, დღეს კვლავ აქტუალურია კითხვა — რატომ კლავენ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკოსებს?

— სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს მხოლოდ საქართველოში არ კლავენ. მსოფლიოში უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკური ფიგურის ჩამოცილება, მისი ლიკვიდაციის გზით ხდება. ის, ვინც გიორგი ჭანტურიას მკვლელობა დაუკვეთა, ამ ადამიანში კარგად ხედავდა 3 ძირითად ღირსებას: ის იყო ქრისტიანი, პატრიოტი და კარგი პოლიტიკოსი, რომელსაც დიდი და ძლიერი, ინტელექტუალური რესურსით აღჭურვილი პოლიტიკური გუნდი ედგა მხარში. ასეთი ადამიანი კი, ბევრისთვის შესაძლოა, საშიში და ხელის შემშლელი ყოფილიყო. გიორგისთან ერთად, ის პოლიტიკური ძალაც მოიცილეს, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა ერქვა. დღეს, საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია და ცდილობს, პატარ-პატარა ნაბიჯებით წაიწიოს წინ. დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი ჭანტურიას პოლიტიკური მემკვიდრეობა მომავალში, უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს — მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ დასრულდება პოსტსაბჭოური ცხოვრება და ახალი თაობა პოლიტიკის გაჯანსაღებაზე ზრუნვას დაიწყებს.

— შეგიძლიათ გიორგი ჭანტურიას მკვლელობის დღე გაიხსენოთ?

— დეკემბრის ქარიანი და სუსხიანი დღე იყო; შეკრებილები ვიყავით რუსთაველის თეატრში, სადაც პარტიის ყრილობა უნდა გამართულიყო და გიორგისა და ირინას მოსვლას ველოდით. მოულოდნელად თავზარდამცემი ინფორმაცია მივიღეთ — ედპ-ს ლიდერს და მის

პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა
და ფონდის დახმარებით,
გამოვიდა კრებული 3 წიგნად –
„საქართველოს სულიერი საუნჯე“

მეუღლეს, სახლიდან გამოსვლისას, ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს და ისინი საავადმყოფოში იყვნენ გადაყვანილი. როდესაც იქ მივედით, ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ გიორგი გარდაცვლილი იყო. მისმა სიკვდილმა თავზარი დამცა და პირველი რაც გავაკეთე, ის გახლდათ, რომ ედუარდ შევარდნაძესთან მივვარდი. შეწუხებული დამხვდა. მითხრა: ამ ქვეყანას ნავთი უნდა გადაასხა და ცეცხლი წაუკიდოო. მაშინ შევარდნაძე საავადმყოფოშიც წამომყვა. გახსოვთ ალბათ, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ჭანტურიას მკვლელობის დამკვეთად სწორედ შევარდნაძეს მიიჩნევდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ამბობდნენ, რომ ჭანტურიას და შემდეგ, უკვე ედუარდ შევარდნაძის მოცილებით სურდათ, საქართველო დამოუკიდებლობის პროდასავლური გზიდან ჩამოეცილებინათ და მარგინალურ ქვეყნად ექციათ... როდესაც ასეთი მასშტაბის მკლელობა ხდება, რთულია იდეალური იდეის ავტორზე, შემსრულებელი კი, ყოველთვის მოიძებნება ხოლმე... გიორგის მკვლელობასთან დაკავშირებით, მეც მაქვს ჩამოყალიბებული გარკვეული მოსაზრებები. მაგრამ ეს მხოლოდ შესაბამის ორგანოებს შეიძლება გავუზიარო.

— 15-წლიანი პოლიტიკური მოღვაწეობა დათმეთ და ედპ-დან წამოხვედით. ალბათ, საამისო მიზეზიც გქონდათ...

— ვერ ვიტყვი, რომ ედპ-დან ჩემს წამოსვლას ერთი კონკრეტული მიზეზი ჰქონდა. წლების განმავლობაში, სულ რაღაც თანამდებობა მეკავა, ახლა კი, როგორც პარტიულმა ფუნქციონერმა, ყველა შესაძლებლობა ამოვწურე. როგორც გითხარით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს და მისი ლოცვა-კურთხევით, საქველმოქმედო ფონდს ჩავუდექი სათავეში, რომელიც 2005 წლის 8 თებერვალს, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაარსდა.

— ფონდს პრიორიტეტულად

მისმა სიკვდილმა თავზარი დამცა და პირველი რაც გავაკეთე, ის გახლდათ, რომ ედუარდ შევარდნაძესთან მივვარდი. შეწუხებული დამხვდა. მითხრა: ამ ქვეყანას ნავთი უნდა გადაასხა და ცეცხლი წაუკიდოო. მაშინ შევარდნაძე საავადმყოფოშიც წამომყვა

რომელი სფეროების დაფინანსება მიაჩნია და რას ნიშნავს მისი საერთაშორისო სტატუსი?

— ამ ფონდისთვის სულიერება, კულტურა და მეცნიერება გახლავთ პრიორიტეტული სფეროები, რაც ქვეყნის აღმშენებლობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. საერთაშორისო სტატუსი კი, იმის ნიშანია, რომ ქართული სულიერი და კულტურული საგანძური მხოლოდ ქვეყნის ფარგლებში როდია მოქცეული. ჩვეულებისამებრ, პრიორიტეტულ სფეროს კათოლიკოს-პატრიარქი ირჩევს და ფონდის საბჭოს წევრებთან ერთად, მისი დაფინანსების საკითხს განიხილავს. საბჭოს წევრები კი, ისეთი გამოჩენილი ადამიანები გახლავან, როგორებიც არიან: გურამ დოჩანაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ბიძინა კვერნაძე, ნონა გაფრინდაშვილი, დავით მუსხელიშვილი და სხვები. როგორც წესი, ფონდთან ერთად, თანადამფინანსებლებად ქართული ბიზნესის წარმომადგენლები გვევლინებიან. პატრიარქის აზრით, ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, ნარკომანიასთან ბრძოლა უნდა იყოს. ამიტომ, უკვე დავიწყეთ პროექტის დაფინანსება, რომელიც პირველ რიგში, სრულყოფილი სამეცნიერო პროგრამის შექმნას ითვალისწინებს და ნარკომანიასთან ბრძოლის გამოცდილებაზე იქნება დაფუძნებული. ცოტა ხნის წინ, ფონდმა დააფინანსა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა და მომავალში, ხელს შეუწყობს ქართულ პერიოდიკაში ჟურნალ „მნათობის“ დაბრუნებას. საფუძველი ჩაეყარა კლასიკური ხელოვნების ფესტივალს — „ამაღლებას.“ ეს ფესტივალი ყოველწლიური იქნება. დაიწყება აღდგომის დღესასწაულის შემდეგ და ამაღლების დღესასწაულამდე გაგრძელდება. მთავარ მიზნად, ახალგაზრდა შემსრულებელთა წარმოჩენას ვისახავთ. პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ფონდის დახმარებით, გამოვიდა კრებული 3 წიგნად — „საქართველოს სულიერი საუნჯე“, რომელიც ჩვენი ისტორიული წარსულის ხელოვნებისა და ეკლესიური მემკვიდრეობის შესახებ ენციკლოპედიურ ინფორმაციას შეიცავს. კათოლიკოს-პატრიარქი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტაო-კლარჯეთთან კულტურული ურთიერთობების აღდგენას. უკვე გამოიცა ლაზური სიმღერების ჩანაწერები, რომლებიც ქართველმა შემსრულელებმა თავად ჩაიტანეს ტაო-კლარჯეთში. რამდენიმე წლის წინ, უწმინდესი და უნეტარესი ირანში იმყოფებოდა და ფერეიდანშიც ჩავიდა. მისი შეხვედრა ფერეიდნელ ქართველებთან იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ უკვე გადაწყვეტილია, ახლო მომავალში, თბილისში, ფერეიდნელი ქართველებისთვის უფასო სასტუმროს აშენება... ■

გადაწყვეტილია, ახლო მომავალში, თბილისში, ფერეიდნელი ქართველებისთვის უფასო სასტუმროს აშენება...

ლალი ფაცია

თეონა თავართქილაძის ორკვირიანი მოგზაურობა წუაძქვეშ და ვანიკო თარხნიშვილის საქმიანი ვიზიტი ბუშთან

ჟურნალისტი – ვანიკო თარხნიშვილი
რესპონდენტი – თეონა თავართქილაძე

მათ ერთმანეთი ახლოს კომპანია „მაკა ასათიანში“ გაიცნეს. ერთ-ერთი მათგანი, პროდიუსერი იყო, მეორე — დიზაინერი. ერთად ბევრი რამ აქვთ გასახსენებელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული „ფართებისა“ თუ სამოდელო ბიზნესის განვითარების სათავეებთან სწორედ ისინი დგანან, ლაპარაკია პრომოუტერ ვანიკო თარხნიშვილსა და დიზაინერ თეონა თავართქილაძეზე.

— მოგესალმები. რამდენიმე კვირაა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, რა არის ახალი შენს ცხოვრებაში?

— ზუსტად ორი კვირით დუბაიში ვიყავი წასული. დავბინავდით 7-ვარსკვლავიან სასტუმროში, რომელსაც ერქვა — „ბურჯ ალ არაბი“ — არაბული ბურჯი. არაჩვეულებრივი რამ არის, ის მთლიანად წყალშია და იალქნის ფორმა აქვს.

— თუ არ ვცდები, მინის გამჭვირვალე კედლები აქვს, არა?

— სულ დაბლა, წყალქვეშ რესტორანია განთავსებული, სადაც წყალქვეშა ნავით ჩადიხარ. იმ რესტორნის კედლები მთლიანად შუშისაა. ამის გამო სადილობისას, როდესაც იქ ზიხარ, თავს სრულ ეგზოტიკურ გარემოში გრძნობ, რადგან ხედავ, შუშის იქით როგორ დაცურავენ თევზები, ზვიგენები. ტელეფონს გათიშვინებენ, არც ფოტოაპარატის ან ვიდეოკამერის შეტანის უფლება გაქვს. ახლა, რაც არ უნდა გაგიზიარო შთაბეჭდილებები, თუ თვითონ არ ნახე იქაურობა, ყველაფერს ზუსტად მაინც ვერ აღვწერ და გადმოვცემ.

— დუბაიში ვისთან ერთად იყავი?

— ვიყავით: მე, ჩემი და — სოფიკო და მაკა, ჩვენ-ჩვენი შვილებით.

— როგორ არის მაკა *(ლაპარაკია დიზაინერ მაკა ასათიანზე. — ავტ.)*, **რას შვრება?**

— არაჩვეულებრივად. ყველამ კარგად დავისვენეთ. კმაყოფილები ვართ, დადებითად დავიმუხტეთ და დავუბრუნდით ჩვენ-ჩვენს საქმეებს.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, შენ მოდის სფეროში განაგრძობ მუშაობას, მაგრამ კონკრეტულად რას საქმიანობ, არ ვიცი...

— ორ სხვადასხვა ადგილას ვმუშაობ: ერთი გახლავთ ჯგუფი „მატერია,“ რომელიც მალე მაღაზიასა და სალონს გახსნის; მეორე — ასევე ჩემი მეგობრების სახელოსნოა. ივნისის დასაწყისში, გრანდიოზული ჩვენების მოწყობას ვგეგმავთ. ადგილიც უკვე შერჩეული გვაქვს, ოღონდ, ჯერ არ ვამბობთ, სად იქნება. პარიზიდან ქსოვილებს ველოდებით. მალე მზადებას დავიწყებთ.

— ესე იგი, თეონა თავართქილაძე არის დამოუკიდებელი დიზაინერი, რომელიც ორ სხვადასხვა „ფეშენ“ ჯგუფთან თანამშრომლობს... სამწუხაროდ, ივნისის დასაწყისში, სტამბოლში მომიწევს ყოფნა და ამ სანახაობას ვერ დავესწრები. წინა კვირას დაბადების დღე გქონდა. ერთხელ, მახსოვს, რეზიკომ, შენმა მეუღლემ დაბადების დღეზე საოცარი სიურპრიზი მოგიწყო: ერთ-ერთ კლუბში თვალებახვეული წაგიყვანა, სადაც მაშინ საკმაოდ პოპულარული ჯგუფი „სახე“ დაგხვდა. ამჯერადაც ხომ არ ყოფილა შენს დაბადების დღეზე რაიმე მსგავსი?

— წელს საკუთარ დაბადების დღეს პირველად შევხვდი თვითმფრინავში. პირველის 10 წუთზე მოფრინავდა აქეთ დუბაიდან თვითმფრინავი. 12 საათზე ტრაპზე ავდიოდი. იმის გამო, რომ ბავშვებთან ერთად ვიყავი და ბევრი საფიქრალი მქონდა, საერთოდ არც მახსოვდა ჩემი დაბადების დღე. თვითმფრინავში სტიუარდესებმა თბილისიდან მეგობრების მიერ გამოგზავნილი საჩუქრები და წერილები გადმომცეს. ასე დაიწყო ჩემი დაბადების დღე. ამის შემდეგ, სატელეფონო ზარები არ წყდებოდა. თვითმფრინავი უნდა აფრენილიყო, ტელეფონი უნდა გამომერთო, მაგრამ ვერ ველეოდი სატელეფონო მილოცვებს. მთელი ეკიპაჟი მე მელოდებოდა... პრაქტიკულად, ცოტა ხნით შეჩერდა რეისი. სახლში რომ დავბრუნდი, ნამგზავრმა, მაშინვე დავიძინე; როცა გამოვიძინე, მითხრეს — სასწრაფოდ ჩაიცვიო — და შარდენზე აღმოვჩნდი. რესტორანში თავი ბევრმა ჩემმა მეგობარმა მოიყარა. შენ კი, ვანიკო, ზუსტად ამ დროს ალასკაზე იყავი.

— როგორც დამწყებ ჟურნალისტს, რაღაც კარგი კითხვის დასმა მინდოდა და მგონი, გამომივიდა, რადგან ჩემს კითხვას ვრცელი და საინტერესო პასუხი მოჰყვა. ეტყობა, ჟურნალისტური ალღო მქონია (იცინის) ახლა ის მითხარი, თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— ამ ბოლო დროს ვატყობ, რომ ხმამაღლა ჩართული მუსიკა, დისკოთეკა, ფეხზე დგომა ძალიან მაწუხებს. ისეთი გართობა, როგორიც დღეს მომწონს, თბილისში ჯერ არ არსებობს. ამიტომ, თავისუფალ დროს ძირითადად, მოგზაურობას ვუთმობ, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს — დადებითი ენერგიით ვიმუხტები. ბოლო დროს ბევრჯერ წავსულვარ ხანგრძლივად „პაეზდკაში“, რაც ადრე არ შემეძლო, ერთ კვირაზე მეტს ვერ ვძლებდი. ასე რომ, როცა თბილისში ვარ, მთელ დროს სამსახურს, ბავშვებს, მეგობრებს ვუთმობ, რესტორანში უფრო ხშირად დავდივარ, ვიდრე დისკოთეკაზე.

— ახლა რა კითხვაც უნდა დაგისვა, შეიძლება, ფილოსოფიური მოგეჩვენოს: ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ ამ თემაზე — რომ სამყარო, მსოფლიო რაღაც გზის გასაყარზე დგას, უამრავი სასწაულის მოწმენი ვხდებით. შენი აზრით, როგორი იქნება მსოფლიო 10 წლის შემდეგ?

— ჩემი აზრით, 10 წელი ცოტაა იმისთვის, რომ სამყაროში რაიმე რადიკალურად შეიცვალოს ან რაიმე აღსანიშნავი მოხდეს. მგონი, შენ ეს კითხვა იმიტომ გიჩნდება, რომ ჩვენ ორ სხვადასხვა საუკუნეში მოგვიხდა ცხოვრება...

— შენი აზრით, ირანში ომი დაიწყება?

— არა.

— ჩემი პროგნოზით, მიმაჩნია, რომ უნდა დაიწყოს... ჰო მართლა, გუშინ ღამე ბუში დამესიზმრა. ვისაც ვკითხე, ეს სიზმარი რას ნიშნავს-მეთქი. ვერავინ მიპასუხა. შენ ხომ არ შეგიძლია მიპასუხო, რას ნიშ-

ნავს ბუშის დასიზმრება?

— დიდ კაცს სიზმრად რომ ნახავ, როგორც ვიცი, კარგია. ყოველ შემთხვევაში, ცუდს არაფერს მოასწავებს.

— **რამდენ ხანში ვიგრძნობ ამ სიზმრის კეთილ გავლენას?**

— მალე, შეიძლება, საქართველოს ხელისუფლებაში გიხილოთ... მარტო შენ და ბუში იყავით?

— **სულ 4-5 კაცი. ერთ-ერთი, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო...**

— შენი სიზმრის მიხედვით შეიძლება იმის წინასწარმეტყველებაც, რომ ამერიკაში წახვალ და იქ რაღაც კარგ საქმეს წამოიწყებ.

— **საერთოდ, გჯერა სიზმრების?**

— კი. ბევრჯერ მომხდარა — რაც სიზმარში მინახავს, ამხდენია ან სიზმრით რაღაც ნიშანი მიმიღია. საერთოდ, მრავალფეროვან, ფერად სიზმრებს ვნახულობ ხოლმე, სერიალების მსგავსს. მერე რომ

მანამდე ტრენინგს ამერიკაში გავდიოდი

ვიღვიძებ, ბევრს ვხალისობ, რადგან სიზმრის ეპიზოდები მახსენდება.

— **ჩემი სიზმრები პასტელის ფერებშია ხოლმე** *(იღიმება)*...

— ეს იმაზე მიანიშნებს, რომ რომანტიკული ადამიანი ხარ.

— **მე?!. არადა, ჩემი თავი არარომანტიკული ადამიანი მგონია. ასევე მიმაჩნია, რომ არც აზარტული ვარ, თუმცა ყველა საპირიპიროს მეუბნება — აზარტული ხარო. თეონა, ბავშვობაში ვინ გინდოდა, რომ გამოსულიყავი?**

— ორი ოცნება მქონდა. დიქტორობა მინდოდა, რადგან, მაშინ ტელეწამყვანს დიქტორი ერქვა. მუყაოსგან ტელევიზორი მქონდა გაკეთებული, ვჯდებოდი და გადაცემები მიმყავდა. ბავშვობის ეს ოცნება ბახტრიონზე გახსნილ საკაბელო ტელევიზიაში ავიხდინე — იქ დიქტორად ვმუშაობდი.

— **მეორე?**

— სტიუარდესობა მინდოდა. ამ ოცნების ასრულებაზეც გულმოდგინედ დავიწყე ზრუნვა: გავიარე სამედიცინო შემოწმება, კასტინგი, ბორტგამცილებლის ფორმაც მომცეს, ნება დამრთეს, მეფრინა, მაგრამ ოჯახში, რეზიკოსგან წავაწყდი წინააღმდეგობას. მან მითხრა — როგორც კი გაფრინდები და შეუდგები ამ საქმეს, მე სახლიდან წავალო. ამიტომ „დავაკონსერვე“ ეს ოცნება-იდეა: იქნებ ოდესმე, ერთი გაფრენით მაინც ავისრულო. ასე რომ, ბავშვობაში ლარისა ივანოვნობა მინდოდა *(იცინის)*.

— **როგორც დამწყებ ჟურნალისტს, უკვე სიამაყის გრძნობა მეუფლება, რადგან ჩემ მიერ დასმულმა შეკითხვებმა გაამართლა: პირველად დაიბეჭდება თეონა თავართქილაძის ახდენილი და აუხდენელი ოცნებების შესახებ!.. ხომ არ მომეხმარებოდი იმაში, რომ კიდევ რაღაც ისეთი ამბავი მოხვდეს ამ ინტერვიუში, რომელიც სრულფასოვანი ჟურნალისტის სახელის მონიჭებაში დამეხმარება?!.**

— საერთოდ, ნებისმიერი რესპონდენტი ინტერვიუში ინტიმურ თემებზე ბოლომდე გახსნილად არ ლაპარაკობს, მიუხედავად იმისა, რომ გულწრფელია. ვფიქრობ, რომ ინტერვიუ მაინც ზედაპირულ საუბარს გულისხმობს. ამაში ალბათ, შენც დამეთანხმები.

— **გეთანხმები. ბოლოს, როგორ დაემშვიდობებოდი „გზის“ მკითხველს?**

— საუკეთესო სურვილებით ვემშვიდობები. მომავალ შეხვედრამდე.

ქურნალისტი — თეონა თავართქილაძე
რესპონდენტი — ვანიკო თარხნიშვილი

— **ვანიკო, დასაწყისში, მეც იმავეს შეგეკითხები, რაც შენ მკითხე: რას საქმიანობ, რითი ხარ დაკავებული?**

— ბოლო დროს სარეკლამო ბიზნესში ჩავები. კომპანია „მაკენ ერიქსონის“ ბაზაზე, კრეატიული დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელობაც მე შემომთავაზეს. ამ საქმიანობამ, კერძოდ, რეკლამამ დამაინტერესა. მანამდე ტრენინგს ამერიკაში გავდიოდი, თეორიული კურსიც გავიარე. ამ სარეკლამო ბიზნესში ისეთი ენთუზიაზმით ჩავები, როგორითაც მანამდე — შოუბზნესში. მიმაჩნია, რომ უამრავი სფეროა რეკლამაში ასათვისებელი.

— **ზოგადად, როგორ ხასიათზე ხარ?**

— სტაბილურად პოზიტიურზე.

— **დაკვირვებული ვარ — ნებისმიერი სიტუაციიდან პოულობ გამოსავალს. თუ გქონია ისეთი უხერხული სიტუაცია, რომლიდანაც ვერ გამომძვრალხარ?**

— ვერ ვიხსენებ. თუ სიტუაციიდან არ გამოვძვერი ანუ პრობლემა არ გადავწყვიტე, ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება.

— **მიგაჩნია, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს?**

— გამოუვალი ერთადერთი — სიკვდილია...

— **იქნებ, დაასახელო ერთი ქალბატონი, რომელიც ძალიან მოგწონს?**

— ძალიან მომწონს მოდელი კრისტი ტარლინგტონი. ისეთი სიმპათია მაქვს მის მიმართ, რომ ჩემმა მეუღლემ საძინებელში მისი სურათი გამიკრა *(იცინის)*.

— **მოდი, ახლა ალასკაზე მოგზაურობის შესახებ მოგვიყევი. როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდი იქიდან?**

— ჩემი ტელეფონი მახსენებს ხოლმე ახლობელი ადამიანების, მეგობრების დაბადების დღეებს. ერთ-ერთ შეხვედრაზე ვიყავი და შენი დაბადების დღის მოახლოება მამცნო. მეორე დღეს, ჯიბის კომპიუტერმაც შემახსენა, მაგრამ შეხვედრაზე ვიყავი და იქიდან ვერ მოვახერხე გზავნილის გამოშვება. საკმაოდ მძიმე და დატვირთული დღე მქონდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დღე გავიდა და მივხვდი, რომ მილოცვა ძალიან დამიგვიანდა, უკვე ფაქტობრივად, შენი დაბადების დღის მეორე დღე იყო. უცბად გამახსენდა, რომ შეიძლება მსოფლიოს მასშტაბით სადღაც ჯერ კიდევ 19 აპრილი ყოფილიყო. გადავამოწმე და გავარკვიე, რომ ალასკაზე იყო; იქაც უკვე 3-4 წუთში, 20 აპრილი დგებოდა. სასწრაფოდ ავკრიბე მილოცვის ტექსტი და დავაყოლე — ალასკიდან გილოცავ-მეთქი *(იცინის)*.

— **იმდენად დამაჯერებელი მესიჯი იყო, მართლაც დავიჯერე რომ ალასკაზე იყავი, მოგვიანებით გაირკვა, რომ თბილისში ყოფილხარ, ალასკაზე კი არა. ამაზე იმდენი ვილაპარაკეთ და ვიხუმრეთ, რომ ბოლოს, მგონია, შენც დაიჯერე. აი, ხომ ხედავ, კიდევ ერთი ფაქტი, როცა შენ გამოძვერი სიტუაციიდან.**

— ისე ვიხუმრე, მართლა მგონია, რომ ალასკაზე ვიყავი.

— **აი, გისმენ და რაღაც, დახვეწილი ქართულით ლაპარაკობ — არადა, შენს მეტყველებაში უხვად არის ხოლმე გამორჩეული უცხო სიტყვა, სლენგი...**

— გიპასუხებ ზუსტად ისე, როგორც ამას წინათ, ერთ-ერთ გადაცემაში ვუპუხე, როდესაც ჩემს მეტყველებასთან დაკავშირებით დამისვეს კითხვა. სლენგითა და უცხო სიტყვებით ლაპარაკი, ჩემი მეტყველების მანერაა, ხოლო როგორც ახლა ვლაპარაკობ, გეტყვი — ასე მეტყველება იმის ბრალია, რომ ამჟამად, ასეთ ტალღაზე ვარ. სხვათა შორის, ბოლო დროს, ჩემს ლექსიკას მეგრული სიტყვებიც შეემატა. ამას წინათ, მეგრელი ბავშვები გავიცანი, მათ დავუმეგობრდი. მასწავლეს მეგრული სიტყვები და მირჩიეს — ამოჩემებული „ამიგოს“ ნაცვლად, „ჯიმაკოჩი“ თქვიო, რაც ქართულად ძმაკაცს ნიშნავს.

ახლა — „ამიგოს“, „ჯიმაკოჩი“ ჩავუნაცვლე. მეგრული ენა ძალიან მომეწონა, დაახლოებით ისე, როგორც სამზარეულო.

— აღნიშნე — სტაბილურად პოზიტიურ ხასიათზე ვარო. რამ შეიძლება შეგიცვალოს ხასიათი?

— თუ სიტუაცია არ მომწონს, ჩემთვის მიუღებელია, მაშინვე გავერიდები ხოლმე. დღეს მივხვდი, რომ ბუნებაში ყოფნა უგუნებოდ მხდის: დავადგინე, რომ ის ჩემზე ცუდად მოქმედებს.

— მოკლედ, ჩემო ვანიკო, ყველაფერი უკულმა გაქვს: შენს ასაკში მამაკაცები სუქდებიან, ღიპი ედებათ, თმა სცვივათ; შენ ჭამაც გიყვარს, დიდად სპორტულიც არ ხარ, არც თმა გაგცვენია... როგორ ინარჩუნებ ფორმას?

— დილაობით ვვარჯიშობ. შეიძლება, ეს ვარჯიში 16-წამიანი ან 3-წუთიანი იყოს. როდესაც ადამიანს ღიპი უჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდად არის. არ დავუშვებ, რომ ცუდად ვიგრძნო თავი. ღიპი ცუდად ყოფნის ნიშანია.

— მარკესს ერთ-ერთ წერილში ასეთი რამ აქვს გადმოცემული: გამოვიარე ცხოვრება, ბევრი რამ ვნახე და ვისწავლე, როგორ უნდა ვიცხოვრო, მაგრამ სამწუხაროდ, ვკვდებიო... შენი აზრით, ცხოვრების არსი რაში მდგომარეობს? რას მიხვდი? ეს ყველაფერი გაცნობიერებული გაქვს თუ დინებას მიჰყვები?

— ამ კითხვაზე ოსკარ უაილდის — ჩემი საყვარელი მწერლის სიტყვებით გიპასუხებ: „მხოლოდ სულელები იცნობენ საკუთარ თავს“. თუ მარკესს აინტერესებდა, ცხოვრებას ჩაჰღრმავებოდა და ბევრი რამ გაეგო, ასეთ ტიპაჟებს ოსკარ უაილდი სულელებს უწოდებს. მე კი, ამ კითხვაზე ჩემებური, სახუმარო პასუხი მაქვს: სოკრატე ამბობდა — „არსებობდე, ნიშნავს, აკეთო“, სარტრი აღნიშნავს — „აკეთო, ნიშნავს, იყო“, ხოლო — სინატრა სიმღერაში „სთრენჯაზ ინდე ნაით“ მღეროდა. Do Be Do Be Do („აკეთო“, „იყო“)... ეს არის ცალსახად ჩემი ცხოვრებისეული ფილოსოფია.

— ბრავო, ვანიკო! აპლოდისმენტები დაიმსახურე. ■

„ამიგოს“, „ჯიმაკოჩი“ ჩავუნაცვლე. მეგრული ენა ძალიან მომეწონა...

„არ ვიცი, რამდენ ხანს მეყოფა ძალა პურის ფულისთვის, იმისთვის, რომ დღე და ღამე ფიზიკურად ვიმუშაო. როგორც გავიგე, ამ დაწესებულებასაც დახურვას უპირებენ და მერე, უკვე მართლა არ ვიცი, რა მეშველება. ჩემი ყველა მეგობარი ჩემს დღეშია. თავიდან კი ვეხმარებოდით ერთმანეთს, მაგრამ ყველას თავისი ოჯახი აქვს...“

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ცხოვრებამ მეფუნთუშედ აქცია. თუმცა, დღეს მას ეს საშუალებაც ეცლება ხელიდან.

ძველი რეჟიმის დაშლამ ხელოვანი ხალხის გარკვეული ნაწილი ფაქტობრივად, ლუკმაპურის გარეშე დატოვა. ზოგ მათგანს, თავის სარჩენად, სცენიდან პირდაპირ ქუჩაში მოუწია წასვლამ. უხელფასოდ დარჩენილი, დამწყები თუ სტაჟიანი, ცნობილი თუ მაყურებლისთვის საყვარელი მსახიობები თავის სარჩენად ათასგვარ საშუალებას მიმართავდნენ. უმრავლესობა საქართველოდან წავიდა, ზოგს გაუმართლა... ბევრმა სამშობლოს გარეშე ვერ გაძლო და ისევ გაღატაკებულ, ნახევრად დაშლილ თეატრს დაუბრუნდა, მაგრამ — დროებით...

თინათინ კანდელაკი სკოლის მერხიდან, თეატრის ცხოვრებით სუნთქავდა და არსებობდა. სკოლის შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა და სწავლის დასრულების შემდეგ, სამუშაოდ ინსტიტუტში დატოვეს. ეროვნული მოძრაობის წლებში, ის სტუდენტებთან ერთად იდგა. მათი იმედები არ გამართლდა. დღეს, უკვე ბევრ მათგანი მიიჩნევს, რომ კომუნისტური ეპოქა ხელოვანი ხალხისთვის გაცილებით უკეთესი იყო...

„ᲯᲘᲜᲘᲚᲘᲐᲜ, ᲡᲪᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘ ᲕᲘᲡᲘᲖᲐᲠᲘᲝᲚᲐ...“ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐ — ᲙᲝᲚᲮᲣᲠ „ᲐᲢᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲚᲐᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ

— ვინც კი ამ ცხოვრებისთვის ფეხის აწყობა მოახერხა, საქმე დღესაც აწყობილი აქვს. მაგრამ ძალიან ბევრი დაიჩაგრა და ჩრდილში დგას... ეროვნული მოძრაობის წლების შემდეგ, ისეთი ერთიანი, ქართველი ერი ალბათ, აღარც ყოფილა... ყველას გვეგონა, ქვეყნის საქმე უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ სულ სხვანაირად მოხდა: ჯერ იყო სამოქალაქო ომი, მერე — შევარდნაძის კოშმარული წლები. ფაქტობრივად, უკეთესობის ლოდინში გავიდა მთელი ცხოვრება... 90-იან წლებში, ჩვენი თეატრი დაიხურა. სამსახურიც დავკარგე. ულუკმაპუროდ რომ არ დავრჩენილიყავი, სახელმწიფო ტელევიზიაში გადავედი და საბავშვო გადაცემის — „ძილისპირულის“ გმირებს ვახმოვანებდი. ეს ძალიან სუსტი, მაგრამ ერთადერთი ძაფი იყო, რომელიც საყვარელ პროფესიასთან მაკავშირებდა.

— შრომის ანაზღაურება ალბათ, მიზერული იყო, ხომ?

— რამდენიმე ათასი კუპონი, ზუსტად არც მახსოვს. დღევანდელ ფულზე — 25-30 ლარამდე გამოდის. მაინც დავდიოდით ყოველდღე მე და ჩემი მეგობრები. ვერც წარმომედგინა, სხვა საქმის კეთებას თუ შევძლებდი ოდესმე. იქიდან მოსულს, პურის რიგში დგომა გვიწევდა. მოგვიანებით, ჩემმა ნათესავმა მთხოვა — რუსეთში რაღაც საქმე მაქვს წამოწყებული და დამეხმარეო. ვაჭრობა იმდენად უცხო იყო ჩემთვის, გამიკვირდა კიდეც, რაში უნდა დავეხმარო-მეთქი?.. გზის ფულიც თვითონ გამომიგზავნა. ბავშვები მშობლებთან დავტოვე და წავედი. 2 წელი ვიყავი იქ. პურის ფულს ვუგზავნიდი ოჯახს, მაგრამ რაღაც მაკლდა. ყოველღამე, სცენა და თბილისის ქუჩები მესიზმრებოდა... საქართველოში დაბრუნებაზე ვოცნებობდი. მეგობრებს რომ ვურეკავდი, მეუბნებოდნენ — ჩამოსვლა არ გაბედო, ჩვენც უმუშევრები ვართო. ყველას თავისი პრობლემა ჰქონდა... ერთ მშვენიერ დღეს, ტვინი გადამიბრუნდა, მივატოვე მაღაზია და თბილისში ჩამოვედი. მშობლებმა კინაღამ სახლ-

იდან გამაგდეს... გადარეულივით მოვირბინე თბილისის ქუჩები და ყველა ის ადგილი, სადაც ცხოვრების ულამაზესი წლები გავატარე...

— სად მოღვაწეობდით ყველაზე დიდხანს?

— თეატრი ჩემი სახლი იყო და მათ შორის, გამორჩეული არ მქონდა... მარჯანიშვილი მაინც ყველაზე მეტად მიყვარდა. ბავშვობიდან იქ ვიყავი, იმ დიდ საზოგადოებაში ვიზრდებოდი. პირველი როლი, რომელიც ვითამაშე, „ვერის უბნის მელოდიები“ იყო, სადაც მრეცხავ ვარდოს ვასახიერებდი.

იცით, როცა ამ როლს ვთამაშობდი, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ცხოვრებაშიც მომიწევდა ამის გაკეთება... დიდი და ცნობილი მსახიობი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ თეატრი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და შეიძლება ითქვას, „მცირედითაც კმაყოფილი“ ვიყავი. სამოქალაქო ომმა, დემოკრატიისკენ სწრაფვამ ყველაფერი აურ-დაურია. როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, რასაც ცოტა ხანში, აფხაზეთის დაკარგვაც მოჰყვა, მოსკოვის გარეუბანში, ლვოვის დასახლებაში მდებარე თეატრის ცივ შენობაში პატარა, უცნობი საქართველო იყო შეკრებილი და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ქრონოლოგიურად გადმოსცემდნენ. გაყინულ დარბაზში არც რუსი მაყურებლების ნაკლებობა იგრძნობოდა. საკუთარი სახსრებით ორგანიზებულ გამოსვლას თეატრის ხელმღვანელობისგან უსიამოვნებები შეექმნა და რამდენიმე ქართველს სამსახურიც დაატოვებინეს.

თუმცა ის ჩვენთვის, „პატარა საქართველოს“ სულისჩამდგმელებისა და მსახიობებისთვის პირველი და უკანასკნელი გამარჯვება იყო, მაინც არ ვნანობდით. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რუსი მაყურებელი საქართველოში განვითარებულ მოვლენებს საკუთარ ტრაგედიად აღიქვამდა, მაგრამ იყო აზრთა სხვადასხვაობაც. თვით ქართველმა ემიგრანტებმაც კი, სცენარის ცვლილებებზე დაიწყეს ლაპარაკი. სცენარის ავტორი, არაპროფესიონალი, თვითნასწავლი ახალგაზრდა ქართველი იყო, რომელიც 9 აპრილს, გაზით მოიწამლა და მშობლებმა სამკურნალოდ მოსკოვში გაუშვეს. ქართველ მეგობრებთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია და იცოდა, თუ რა ხდებოდა სამშობლოში. ჯანსუღ კახიძის „ჰერიო ბიჭებოს“ ფონზე დაწყებული სპექტაკლი 2 საათი გრძელდებოდა. მისი ვიდეოჩანაწერი კი, მხოლოდ რამდენიმე რუსს დარჩა „ნა პამიატ“... თეატრის რეჟისორი, ივან კუზმიჩი, მოსკოვის თეატრალური უნივერსიტეტის ლექტორი გახლდათ. ისე ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია, ბარე ორი ქართველი მეცნიერი ვერ შეედრებოდა. იმ პერიოდში, მგონი, ის ერთადერთი იყო რუსულ ელიტაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ანომალიად არ აღიქვამდა... სპექტაკლზე ბუბა კიკაბიძეც იყო მოწვეული, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, ვერ მოვიდა.

— თქვენ ვისი როლი გერგოთ?

— ქართველ დედას ვასახიერებდი, რომელმაც სამივე შვილი ეროვნული მოძრაობის აზვირთების დროს დაკარგა. იცით, ცნობილი სახე არ ვყოფილვარ. თინა კანდელაკს, როგორც დიდ მსახიობს, არავინ იცნობდა, მაგრამ რუსთაველის თეატრში რაღაც როლები შემისრულებია. ჩემი საქმე მიყვარდა და ამიტომაც თავგამოდებით ვშრომობდი... როდესაც რუსეთში მომიწია წასვლამ, თბილისის ქუჩებში უკვე ისმოდა სროლის ხმა და პურის რიგებში დგომა უკვე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სახლში პურის ფული არ გვქონდა, როგორც სხვა დანარჩენს, ისე ჩვენც.

დეიდაჩემი გაუთხოვარი ქალი იყო, მოსკოვში, მაღაზიაში სურსათის განყოფილება ჰქონდა, მაგრამ უკეთესი სამსახური გამოუჩნდა. ადგილის დაკარგვა არ უნდოდა და მთხოვა — ჩამოდი, არც შენ იქნები მშიერი და ბავშვებსაც პურის ფულს გაუგზავნიო.

— მაღაზიაში მუშაობის გამოცდილება ალბათ, არ გქონდათ.

— ხომ გაგიგონიათ — გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. აფხაზეთში უკვე არეულობა იყო დაწყებული, ჯერ ვლადიკავკაზში ჩავედი და იქიდან ტანჯვა-წამებით, მოსკოვამდე ჩავაღწიე. შინ მშიერი ბავშვები მეგულებოდნენ. არც ენაში მქონდა დიდი მიღწევები, თუმცა სასაუბრო რუსული არ მიჭირდა, მაგრამ ანგარიში და სავაჭრო ენა იმდენად რთული მეჩვენა, ნერვიულობაში ღამეებს ვათენებდი. მერე, ჩემი ინსტიტუტის მეგობარს შევხვდი. კინაღამ გაგიუდა: აქ როგორ მოხვდიო?!. ის მოსკოვის თეატრში მოღვაწეობდა. მაშინ ვიგრძენი, თუ როგორი ნოსტალგია მქონდა თეატრისა და საერთოდ, ხელოვნების... უბრალო ადამიანებს, ვისაც ახლო შეხება არ ჰქონიათ ამ სფეროსთან, ყოველთვის უკვირთ ხოლმე, როგორ შეიძლება, ასე, სულიერივით გიყვარდეს თეატრი. მაგრამ დამივჯერეთ, შეიძლება, მსახიობს უკანასკნელი როლი მისცენ, ის მაინც ითამაშებს. სცენა და მაყურებელი ნარკოტიკივით არის.

— რუსულ თეატრში როგორ მოხვდით?

— ჩემი მეგობარი დაუკავშირდა ივან კუზმიჩს. უფრო სწორად, მათ ხშირი ურთერთობა ჰქონდათ. კუზმიჩმა იცოდა, რომ ქართველების დიდი ნაწილი რუსეთში ცხოვრობდა და სწორად განსაზღვრა. ზუსტად ის სურათი დადგა, რომელიც მაშინ ყველა ქართველისთვის მტკივნეული იყო. ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა...

— კი, მაგრამ ხომ მუშაობდით. თეატრისთვის დროს როგორ პოულობდით?

— ღამის 11 საათამდე ვმუშაობდი, მერე პირდაპირ რეპეტიციაზე მივდიოდი. როგორც გითხარით, იქ პატარა საქართველო იყო შეკრებილი. მომქანცველი სამუშაო დღის შემდეგ, სულიერად ვისვენებდი. წარმოდგენა იმ დაწყევლილი ტრაქტატის („გეორგიევსკის ტრაქტატი“. — ავტ.) დადების პერიოდიდან იწყებოდა. მეფე ერეკლეს როლს თეატრალური უნივერსიტეტის რუსი სტუდენტი თამაშობდა. არც 9 აპრილის ღამე გამოგვრჩენია. მინდა გითხრათ, რომ ყველაზე დიდი ოვაციით მაყურებელი ამ მომენტს ხვდებოდა.

— რუსები?

— დიახ, რუსებიც...

— როგორ, ოვაციებით?

— ეს უფრო, ემოციურობით თუ აიხსნებოდა. იქ ქართველების მიერ მოწვეული რუსი მაყურებლები იყვნენ, რომლებსაც, რა თქმა უნდა, კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ სტუმრებთან. ისიც კი მახსოვს, წარმოდგენის ბოლოს, აცრემლებული რუსი ქალბატონი მოვიდა და მთელი რუსეთის სახელით ბოდიში მომიხადა. „ვი მატ გეროინია“, — მითხრა მან და გადამეხვია. ის ადგილობრივი სკოლის დირექტორი იყო. იმ კვირას, სამსახურიდან გაათავისუფლეს. ჩვენ არც მერე შეგვიწყვეტია მეგობრობა. ეს იყო უბედნიერესი წუთები ჩემს ცხოვრებაში...

— როგორ დასრულდა სპექტაკლი?

— სპექტაკლში საქართველო უკვე დამოუკიდებელი იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ — აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და სამეგრელოს გარეშე; უკვე რუსულად ლაპარაკობდნენ აჭარაშიც... იცით, ყველაფერი ძალზე ჰგავდა სინამდვილეში განვითარებულ მოვლენებს. სხვათა შორის, როდესაც სამშობლოში დავბრუნდი, რეჟისორმა დამირეკა და მითხრა — თუ გნებავთ, სცენარს გამოგიგზავნით და თბილისელ მაყურებლებსაც ანახვეთო. ძალიან მინდოდა...

— რატომ ვერ განახორციელეთ ჩანაფიქრი?

— თავიდან, უსახსრობის გამო. შევარდნაძე ახალი ჩამოსული იყო, ვის რაში სჭირდებოდა თეატრი?! ხალხი მიტინგებს მართავდა. მერე, უკვე ყველამ რაღაც გააკეთა — იმას ვგულისხმ-

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 42 55 44
822 006 005
822-006-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ობ, რომ სპექტაკლები უფრო პროფესიონალურ დონეზე დაიდგა... მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ რუსეთში დაიდგა ასეთი შინაარსის სპექტაკლი — მაშინ, როდესაც რუსები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, ძალიანაც რომ ნდომებოდათ...

— მერე, რუს რეჟისორს რა ბედი ეწია?

— ერთი თვე ციხეში აყურყუტეს, მაგრამ მერე გამოვიდა და სამსახურშიც აღიდგინა თავი.

ის ქალბატონი, რომელმაც თავის დროზე, რუსები ქართულ ტრაგედიაზე ააცრემლა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სურსათის მაღაზიაში მუშაობდა და პურს ყიდდა. მოგვიანებით, ის შენობა უცხოურმა კომპანიამ შეისყიდა და ეს ქალი, უკვე მერამდენედ, გარეთ დარჩა. ოჯახს რჩენა სჭირდებოდა და გამოსავალი თავად უნდა ეძებნა. მეზობელმა, თავისი მდიდარი ნათესავებისთვის თეთრეულისა და ხალიჩების რეცხვა შესთავაზა...

— სირცხვილის გრძნობა შვილის ავადმყოფობამ დამაკარგვინა. ერთ „რეისზე“ 10-15 ლარი მრჩებოდა. მარტოხელა დედის კვალობაზე, ეს ცოტა არ იყო და მეც მივყევი დინებას. ეს ხელობა სულ ახალი შემოსული იყო ქალაქში. ამიტომაც დიდი კონკურენცია არ იყო. მოგვიანებით, უმაღლესდამთავრებულმა ახალგაზრდა გოგონებმა „დამჩაგრეს“ და კლიენტი წამართვეს. იძულებული გავხდი, საბანკეტო დარბაზში მიმტანად მემუშავა. სუფრების მერე მორჩენილი საჭმელი შინ მიმქონდა და კვების პრობლემა მოხსნილი იყო...

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, თუ შეიცვალა რაიმე თქვენს ცხოვრებაში?

— სააკაშვილს დაპირებულის მეათედი რომ შეესრულებინა ხალხისთვის, არაფერი გვიჭირდა. შევარდნაძის დროს ხომ მათხოვრულად ვცხოვრობდი, მაგრამ მაინც ვიტანდი, რადგან სამუშაო მქონდა. ახლა, მარტივად რომ ვთქვათ, საარსებო წყაროც კი მოგვესპო... შვილები სწავლობენ, მაგრამ აქ პერსპექტივას ვერ ხედავენ. იმის იმედი, რომ უბრალო ხალხს ნორმალური ცხოვრების პირობები შეექმნება, აღარ არსებობს. ჯანმრთელობა გამინადგურდა ბოთლების თრევით. მაგრამ ჩემნაირი ათასობით ცხოვრობს თბილისში და აღარც ის ბოთლები დარჩა... რასაც პრეზიდენტი ვითომდა ხალხისთვის აკეთებს, ამას დაცინვა ჰქვია. პრეზიდენტი უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა — პირიქით. ხალხმა უნდა შეაფასოს მთავრობის საქმე და არა — პრეზიდენტმა. თუმცა, რა აზრი აქვს ამ სიტყვების თქმას?.. წერე და იკითხე, რამდენიც გინდა!..

■

მკვლელობა აღდგომის დღეს

აღდგომის დღეს, თბილისში მომხდარი საზარელი მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლოში სხდომა ჩატარდა. სხდომაზე მოსამართლეს, მკვლელობაში ბრალდებული ორი პირის — ოთარ იასაღაშვილისა და ვლადიმერ ნიაზაშვილის აღკვეთის ღონისძიების საკითხი უნდა გადაეწყვიტა. გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობის მოტივი — შურისძიებაა, თუმცა, ამ ვერსიას გარდაცვლილის ახლობლები კატეგორიულად უარყოფენ. მოკლული, ბესარიონ ბოლოთაშვილი გახლავთ. შემთხვევის ადგილზე — თბილისში, ზურაბ ჟვანიას სახელობის მოედანზე, აწ გარდაცვლილი მამასთან — ვლადიმერ ბოლოთაშვილთან და სიძესთან — ნოდარ კოტორაშვილთან ერთად იმყოფებოდა. სამივენი ავტომანქანა „გაზ-24“-ში ისხდნენ. ამავე ავტომანქანაში ისხდნენ, როგორც ამბობენ, აწ გარდაცვლილის და, მცირეწლოვან შვილთან და მამიდასთან ერთად.

მკვლელობის თვითმხილველთა თქმით, საჭესთან ბესარიონ ბოლოთაშვილი იჯდა. ბოლოთაშვილები და კოტორაშვილი თავდამსხმელებმა მანქანაშივე ჩაცხრილეს. თვითმხილველები იმასაც ამბობენ, რომ შეიარაღებულ თავდამსხმელებს, როგორც ჩანს, სწორედ საჭესთან მჯდომი პიროვნების მოკვლა ჰქონდათ გეგმაში, რაც განახორციელეს კიდეც. ამ ვარაუდს მოწმობს ის ფაქტი, რომ დამნაშავეებმა მას, დაჭრის შემდეგ, ე.წ. „კონტროლკაც“ ესროლეს. როგორც ამბობენ, ამ ვითარებაში თავდამსხმელებს მანქანაში მყოფი დანარჩენი პირების მოკვლაც თავისუფლად შეეძლოთ, მაგრამ მათ ვლადიმერ ბოლოთაშვილსა და ნოდარ კოტორაშვილს მხოლოდ ფეხებში ესროლეს. თვითმხილველთა თქმით, დამნაშავეები პისტოლეტითა და ავტომატით იყვნენ შეიარაღებულები.

მოკლულის მამა და სიძე სიკვდილს გადაურჩნენ. ფეხის არეში მათ მრავალი ცეცხლნასროლი ჭრილობა დაუფიქსირდა. მძიმედ დაჭრილები დაუყოვნებლივ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მათ გადაუდებელი ოპერაციები ჩაუტარდათ. ექიმების თქმით, ნოდარ კოტორაშვილის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ისინი იძულებული გახდნენ, მისთვის ფეხი მოეკვეთათ.

გამოძიების ინფორმაციით, შემთხვევის ადგილიდან დამნაშავეები „დოჯის“ მარკის ავტომანქანით მიიმალნენ. მანქანის მარკა და ნომერი პოლიციისთვის რამდენიმე წუთში გახდა ცნობილი. პოლიციელები ეჭვმიტანილებს მაშინვე დაედევნნენ. მათი დაკავება ხიმშიაშვილის ქუჩაზე შეძლეს.

დაკავებულები — ოთარ იასაღაშვილი და ვლადიმერ ნიაზაშვილი აღმოჩნდნენ. ამბობენ, რომ ისინი ბოლოთაშვილების ახლობლები არიან. ჯერჯერობით, გამოძიებით დაუდასტურებელი ვერსიით, დანაშაული, მოსკოვში ერთი წლის წინ მომხდარ მკვლელობას უკავშირდება. მაშინ, ბოლოთაშვილის მამიდაშვილის შვილის ქმარი მოუკლავთ. ბესარიონ ბოლოთაშვილსა და მოკლულს საერთო ბიზნესი ჰქონიათ. სწორედ ბიზნესში საქმიანობისას წარმოქმნილი უთანხმოების გამო, მისი სიძე საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან ჩაუცხრილავთ. ამ ვერსიის თანახმად, მომხდარში მოკლულის ნათესავები, ბესარიონ ბოლოთაშვილს ადანაშაულებდნენ. მკვლელობის ფაქტიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე, გარდაცვლილის დეიდაშვილებმა ბოლოთაშვილზე შური იძიეს.

დაკავებულ პირებსა და ბოლოთაშვილებს შორის ახლობლობის ფაქტს დაზარალებული მხარე არ უარყოფს, მაგრამ 23 აპრილს, თბილისში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული ვერსია — შურისძიების შესახებ, — მათ კატეგორიულად გამორიცხეს. აწ გარდაცვლილის ნათესავები და მეგობრები ამბობენ, რომ ოჯახებს ერთმანეთთან ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მათვე განაცხადეს, რომ ვერსია შურისძიების შესახებ მათთვის მიუღებელია.

სამართალდამცავები კი ამბობენ, რომ ბიზნესინტერესების შეუთავსებლობის გამო მომხდარი მკვლელობისა და შურისძიების თაობაზე თავად დაკავებულები ლაპარაკობენ.

25 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე, მკვლელობაში ბრალდებული პირების ადვოკატმა მოსამართლის წინაშე შუამდგომლობა დააყენა, სადაც სასამართლოს გირაოს გადახდა შესთავაზა, სანაცვლოდ კი, ბრალდებულთათვის არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება მოითხოვა. მოსამართლემ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მისი განმარტებით, საქმე უმძიმეს დანაშაულთან გვაქვს და გამოძიების ინტერესების დასაცავად, ძიების დასრულებამდე, საჭიროა აღნიშნული პირების პატიმრობაში ყოფნა. იასაღაშვილსა და ნიაზაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. სწორედ ასეთი გახლდათ პროკურორის მოთხოვნაც. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულებს დანაშაულის ჩადენა სასამართლო გამოძიების შედეგად დაუდასტურდებათ, კანონის მიხედვით, მათ 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ■

„ჯაბიზნა და ესროლა, თვითონ დავინახე და ეს თვალებიდან ერასდრის ამოვივ“

ფეხმძიმე ქალის თვალწინ დატრიალებული ტრაგედია

„მთელი დილა ვფიქრობდი, წავსულიყავი თუ არა. არც გიას მარტო გაშვება მინდოდა. ბოლოს, მაინც გადავწყვიტეთ... სახლიდან რომ გავედი, რაღაც უცნაურად შემაჟრჟოლა. ცუდს მიგრძნობდა გული და ფეხები უკან მრჩებოდა. ასე აშკარად არასდროს გამართლებულა ჩემი წინათგრძნობა... მაინც ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ ასეთი უბედურება გველოდა წინ. ჩემი ოჯახის ბედნიერებას სულ რამდენიმე საათში საბოლოოდ დაესვა წერტილი... საშინელება იყო. ახლაც მახსოვს გასროლის საშინელი ხმა, რასაც გიას „ვაიმე“ მოჰყვა. გამომხედა და — მიშველეო, — მითხრა. მე მხოლოდ კივილი შევძელი, მოქმედების უნარი საერთოდ წამერთვა, მისი შველა ვერ მოვასწარი...“

ეს ჩვენება გამოძიებას 30 წლის ქალბატონმა მკვლელობიდან დაახლოებით ერთ თვეში მისცა. მანამდე, მომხდარის გამო შოკურ მდგომარეობაში ჩავარდნილს, მის თვალწინ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ლაპარაკი არ შეეძლო. იმ დღეს, მას მეუღლე მოუკლეს. ამ უბედურებამ შვილიც დაკარგვინა...

რამდენიმე ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილ დანაშაულს კიდევ 4 თვითმხილველი ჰყავდა. მათი ჩვენებების საფუძველზე, 2004 წლის 14 მარტს, მცხეთა-თბილისის საავტომობილო ტრასაზე განვითარებული მოვლენები გამოძიების მასალებში ამგვარად დაფიქსირდა:

„ბე-ემ-ვეს“ მარკის ვერცხლისფერი ავტომანქანა, რომელშიც ხუთი მგზავრი — ცოლ-ქმარი ნატო და გია მაღლაფერიძეები, გივი ღვინიაშვილი, გოჩა მინდორაშვილი და ბადრი კაცაძე ისხდნენ, თბილისიდან მცხეთის მიმართულებით მოძრაობდა. მანქანას უკან მიჰყვებოდა შავი „ოპელი“. მასში სამი მგზავრი — მძღოლი ალექსანდრე ნებიერიძე და მისი ნათესავები, მამა-შვილი — ომარ და გოგა გვენეტაძეები ისხდნენ. ტრასაზე მოძრაობისას, ეს ორი მანქანა ერთიმეორეს შემთხვევით შეხვდა. მგზავრები ერთმანეთის ნაცნობები აღმოჩნდნენ. გია მაღლაფერიძე და მისი მეუღლე, რომელიც მაშინ ფეხმძიმედ გახლდათ, კარგად იცნობდნენ ომარ გვენეტაძეს, პროფესიით — ექიმ-გინეკოლოგს. ნატო მაღლაფერიძე, ფეხმძიმობის პერიოდში, სწორედ მისი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. კლინიკაში კონსულტაციაზე ნატო ქმარს დაჰყავდა, ამიტომ მასაც ხშირად უხდებოდა გვენეტაძესთან შეხვედრა.

„ბატონ ომარს დიდი ხანია, ვიცნობდით. პირველ ვაჟიშვილზეც მან მამშობიარა. ამიტომ, გია ყოველთვის ცდილობდა, განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა გამოეხატა მის მიმართ. ოჯახშიც მოიწვია რამდენჯერმე. იმ დღესაც, სრულიად შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. გიამ მანქანიდან შენიშნა ბატონი ომარი და „ოპელის“ მძღოლს ანიშნა, გაჩერებულიყო. როგორც ყოველთვის, გულითადად მიესალმა. ბატონმა ომარმა მას თავისი ვაჟიშვილი და ნათესავიც გააცნო. გაირკვა, რომ ნებიერიძე და გია ინსტიტუტში ერთ კურსზე სწავლობდნენ. გიამ ორივეს შესთავაზა — გზაზე, რომელიმე რესტორანში შევიდეთ, ცოტა წავიხემსოთ და თან ვისაუბროთო. თავიდან უარი თქვეს, მაგრამ გია არ მოეშვა და დათანხმდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ იმ დღეს ჩვენც ძალიან გვეჩქარებოდა. გიას მეგობრის ოჯახში, ბავშვის ნათლობის წვეულებაზე მივდიოდით ყველანი ერთად. ამის მიუხედავად, გადაწყვიტა, ბატონი ომარისა და ნებიერიძის რესტორანში დაპატიჟება. ამან მისი მეგობრების — გოჩა მინდორაშვილისა და ბადრი კაცაძის უკმაყოფილება გამოიწვია. უსაყვედურეს — ახლა მაგის დრო არ გვქონდა, სირცხვილია იმ ხალხთან, ძალიან დაგვაგვიანდებაო. განსაკუთრებით ბადრი აქტიურობდა. სიტუაცია ძალიან რომ არ დაძაბულიყო, ეშმაკობას მივმართე და ჩემი მდგომარეობით ვისარგებლე. ყველას გასაგონად ვთქვი — რაღაც შეუძლოდ ვგრძნობ თავს და ცოტა ხნით შესვენება ჩემთვისაც კარგი იქნებოდა-მეთქი. ამან გაჭრა. მამაკაცებს ეტყობა, ჩემი მოერიდათ და აღარაფერი უთქვამთ. თუმცა, ჩემს ქმარს სიბრაზეს მაინც ვატყობდი. არ ეგონა, თუ ცოტა ხნით რესტორანში ნაცნობების მიპატიჟება ამხელა აჟიოტაჟს გამოიწვევდა მის ძმაკაცებში და განაწყენდა...“

ნატო მაღლაფერიძე მამაკაცებს სავახშმოდ არ შეჰყოლია. რესტორნის ეზოში დარჩა. იფიქრა, რომ ამით უფრო დააჩქარებდა მამაკაცებს, მოერიდებოდათ და დიდხანს აღარ შეყოვნდებოდნენ. შვიდი ბოთლი ღვინო მაინც დალიეს. გვარიანად შეზარხოშებულებმა, მართალია, ძალიან დაგვიანეს, მაგრამ წვეულებაზე წასვლა არ გადაუფიქრე-

ბიათ და გზა განაგრძეს. ნებიერიძე და მისი თანმხლები პირები თავიანთი გზით წავიდნენ, მაღლაფერიძე და მისი მეგობრები — მცხეთაში, კერძოდ, თარალაშვილების საცხოვრებელი სახლისკენ. მანქანას ამჯერად ღვინიაშვილი მართავდა, რადგან ის არ სვამდა, მაღლაფერიძე კი უკვე ძალიან მთვრალი გახლდათ.

„გზაში გიას ჯერ კიდევ ეტყობოდა სიბრაზე. კაცაძეზე მართლაც, ძალიან იყო განაწყენებული. სიმთვრალის გამო, თავს ვერ იკავებდა და კაცაძის ჩხუბში გამოწვევას ცდილობდა. ეუბნებოდა, სუფრასთან შენი საქციელი არ მომეწონა, იცოდე, რომ ძალიან ბევრი შეგეშალა ჩემთანო. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააღიზიანა კაცაძე და დამიყვირა — მანქანა გაიჩერე, თქვენთან ერთად ვინც წამოვიდეს, იმისიცო!.. გინება დაიწყო. ნასვამი იყო და აგრესიას ისიც გამოხატავდა. ამის მიუხედავად, მათ ჩხუბის საშუალება არ მივეცით. ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ სიტუაცია როგორმე განგვემუხტა. განსაკუთრებით გიას მეუღლე ანერვიულდა. ძალიან ეშინოდა, არ ეჩხუბათ და ტირილიც კი აუტყდა“, — აღწერს სიტუაციას **გივი ღვინიაშვილი**.

ამჯერად ჩხუბის თავიდან აცილება შეძლეს. თარალაშვილების სახლამდე მშვიდობიანად მიაღწიეს, მაგრამ წვეულებაზე მისვლიდან დაახლოებით ნახევარ საათში მოხდა ის, რასაც შექმნილი დაძაბულობის, კამათისა და შელაპარაკების მიუხედავად, მაინც არავინ ელოდა.

„იქ რომ მივედით, დაახლოებით საღამოს 8 საათი იქნებოდა. ძალიან დავიგვიანეთ. ქეიფი უკვე სამი საათის დაწყებული იყო. ძალიან კარგად შეგვხვდნენ, მაგრამ ჩვენმა მისვლამ რატომღაც სუფრაზე არეულობა მაინც გამოიწვია. ალბათ, ამის მიზეზი ის იყო, რომ გია, გოჩა და ბადრი ნასვამები იყვნენ, ისევე როგორც მაგიდასთან მსხდომი სხვა მამაკაცები. გიამ დალევაზე უარი თქვა. ამბობდა — მეუღლეა ცუდადო. უხასიათობა აშკარად ეტყობოდა. ბადრიმ და გოჩამ სმა განაგრძეს. სუფრის თამადასთან უთანხმოება საღეგრძელოების გამო მოუხდათ. თამადა თარალაშვილების მეზობელი და ნათესავი — დიმიტრი ჩიხლაძე გახლდათ. იქვე, სუფრასთან იჯდა მისი ბიძაშვილი — გიზო ჩიხლაძე...“ — წერს ჩვენებაში **ღვინიაშვილი**.

გაირკვა, რომ სუფრის თამადას დაგვიანებული სტუმრების შენიშვნები, საღეგრძელოებთან დაკავშირებით, არ მოეწონა. როგორც ამბობენ, განსაკუთრებით აღიზიანებდა მას კაცაძის გამომწვევი ქცევა. *„რამდენჯერმე ჩაილაპარაკა კიდეც — ირონიულ ჩაცინებასა და ქარაგმებით ლაპარაკს არავის ვაპატიებ, მით უმეტეს, როცა სუფრის თამადა მე ვარო. ყველა მიხვდა, თუ ვისი მისამართით იყო ეს სიტყვები ნათქვამი“,* — წერს **ღვინიაშვილი**.

გოჩა მინდორაშვილის ჩვენებიდან:

„...წვეულებაზე ნასვამები მივედით, მაგრამ სუფრასთან შექმნილმა დაძაბულობამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ გამოვფხიზლდი. გიას გავხედე და არც მას ეტყობოდა სიმთვრალე. გიამ კაცაძეს დაუყვირა — გაჩერდი, რა, უკვე ყელში ამოხვედიო. ამაზე კაცაძე განაწყენდა, გიას მისამართით შეიგინა და მისკენ გაიწია...“

ნატო მაღლაფერიძე:

„სუფრასთან არც დავმჯდარვარ. ისე ვიყავი აღელვებული გზაში მომხდარი შელაპარაკების გამო, რომ ცუდად გავხდი და ფეხზე დადგომაც ვერ შევძელი. ოჯახის დიასახლისმა ჩემი მდგომარეობა იცოდა, ამიტომ საძინებელში შემიყვანა — ცოტა ხნით მოისვენეო. დაახლოებით 15-20 წუთში, სახლის პირველ სართულზე არსებული დარბაზიდან, სადაც სუფრა იყო გაშლილი, ხმაური და ყვირილის ხმა ამოვიდა. შეშინებული, მაშინვე გარეთ, აივანზე გავვარდი. ეზოში გია დავინახე. მანაც დამინახა და ამომძახა — ჩამოდი, სწრაფად, მივდივართო. ეტყობოდა, რომ აღელვებული და გაბრაზებული იყო. გივი ღვინიაშვილი არ მოგვშორდა. ორივე, მანქანაში ჩაგვსვა და თავად, საჭეს მიუჯდა. რა დაგემართათ, ბიჭო, რა მოგდით დღესო? — საყვედურის ტონით უთხრა გიას. ჩემს ქმარს ხმა არ ამოუღია...“

რამდენიმე წამში, წვეულება ყვირილითა და გინებით დატოვა კაცაძემაც. სტუმრებს შორის მყოფ ერთ-ერთ მეგობარს ჩაუჯდა მანქანაში და თბილისის მიმართულებით წავიდა. სუფრა მიატოვა სტუმრებზე განაწყენებულმა თამადამაც. მას ბიძაშვილიც უკან მიჰყვა.

ტრასაზე ჩიხლაძეებს „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით ახლობლები — აკაკი ცხომელიძე, თამაზ კობახიძე და კახაბერ კალანდია შეხვდნენ. ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ. შეხვედრისას, ჩიხლაძემ მათ უთხრა, რომ წვეულებაზე შელაპარაკება მოუხდა ბადრი კაცაძესთან, რის გამოც, სუფრა მიატოვა და ძალიან ნერვიულობდა. კალანდიამ მას უთხრა, რომ სახლამდე მანქანით მიაცილებდნენ. ასეც მოიქცნენ. გზაში გაჩერებული ვერცხლისფერი „ბე-ემ-ვე“ და წითელი „07“ მარკის ავტომანქანები შენიშნეს. ჩიხლაძემ მაღლაფერიძის მანქანა იცნო. „07“ ეკუთვნოდა გიორგი ჯიშკარიანს, რომელმაც კაცაძე წამოიყვანა წვეულებიდან.

ნატო მაღლაფერიძის გარდა, ყველანი გადასულები იყვნენ მანქანებიდან და ერთმანეთში რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. შორიახლოს გაჩერდნენ ჩიხლაძეებიც და შს სამინისტროს თანამშრომლები. აღსანიშნავია, რომ შემთხვევის ადგილზე პოლიციელების ყოფნას ჩვენებებში მხოლოდ დაზარალებული მხარის წარმომადგენლები აფიქსირებენ. რაც შეეხება ჩიხლაძეებსა და თავად დასახელებულ პირებს, ისინი ამას კატეგორიულად უარყოფენ.

„პირველი მანქანიდან სწორედ კალანდია გადმოვიდა. პირადად მე, არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი, მაგრამ გარეგნობით ძალიან კარგად დამამახსოვრდნენ და საქმის გამოძიების პერიოდში დავადგინე მათი გვარები. რამდენიმე წამში, კალანდიას დანარჩენებიც გადმოჰყვნენ. დავინახე ჩიხლაძეებიც. კალანდია პირდაპირ ჩვენი მანქანისკენ წამოვიდა, ბიჭებს მიუახლოვდა და რაღაც უთხრა მათ...“ აღნიშნავს ნატო მაღლაფერიძე.

გივი ღვინიაშვილის ჩვენებიდან:

„რაშია საქმეო? — იკითხა. ვინაობა ვკითხეთ, მან კი აგდებულად დაგვიწყო ლაპარაკი. ჩიხლაძეები რომ დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ უცნობები მათ ახლდნენ. არც გაურკვევიათ, რაში იყო საქმე, პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადმოვიდნენ...“

საქმის მასალების მიხედვით, ჩხუბი თავდაპირველად, კალანდიასა და მაღლაფერიძეს შორის გაიმართა. როგორც აღნიშნავენ, ისინი უეცრად შელაპარაკდნენ. კალანდიამ მაღლაფერიძეს სახის არეში თავი ჩაარტყა. ჩხუბში ჩაერთვნენ სხვებიც. ერთხანს, ჩხუბი შეჩერდა. სწორედ ამ მომენტით ისარგებლა მაღლაფერიძემ და თავისი მანქანისკენ გაიქცა. ეს დიმიტრი ჩიხლაძემ შენიშნა და დაედევნა მას. მაღლაფერიძე მანქანის წინა კარის გაღებას შეეცადა, მაგრამ დიმიტრი ჩიხლაძე მას საშუალებას არ აძლევდა, ხელებს უგრეხდა და სწორედ ამ დროს, მას დასახმარებლად, კალანდია და კობახიძე მისცვივდნენ. ორივენი, ისევე, როგორც ცხომელიძე, როგორც ამას დაზარალებული მხარე აღნიშნავს, თავიდანვე ახდენდნენ ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებას. **ნატო მაღლაფერიძის** ჩვენებით, იარაღს კალანდია მის ქმარს თავში ურტყამდა. *„...ამ დროს მანქანის უკანა სავარძელზე ვიჯექი და ყველაფერს ვხედავდი. ეს საშინელება ჩემ თვალწინ ხდებოდა. ვხედავდი, როგორ გამეტებით და დაუნდობლად ურტყამდნენ ჩემს ქმარს. მანქანიდან გადასვლა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი, კივილსაც კი ვერ ვახერხებდი ისე, როგორც მინდოდა...“* — აღნიშნა დაკითხვისას დაზარალებულმა.

ყველამ მაღლაფერიძის მანქანასთან მოიყარა თავი. მაღლაფერიძე ხელიდან დაუსხლტა კალანდიასა და ჩიხლაძეს და ახლა, მეორე მხრიდან სცადა, მანქანისთვის შემოერბინა. კვლავ მანქანის

წინა კარამდე მიღწევას ცდილობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მძღოლის სავარძლის ჯიბეში ის დასაკეცი დანას ინახავდა. სწორედ ამ დანის აღებას ცდილობდა მაღლაფერიძე. მაგრამ კარამდე მიღწევა ვერც ამჯერად მოახერხა. საქმის მასალების მიხედვით, ამ მომენტში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა გაისმა. ჩიხლაძე ჩხუბის დროს ძირს დავარდნილ პისტოლეტს სწვდა და მაშინ, როცა დაინახა, რომ მაღლაფერიძე კვლავ მანქანის კარისკენ გარბოდა, მისი მიმართულებით ისროლა...

მაღლაფერიძე მაშინვე ჩაიკეცა. შემთხვევის ადგილზე მყოფმა კალანდიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა იქაურობა მიატოვეს. რამდენიმე წამში, ჩიხლაძეებიც წავიდნენ. გაქრა იარაღიც...

ტყვია 30 წლის გია მაღლაფერიძეს გულმკერდის არეში მოხვდა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ის საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა. მომხდარის გამო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მისი მეუღლეც, რომელიც დაუყოვნებლივ საავადმყოფოში მოათავსეს. იმ დღეს მან ბავშვიც დაკარგა...

„სროლის მომენტი კარგად დავინახე, ნამდვილად ჩიხლაძემ ისროლა, თუმცა, გამოძიების მასალებში ბევრი დეტალი ყურადღების მიღმაა დატოვებული, ალბათ, განგებ. იქ მხოლოდ ერთი გასროლა არ ყოფილა, ისროლეს რამდენჯერმე, კონკრეტულად კალანდიამ და კობახიძემ. კალანდიას თავად დავუჭირე იარაღიანი ხელი და ვუყვირე — რას შვრები-მეთქი?

ჩიხლაძის მიერ ირაღის აღების მომენტი არ დამიფიქსირებია, ყველაფერი რაღაც წამებში მოხდა...“ — განაცხადა სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას **გივი ღვინიაშვილმა**.

გოჩა მინდორაშვილის ჩვენებიდან:

„სროლის მომენტი მე არ დამინახავს, რადგან ზუსტად იმ დროს, ოდნავ მოშორებით არსებული არხიდან ამოძრომას ვცდილობდი. გიზო ჩიხლაძე წიხლებს მირტყამდა, მეც გავუწიე წინააღმდეგობა და დავარტყი კიდეც. ერთმანეთს რომ ვეჭიდებოდით, ორივენი გზის გვერდზე არსებულ ფერდობზე დავგორდით და არხში აღმოვჩნდით. ჩიხლაძე ჩემთან შედარებით მოსულია, ამიტომ ქვეშ მომიქცია, ზემოდან დამაჯდა და ხან მუცელში, ხანაც თავში მირტყამდა მუშტებს. სხვა არაფერი დამრჩენოდა, თუ არა თავდაცვა. ბედად, იქვე, მიწაზე ქვას მოვკარი თვალი. ძლივს მივწვდი, მაინც ავიღე და თავში ჩავარტყი. მაშინვე გაითიშა. მეც იქიდან გაქცევა ვცადე. სწორედ არხიდან ვძვრებოდი, როცა სროლის ხმა გაისმა. ვინ ისროლა, არ დამინახავს, თუმცა მაშინვე ითქვა, რომ იარაღიდან დიმიტრი ჩიხლაძემ ისროლა. პირადად მე, მის ხელში იარაღი არ დამინახავს. კალანდიამ და კობახიძემ იარაღი თავიდანვე ამოიღეს. ისროლეს თუ არა, არ ვიცი, მირტყამდნენ და მთელი ყურადღება იქითკენ მქონდა, რომ როგორმე თავი დამეცვა...“

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა. აღსანიშნავია, რომ დიმიტრი ჩიხლაძე პოლიციის განყოფილებაში საკუთარი ნებით, თან, ბრალის აღიარებით გამოცხადდა. თუმცა, სამართალდამცველებისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებაში ისიც აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილზე კალანდია, კობახიძე და ცხომელიძე მხოლოდ რამდენიმე წუთით შეჩერდნენ, უშუალოდ მკვლელობის მომენტში კი, იქ არც ერთი მათგანი არ ყოფილა. მისივე თქმით, ისინი არც ჩხუბს შესწრებიან.

„...დავინახე, რომ გია მაღლაფერიძე მანქანისკენ გაიქცა. მაშინვე ვიფიქრე, იქ ალბათ, ან იარაღი აქვს, ან დანა-მეთქი. ამიტომაც დავედევნე მას, მინდოდა, როგორმე ხელი შემეშალა მისთვის. მანქანის კართან მივუსწარი. უკანა სავარძელზე მისი მეუღლე იჯდა, რომელიც ყვიროდა — გია, არ გინდა, გაჩერდიო! ამ დროს დავინახე მის ხელში დანა. მოვახერხე და მანქანის კარში მოვაქციე, არ ვაძლევდი დანიანი ხელის გამოყენების საშუალებას. ამ დროს, სხვებიც შემომეშველნენ. ერთმანეთს დაგვაშორეს და ჩხუბიც შეჩერდა. არ გასულა ორი წუთიც, რომ ისევ მოსწყდა ადგილს გია და მანქანას შემოუარა, ისევ კარისკენ გარბოდა. მივხვდი მის ჩანაფიქრს და მაშინ დავინახე ძირს დაგდებული იარაღი. ვისი იყო ის პისტოლეტი, არ ვიცი; არ დამიფიქსირებია მისი დავარდნის მომენტიც“.

ჩიხლაძის თქმით, მან სწორედ უბედურების თავიდან აცილების მიზნით ისროლა, მაღლაფერიძის დაშინება უნდოდა და არა მისი მოკვლა. *„პისტოლეტი რომ ავიღე, ვიღაცამ გვერდში ჩამარტყა, ამიტომაც მოხვდა ტყვია სხეულში მაღლაფერიძეს, თორემ, მე მისი მიმართულებით სროლას არც ვაპირებდი. უბრალოდ, მინდოდა დამეშინებინა და როგორმე ხელი შემეშალა მისი განზრახვისთვის“.*

ბრალდებულის ჩვენებამ დაზარალებული მხარის აღშფოთება გამოიწვია. ჩიხლაძეს ბრალი განზრახ მკვლელობის (დამამძიმებელ გარემოებებში) დასდეს, მაგრამ ეს, მეორე მხარისთვის საკმარისი სრულიადაც არ აღმოჩნდა.

„ამ უბედურებაში მხოლოდ მისი ხელი არ ერია. ისეთივე ბრალი მის თანმხლებ პირებსაც მიუძღოდათ, მაგრამ გამოძიების პერიოდში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დანაშაულში მონაწილე პირთა გვარები არ დაეფიქსირებინათ. მართალია, ყველა მათგანი დაჰკითხეს სასამართლო პროცესზე, მაგრამ ამან არანაირი შედეგი არ გამოიღო. პროცესიც ფორმალობა იყო და მეტი არაფერი. ბრალდებულის მხარე რომ ტყუოდა, ამაზე თავად ბრალდებულის ადვოკატის ჩამოუყალიბებელი პოზიციაც მეტყველებდა. ადვოკატმა ჯერ ჩიხლაძის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზე დაიწყო ლაპარაკი, შემდეგ პოზიცია რატომღაც შეცვალა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებაზე ალაპარაკდა. მართალია, სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ასე ვერც მოიქცეოდნენ, რადგან სინამდვილეში ეს საქმე ბევრ სხვა გვარსაც ააშკარავებდა დანაშაულში და ერთი მათგანი მაინც ხომ უნდა დაესაჯათ?!“ — აცხადებს **დაზარალებული**.

ნატო მაღლაფერიძემ ზემდგომ ინსტანციებს არაერთხელ მიმართა საჩივრით, მაგრამ სიტუაცია ამით არ შეცვლილა. დიმიტრი ჩიხლაძეს ჩადენილი დანაშაულისთვის 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. რაც შეეხება დანაშაულის იარაღს, საქმის მასალების მიხედვით, გასროლა ტაბელური იარაღიდან არ მომხდარა. ტყვია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის აღმოჩნდა, მაგრამ იარაღი, გამოძიების ინფორმაციით, უკანონო იყო. თუ ვის ჰქონდა ის შემთხვევის დღეს, საქმის ოფიციალურ მასალებში არსადაა აღნიშნული, თუმცა დაზარალებული აცხადებს, რომ ის ხელში კალანდიას ეჭირა. ეს სიტყვები სასამართლომ დადასტურებულად არ ცნო. დაზარალებული მხარის ვერსია კატეგორიულად უარყვეს სხდომაზე გამოცხადებულმა პოლიციელებმა (ამჟამად — უკვე ყოფილმა). საინტერესოა ექსპერტიზის დასკვნებიც, რომელთა თანახმად, გია მაღლაფერიძე ვერაფრით მიიღებდა სასიკვდილო ჭრილობას ისეთ ვითარებაში, როგორც ამას ჩიხლაძეები და მათი მხარდამჭერი მოწმეები აღწერდნენ. *„დაუმიზნა და ესროლა, თვითონ დავინახე და ეს თვალებიდან არასდროს ამომივა“*, — აღნიშნა სხდომაზე დაკითხვისას მოწმე **ღვინიაშვილმა**.

საჩივრის განხილვისას, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ ჩიხლაძის მიერ ჩადენილი მკვლელობა საქმეში არსებული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, მაგრამ რაც შეეხება დაზარალებული მხარის ვერსიას, დანაშაულში მონაწილე სხვა პირების როლთან დაკავშირებით, — განჩინების თანახმად, გამოძიების მასალებში ამის დამადასტურებელი არც ერთი საბუთი არ დევს. მათ აღნიშნულ პირთა სისხლის სამართლებრივი დევნის აუცილებლობა გამორიცხეს.

■

მოღალატეს უღალატეს ანუ ჩვენი კაცი ლოგინში...

„ორგული“, „გამცემი“, „ზედგამზრახი“ — ეს სიტყვები სინონიმებია და მოღალატე ადამიანის დასახასიათებლად გამოიყენება. „გზავნილების“ თემად ღალატის შემოთავაზებისას, რა თქმა უნდა, ოჯახური და სასიყვარულო ურთიერთობების მიმართ ორგულობას ვგულისხმობდით. იმ ადამიანებს, ვის ცხოვრებასაც ასეთი რამ ახლავს თან, როგორც წესი, მუდმივად დაძაბული, საიდუმლოებებითა და შიშით სავსე ყოფა აქვთ. თითქოს ასეთი ცხოვრების წესი მაინცდამაინც სახარბიელო არ გახლავთ, მაგრამ როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ყველა ის ნიუანსი, რომელიც ჩამოვთვალე, თურმე, სისხლში ადრენალინის მომატებას იწვევს და ეს ძალზე სასიამოვნო პროცესი ყოფილა. აი, ორგულობის მსხვერპლთათვის რამდენად სასიამოვნოა ეს პროცესი — ამას ჩვენი რესპონდენტის ნაამბობიდან შევიტყობთ.

მარი ჯაფარიძე

ხანძარია, ხანძარი!

„ცოლი 17 წლის ასაკში მოვიყვანე და ვინაიდან ჩემი მშობლები სოფელში ცხოვრობდნენ და არც შეძლებულები იყვნენ, იძულებული ვიყავი, მემუშავა და ოჯახის რჩენის მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე ამეღო. დაუსწრებლად დავამთავრე ინსტიტუტი. სწავლის პერიოდში, შავ მუშადაც კი მიმუშავია. ხან ვაგონებს ვცლიდი, ხან — სარემონტო სამუშაოებს ვატარებდი. ერთი შვილის მეტი ვერ ვიყოლიეთ, რადგან ამის საშუალება არ გვქონდა. ჩემი მეუღლე საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის ქალი გახლავთ. ვიდრე ბავშვი პატარა იყო, არ უმუშავია, მაგრამ როდესაც ნინიკო სკოლაში მივიდა, უკვე სამსახურის ძებნა დაიწყო. ბევრი მცდელობის შემდეგ, იშოვა კიდეც. რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, რადგან არ მივეკუთვნები დესპოტი ქმრების რიგს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქალი შინ უნდა იჯდეს და ოჯახს ემსახურებოდეს (როგორც ჩანს, ასეთი ქმრები ჩემზე ჭკვიანები არიან). არასოდეს შემპარვია ეჭვი ჩემი ცოლის ერთგულებაში. შესაბამისად, არც მისი შემოწმება მომსვლია აზრად. ავტოგასამართ სადგურში ვმუშაობდი და 3 დღეში ერთხელ, ღამით მორიგეობა მიწევდა. ერთ მშვენიერ დღეს, ასე, ღამის 11 საათი იქნებოდა, რომ ბენზინის ჩასასხმელად მოსულმა კლიენტმა სიგარეტით ხანძარი გააჩინა. ღამის 3 საათზე ძლივს ჩააქრეს ხაძარი და ამის შემდეგ, რაღა მესაქმებოდა სამსახურში?.. უფროსმა გამათავისუფლა და მეც წავედი. თან იმაზე ვნერვიულობდი, რომ რაღაც დროის მანძილზე, უმუშევარი დავრჩი და გეგმას ვაწყობდი, სად შეიძლებოდა დროებით საქმის გამოძებნა. უკვე 4-ის ნახევარი იყო, როდესაც სახლის კარი ჩემი გასაღებით გავაღე და ფეხაკრეფით შევიპარე, ცოლ-შვილი რომ არ გამეღვიძებინა. საწოლი ოთახის კარი რომ შევაღე, ჩემი ცოლის გვერდით მეორე თავი შევნიშნე, მაგრამ ვიფიქრე, რომ ნინიკოს და მას ერთად ეძინათ და უკანვე გამოვბრუნდი. ჩემი შვილის ოთახში შევედი და იქ დავიძინე. უკვე გათენებული იყო, როდესაც რაღაც უცნაურმა ხმამ გამაღვიძა. ეს ხმა სააბაზანო ოთახიდან გამოდიოდა. ლამის დამბლა დამეცა. ძლივს მივლასლასდი სააბაზანომდე და კარი გამოვაღე. ჩემი ძვირფასი მეუღლე და ვიღაც უცნობი მამაკაცი „დუშის“ ქვეშ იდგნენ და ერთმანეთს ეფერებოდნენ. ორივემ დამინახა და შეშინებულები, ფართხაფურთხით გამოცვივდნენ გარეთ. ჩემთვის კი, უკვე ყველაფერი სულერთი იყო... ცოლს არ გავცილებივარ, მაგრამ ჩვენი ცოლქმრული ურთიერთობა დამთავრდა. არც მას აქვს ცალკე სახლი და არც მე, რომ ცალ-ცალკე ვიცხოვროთ. უბრალოდ, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და ერთმანეთს ხმასაც იშვიათად ვცემთ. ამ თემაზე კი, საერთოდ არ ვლაპარაკობთ“.

სტენდალის პერსონაჟს, მადმუაზელ დე სომერის, საყვარელმა, ღალატის დროს მიუსწრო. ქალბატონი თავს იმართლებდა, მაგრამ გაუძნელდა საყვარლის დარწმუნება თავის ერთგულებაში. ანდა, როგორ დაარწმუნებდა, როცა მან საკუთარი თვალით იხილა საყვარელი ქალბატონი საწოლში უცხო მამაკაცთან ერთად?!. მაგრამ ქალი რის ქალია, თუ გამოსავალს ვერ მოძებნის? ის მიუბრუნდა საყვარელს და უთხრა — როგორც ჩანს, აღარ გიყვარვართ, რადგან უჯერებთ საკუთარ თვალებს და არა იმას, რასაც მე გეუბნებითო... მოკლედ, თუ საქმე სიყვარულს ეხება, უნდა დაბრმავდეთ და დაყრუვდეთ... რატომ? ამის ახსნას ჩვენი მომდევნო რესპონდენტი შეეცდება.

ყრუ, ბრმა და მუნჯი

„არასოდეს ვყოფილვარ ეჭვიანი ცოლი. ჩემს ქმარს თვალდახ-

უჭული ვენდობოდი და ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ ის არასოდეს მიღალატებდა. ამ სიტყვებს ვიმეორებდი ყველგან და ყოველთვის ღიმილს ვიწვევდი, მაგრამ სულაც არ ვფიქრობდი, რომ ამ ხალხის ღიმილი იმას ნიშნავდა, რომ მათ საპირისპირო ინფორმაცია ჰქონდათ. მე მეგონა, მათ ჩემი თავდაჯერება ახალისებდა. მე კი თურმე, წინ დიდი სიურპრიზი მელოდა. ერთ დღეს, სახლის ტელეფონზე ვიღაც ქალმა დარეკა და ჩემი ქმარი იკითხა. ხმით ვერ ვიცანი და ვკითხე, ვინ ბრძანდებით-მეთქი? — ვინ ვარ და ქეთიო. ვცადე, დამეზუსტებინა, რომელი ქეთი იყო და პასუხად ასეთი რამ მივიღე: — რომელი ქეთი?.. მე და შენს ქმარს რომ ერთმანეთი გვიყვარს, არ იციო? — სახტად დავრჩი და არაფრით მინდოდა ამის დაჯერება, მაგრამ მერე, ისეთი რაღაცები მომიყვა, რომ მეტი გზა არ მქონდა. ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და მტკივნეული იყო, რადგან უზომოდ მიყვარდა ჩემი ქმარი და მისი დაკარგვა არ მინდოდა. კარგა ხანს ვილაპარაკეთ მე და ქეთიმ და უფრო და უფრო საშინელ ინფორმაციას ვიგებდი მისგან. ჩემი ქმარი რომ დაბრუნდა, არაფერი მითქვამს. გადავწყვიტე, მის საქციელს დავკვირვებოდი. ვერაფერს ვამჩნევდი, ჩვეულებრივად იქცეოდა და ძველებურად ალერსიანი იყო, როგორც ჩემ მიმართ, ისე ბავშვებთან ურთიერთობისას. ვიფიქრე, რომ თუ ის, ჩემი და ქეთის საუბრის შესახებ შეიტყობდა, ჩვენ შორის ურთიერთობა დაიძაბებოდა და ამის გამო ვარჩიე, არაფერი მეთქვა. კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ იმ ქალთან ურთიერთობით ბევრ რამეს ვისწავლიდი. მაგალითად, იმას, თუ როგორ უნდა გამომეყენებინა ჩემი ქმარი. მართლაც, ასე მოხდა. ძალიან კარგად ვისწავლე, როგორ დამეცინცლა ფული, როგორ მიმეღწია იმისთვის, რაც მინდოდა, როგორ დამემორჩილებინა და კიდევ ბევრი რამ. კარგი მასწავლებელი მყავდა და მეც ნიჭიერი მოსწავლე აღმოვჩნდი. ჩემმა ქმარმა კი ვერ გაუძლო 2 ქალის შეტევას და ნევროზი დაემართა. ისეთ დღეში იყო, რომ არც სახლში უნდოდა მოსვლა და აღარც იმ ქალის დანახვა შეეძლო. საბოლოო ჯამში, არჩევანი ისევ ოჯახის სასარგებლოდ გააკეთა. მართალია, მთელი 3 წელი დამჭირდა საიმისოდ, რომ ამ ყველაფრისთვის გამეძლო, მაგრამ სამაგიეროდ, საქმე ჩემი გამარჯვებით დამთავრდა. ჩემმა მეუღლემ კი დღესაც არ იცის, რომ მისი ღალატის შესახებ ჩემთვის ცნობილი იყო“.

ღალატს ერთი კარგი თვისება აქვს — „რქების ამოსვლას“ უწყობს ხელს. ეს კი მშვენიერი ნიშანია, ასეთი მამაკაცის ამოსაცნობად. თურმე ზოგიერთმა მამაკაცმა იცის ცოლის ღალატის შესახებ, მაგრამ ამას მშვენივრად ეგუება, სხვადასხვა მიზეზის გამო. ის კი არა და, მათგან რჩევაც კი მივიღეთ: როგორ უნდა მოიქცე, თუ საკუთარ ლოგინში ცოლის საყვარელს უცხო ქალთან წაასწრებ?..

„ქვას ნუ მესვრით“...

„ზარმაცი და უქნარა ქმარი მყავს. 15 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და ჯერ 15 ლარი არ მოუტანია სახლში. ყოველთვის მე ვმუშაობ და ოჯახს ვარჩენ. რამდენიმე წლის წინ, ერთ საკმაოდ შეძლებულ მამაკაცს შევუყვარდი. ოქროს კოშკებს შემპირდა, თუ მისი საყვარელი გავხდებოდი. ჯერ ვიუარე, ხელებს ვასავსავებდი და თავს ვიქნევდი უარის ნიშნად, მაგრამ მერე რამდენიმე მეგობარმა შემომიძახა, მეც დავფიქრდი და გადავწყვიტე, დავთანხმებოდი. მართალია, ჩემი ქმარი ვერაფერს გაიგებდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მისთვის ყველაფერი გამემხილა. უბრალოდ, იმიტომ, რომ მასთან გაყრის მიზეზი მქონოდა, მაგრამ ის აუღელვებლად შეხვდა ამ ამბავს და მითხრა — ძალიანაც კარგი, ეგ აქამდეც უნდა მოგეფიქრებინაო!.. სახტად დავრჩი და რადგან ქმრისგანაც თანხმობა მივიღე, აღარ დამიყოვნებია და ჩემი რომანიც დაიწყო. ჩემი საყვარელი გაოცდა, როცა ვუთხარი, რომ ქმრისგან თანხმობა მქონდა მასთან ურთიერთობაზე და მკაცრად გამაფრთხილა — მე შენი ქმარი არ გეგონო, თუ გავიგე, რომ მღალატობ, მასავით მშვიდად კი არ შევხვდები ამ ამბავს, იცოდე, რომ ძვირად დაგისვამო; თან, ჩემს ქმართან დაწოლაც ამიკრძალა... გასაოცარი ამბავი იყო, აბა, რა! ასე გადიოდა დღეები. ჩემს საყვარელს ჩემი სახლის გასაღები ჰქონდა და როცა უნდოდა, მიდიოდა, როცა უნდოდა — მიდიოდა, მაგრამ ჩვენ არასოდეს გვქონია ურთიერთობა მაშინ, როცა ჩემი უბედური ქმარი შინ იყო. ერთხელ, საღამომდე არ მივედი სახლში. ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი მთელი დღე სახლში არ იქნებოდა და საყვარელი უნდა დამლოდებოდა, მაგრამ რომ დავბრუნდი, შინ მხოლოდ ქმარი დამხვდა. რაღაცაზე ნერვიულობდა, ოთახში მიდი-მოდიოდა და ვეღარ ისვენებდა. არაფრით გამიმხილა, რას განიცდიდა ასე. ამასობაში, შუაღამეც მოვიდა, როგორც იქნა, გადაწყვეტილება მიიღო, გვერდით მომიჯდა და იდუმალი სახით მეუბნება — იცი, დღეს სახლში რომ მოვედი, ის ჩვენი(?!) კაცი ლოგინში დამხვდა და გვერდით ვიღაც ქალი ეწვაო... დამცეცხლა. ღამის გავგიჟდი: — მერე, რა უთხარი-მეთქი? — გარეთ გავაგდე და კარი მივუჯახუნეო... — ახლა რა გვეშველება? შერიგდებით?.. ისე განვიცადე ეს ამბავი, რომ აღარ ვიცოდი, შენთვის უნდა მეთქვა თუ არაო... შევაქე, რომ არ დამიმალა. იმ უნამუსოს კი, ისეთი დღე ვაყარე, რომ სულ კუდით ქვა ვასროლინე. მართალია, ჩემი ქმარი კაცად არ ვარგა, მაგრამ გულისხმიერი ადამიანია. ისევ მასთან მირჩევნია ცხოვრება... ეს, ზღაპარი არ გეგონოთ, ეს ჩემი ცხოვრებაა. ნუ განმსჯით და ქვას ნუ მესვრით, რადგან ჩემს შეცდომაზე პასუხს თავად ვაგებ“.

ჭკუის დამრიგებელი მაზლი

„ის, რასაც ახლა მოგიყვებით, სულაც არ არის ერთადერთი შემთხვევა და მსგავსი რამ სხვებისგანაც ბევრჯერ მომისმენია. 15 წლის ასაკში გავთხოვდი. ეს კომუნისტური რეჟიმის დროს მოხდა და მაშინ ასეთი საქციელი მიუღებელი გახლდათ. 16 წლისას, უკვე გოგონა შემეძინა, მაგრამ ბავშვს 3 თვე რომ შეუსრულდა, დავქვრივდი. ქმრის სიკვდილი ძალზე განვიცადე, მაგრამ ბავშვმა გადამატანინა ეს უბედურება. 10 წელი ქმრის ოჯახში ვცხოვრობდი, დედამთილთან ერთად. ჩემი მაზლი ცალკე ცხოვრობდა და როგორც ჩანს, დედამთილის კერძო სახლი დაენანა ჩემი შვილისთვის, ამიტომ შემომთავაზა, რომ მის 2-ოთახიან ბინაში გადავსულიყავი, ხოლო თვითონ, თავისი ცოლ-შვილით, დედასთან იცხოვრებდა. მაშინვე მივხვდი, რაც ედო საფუძვლად მის წინადადებას, მაგრამ უარი არ მითქვამს. მართლაცდა, როდემდე უნდა მეცხოვრა გარდაცვლილი ქმრის სახლში?! თუმცა, წესით, ასეც უნდა ყოფილიყო. მაზლმა თავის ბინაში გადაგვაბარგა, ავეჯი გადაგვაზიდვინა და უკან დაბრუნებისას მითხრა — ახალგაზრდა ქალი ხარ, იქნებ, მამაკაცი გჭირდება, დედამთილთან ცხოვრება გაგიჭირდება, აქ კი შენთვის, მშვიდად იქნებიო... გამეღიმა მის სიტყვებზე. მზრუნველი მაზლისა და ბიძის იმიჯი არ გიხდება-მეთქი, — ვუთხარი და დავემშვიდობე. ამის შემდეგ, ჩემი ქმრის ოჯახის არც ერთი წევრი თვალითაც არ მინახავს, რაც ძალიან მაოცებდა, რადგან ჩემს დედამთილს ვუყვარდით მეც და ჩემი გოგონაც. მერე გავიგე, რომ თურმე, შვილს აუკრძალავს ჩვენი ნახვა. ეს სხვა თემაა. დავუბრუნდები ღალატს... რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემი მაზლის დარიგება ყურად ვიღე და საყვარელი გავიჩინე. ის მამაკაცი ჩემზე 3 წლით უმცროსი გახლდათ. ერთად ვმუშაობდით, მას საკმაო შემოსავალი ჰქონდა და მე და ჩემს გოგონას გვერდით დაგვიდგა. ფატი ფაქტობრივად, მან გაზარდა. 11 წლის იყო ბავშვი, როცა ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ კიდეც. გავიდა წლები. ჩემი და უჩას შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა და ის ჩემი მეგობრებისა თუ ნათესავების ოჯახებში ყველას მიღებული ჰყავდა. ფატის სკოლის დამამთავრებელი ბანკეტისთვის საუკეთესო ტანისამოსი შეუძინა და თუ რამე მოითხოვა, გოგონას ყველაფერი აუსრულა. ფატი იმავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში. რამდენიმე თვის შემდეგ კი, უჩამ ურცხვად გამომიცხადა, რომ ფატი უყვარდა და მის ცოლად შერთვას აპირებდა. გავგიჟდი, მაგრამ შანტაჟი მომიწყო, დამაშინა, მეუბნებოდა, რომ ფატის მთელ ბანდას გააუპატიურებინებდა, მეც ზედ მიმაყოლებდა და ათასი რამ მოიგონა, რომ ჩემი თანხმობა მიეღო. რაღას ვიზამდი?.. ჩემი შვილი ცოლად გაჰყვა ჩემს საყვარელს, თანაც,

საკუთარი ნებით. ასე მიღალატა ორმა ყველაზე საყვარელმა ადამიანმა. ახლა უჩა ჩემი სიძეა და ჩემი 3 შვილიშვილის მამა“.

ღალატი ქმრის გვერდით

„ღალატიც არის და ღალატიც! ღალატის მომსწრეც გავმხდარვარ, არც თვითონ ვარ ერთგულებით გამორჩეული ადამიანი, მაგრამ ამ ახალი წლის დღეებში რომ ღალატი ვნახე, ასეთი არასოდეს მინახავს. უცხოეთში ვცხოვრობდი 7 წლის განმავლობაში. საქართველოში გასული

წლის ბოლოს დავბრუნდი. ჩემი მეგობრები გახარებული იყვნენ, რომ როგორც იქნა, დავბრუნდი და ახლა უკვე მათთან ერთად ვიქნებოდი... ერთ-ერთმა მათგანმა საახალწლოდ, თავის მეგობრებთან სტუმრად დამპატიჟა. რა თქმა უნდა, გამოვეწყვე, გამოვიპრანჭე, ოდეკოლონიც უხვად ვიპკურე და ჩემთვის უცხო ოჯახში სტუმრად წავედი... ჩემს გეგმაში ქართველი ქალების მოხიბვლაც შედიოდა... ჩვენი მასპინძლები უზარმაზარ კერძო სახლში ცხოვრობდნენ, სადაც პირველი სართული მთლიანად დარბაზს ჰქონდა დათმობილი და ძალიან ბევრი სტუმარი ირეოდა... დიდი ოვაციით შეგვხვდნენ. ჩემი ყურადღება პირველსავე წუთებიდან ახალგაზრდა ქალბატონმა მიიპყრო, რომელიც მოგვიანებით, დიასახლისად გამაცნეს. ძალიან ლამაზი ქალი გახლდათ, გემოვნებით ჩაცმული და სექსუალური... მისი მეუღლეც წარმოსადეგი მამაკაცი გახლდათ, ჩვენი მისვლისთვის, ის უკვე მთვრალი იყო. ვცდილობდი, რომ დიასახლისის მიმართ ზედმეტი ყურადღება არ გამომეჩინა, მაგრამ თვალი თავისით გარბოდა მისი მკერდისკენ, ფეხებისკენ... რამდენჯერმე მისი მზერაც დავიჭირე და უხერხულად ვიგრძენი თავი... ჩემი გასაჭირი არც დათოს დარჩენია შეუმჩნეველი და წინასწარ გამაფრთხილა — ჯერ არაფერი უთხრა, მისი ქმარი ახლა მაგრად გამოთვრება და მომენტს დაელოდე, რა იცი, იქნებ, უარი არ გითხრასო... სუფრასთან რომ დავსხედით, მასპინძელი უკვე მთვრალი კი არა, გადამთვრალი იყო. არც გაუგია, რა ხდებოდა მის ოჯახში. მაგიდასთან დაჯდა თუ არა, მაშინვე თეფშში ჩარგო თავი და ხვრინვა ამოუშვა. ყურადღებას არავინ აქცევდა. მე კი ძალზე უხერხულად ვგრძნობდი თავს. დათომ ჩამჩურჩულა — ყველა მიჩვეულია მის ასეთ საქციელს, ამიტომ აღარავის უკვირს და ნურც შენ მიაქცევ ყურადღებასო... ყველა შეთვრა და ცეკვა-თამაშის ხასიათზე დადგა... არავის შეუნიშნავს, როგორ გადმოვარდა სკამიდან მთვრალი მასპინძელი... მის დასახმარებლად მე მივედი და ვცადე, ისევ სკამზე დამესვა. ამ დროს მისი ცოლი მოვიდა, ფეხებში მოჰკიდა ხელი და მანიშნა, რომ მეორე მხრიდან ამეწია. ასე, თრევა-თრევით ავიყვანეთ მეორე სართულზე და დიდ საძინებელში, არაბულ ტახტზე „დავაგდეთ“. დიასახლისმა საძინებლის კარი შიგნიდან ჩაკეტა და ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ტანში გამაჟრჟოლა, მაგრამ თავს უხერხულად ვგრძნობდი, რადგან იქვე, ოთახში მისი ქმარი იმყოფებოდა. მას კი ამისთვის ყურადღება არც მიუქცევია... ერთი სიტყვით, რის ვაი-ვაგლახით მოვახერხე მისი სურვილის შესრულება და ეს იმავე საწოლზე მოხდა, რომელზეც მისი ქმარი იწვა... თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი იქიდან და მაშინვე სახლისაკენ გავეშურე. ამის შემდეგ, მე და ნანა ერთმანეთს დავუახლოვდით. რა თქმა უნდა, დავინტერესდი, რატომ მოექცა თავის ქმარს ასე და ერთხელ ამის შესახებ ვკითხე კიდეც. თურმე, მისი მეუღლე ადრე ნარკომანი ყოფილა. შემდეგ წამლის გადაგდება უცდია და გადაუგდია კიდეც, ოღონდ, ამის შემდეგ გალოთებულა. ცოლ-ქმარს ამის გამო კამათიც მოსდიოდათ, მაგრამ ნანას ვერაფერი გაუწყვია. ისინი უკვე 4 წელი იყო, სარეცელს არ იყოფდნენ. ნანა ქმრის ერთგული გახლდათ, მაგრამ მასაც მოსწყინდა ასეთი ცხოვრება და შურისძიების მიზნით, გადაწყვიტა, ეღალატა მისთვის. რატომ შემარჩია საამისოდ მე, ეგ უკვე არ ვიცი“.

ელამი საყვარელი

„ჩემს დაქალს ქმარი ღალატობდა ერთ ელამ გოგოსთან, თან ჰპირდებოდა, რომ ცოლად მოიყვანდა. ჩემს მეგობარს მოსწყინდა ამდენი ეჭვიანობა, იმ გოგოს ტელეფონის ნომერი გაიგო, ჩვენს მეგობარს დაარეკვინა და ათქმევინა — მოდი, შეეხვდეთ და გავარკვიოთ, რადგან ჩემი ქმარი აღარ მინდა, ის კი თავს არ მანებებს, იქნებ, ერთად გადავჭრათ ეს პრობლემაო... ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი მეგობრის ბინაში. მოილაპარაკეს, რომ ის ელამი გოგო ტუალეტში ჩაიკეტებოდა, ჩემმა დაქალმა კი, ქმარს დაურეკა და იქ მიიყვანა. ცოლმა ლაპარაკი სწორედ საყვარელზე დაუწყო, იმანაც — არც აცია, არც აცხელა — დაიწყო მისი ლანძღვა: ეგ ასეთი და ისეთი, თავს არ მანებებს, რა ვქნა, აღარ ვიციო. თან ოფლმა დაასხა და ტუალეტში შევარდა. იქ თავისი „კუკლა“ დახვდა და გარეთ გავარდა. ეს ნაშა კი, „კაპლებით“ ძლივს მოაბრუნეს... ხომ იცით — არა შეჯდა მწყერი ხესაო?.. ჰოდა, ახლა, ისევ ვაპირებთ „წადეტექტივებას“ მე და ჩემი დაქალი...“

მეზობელო ყარისაო!

„ამ რამდენიმე წლის წინ, საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალეთ. ახალ ბინას მშვენივრად მოვერგეთ მთელი ოჯახი, განსაკუთრებით — მე. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი კორპუსის უკან, ძალზე ახლოს, მეორე ისეთივე კორპუსი იდგა. ფანჯრიდან ხშირად ვიყურებოდი და რამდენჯერმე, მოპირდაპირე სახლის აივანზე ძალიან ლამაზი მამაკაცი შევნიშნე. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მანაც შემნიშნა. ერთმანეთს ვუყურებდით ხოლმე და ხანდახან ხელებითაც ვლაპარაკობდით: — როგორ ხარ? — კარგად! — კარგად გამოიყურები! — გმადლობთ... ერთხელ კი, ასეთივე მეთოდით, თავისი ტელეფონის ნომერი მომცა. დავურეკე. ჩვენი ურთიერთობაც ასე დაიწყო და იმით დამთავრდა, რომ ქმარს ვუღალატე. არ ვიცი, რა მოხდება, ეს რომ გაჟღავნდეს, მაგრამ ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

მაგარი შეყვარებული ჰყავს...

„დედაჩემს ძალიან უყვარს ჟურნალი „გზა“. ის წლების განმავლობაში ყიდულობდა, მე კი — ვაგროვებდი... აღარც მახსოვს, პირველი „გზავნილი“ როდის წავიკითხე, მაგრამ მას შემდეგ, მართლა „ვაფანატებ“ ამ რუბრიკაზე... ახლა გადავწყვიტე, ჩემს არქივში ჩამეხედა და აღმოვაჩინე, რომ თურმე, სულ პირველი „გზავნილი“ დაიბეჭდა 2003 წლის 26 ივნისს. ის ნინოსა და გიოს სიყვარულზეა... ძალიან მიხარია, რომ არსებობთ. „გზავნილების“ ფანი...“

„მოგნატრებია ოდესმე ტირილი?/ ოდესმე ცრემლი მოგნატრებია?/ ოდესმე ჯავრი თუ გქონებია?/ წვიმაში თმა თუ დაგსველებია?/ ზღვასთან ბაასი თუ გყვარებია?/ თვალები ცრემლით დაგსველებია?/ ალბათ, დამთვრალხარ თეთრი ღვინოთი?/ ალბათ, სიმღერა მოგძალებია?/ თუ დაწოლილხარ ოდესმე თოვლში?/ თოვლში ყვავილი თუ გიძებნია?/ თუ გიცინია ცრემლებამდე?/ გულდაწყვეტილს თუ გაგღვიძებია?/ მოგნატრებია, ნეტავ, ოდესმე?/ ნეტავ ოდესმე თუ გყვარებია?/

რა ბედნიერი ყოფილხარ მაშინ,/ ამდენი განცდა თუ შეგძლებია... ეძღვნება თენგოს, რომელსაც ახლა, ძალიან უჭირს, მე კი ვერაფრით ვეხმარები...“

„მინდა, ჩემი შეყვარებულის ღალატის შესახებ მოგიყვეთ. წერილებს ვწერდი, სიყვარულიც კი ავუხსენი... მერე ვიჩხუბეთ და აღარ მელაპარაკებოდა. მერე მისი მეზობლებისგან შევიტყვე, რომ შეყვარებული ჰყავდა... იმ ბიჭს შუკუნას ეძახიან...“

„მე და ერთ ცოლშვილიან კაცს 13 წელი გვიყვარდა ერთმანეთი, მერე გავიგე, რომ მიღალატა და ათენში წამოვედი. დღემდე გაუთხოვარი ვარ, იმიტომ, რომ ის მიყვარს და მენატრება. მარინულა“.

„იცით, რატომ მიღალატა გოგიტამ?.. გულის მანკი მაქვს და შეეშინდა... მშვიდობით, გოგიტუნა, ბედნიერებას გისურვებ! ნინიჩკები“.

„მე არავისთვის მიღალატია. ან კი, ვინ დამაცდიდა?! ვისაც გავიცნობ, მეორე დღესვე მღალატობს. ბოლოს, დავანებე თავი ადამიანებს და ცხოველი შევიძინე, იქნებ, მან მაინც მიერთგულოს-მეთქი. მაგრამ რად გინდა?! 3 დღე ძლივს გავაძლებინე და გაიქცა ჩემი ძაღლი. ახლა რა ვქნა? ძროხას ხომ ვერ მოვიყვან სახლში?! ვიცი, ისიც მიღალატებს... ახლა თქვენი იმედი მაქვს, მაგრამ ჩემი ბედის შემყურე, ვიცი, რომ თქვენც მიღალატებთ და მესიჯს არ დამიბეჭდავთ. ხატია“.

„პირველი სიყვარული 25 წლის ასაკში მეწვია. ეკლესიაში გავიცანი ერთი გოგონა — ანა. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით, ერთმანეთს ვეალერსებოდით... ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩემი სისულელით ვუთხარი, რომ არ მიყვარდა. ერთმანეთს დავშორდით. არადა, არავითარი მიზეზი არ მქონდა, რომ ასე მოვქცეოდი. უსინდისოდ ვუღალატე და გული ვატკინე. უკვე 2 წელი გავიდა და დღესაც ვნანობ ჩემს საქციელს. ანა, მიყვარხარ! თემო“.

„მე ჯერ ისევ სკოლის მოსწავლე ვარ. ჩემს სკოლაში ერთი ბიჭი სწავლობს, რომელიც მაგარ ტიპად ითვლება. შარშან მოვეწონე (არადა, მაგარი შეყვარებული ჰყავს) და დამიწყო ალმაცერად ყურება. ერთ მშვენიერ დღეს კი, გასაცნობად მომადგა. ეს დაინახა მისმა შეყვარებულმა და ჩათვალა, რომ ღალატობდა. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. მე კი ის ბიჭი სულაც არ მომწონდა და ყურადღებასაც არ ვაქცევდი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ისინი შერიგდნენ. ამ ბიჭმა ფიცი დადო, რომ არასოდეს უღალატებს და ახლა, იცით, რას აკეთებს?.. თავიდან იწყებს ყველაფერს. ისევ ჩემს შებმას ცდილობს და ღალატობს თავის შეყვარებულს. აი, ასეთი მოღალატეები და აუტანლები არიან ბიჭები“.

„მეც ღალატის მსხვერპლი ვარ, ოღონდ, ბიჭმა კი არა, დაქალმა მიღალატა. მე გავბრაზდი, გავებუტე და რაც მის შესახებ ვიცოდი, ყველაფერი მის ძმას ვუთხარი. მან კი კარგად ასწავლა ჭკუა. ასე მოუხდება იმ უნამუსო და მატყუარა გოგოს. დაქალი აღარ მყავს და ალბათ არც არასოდეს მეყოლება. ირა“.

„რა არის, მარი, რა მტკივნეულ თემას შეეხე?! დარწმუნებული ვარ, უამრავი გულგატეხილი და ღალატით გულნატკენი ქალი დაგიმესიჯებს. შენც უამრავ საყვედურს მიიღებ ჩემნაირი ადამიანებისგან, რომლებიც მესიჯებს გწერენ, რომ მერე, „გზის“ ფურცლებზე ნახონ. შენ კი, ყველას არ უბეჭდავ. ეგ ღალატი არ არის?!. ჯერ 25 წლის ვარ და უკვე ბევრჯერ გამოვცადე ღალატის სიმწარე. ისეთმა ადამიანმა მიღალატა, რომლისთვისაც სიცოცხლეს დავთმობდი. ეს ჩემი მეუღლეა. 8 წელია, ერთად ვცხოვრობთ, შვილიც გვყავს და ერთმანეთიც გვიყვარს, მაგრამ ერთხელ რომ გატყდება გული, მის გამთელებაზე აღარ შეიძლება ლაპარაკი. მით უმეტეს მაშინ, როცა ხედავ, როგორ გღალატობს შენი უსაყვარლესი ადამიანი. მჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ქმარი ყველაფერს მიხვდება და ისევ იმ ადამიანად იქცევა, რომელსაც 12 წლის წინ ვიცნობდი. მე მას ყველაფერი ვაპატიე, რადგან მომავლის იმედი მაქვს. ფეფო“.

„ქმარმა ვიღაც ქალში გამცვალა, მეორემ — არაყი და ღვინო ამჯობინა ჩემს თავს, მაგრამ ღალატი გულშიც არ გამივლია და აი, ბედის ირონია: ამხელა ქალს, შემიყვარდა ის ადამიანი, ვისი სიყვარულიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ჩემი მეორე ნახევარი ყველაფრის ღირსია“.

„როდესაც „გზავნილების“ თემა ვნახე, ჩემი ჩეჩენი ძმადნაფიცი, ხისრი გამახსენდა. ის ხშირად ამბობდა — ვინც ფიცი მისცეს და პირს გაექცეს, ტყვია მოხვდეს და გზაში დაეცესო!.. მას არავისთვის უღალატია, მაგრამ თავისი სიმართლე ვერ დაამტკიცა და მსხვერპლად შეეწირა მას“.

„ჩემს ყოფილ მულებს ვერ გაუგიათ, რომ მათი ძმისთვის არ მიღალატია. თანაც — ვისთან? მათ დეიდაშვილთან! მინდოდა, რომ ჩემი უდანაშაულობა დამემტკიცებინა, მაგრამ ვერ შევძელი. ღმერთმა ყველას აშოროს ის სიმწარე, რაც მე ბოლო 2 თვის მანძილზე გადავიტანე“.

ახლა კი, თქვენ მიერ ღალატის თემაზე გამოგზავნილ აფორიზმებს გადავხედოთ.

რქები თვით ეშმაკსაც ჰი აქვს...

ცოლები ქმრებს ორი მიზეზის გამო ღალატობენ: აუცილებლობის გამო და ისე, უბრალოდ!

ღალატი გემოვნების გაუმჯობესების ნიშანია.

ღალატისთვის ქალი ეძებს უკეთესს, ხოლო მამაკაცი — ახალს...

ღალატი სიკვდილივითაა, ნიუანსები არა აქვს...

ცნობისმოყვარეობა პირველი ნაბიჯია ღალატისაკენ...

მე შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ, მაგრამ მჭირდებიან სხვები, რომ ამაში დავრწმუნდე — ასე ამბობენ მოღალატეები...

ჭკვიანი კაცი ყოველთვის გამოძებნის დროს ცოლისთვის და იმისთვისაც, რომ მას ყოველდღე ულალატოს.

ნამდვილი სიყვარული, ერთადერთი მიზეზია იმისა, რაც ხელს უშლის ღალატს.

იმისათვის, რომ მამაკაცი აიძულო, გიღალატოს, ერთადერთი გზა არსებობს: მას ცოლად უნდა გაჰყვე.

ბევრი ქალი არ უღალატებდა ქმარს, შურისძიებისთვის სხვა, უფრო ზუსტი გზა რომ იცოდეს.

რქიანი ქმრების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე იმედგაცრუებული ცოლების.

მოტყუებული ქმარი მხოლოდ მოტყუებულ ქმრებს ხედავს.

ქალი ისეთი გულისხმიერი არსებაა, რომ ღალატამდე რამდენიმე დღით ადრეც კი ეცოდება ქმარი...

მამაკაცს შეუძლია, ჰქონდეს 2 ან 3 სასიყვარულო რომანი სხვა ქალებთან, როცა ის ცოლიანია. ამაზე მეტი უკვე ცოლის მოტყუებასა და ღალატს ნიშნავს...

მეუღლეს, რომელიც თავის მეორე ნახევარს ყველაფერს არ უყვება, ალბათ მიაჩნია, რომ ის, რასაც საიდუმლოდ ინახავს, მას ტკივილს ვერ მიაყენებს.

ჩვენ ქალბატონებზე იმიტომ კი არ ვეჭვიანობთ, რომ მათ არ ვენდობით, არა — ამას საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ვაკეთებთ.

თუ ცოლმა გიღალატა, გიხაროდეს, რომ გიღალატა შენ და არა — სამშობლოს!

თუ ცოლის ღალატის შესახებ შეიტყვე, არ ჰკითხო — მერამდენედ? პასუხმა შესაძლოა, შოკში ჩაგაგდოს.

თუ ცოლის ღალატის შესახებ შეიტყობ, ნუ შევარდები სახლში ყვირილით — მე ყველაფერი ვიცი! — თორემ, შეიძლება გკითხოს — ტრაფალგარის ბრძოლა რომელ წელს მოხდაო?

ქალი არ არის მოღალატე მხოლოდ 2 შემთხვევაში: თუ მიაჩნია, რომ მისი მამაკაცი ყველაზე კარგია ან თუ თვლის, რომ ყველა კაცი ერთნაირია...

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ, მომდევნო ნომრის თემად კი, გთავაზობთ: ახდენილი ოცნება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■



„ქუჩაში უაზროდ დგომამ, უსაქმურად ყოფნამ, არაფერი მომცა და მივდექ-მოვდექი, რაღაცების ჩალიჩი დავიწყე“, — ამბობს მომღერალი ლექს-სენი, რომელიც თინეიჯერულ პონტებზე დასმულ კითხვებს არ აღუფრთოვანებია, რადგან წარსულის, მით უმეტეს, თინეიჯერობის პერიოდის გახსენება არაფრის მომტან ამბად მიაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაგვპირდა, რომ ინტერვიუს შემდეგ, თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებს აუცილებლად უპასუხებს და თუ საჭირო გახდა, რჩევებსაც სიამოვნებით მოგცემთ.

თინეიჯერი ლექს-სენის მოგონებები, ქუჩაში ცეზეები, ბოზვები და ნახალიჩის ვოლოსიანოვი

ლიკა ქაჯაია

— თინეიჯერი ასოცირდება ასაკთან, რომლის დროსაც ადამიანს რაღაცები მოსდის.

— და ეს რაღაცები რა არის?

— თავში რევოლუციური იდეები მოსდის, აქვს უცნაური ხუშტურები, გამოხდომები. გამოთქვამს პრეტენზიებს და ა.შ.

— თინეიჯერობისას შენ თვითონ რა რევოლუციური იდეა მოგივიდა?

— თუნდაც, ჩემი დღევანდელი მოღვაწეობა. რაც გავაკეთე და დავამკვიდრე, ამის ინტერესი სწორედ თინეიჯერობის ასაკში გამიჩნდა — მომინდა, მეპოვა ცხოვრების აზრი, რადგან ქუჩაში უაზროდ დგომამ, უსაქმურად ყოფნამ არაფერი მომცა, ჩემი თავის თვითდამკვიდრებას ვერ ვახერხებდი და ვფიქრობდი, რომ ვერავინ ვერაფერს გამიკეთებდა, თუ თვითონ არ ავმოქმედდებოდი. დავიწყე რაღაცების ჩალიჩი, მივდექ-მოვდექი და რაღაც გამომივიდა.

— ეი. ქუჩაში ადგილი ვერ დაიმკვიდრე?

— ვერა.

— მაგრამ ქუჩაში ადგილის დამკვიდრება, შენი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია, არა?

— ბუნებრივია. იმიტომ, რომ ის ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ქუჩას პატივი უნდა ვცეთ. მას უყვარს წესრიგი, ზრდილობა, ჩვენ ბევრ რამეს ვაკეთებთ მისთვის და ისიც ბევრს გვიკეთებს. ასე რომ, ქუჩა ხელწამოსაკრავი არ არის.

— ქუჩურ ამბებს არჩევდი ხოლმე?

— მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ — ეს თემა ჩემთვის იმდენად უინტერესოა, რომ ამის გახსენებასა და საუბარზე დროის ხარჯვა არ ღირს.

— ზრდილობა და წესრიგი ახსენე. შენი თაობის თინეიჯერები რამდენად ზრდილობიანები იყვნენ?

— წესიერი და უწესო ადამიანების კატეგორია ყველა თაობაშია.

— როგორ ფიქრობ — მაშინ, რატომ აქვს უფროს თაობას იმის პრეტენზია, რომ ისინი ამ ასაკში უფრო ზრდილობიანები იყვნენ?

— იმიტომ, რომ თავიანთი წარსული დაავიწყდათ. თინეიჯერობის ასაკის გავლის შემდეგ, როცა დაღვინდებიან, დაბრძენდებიან, მერე სხვისი უკვირთ ხოლმე. იმას კი არ ამბობენ, რომ ოდესღაც, თვითონაც ეს გზა გაიარეს... თუმცა, შეიძლება, უკვე ასაკოვანი ადამიანები, თავიანთი თინეიჯერობის პერიოდში იმდენ ცუდს არ აკეთებდნენ, რამდენიც დღეს კეთდება, მაგრამ ეს ცხოვრების გამო ხდება, ცხოვრება კი დღეს უფრო ცივილიზებული, განვითარებულია, დღეს ინფორმაციის ეპოქაა და ახალგაზრდებს იმის გაკეთების საშუალება აქვთ, რაზედაც ადრე ვერც კი იოცნებებდნენ.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ ითვლებოდი?

— საკმაოდ კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი, მაგრამ არ მიყვარდა მათემატიკა და ამ საგანს არ ვსწავლობდი, მასწავლებელს ვაბრაზებდი, ვთავხედობდი.

— თავხედობა რაში გამოიხატებოდა?

— უზრდელობაში: რა ჯანდაბად მინდა თქვენი საგანი-მეთქი?! — ვეუბნებოდი.

— დღეს ამას არ ნანობ?

— სანანებელი არაფერი გამიკეთებია. პირიქით, ახლა ეს, მასწავლებელსაც და მეც კარგად გვახსენდება.

— ჩემი თინეიჯერობის პერიოდში, თუ ბიჭი გაკვეთილს მოჰყვებოდა, ეს ცუდ ტონად ითვლებოდა და ამის გამო შეიძლება, ვინმეს ეცემა კიდეც...

— სამწუხაროდ, ეს ჩემს დროსაც იყო (არა მარტო სკოლის პერიოდში, არამედ უნივერსიტეტშიც). თუ ბიჭი ნ-იანს მიიღებდა, მასზე გოგოებიც ჭორაობდნენ, ბრაზობდნენ — როგორ, მეც ნ-იანი და იმასაც? ნეტავ, ბიჭს კარგი ნიშანი რად უნდაო?!. ეს სამარცხვინო აზროვნება იყო და მგონი, ახლა გამოსწორდა, არა?

— როგორ ფიქრობ — ამ სამარცხვინო აზროვნების საფუძველი რა იყო?

— ამის საფუძველი, კომპლექსიანი, უუნარო ადამიანები იყვნენ, რომელთაც გაკვეთილის მოყოლა არ შეეძლოთ. ასეთები კი, ბიჭებიც იყვნენ და გოგოებიც.

— ამ ასაკში შენ რისი კომპლექსი გქონდა?

— ყველა ადამიანს რაღაც კომპლექსი უნდა ჰქონდეს, მაგრამ იმ ასაკში რისი კომპლექსი მქონდა, ვერ გავიხსენებ.

— კარგი, მაშინ ის მითხარი — ახლა რისი კომპლექსი გაქვს?

— სიმართლე რომ გითხრა, არაფრის კომპლექსი აღარ მაქვს.

— ეი. ყოველთვის უკომპლექსო ადამიანი იყავი? დავიჯერო, შენი შემოქმედების საწყის ეტაპზე მაინც პუბლიკის წინაშე დგომისას არ ნერვიულობდი, ხალხის არ გერიდებოდა?

— სწავლის პონტში, არაფრის კომპლექსი არ მქონია — ნ-ზე უარს არ ვიტყოდი, იმიტომ, რომ ვიღაცისთვის ცუდი ვიქნებოდი (ასეთ ადამიანებს ყურადღების ღირსადაც კი არ ვთვლიდი). შეიძლება მქონდა გოგოებთან ურთიერთობის კომპლექსი, მაგრამ პუბლიკის წინაშე როცა გამოდიხარ და ნერვიულობ, იძაბები, ამას ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამ.

— გოგოებთან ურთიერთობის კომპლექსში რას გულისხმობ?

— ურთიერთობას გოგო-ბიჭს შორის. მასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვერ გავივლიდი და ა.შ.

— თინეიჯერობის ასაკში, შეყვარებული გყავდა?

— ვიღაცების მიმართ სიმპათია მქონდა, მაგრამ ამას სიყვარულს ვერ ვუწოდებ. სიყვარული არის ის, როცა ურთიერთობა აწყობილია, გრძნობა ორმხრივია, თორემ, როცა შენ მოგწონს, მაგრამ მისგანაც იგივე არ მოდის, ეს სიყვარული არ არის.

— ამბობენ, თინეიჯერულ ასაკში, ბიჭები გოგოებს პატივს არ სცემენო..

— რა სისულელეა!.. სხვების არ ვიცი, მაგრამ მე მათ პატივს ყოველთვის ვცემდი. ჩემთვის ქალი ყოველთვის პირველ

ადგილზე იყო — რაღაცებს ვუთმობდი, სადმე ვეპატიჟებოდი. გოგოები რომ იტყოდნენ — წამო, „შატალოზე“ წავიდეთო — მათ წინააღმდეგ როგორ წავიდოდი?

— მშობლებს ხშირად აბრაზებდი?

— ო, ეს სხვა ამბავია — მათ ნამდვილად ვაბრაზებდი — არ ვუჯერებდი, ვჯიუტობდი და მერე იყო როზგები და მთელი ამბები...

— როზგების გამო პროტესტს არ გამოხატავდი?

— ეს ბუნებრივია. როცა ასაკი გემატება და ატყობ, რომ შეიძლება, რაღაც ძალაუფლება მოიპოვო თუნდაც — ოჯახში, მშობლებთან ურთიერთობისას, შესაბამისად, რაღაც რეაგირებას ახდენ — სახლიდან წასვლა, ხმამაღალი ტონით ლაპარაკი, ჟინიანობა — „მე ასე მინდა და შენ ვინ გეკითხება?!“ ეს იმის გამო ხდება, რომ ადამიანი დამოუკიდებლობის სუნს გრძნობს და რაღაცას აპროტესტებს.

— როგორ ფიქრობ — საქართველოში თინეიჯერი დამოუკიდებელი შეიძლება იყოს?

— ამ შემთხვევაში, ჩემს თავზე ვიტყვი. ვფიქრობ, რომ ნებისმიერ საკითხში საკმაოდ დამოუკიდებელი ადამიანი ვიყავი. ფულს მშობლებს ვერ ვთხოვდი — მერიდებოდა და ჩემთვის რაღაცებს ვჩალიჩობდი ხოლმე. მატერიალურად თინეიჯერი მთლიანად დამოუკიდებელი ვერ იქნება, მაგრამ მე ვგულისხმობ თავისუფლებას სხვა რამეში — უნდა აკეთო ის, რაც გინდა. მაგალითად, მინდოდა წასვლა — მივდიოდი, რაღაცის გაკეთება — ვაკეთებდი, ველოსიპედის ყიდვა — ვიშოვე და ა.შ.

— კი, მაგრამ ველოსიპედი დამოუკიდებლად როგორ იშოვე?

— ვჩალიჩობდი, რა.

— რას ჩალიჩობდი?

— რას ჩამაცივდი, რა გინდა, რომ მათქმევინო? აი, მაგალითად, თუ ექსკურსიაზე უნდა წავსულიყავი და მშობლები ამისთვის ფულს მომცემდნენ, არ წავიდოდი და იმ ფულით რაღაცას ვიყიდდი. ველოსიპედი კი, მეგობარს მისთვის საჭირო ნივთში გავუცვალე. პასუხმა დაგაკმაყოფილა?

— ნაწილობრივ, მაგრამ არა უშავს... როგორ ერთობოდით?

— მაშინ ამდენი გასართობი საშუალება სად იყო?! ძირითადად, საბავშვო თამაშებს ვთამაშობდით, ძალიან მიყვარდა ფეხბურთი.

— თეატრი ალბათ არ გიზიდავდათ, არა?

— იმ ასაკში, სპექტაკლების საყურებლად მშობლებს დავყავდი, თორემ, ჩემი გონება მაგდენს ვერ „ქაჩავდა“, რომ თეატრში წასვლა ჩემით მომეფიქრებინა. სხვათა შორის, სტუდენტობის პერიოდში, სპექტაკლებზე სიარულს მაგარი „მუღამი ავუღე“. უნივერსიტეტში ლექციები რომ დამთავრდებოდა, ეგრევე რუსთაველის თეატრში მივდიოდი. მაშინ ფული სად მქონდა?! ჯიბეში შეიძლება, მარტო 50 თეთრი მქონოდა ხოლმე (თუმცა, არც ახლა მაქვს დიდი ფული, მაგრამ...), ვდგებოდი თეატრის შესასვლელთან. ვიღაც კაცი (არ ვიცი, დირექტორი იყო თუ სხვა ვინმე), დამინახავდა თუ არა, მოვიდოდა და თეატრში უფასოდ მიშვებდა ხოლმე. ეტყობა, ხვდებოდა, რომ სპექტაკლზე დასწრება ძალიან მინდოდა.

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— რა თქმა უნდა, ჩემი დღევანდელი ამერიკელი კოლეგების და დღესაც ვარ. 2PAC-ის, სნუპ დოგი-ის, დოქტორ დრი-ს, ემინემის, 50ცენტის, ჩემი კერპები არიან. მათ ალბომებს ვყიდულობდი, პლაკატებს ვაკრავდი. სხვათა შორის, ეს პლაკატები, კასეტები და ალბომები დღემდე მაქვს სახლში. ეს ყველაფერი კი, თინეიჯერობის პერიოდს მახსენებს.

შეიძლება მქონდა გოგოებთან ურთიერთობის კომპლექსი, მაგრამ...

— შენს კერპებს ჩაცმულობითაც ჰბაძავდი?

— რა თქმა უნდა, მინდოდა, ისეთივე შარვალი, ქურთუკი მცმოდა, როგორითაც ისინი დადიოდნენ. მათ მანერებითაც ვბაძავდი.

— ეს შენს მშობლებს მოსწონდათ?

— შეიძლება, მათ ჩემი საქმიანობა დღესაც არ მოსწონთ, მაგრამ რას იზამენ? ამ ყველაფერს მიეჩვივნენ, ნახეს, რომ ამაში ცუდი არაფერია. ბუნებრივია, ეს მათთვის რაღაც სიახლე იყო, ახალი კი, ყველაფერი უცხოა. მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ისეთ ქვეყანაზე, რომელიც ტრადიციებს მისდევს, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი იხვეწება, იცვლება... როცა ჩემს მომავალ საქმიანობაზე ფიქრი დავიწყე, მშობლებმა არც კი იცოდნენ, რას ვაპირებდი — ჩემთვის ოთახში ჩავიკეტებოდი ხოლმე და რაღაცებს ვაკეთებდი. ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ უფრო სერიოზული რაღაც რომ გავაკეთე...

— ლექსო, დღეს თინეიჯერებში საკმაოდ პოპულარული ხარ...

— ალბათ, იმიტომ, რომ მათ ჩანაფიქრებს, გულისტკივილს ვეხმიანები. თითოეულ თინეიჯერს, განსაკუთრებით მათ, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, დიდ პატივს ვცემ. როცა „იმეილზე“ წერილი მომდის, უპასუხოდ არც ერთს არ ვტოვებ. მათ იმიტომაც მოვწონვარ, რომ ის ვარ, ვინც ვარ.

— ვინ ხარ?

— ერთი უბრალო ადამიანი, რომელსაც თავისი საქმე უყვარს. ყველაფერს ჯიგრიანად ვაკეთებ, არ ვიტყუები, არა მაქვს რაღაც უაზრო ამბიციები. ერთი თბილისელი ბიჭი — ლექსო ვარ.

— შენს თბილისელობას ყოველთვის ასეთი სიამაყით და ხაზგასმით აღნიშნავ?

— თითქმის ყოველთვის. ამას ჩემს ახალ სიმღერაშიც ვამბობ.

— ეს ხაზგასმა რაში გჭირდება?

— თბილისში დავიბადე, გავიზარდე და აბა, რა უნდა ვთქვა?.. თუმცა, მართალი ხარ. სამწუხაროდ, ეს სიამაყე ქართველებს შინაგანად გვიზის, მაგრამ ეს მარტო ჩვენ არ გვახასიათებს, ასე ამბობენ ევროპაშიც, ამერიკაშიც. მაგალითად, ამერიკელები შტატების მიხედვით იყოფიან და ისეთივე რიხით ამბობენ — კალიფორნიელი ან ლოს-ანჯელესელი ვარო, — როგორითაც მე ვამბობ, თბილისელი ვარ-მეთქი.

— დაბოლოს, რას ურჩევ თინეიჯერებს?

— თინეიჯერებს ვურჩევ, საღი აზროვნების უნარი არ დაკარგონ და ყველა იმ ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებენ, რომელზეც ოცნებობენ. მთავარია, მონდომება და შრომა. ჯობია, ახლავე დაისახონ მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად დაიწყონ მოქმედება. და კიდევ — დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვისაც ვუყვარვარ და ვუთხრა, რომ ისინი ძალიან მაგრები არიან.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! თუ შენ წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც ლექსენი თავის თინეიჯერულ ამბებს იხსენებს და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდა, შეგიძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს გამოეხმაურო. საინტერესოა, რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავ მაშინდელ და ახლანდელ თინეიჯერებს შორის? რა პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას? იყოფიან თუ არა თინეიჯერები რაღაც ჯგუფებად და ა.შ. შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, მაშინ დაგვიმესიჯე ნომერზე: 899 17-35-27.*

■

ბამოხმაურება

ალბათ გახსოვთ, რომ „გზის“ წინა ნომერში ამ რუბრიკით გამოქვეყნდა ინტერვიუ მსახიობ ნანკა კალატოზიშვილთან. მას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგი თინეიჯერი კი, ნანკას რჩევასაც სთხოვს...

გიო, *17 წლის:*

„ნანკა კალატოზიშვილი ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ერთი მიზეზის გამო — ის ძალიან ჰგავს ჩემს შეყვარებულს, როგორც ფიზიკურად, ასევე ხასიათით. არ ვიცი, ჩვენს ურთიერთობას „შეყვარებულები“ ჰქვია თუ არა, რადგან მე სიგიჟემდე მიყვარს, ის კი, უბრალოდ მტანჯავს, მეთამაშება... იქნებ, ნანკამ მირჩიოს — როგორ ან რითი შეიძლება, მისნაირი ცივი გოგონების მოხიბვლა და მათი მოთვინიერება!“

ნანკა კალატოზიშვილი:

— დავიწყოთ იმით, რომ ცივი არა ვარ. ამ ადამიანის შეყვარებულისგან განსხვავებით, როცა ბიჭს მოვწონდი ან ვუყვარდი, მას არასდროს ვტანჯავდი. ჩემს „პაკლონიკთან“ მივდიოდი და ურთიერთობას „ვაიასნებდი“ — ვეუბნებოდი: დროს უქმად ნუ დაკარგავ-მეთქი... მყავდა ძმა, ვიზრდებოდი ბიჭების გარემოცვაში და ძლიერი სქესის წარმომადგენლებს არასდროს ვექცეოდი ისე, როგორც არ მინდოდა, რომ გოგონები ჩემს ძმას ან მეგობრებს მოჰქცეოდნენ...“

მარინა, *36 წლის:*

„მართალია, მე თინეიჯერულ ასაკში არ გახლავართ, მაგრამ მყავს თინეიჯერი შვილი, რომელიც 3 ძმასთან ერთად იზრდებოდა. ისიც, სულ „ომობანას“ და ფეხბურთს თამაშობს, ახალნაყიდ შარვლებს ხევს და ისე იცვამს... ამის გამო, სახლში სულ ჩხუბი გვაქვს, მაგრამ არაფერს მიჯერებს. იქნებ, ნანკამ მირჩიოს — როგორ უნდა მოვარჯულო ჩემი შვილი და კიდევ, მაინტერესებს, როდის მიხვდა თვითონ ნანკა იმას, რომ გოგოა და ქალივით უნდა გამოიყურებოდეს?“

ნანკა კალატოზიშვილი:

— 19 წლამდე, მეც ასეთი ვიყავი, ყველაფერს ვხევდი, ვარლვევდი, ქალბატონს მინდა ვუთხრა, რომ მისი შვილის ასეთი საქციელის მიზეზი, პირველ რიგში, ისაა, რომ ბიჭებთან ერთად იზრდებოდა, რასაც უყურებდა, იმას აკეთებდა. მინდა გითხრათ, რომ ჩხუბით არაფერი გამოგივათ, დროთა განმავლობაში, ეს თქვენს შვილს მოჰბეზრდება, გადაუვლის, მაგრამ თუ თქვენ, მას ამას ყოველ წუთას აუკრძალავთ, შეიძლება უკუეფექტი მიიღოთ და ის მთელი ცხოვრება ასეთად დარჩება (თქვენი ჭირვეულობის გამო). უთხარით შვილს, რომ ტანსაცმელს მოფრთხილება სჭირდება, რომ ახალს ვეღარ უყიდით, მაგრამ თუ ის მაინც გააგრძელებს მის დაჭრას და მერე ახლის ყიდვას მოგთხოვთ, არ უყიდოთ. შეგიძლიათ უთხრათ — გაკერე და ისე იარე-თქო...

ეკა, *15 წლის:*

„მე სულ ვიპრანჭები და ეს პროცესი ძალიან მომწონს, შემიძლია, 24 საათის განმავლობაში, სარკის წინ ვიტრიალო. არ არსებობს, სახლიდან გაწეწილი თმით გავიდე, მაგრამ შეყვარებული მაინც არ მყავს. ვერ გავიგე, ამ ცხოვრებაში რა არის კარგი — ქალაბიჭასავით გამოიყურებოდე თუ დახვეწილი ქალის მანერები გქონდეს. ნანკა, ალბათ შენი უცნაური ჩაცმულობა, ბიჭების ყურადღების მისაპყრობად გინდოდა, არა? იქნებ, მირჩიო — როგორ მოვიქცე, რომ ყურადღება მომაქციონ. მე ხომ, მახინჯი არ ვარ“.

ნანკა კალატოზიშვილი:

— ჩემო სიხარულო! ჯერ შენ, დახვეწილი ქალის მანერები არაფერში გჭირდება, ყველაფერი წინ გაქვს, ყველაფერს მოესწრები. 15 წლის ასაკში, ქუჩაში მაკიაჟით და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით გამოსვლა, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მეჩვენება. ეს არც ქალურია და არც ბავშვური. ნაადრევად დაქალებას ნუ ცდილობ. ვერ ვხვდები, ასე რატომ განიცდი იმას, რომ შეყვარებული არ გყავს? ნუ ნერვიულობ, ყველაფერს თავის დრო აქვს, მაგრამ მთავარია, ეს დროზე შეიგნო, რომ მერე, 40 წლის ასაკში, არ მოგინდეს თინეიჯერობის ასაკის დაბრუნება, კიკინების გაკეთება და ბოტასებითა და დახეული ჯინსით სირბილი.

დიანა, *16 წლის:*

„ნანკა კალატოზიშვილი ძალიან მიყვარს, მისი ფანი ვარ. მომწონს მისი ჩაცმულობის სტილი, მინდა, ისე ვიარო, როგორც ნანკა დადიოდა — მიყვარს გაწეწილი თმა, მეზიზღება მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. მეც მეცვა ქვედაბოლო შარვალზე, მინდა, ცალ-ცალი ფეხსაცმლით ვიარო, მაგრამ ამის უფლებას დედაჩემი არ მაძლევს. რჩევა მინდა ვკითხო ნანკას — როგორ მოვიქცე, რომ მშობლებმა იმის ჩაცმის ნება მომცენ, რაც მომწონს და კიდევ, ძალიან მიჭირს ხალხთან კონტაქტი, განსაკუთრებით — თანაკლასელებთან. არც მეგობარი მყავს და არც შეყვარებული.

ნანკა კალატოზიშვილი:

— ჩემო კარგო, მთავარია, ის არ გააკეთო, რაც არ გინდა. იმიტომ, რომ ვიღაცის ფანი ხარ, მისი მიბაძვა ყველაფერში არ შეიძლება. მინდა გითხრა, რომ ცალ-ცალი ფეხსაცმლით სიარული ხერხემლისთვის ძალიან ცუდი ყოფილა, ამიტომ გირჩევ — ამას ნუ გააკეთებ, მაგრამ თუ ძალიან მოგწონს, მაშინ შეეცადე, ფეხსაცმელს ერთნაირი სიმაღლის ძირები ჰქონდეს... დედაჩემსაც არ მოსწონდა ჩემი ჩაცმულობა, მაგრამ იცოდა, რომ დასჯის და აკრძალვის მეთოდი არ გამოადგებოდა და ყველაფერ ამას ღიმილით ხვდებოდა. მოგბეზრდება და გაიხდიო, — მეუბნებოდა. ჩემთვის რამე რომ აეკრძალათ, იმის გაკეთება უფრო მომინდებოდა. ერთ გოგოს ვიცნობდი, რომელსაც მოკლე ქვედაბოლოს ჩაცმას უკრძალავდნენ. ამ გოგომ ხერხს მიმართა — ტანსაცმელს ლიფტში იცვლიდა ხოლმე. ასე რომ, აკრძალვას მხოლოდ უკუეფექტი მოაქვს... შეყვარებული რომ არ გყავს, ეს ტრაგედია არ არის, მაგრამ ვერ ვხვდები — მეგობრები რატომ არ გყავს. ეტყობა, ძალიან შებოჭილი ხარ. მოეშვი სისულელეებზე ფიქრს და ყველაფერი კარგად იქნება.

ნათია, *17 წლის:*

„მეც თინეიჯერი ვარ, მაგრამ ჩემს თაობაში ბევრი რამ არ მომწონს — ჩაცმულობის სტილი, ლაპარაკის მანერა, მიმართვა — სოფლელო!.. თუმცა, ბევრი კარგი თვისებაც გვაქვს. ყველაზე მეტად, განათლებულ ადამიანებს ვაფასებ და მინდა, რომ ჩემი თაობა ყველაზე უკეთესი, ყველაზე ნასწავლი და უფროსების პატივისმცემელი იყოს. დავუჯეროთ უფროსებს და გვიყვარდეს ერთმანეთი“.

თეკლა, *14 წლის:*

„ადრე, თინეიჯერები ასეთი უზრდელები არ იყვნენ. დღეს ყველამ ყველაფერი ვიცით, რისი ცოდნაც ჩვენთვის ჯერ ადრეა. გოგოების უმრავლესობა თავს არ იფასებს, ყველას კისერზე ეკიდება, ბიჭების შებმას ცდილობს და ა.შ. სხვათა შორის, არც მე ვარ „მონაზონი“. ბიჭები კი, მხოლოდ სიგარეტზე, პლანსა და ათასგვარ ცუდ რამეზე ფიქრობენ... თუმცა, თინეიჯერები მაინც სულ სხვანაირები ვართ“.

თიკო, *16 წლის:*

„მინდა, ნანკას ინტერვიუს გამოვეხმაურო. მე თინეიჯერი ვარ და მგონია, რომ არც ისე ცუდი თაობა ვართ. ვფიქრობ, რომ ადრე, ჩვენი ასაკის ადამიანები უფრო მორიდებულები, სწავლის მოყვარულები იყვნენ. მეც ისეთი თინეიჯერი ვარ, როგორიც ნანკა იყო — ვიცვამ და ვაკეთებ იმას, რაც მინდა, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ადამიანებთან კონტაქტში ადვილად შევდივარ. გმადლობთ და ნახვამდის.“ ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეიჩა დვალის *უბის წიგნაკიდან:*

1. ბრკე ღვინის ობია.
2. „ნოღა“ და „პაჭუა“ სინონიმებია.
3. ალეკ ბოლდუინი ვეგეტარიანელია.
4. ქვამუხა ერთგვარი მარადმწვანე მუხის ჯიშია.
5. პურეულის თავთავის ერთ შტოს კუბერა ჰქვია.
6. პარაგვაი და ურუგვაი მდინარე პარანას შენაკადებია.
7. ერთი ბრტყელი პირის მქონე წერაქვს ქარჩს ეძახიან.
8. „ქედდალოცვილი“ — იტყვიან სიყვარულით კარგ ხარზე ან კამეჩზე.
9. „თავისუფლების კუნძულის ბელადი“ ფიდელ კასტროს ერთ-ერთი მეტსახელია.
10. მსოფლიოში არსებული 2000 ყურძნის ჯიშიდან 500 საქართველოში ხარობს.
11. ამაზონიის ჯუნგლებს 13 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია.
12. იური გუსმანი 20 წლის განმავლობაში რუსული „კა-ვე-ენის“ ჟიურის უცვლელი წევრია.
13. ივანე ჯავახიშვილის მეუღლე, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი პირველი მევიოლინე ქალი გახლდათ საქართველოში.
14. „მუჟჩინი ჟენიატსა ნა ნადეჟდახ, ჟენშჩინი ვიხოდიატ ზამუჟ ზა აბეშჩანიე“, — ამბობენ რუსები.
15. „მაღარიჩი“ არაბული სიტყვაა და რაიმე სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად გამართულ მასპინძლობას ნიშნავს.
16. „რემონტს ვერასდროს დაასრულებ, ის შეიძლება, მხოლოდ შეწყვიტო“, — ოხრავს მიხაილ ჟვანეცკი.
17. ჩვილი ბავშვის საფენებს, ერთგვარ „პამპერსებს“, თურქი ქალები რბილი ქსოვილისგან კერავდნენ და შიგნით მშრალ ქვიშას ყრიდნენ.
18. „თუ თქვენ ასეთი ჭკვიანი ხართ, რატომ არა ხართ მდიდარი“ — ეს გახლავთ ამერიკელთა საყვარელი შეკითხვა.
19. „კურაპალატი“ ბიზანტიური სამოხელეო წოდებაა, რომელსაც X-X საუკუნეებში ქართველ მეფეებსა და მთავრებს აკუთვნებდნენ.
20. კორნეი ჩუკოვსკის თითქმის ყველა კარიკატურაზე გამოსახული იყო ბუზი, რომელიც ხან მის ჰალსტუხზე, ხან ლოყაზე და ხანაც ცხვირზე გახლდათ დასკუპებული. ეს ბუზი მისი ცნობილი ლექსის — „მუხა-ცაკატუხას“

3 წლის წინ, ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე ქართველი ვარსკვლავებისთვის ანუ შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთათვის, ერთ-ერთმა კომპანიამ მშენებარე სახლის ერთი სადარბაზო გამოყო. მაგრამ ერთ წელიწადში დასამთავრებელ საქმეს, უკვე მესამე წელია, ბოლო არ უჩანს. იმ ცნობილ ადამიანებს, რომლებსაც ამ კორპუსში უნდა ეცხოვრათ, ხანგრძლივი ლოდინის გამო, ამ თემაზე ლაპარაკი აღარ სურთ. მათ შორის არიან: ნატო მეტონიძე, კახუჩელა, ნიკა მემანიშვილი, დათო დოიაშვილი, ლელა წურწუმია და მამულიჩა, ავთო ცქვიტინიძე, აჩიკო მეფარიძე, თამუანა ამონაშვილი, მამუკა ღლონტი, ბასა ჯანიკაშვილი და ნატა ამაღლობელი, ეკა ხოფერია, ნიკა ლომიძე და თეა გობეჯიშვილი, ბაკურ ბაკურაძე, ზუზუ (ნინო ნოდია), თიკა რუხაძე, ნესტან სინჯიკაშვილი, რუსა მორჩილაძე, გიორგი უშიკიშვილი, მანანა მორჩილაძე, „ბასტიბუბუს“ ხელმძღვანელები, ზუკა ხუციშვილი, კოტე ფურცელაძე...

ერთადერთი, ვინც ინტერვიუზე დავითანხმე, კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩაა:

ვარსკვლავების საშწლიანი მოლოდინი, ზომონდური „რაზბორკები“ და მამულიჩას თავეკაცობა

ლალი ფაცია

— რამდენიმე წლის წინ, მე, ლელა, კახუჩელა, ნატო მეტონიძე, ზუზუ, დოი, ნიკა მემანიშვილის სახლში ვიყავით შეკრებილები, რადგან იმ პერიოდში, ის ცოტას ავადმყოფობდა. ჩვენდა უნებურად, სასაუბრო თემად იქცა ის, რომ არც ერთ ჩვენგანს თავისი სახლი არ ჰქონდა — ზოგი ნაქირავებში ცხოვრობდა სივიწროვეში და ა.შ. მერე, დაიბადა იდეა ვარსკვლავების კორპუსის შესახებ. მე მათ შევთავაზე — ამ საკითხზე „ცენტრ-პოინტის“ წარმომადგენლებს დაველაპარაკები-მეთქი. მეორე დღესვე, ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს შევხვდი, რომელსაც ჩვენი სურვილის თაობაზე ველაპარაკე. ქალბატონი რუსუდანი 3 დღეში შემეხმიანა და შემატყობინა — თქვენი წინადადება მიღებულიაო. შემდეგ, დავიწყეთ იმ ცნობილი ადამიანების ძიება, რომლებსაც ბინის პრობლემა ჰქონდათ. მსურველი ბევრი აღმოჩნდა. მათი უმრავლესობა სიაში ვერ მოხვდა, რადგან იმ სადარბაზოში ყველასთვის არ აღმოჩნდა ადგილი.

— ესე იგი, იმდენი მსურველი მოიძებნა, რომ ყველა მათგანს არ შეხვდა ფართი?

— დიახ. ეს იმის გამო მოხდა, რომ კვადრატული მეტრი 150 დოლარი ღირდა.

— სადარბაზოში სულ რამდენი მოსახლე განაწილდა?

— 26. მაგრამ იმის გამო, რომ ყველა ვერ მოვთავსდით, პროექტი დავარღვიეთ და შენობას ორი სართული კიდევ დავაშენეთ. პროექტის დარღვევა ჩვენი ბრალი იყო. სხვათა შორის, ყველას გვეგონა, რომ სახლს „ცენტრ-პოინტი“ აშენებდა. თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ მისი მფლობელი, ფირმა „გამა“ იყო — ქალბატონ რუსუდანს ამ ფირმასთან უშუამდგომლია, რომელიც ეკუთვნოდა აწ გარდაცვლილ მამუკა ჯინჭარაძის ოჯახს — მეუღლესა და ქალიშვილს.

— როგორც მახსოვს, მათ თქვენთვის კორპუსი წელიწად-ნახევარში უნდა ჩაებარებინათ. მას მერე, 3 წელი გავიდა და შენობა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. რატომ?

— დრო საკმაოდ გაიწელა. ზოგიერთმა ჩვენგანმა ფული დროულად ვერ შეიტანა. მერე, მოხდა ისე, რომ თვითონ მშენებლებსა და დამფუძნებელს შორის უთანხმოება წარმოიშვა — მშენებლობა გაჩერდა. ერთი წელი ე.წ. „რაზბორკები“ მიმდინარეობდა, ირჩეოდა საქმე — თუ ვინ დაამთავრებდა მშენებლობას. ამას ისიც დაემთხვა, რომ ქალაქის არქიტექტურულმა სამსახურმა აღარ დაამტკიცა სახლი, რადგან, დამატებით ორი სართული დავაშენეთ, რაც არაკანონიერად მიიჩნიეს. იმ პე-

რიოდში ქალაქის მერი, ზურაბ ჭიაბერაშვილი იყო. მოგვიანებით, როცა მერად გიგი უგულავა დაინიშნა, მასთან ლელა მივიდა. პროექტს კორექტირება გაუკეთდა და დაკანონდა. შენობაში ლიფტი დაამონტაჟეს და როგორც ვიცი, კორპუსის მშენებლობა 3-4 თვეში დასრულდება.

— შენი ვარსკვლავი მეგობრები ამ საქმეში შენსავით აქტიურობდნენ?

— იმ „რაზბორკებზე“ ყველანი ერთად დავდიოდით. ვიკრიბებოდით, რომ ეს პრობლემა როგორმე მოგვეგვარებინა.

— იმ შენობაში გადაბარგება და ახალმოსახლეობა როგორ გაქვს წარმოდგენილი?

— ხომ გითხარი, ლიფტი უკვე დაამონტაჟეს; ახლა გაზი გაჰყავთ... ნახევარზე მეტს რემონტი დაწყებული აქვს.

— შენი ბინა რა მდგომარეობაშია?

— ჯერ სარემონტო თანხები არ მაქვს. რემონტი, მოგეხსენება, ძალიან ძვირი სიამოვნებაა. დღესდღეობით, მე და ლელა ვერ დავიკვეხნით, რომ იმ შემოსავლით, რაც გვაქვს, რაღაც განსაკუთრებული თანხის პატრონები ვართ.

— ბინა რომელ სართულზე შეგხვდათ?

— მეექვსეზე.

— თქვენს ქვედა სართულზე ვინ იცხოვრებს?

— რუსა მორჩილაძე.

— ზედა სართულზე?

— ნატო მეტონიძე.

— როგორ ფიქრობ, თქვენი ვარსკვლავური სამეზობლო სიამტკბილობაში იცხოვრებს?

— მე რომ მკითხო, ეს ყველაფერი „მარაზმი“ იქნება *(ხარხარებს)*. ამდენი გიჟის ერთ სადარბაზოში ცხოვრება როგორ წარმოგიდგენიათ? არ ვიცი, რა და როგორ იქნება.

— ვარსკვლავებმა როგორი მეზობლობა იცით?

— დარწმუნებული ვარ, რომ კარგი და საინტერესო მეზობლები ვიქნებით.

— ერთმანეთს არ გაჭორავთ?

— გავჭორავთ, ოღონდ, ზურგს უკან არა, პირდაპირ ფანჯრიდან ფანჯარაში *(იცინის)*. შეიძლება, შოუბიზნესის წარმომადგენლებმა მეზობლობა უცხოეთში არ იციან, საქართველოში კი, ისე არ დავცემულვართ, რომ მეზობლობის ფასი არ ვიცოდეთ. კარგ მეზობელს რა სჯობია!

— ამ ვარსკვლავურ სამეზობლოში შენთვის ყველაზე კარგი მეზობელი ვინ იქნება?

— გადაწყვეტილი მაქვს, რომ დილაობით საუზმე თეა გობეჯიშვილმა მომიმზადოს, თუ არ მომიმზადებს — ცუდ დღეში აღმოჩნდება. სხვათა შორის, ამის შესახებ მისმა ქმარმაც იცის (იცინის). დოის ნამდვილად ავაწიოკებ; კახუჩელა აქეთ ამიკლებს, შემაწუხებს, მაგარი ზუზუნაა. ერთმანეთს კომპლიმენტებს ფანჯრებიდან ვესვრით ხოლმე. ვინც ყველაზე ზემოთ ცხოვრობს — ბოლო სართულზე, მას უპირატესობა ექნება, ყველას „მხიარულად“ გამოდმოგვძახებს ხოლმე. ამ მხრივ დოი აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში. სადარბაზოს „მაყურებელი“, რუსა მორჩილაძე გვეყოლება. საქმეებს მოაგვარებს ხოლმე *(იცინის)*.

— „ბიცოლა ვასასის“ როლში ვინ იქნება?

— ალბათ ზუზუ (ნინო ნოდია).

— სადარბაზოს მამაკაცებს შორის, ალბათ, ყველაზე მაგარ ტიპი შენ იქნები?

— რა თქმა უნდა. ვიცი, ამას რომ წაიკითხავენ, ჩემი მისამართით შეურაცხყოფა შეურაცხყოფაზე წამოვა, მაგრამ არა უშავს *(იცინის)*...

— თქვენს „კაშკაშა“ სადარბაზოში ლელა რა როლს შეასრულებს?

— ლელა „სადარბაზოს დედა“ იქნება. ყველანაირ პოლიტიკურ საკითხს მოაგვარებს. ავთო ცქვიტინიძე სადარბაზოს დიზაინერი იქნება. თუ ვინმეს ცეკვის სწავლის სურვილი გაუჩნდება, კოტე ფურცელაძეც იქ გაჩნდება. „ბასტი-ბუბუს“ ხელმძღვანელებიც იქ არიან, ასე რომ, ბავშვების ამბავიც გარკვეულია. თუ ვინმეს კლიპის გადაღება მოუნდება, რეჟისორი ნესტან სინჯიკაშვილიც ჩვენი მეზობელია. საორგანიზაციო საკითხებს, თიკა რუხაძე მოაგვარებს. რაც შეეხება ნიკუშა ლომიძეს, თეა გობეჯიშვილსა და მათ პატარა შვილს, რომელიც ჩემი ნათლულია, ყველანი ერთად, ჩემი ხელქვეითები იქნებიან.

— გადაბარგებისა და ახალმოსახლეობის გრანდიოზული პრეზენტაცია როდისთვის იგეგმება?

— ალბათ, ახალი წლისთვის. ■

შენობაში ლიფტი დაამონტაჟეს და კორპუსის მშენებლობა 3-4 თვეში დასრულდება

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალი
უბის წიგნაკიდან:

მთავარი პერსონაჟი გახლდათ.

21. „ჩვენებურ მზარეულს შეუძლია, გემრიელი კერძი მოამზადოს ყველაფრისგან, რაც კი მიწაზე დადის ან დახოხავს, გარდა ტრაქტორისა, ყველაფრისაგან, რაც ცაში დაფრინავს, გარდა თვითმფრინავისა და ყველაფრისაგან, რაც წყალში დაცურავს, გარდა წყალქვეშა ნავისა“, — ხუმრობენ ჩინელები.



22. სანამ რაიმეს იწინასწარმეტყველებდა, ნოსტრადამუსი საკუთარ სხეულს უძილობით ტანჯავდა, რის გამოც მას ჰალუცინაციები ეწყებოდა და სწორედ ამ მდგომარეობაში მყოფი წინასწარმეტყველებდა.

23. გერმანელმა და კელტმა მეომრებმა, რომლებსაც სპარტაკის მარჯვენა ხელი, კრიქსი მეთაურობდა, მაროდიორობის გემო გაიგეს და ჩამოშორდნენ ძირითად არმიას. ისინი რომაელმა მთავარსარდალმა კრასუსმა დაამარცხა და ერთიანად ამოჟლიტა. მომხდარით გამწარებულმა სპარტაკმა 400 რომაელი გლადიატორთა არენაზე გაიყვანა და კრიქსისა და მის მეომართა სულის განსაწმენდად ერთმანეთი დაახოცვინა.

24. საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ჰიტლერს ერთადერთი რამ რჩებოდა: მას უნდა გაენადგურებინა ინგლისი. მიუხედავად ჩერჩილის მხნე ტონისა, სხვადასხვა გამოსვლაში, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კარგად იცოდა, რომ ყველაფერი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, შეძლებდა თუ არა იგი რუზველტის დაყოლიებას, რათა ამერიკას ჰიტლერის წინააღმდეგ ებრძოლა. ყოფილი სამხედრო კორესპონდენტი და ჟურნალისტი წერილს წერილზე უგზავნიდა რუზველტს. ეს წერილები პირფერობით იყო აღსავსე. აკი, დაითანხმა კიდეც!

25. „ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი არავის ასცდება, ვინც არ უნდა იყოს იგი“, — ქადაგებდა დაღესტნის იმამი, შამილი. ქრთამის აღებისათვის ერთხელ მან საკუთარი დედაც კი გააჯოხვინა. როდესაც ასი მისჯილი დარტყმიდან, ხუთი დარტყმის შემდეგ, ქალი მიწაზე უგონოდ დაეცა, შამილმა სასჯელი საკუთარ თავზე აიღო და ბრძანა, დარჩენილი 95 დარტყმა მისთვის მიეყენებინათ.

მომღერალ აგნესას ამჟამად შემოქმედებითი ტაიმ-აუტი აქვს აღებული. — ის ახალ სახლში გადაბარგებითაა დაკავებული. კომფორტულად რომ იგრძნოს თავი, მისთვის მთავარი — ხარისხიანი კოსმეტიკა და სუნამოა, რომლის გარეშეც, სახლიდან თითქმის არასოდეს გადის. ტანისამოსს უმეტესად, მოსკოვში ყიდულობს. შეკერვით კი არაფერს იკერავს, გარდა ფეხსაცმლისა.

ფერებისყოფა ვგრძნობ სილამაზის ფიფქი

სოლარიუმში გაჩერილი ლაქები, გადაჭარბებული თვე და თვალში ცაცმი მაჩიანი

სოფო ჭონიშვილი

— ჩემთვის დილა ყოველთვის ხმაურით იწყება. არ მიყვარს სიჩუმე, სიწყნარე... ამიტომ დილიდანვე საუკეთესო განწყობილება რომ შევიქმნა, ტელევიზორს, მაგნიტოფონს მაღალ ხმაზე ვრთავ ხოლმე.

— საკუთარი თავის ფორმაში მოსაყვანად დილიდანვე იწყებ ზრუნვას?

— რა თქმა უნდა. ვიღებ შხაპს, შემდეგ როგორც სახეზე, ასევე ტანზე ვისვამ კრემს. ვფიქრობ, რომ ყველაზე მთავარი ქალისთვის, კანის მოვლაა. ტანის კრემი, განსაკუთრებით აუცილებელია ზაფხულის შემდეგ, როცა კანი, სიცხის გამო, ძალიან შრება. სხვათა შორის, ერთი და იმავე ფირმის კრემს სისტემატურად არასდროს ვხმარობ.

— და მაინც, რომელი ფირმის კოსმეტიკას ანიჭებ უპირატესობას?

— ახლა, ახალი ფირმის — „კენზაკის“ კრემს ვხმარობ, რომლითაც ძალზე კმაყოფილი ვარ. საერთოდ, უპირატესობას მაღალხარისხიან კოსმეტიკას ვანიჭებ. დაბალხარისხიანი პარფიუმერიის გამოყენებით, სახის კანი შეიძლება, ისე დავაზიანოთ, რომ მის გამოსაკეთებლად, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება.

— სახლის პირობებში თუ დაგიმზადებია ე.წ. „სილამაზის ფაფა“?

— იმდენად ზარმაცი ვარ, რომ მსგავსი რაღაცების გაკეთება საშინლად მეზარება. თუმცა, ვაღიარებ, რომ სახლის პირობებში შეიძლება, ისე მოვუაროთ სახის კანს, რომ არანაკლებ მომხიბვლელად გამოვიყურებოდეთ იმათთან შედარებით, ვინც ძვირად ღირებულ პარფიუმერიას იყენებს. დედაჩემი ხშირად მეჩხუბება — ძალზე ბევრ კოსმეტიკას ხმარობ და ხანდახან, ბუნებრივი ნიღბის გაკეთებაცაა საჭიროო. რა ვქნა, მაონეზების და რაღაც ფაფების წასმა არ შემიძლია. ერთადერთი, — ყინულის კუბურებს ვისვამ ხოლმე სახეზე, სისხლის მოძრაობას უწყობს ხელს და კანს ელასტიკურს ხდის.

— მაკიაჟს სისტემატურად იკეთებ?

— თითქმის ყოველთვის ვიკეთებ მსუბუქ, მაგრამ მკვეთრ მაკიაჟს. თუ სადმე მივდივარ, კიდევ უფრო მკვეთრ გრიმს ვიკეთებ. მაკიაჟისა და სუნამოს გარეშე, სახლიდან არასოდეს გავდივარ.

— რაც არ უნდა ხარისხიანი იყოს კოსმეტიკა, ის სახის კანზე მაინც უარყოფითად მოქმედებსო, ამბობენ...

— თუ პარფიუმერიის მოხმარების წესებს სწორად დავიცავ, ვფიქრობ, რომ ცუდად არ უნდა იმოქმედოს. დილიდანვე, როცა თავის ფორმაში მოყვანას ვიწყებ, სახის კანზე ჯერ დამცავ კრემს, ხოლო შემდეგ — ტონალურს ვისვამ. საღამოს, ძილის წინ კი, სახეს აუცილებლად „ტონიკით“ ვისუფთავებ.

— ვარცხნილობას ხშირად იცვლი?

— ბავშვობიდან ძალზე თხელი თმა მაქვს. მახსოვს, სულ გადაპარსული თავით დავდიოდი, რადგან ამბობდნენ — თავს, რაც უფრო ხშირად გადაიპარსავ, მით უფრო ხშირი თმა ამოგივაო. ამიტომ, ბავშვობის სურათებში ყველგან თავგადაპარსული ვარ. ერთფეროვნება არ მიყვარს — ხან მოკლე თმა მაქვს, ხან — გრძელი, ხელოვნურად ვიგრძელებ ხოლმე. თმის ბზინვარებისა და სიხშირის შესანარჩუნებლად ვიკეთებ ნიღაბს, რომელიც ბებიამ მასწავლა: ავიღებ ერთ მთლიან ხახვს, გავარჩევ, წვრილ სახეზე გავხეხავ შემდეგ, გავწურავ, თმის ძირებში შევიზელ და 2-3 საათი გავიჩერებ. საერთოდ, უმჯობესია, უფრო დიდხანს გაიჩერო, მაგრამ ისეთი საშინელი სუნი აქვს, რომ ნებისყოფა არ მყოფნის...

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— კვირაში 2-ჯერ. ზაფხულში, როცა ზღვაზე ვარ, ეს პრობლემა მოხსნილი მაქვს: თმა ხშირად მისველდება და მის დავარცხნას აზრი არა აქვს. სწორი და დავარდნილი თმა მაქვს. ძალიან მინდა, ისეთი თმა მქონდეს, რომ ფენი არ მჭირდებოდეს: ვერ ვიტან საათობით სალონში ჯდომას. ნებისყოფა ამისთვისაც არ მყოფნის. როცა თმის შეღებვას ვაპირებ, წინასწარ ვნერვიულობ, რომ ამ პროცესს ბევრი დრო სჭირდება. რაც შეეხება ფრჩხილებს, სალონში თითქმის არასდროს ვიკეთებ, ვცდილობ, სახლში მოვწესრიგდე. ესეც ჩემი უნებისყოფობის გამო ხდება.

— ჩაცმულობის რომელ სტილს ანიჭებ უპირატესობას — კლასიკურს თუ სპორტულს?

— ორივე სტილი ძალიან მომწონს, მაგრამ ყოველდღიურად ძირითადად, სპორტულად ვიცვამ. თუ სადმე, ვთქვათ, წვეულებაზე მივდივარ, ვცდილობ, კლასიკურად ჩავიცვა.

— რა ფერები გიყვარს?

— მუქი ფერები არ მიყვარს. ჩემს გარდერობში ღია ფერის ტანსაცმელი ჭარბობს. თუმცა, ხანდახან შავი ფერის ჩაცმაც მომინდება ხოლმე.

— გარდერობს ხშირად აახლებ?

— რადგან მოდა ცვალებადია, გარდერობის გაახლება სისტემატურად მიწევს. წელიწადში 2-ჯერ, რუსეთში ჩავდივარ და ძირითადად, ყველაფერს იქ ვყიდულობ.

— საქართველოში თუ გყავს დიზაინერი, ვისთანაც ტანისამოსს იკერავ ხოლმე?

— თითქმის არასოდეს არაფერს ვიკერავ. ერთადერთი, რაც ავთო ცქვიტინიძესთან შევიკერე, საქორწინო კაბა იყო, რომელიც ჩემს ახალ კლიშეიც მაცვია. სამაგიეროდ, ფეხსაცმელს ვიკერავ ხოლმე. ხანდახან დგება ისეთი მომენტი, როცა რაღაც განსაკუთრებული გინდა და ვერ

მაკიაჟისა და სუნამოს გარეშე, სახლიდან არასოდეს გავდივარ...

შოულობ. ამ შემთხვევაში ფეხსაცმლის დიზაინერს მივმართავ.

— აქსესუარები გიყვარს?

— ძალიან მიყვარს როგორც ოქრო და ძვირფასთვლიანი ნივთები, ასევე ბიჟუტერიაც. ახლახან, ჩემმა მულმა ლონდონიდან ძალიან კარგი სამკაულები ჩამომიტანა. მიყვარს ჩანთებიც — მიუხედავად იმისა, რომ სახლში აუარებელი ჩანთა მაქვს, როცა მაღაზიაში შევდივარ, ჩანთებს მაინც ვათვალიერებ ხოლმე.

— სოლარიუმში ხშირად დადიხარ?

— მიყვარს სოლარიუმში სიარული, მაგრამ ამ ბოლო დროს, თავს ვიკავებ. ამბობენ — კანისთვის მავნებელიაო. ბოლოს, სოლარიუმში გარუჯვის შემდეგ

შევამჩნიე, რომ კანზე, რაღაც ლაქები გამიჩნდა. ძალიან შევშინდი და მას შემდეგ აღარ წავსულვარ.

— რა აზრის ხარ პლასტიკურ ოპერაციაზე?

— ბევრი ადამიანი ამბობს, რომ ყველაფერს ბუნებრიობა სჯობიაო, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია — როცა დიდი ცხვირი და დიდი თეძოები გაქვს, პლასტიკური ოპერაცია აუცილებლად უნდა გაიკეთო. ამ თემაზე, ხშირად ხუმრობენ — ბავშვი რომ გაუჩნდება, მშობელს არ დაემსგავსებაო...

— შენ თუ გიფიქრია, რაიმე შეგეცვალა შენს გარეგნობაში?

— მიფიქრია, ოღონდ — ბავშვობაში. ძალიან მინდოდა, ცხვირის ოპერაცია გამეკეთებინა: რატომღაც მეჩვენებოდა, რომ დიდი ცხვირი მქონდა. როცა გავიზარდე, ამ ახირებამ გამიარა. თუკი ფეხმძიმობის შემდეგ, გავსუქდები და ფორმას დავკარგავ, აუცილებლად გავიკეთებ ლიპოსაქციას.

— სარკის წინ ტრიალი თუ გიყვარს?

— როცა დილით თავს ვიწესრიგებ, მაშინ ვტრიალებ სარკის წინ, თორემ, მერე, შეიძლება, მთელი დღე აღარ ჩავიხედო. თუ ფორმაში არ ვარ და რაღაც ისე არა მაქვს, როგორც მე მინდა, ძალიან ვიტანჯები და შეიძლება, დღეში ათასჯერაც კი ჩავიხედო სარკეში.

■

„იუმორინის“ კონცერტებმა ჩვეული წარმატებითა და მხურვალე აპლოდისმენტების თანხლებით ჩაიარა. მამა-შვილი ბაღაშვილების შემოქმედებითმა სტრატეგიამ ამჯერადაც გაამართლა და პოლიტიკური იუმორით შეზავებული საკონცერტო პროგრამა პუბლიკამ საუცხოოდ მიიღო. მაყურებელი ცნობისმოყვარედ ადევნებდა თვალყურს დებიუტანტებს და გაკვირვებული ჩანდა იმით, თუ რატომ არ მონაწილეობდნენ კონცერტში „იუმორინის“ სახედ ქცეული მსახიობები. მაგალითად, ვინ შეცვალა ნინაკა გელაშვილი და სად იპოვა გია ბაღაშვილმა „ქუჩის მუსიკოსები“?

„ჩვენი მსახიობები კონცერტებზე ტრავმირებულებიც მამოდიან“

ანეკ როგორ შეკრიბა გია ბაღაშვილმა „იუმორინიზე“ ქუჩის მუსიკოსები

ემა ტუხიაშვილი

გია ბაღაშვილი:

— მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ წარმატებული საესტრადო მოღვაწეობა განახლების გარეშე, წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, სიახლე გულისხმობს, როგორც საკონცერტო რეპერტუარის მრავალფეროვნებას, ასევე ახალი, ნიჭიერი სახეების წარმოჩენას. წლების განმავლობაში, „იუმორინის“ საკონცერტო პროგრამაში ცნობილი მსახიობების — ჩვენი, ასე ვთქვათ, „საფირმო სახეების“ როტაციას ვახდენდით. მაგალითად, ერთ საკონცერტო სეზონზე თუ გურამ ჯაში არ მონაწილეობდა, მეორე სეზონს დათო როსტომაშვილი გამოაკლდებოდა ხოლმე. იყო შემთხვევა, როდესაც „იუმორინაში“ ნინაკა გელაშვილიც არ მონაწილეობდა და აგერ უკვე ორი კონცერტი თვით ბატონმა გივი ბერიკაშვილმაც კი გამოტოვა. როგორც კი მათი საკადრისი, საინტერესო რეპერტუარი შეიქმნება, ისინი კვლავ წარდგებიან მაყურებლის წინაშე. ასეთი საკონცერტო სტრატეგია საშუალებას გვაძლევს, მაყურებელს, ახალ სახეებთან ერთად, მრავალფეროვანი რეპერტუარიც შევთავაზოთ.

— ამ სეზონით კმაყოფილი ხართ?

— როდესაც ყოველი პრემიერისა თუ რიგითი წარმოდგენის შემდეგ, მაყურებელი ამბობს — ეს პროგრამა წინამორბედზე უკეთესი იყოო, — ეს უკვე წარმატების მაჩვენებელია და ვიდრე ასე იქნება, „იუმორინა“ აქტუალობას არ დაკარგავს. ამ საკონცერტო პროგრამაში მაყურებელს 15 დებიუტანტი მსახიობი და შემსრულებელი წარვუდგინეთ, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც პირველად იდგა დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე. თიკა ფაცაცია და ირინა ონაშვილი მაყურებლის წინაშე მათთვის უჩვეულო, ახალ ამპლუაში წარდგნენ და სახალისო მუსიკალური ნომერი შეასრულეს. კონცერტის წამყვანის ფუნქცია გოგა პიპინაშვილსა და ზურა შარიას ერგოთ. „იუმორინის“ საშუალებით, ფართო აუდიტორიას გავაცანით ანსამბლ „ბარძიმის“ შემოქმედება, რომელსაც ბატონი რობერტ ბარძიმაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. ანსამბლის წევრ ვაჟებს რობერტ ბარძიმაშვილი ქართულ სიმღერას 5-6 წლის ასაკიდან აზიარებდა, მაგრამ სამწუხაროდ, დიდ სცენაზე მათი გამოყვანა ვერ მოასწრო. მიხარია, რომ მაყურებელმა სათანადოდ შეაფასა ამ ბიჭების ნიჭიერება და რთულ, მრავალხმიან ჰანგებს ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეეგება. ჩვენი მხრიდან მართლაც თამამი ნაბიჯი იყო ის, რომ საკონცერტო პროგრამა სრულიად უცნობი ახალი მუსიკალური ჯგუფის — „ქუჩის მუსიკოსების“ 15-წუთიანი გამოსვლით დავასრულეთ. თუმცა, არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ „ქუჩის მუსიკოსებს“ სენსაციური წარმატება ხვდათ წილად.

— როგორც ვიცი, ეს ჯგუფი თქვენ შექმენით. დაწვრილებით მოგვიყევით, ვინ არიან ეს ადამიანები და რაზე მიგვანიშნებს ამ ანსამბლის სახელწოდება?

— მე და მამაჩემს დიდი ხანია, გვსურდა, რომ განსხვავებული ტიპის ჯგუფი ჩამოგვეყალიბებინა, ვეძებდით ადამიანებს, რომლებიც ერთი მხრივ, ვირტუოზულად ფლობენ ამა თუ იმ მუსიკალურ ინსტრუმენტს, მეორე მხრივ, პროფესიონალი მომღერლები არიან და ამასთან, არტისტული მონაცემებითაც გამოირჩევიან. საოცარი ის იყო, რომ თითქმის ორწლიანი ძიების შემდეგ, ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს არა დიდ, პროფესიონალურ სცენაზე, არამედ საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ, ვიწრო გარემოში მივაგენით. ჯგუფი „ქუჩის მუსიკოსები“, 5 წევრისგან შედგება. გუჯა მარდალეიშვილი ვირტუოზი მევიოლინეა. ამჟამად, კონსერვატორიაში, მაგისტრატურაში სწავლობს.

ვიდრე „იუმორინაში“ მიიღებდა მონაწილეობას, რესტორნებსა და სხვა არასაკონცერტო გარემოში უხდებოდა გამოსვლა. ძალიან ნიჭიერი ადამიანი გახლავთ „ქუჩის მუსიკოსების“ გიტარისტი — ხვიჩა მაღლაკელიძე, რომელსაც ქობულეთში ერთ-ერთ რესტორანში მოვუსმინე. მოსკოვში, ქართულ რესტორანში შევხვდი შესანიშნავ მომღერალსა და აკორდეონზე ვირტუოზულად შემსრულებელს — სულიკო ღაღაშვილს. „ქუჩის მუსიკოსების“ ბანს — მერაბ სამყურაშვილს კი, კონსერვატორიიდან ვიცნობ. ის ნოდარ ანდღულაძის კლასში სწავლობს და ჩემს ლექციებსაც ესწრებოდა. ის, სიმღერის გარდა, პროფესიონალურად უკრავს სალამურზე. ჯგუფის მეხუთე და ყველაზე უფროსი წევრი შესანიშნავი ტენორი და საქსოფონისტი, გია დავითიანი გახლავთ.

— სწორედ გია დავითიანი იყო, თქვენ რომ სცენაზე ინვალიდის ეტლით გამოიყვანეთ...

— საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე კონცერტის შემდეგ, გიამ ფეხი მოიტეხა, ხოლო იმის გამო, რომ მას ვერ-ავინ შეცვლიდა, სცენაზე ინვალიდის ეტლით გამოგვყავდა. თავდაპირველად, არც ვიცოდით, თუ რა ემოციებს გამოიწვევდა მაყურებელში ინვალიდის ეტლში მჯდარი მუსიკოსი, მაგრამ უმეტესობამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ეს აღიქვა, როგორც სოლიდარობის გამომხატველი ჟესტი, ნიჭიერი, უნარშეზღუდული შემსრულებლების მიმართ.

— როგორც ვხედავ, საწარმოო ტრავმები „იუმორინისთვის“ ჩვეულ მოვლენად იქცა: შარშანდელ კონცერტებზე, ვახტანგ ტატიშვილი კოჭლობდა...

— მართალი ბრძანდებით, შარშან ბატონმა ვახტანგმა მართლაც იღრძო ფეხი და კინაღამ „რწყილის“ გარეშე დავრჩით. მაგრამ ტრავმები ვერაფერს დაგვაკლებს, რადგან ჩვენი მსახიობები ხელოვნებისთვის თავდადებული ადამიანები არიან და ტრავმირებულებიც კი არ აცდენენ კონცერტებს...

— ისევ ჯგუფ „ქუჩის მუსიკოსებს“ დავუბრუნდეთ. თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მის წევრებს შორის, პირდაპირი მნიშვნელობით ქუჩის მუსიკოსი არავინაა. მაშ, საიდან წარმოიშვა ჯგუფის სახელწოდება?

— უკანასკნელი წლების განმავლობაში, ქართულ შოუბიზნესში ნიჭიერების იგნორირება ხდებოდა. ფულით ზურგგამაგრებულმა, კომპიუტერზე საგანგებოდ ხმაგასწორებულმა არაერთმა ფსევდომომღერალმა „ვარსკვლავის“ სახელი „დაიგდო“, უამრავი მართლაც ნიჭიერი, პროფესიონალი მომღერალი თუ მუსიკოსი, სცენის მიღმა აღმოჩნდა და ბედის ანაბარა, ფაქტობრივად, ქუჩაში დარჩა. ზოგმა ბარსა თუ რესტორანს მიაშურა, ზოგიც, პირდაპირი მნიშვნელობით, ქუჩებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში დგას და იქ უკრავს... სახელწოდება „ქუჩის მუსიკოსები“ სწორედ მათი ხვედრის სიმბოლური განზოგადებაა... არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ქუჩაში დაუკრავს მუსიკოსი თუ რესტორანში, რადგან არც ერთ შემთხვევაში, მისი როგორც პროფესიონალის თვითრეალიზაცია არ ხდება და საზოგადოება კარგავს საინტერესო შემოქმედს. პრობლემა ის კი არ არის, რომელიმე მუსიკოსმა შემოქმედებითი გზის გავლა ქუჩიდან ან რესტორნიდან დაიწყოს. ქუჩაში თავის დროზე, ისეთი ბუმბერაზები უკრავდნენ, როგორებიც ლუი არმსტრონგი და პაკო დე ლუსია გახლდნენ. რესტორნებში მღეროდნენ: ელა ფიცჯერალდი, ტონი ბენეტო, ბარბრა სტრეიზანდი და უდიდესი დანაკლისი იქნებოდა, რომ ამ დონის მუსიკოსებს განვითარების საშუალება არ მისცემოდათ და ბოლომდე, ქუჩასა და რესტორნებში დარჩენილიყვნენ... „ქუჩის მუსიკოსების“ წარმოჩენით, იმის თქმა გვინდოდა, რომ საქართველოში ხალასი ნიჭი არ გამქრალა — უბრალოდ, ნიჭიერ, მაგრამ უფულო მსახიობებსა თუ მუსიკოსებს პატრონი არ ჰყავთ. მათ აღმოჩენაზე, მათთვის ხელშეწყობაზე, პროფესიონალურ ზრდასა თუ ასპარეზის მიცემაზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობს. ცხადია, ამ საქმეს მხოლოდ „ლომისი“ და ბაღაშვილები ვერ გასწვდებიან. საერთოდაც, ეს ნაკლებადაა კერძო კომპანიების საკეთებელი საქმე. წესით და რიგით, ამაზე, პირველ რიგში, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, კერძოდ, კულტურის სამინისტრო, ქალაქის კულტურის სამსახური და სხვა ოფიციალური სტრუქტურები, რომელთაც სახელმწიფოში კულტურული პოლიტიკის წარმართვა ევალებათ და საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. საინტერესოა, თუკი კერძო ფირმა სისტემატურად ახერხებს საზოგადოებისთვის უცნობი, ნიჭიერი არტისტების მოძიებას, მათთვის სათანადო რეპერტუარის შექმნასა და ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენას ისე, რომ ერთ თეთრსაც არ იღებს სახელმწიფოსგან, რა უშლის ხელს სახელმწიფო სტრუქტურებს?!. ჩემი ღრმა რწმენით, ქართულ სიმღერაზე (ვგულისხმობ, როგორც ხალხურს, ისე პროფესიონალურს) და ამ სიმღერის ნიჭიერ, მაგრამ უსახსრო შემსრულებლებზე ზრუნვა ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს. „ქუჩის მუსიკოსების“ კომპოზიციაში ერთი ასეთი ფრაზაა: „ვარდის ნაცვლად, დღეს ეკალი ამოჰყავთ, ჩვენს სცენაზე რუსლანები ჩამოჰყავთ...“ ქალბატონი რუსლანას საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს — მშვენიერი უკრაინელი გოგოა, რომელმაც თავისი ქვეყანა ევროპულ კონკურსზე ასახელა, მაგრამ ის თანხა, რომელიც სახელმწიფომ საქართველოში მის ჩამოსაყვანად დახარჯა, ათობით ქართველი მუსიკოსის ხელშეწყობასა და დასაქმებას ეყოფოდა. არადა, ეს საქმე, ვფიქრობ, გაცილებით მეტად უნდა შედიოდეს სახელმწიფოს ინტერესებში.

მევიოლინე — გუჯა მარდალეიშვილი, გიგარისტი — ხვიჩა მაღლაკელიძე

— ამ ჯგუფს თქვენ ხელმძღვანელობთ. გასაგებია, რომ მისი ყოველი წევრი ჩინებული მუსიკოსია, მაგრამ მათი ერთ გუნდად შეკვრა ხომ არ გაგიჭირდათ?

— მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ყველა წევრი პროფესიონალია, 15-წუთიან საკონცერტო ნომერს, 4 თვის განმავლობაში ვამზადებდით. რეპეტიციას ყოველდღე, 3-4 საათი ვანდომებდით. შევეცადეთ, რომ მრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონოდათ: ვიქტორ დოლიძით დაწყებული — ვივალდით დამთავრებული; ქალაქური ფოლკლორით დაწყებული — გუნოს „ფაუსტით“ დამთავრებული. ის, რაც მაყურებელმა „ქუჩის მუსიკოსების“ შესრულებით ახლა იხილა, მათი შესაძლებლობების მაქსიმუმი როდია... ერთი სახალისო ამბავი გამახსენდა. რეპეტიციების დროს, ვმსჯელობდით — მევიოლინეს, სცენაზე ჩვეულებრივ აკუსტიკურ ვიოლინოზე დაეკრა თუ ელექტრონული ვიოლინო გამოგვეყენებინა? რა თქმა უნდა, ორივე ვარიანტი ვცადეთ. ელექტროვიოლინოს ცოტათი უცნაური ფორმა აქვს — ის მოგრძო დაფას ჰგავს, რომელზეც 4 სიმია გაბმული. გოგა პიპინაშვილი რეპეტიციაზე სწორედ ელექტრონული ვიოლინოს შემოწმების პროცესს შეესწრო და „იუმორინაში“ მისი გმირის — პარუნ ოსეფას ხმის ტემბრით მოგვაძახა: ვაი-ვაი, ვაი-ვაი! ნახე, სუში, კაცი დამდგარა, პარკეტზე უკრავსო!..

— ბევრი ვისაუბრეთ „ქუჩის მუსიკოსების“ ბედზე. საინტერესოა, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც ქუჩაში გავლისას ისეთი ჰანგები მოგისმენიათ, რომლის მიმართაც გულგრილი არ დარჩენილხართ?

— ძალიან ხშირად. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ქუთაისში ყოფნისას, მოვისმინე, თუ როგორ უკრავდა და მღეროდა ერთ-ერთი რესტორნის შესასვლელთან ორი, საშუალო ასაკის მამაკაცი. საოცარი მოსასმენი იყო, ბევრ აღიარებულ ოსტატს შეშურდებოდა მათი. სამწუხაროდ, მაშინ ამ ქუჩის მუსიკოსებთან დაკონტაქტება ვერ მოვახერხე, მაგრამ იმედს ვიტოვებ, მომავალში მექნება იმის შესაძლებლობა, რომ მათი ხელოვნება ფართო აუდიტორიას გავაცნო. ■



რამდენი ტიპის ადამიანი შეიძლება აღიბეჭდოს ფოტოზე, რა არის ამ შემთხვევაში დამოკიდებული ფოტოგრაფზე და ფოტოაპარატის შესაძლებლობებზე, რას ხედავს ფოტოთვალი ისეთს, რისი დანახვაც ემოციებით დატვირთულ ადამიანს არ შეუძლია, რატომ თამაშობენ ადამიანები ფოტოკამერის წინ, რატომ ოცნებობენ ფოტოგრაფები შიშველი სხეულის გადაღებაზე, შეიძლება თუ არა ფოტოს მეშვეობით ჯადოს გაკეთება და ფოტოსურათით ადამიანის შეყვარება? — აი, საკითხთა წრე, რომელიც გამოცდილ ფოტოგრაფთან, იური მეჩითოვთან საუბრისას შემოვხაზეთ და ვცადეთ დაგვედგინა, თუ რა ფსიქოლოგიური „ძაფები“ აკავშირებს ერთმანეთთან ფოტოკამერასა და მის ობიექტივში მოხვედრილ ადამიანებს.

„ფოტოგადაღება დახვრეტის ან სქესობრივი აქტის ტოლფასია"...

ინგა უბილავა

— ბატონო იური, თქვენი აზრით, ფოტოგრაფები განსხვავებული ხედვის ადამიანები არიან?

— ფოტოგრაფი, ფოტოოპტიკის, ფოტოაპარატის საშუალებით ხედავს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა, ვინც აპარატს ხელში აიღებს და დააჭიკუნებს, ფოტოგრაფია: კამერის შესაძლებლობების ცოდნის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს რაკურსს, იმ წერტილს, საიდანაც გადაღება ხდება. თუ ფოტოგრაფი პორტრეტზე მუშაობს, მან იცის, ფოტოაპარატის საშუალებით, ადამიანის ტიპაჟში, მის ხასიათში რისი ხაზგასმა და რისი „ჩაქრობა“ შეუძლია. მაგალითად, როცა ქედმაღლობის აქცენტირება გვსურს, გადაღება ოდნავ ქვემოდან ხდება... ერთი რამ კი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: პიროვნების პორტრეტის გადაღება არ გულისხმობს იმ ადამიანის „ასლის“ გაკეთებას, ასეთი რამ ფოტოაპარატს არ შეუძლია...

— გადაღებისას, ადამიანებს ხშირად, მღელვარება ეუფლებათ, განიცდიან — როგორი იქნება მათი „ანარეკლი“. რატომ ანიჭებენ ფოტოს ასეთ მნიშვნელობას?

— ყველა ადამიანი თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ადამიანის „მეობას“ გაუსვამს ხაზს, ცოტათი მაინც მაღლა ასწევს მას გარშემო მყოფთა თვალში, მისთვის მისაღებია. და პირიქით: რაც მის „მეობას“ დააკნინებს — მიუღებელი. ადამიანისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამქვეყნად საკუთარი კვალის დატოვება. ამ თვალსაზრისით, ფოტოს, „სავიზიტო ბარათის“ ფუნქცია ენიჭება — ყველა ცდილობს, მასზე გამოჩნდეს ლამაზი, ჭკვიანი, არავის უნდა, რომ სურათმა მისი ნაკლი ან სისუსტე „აირეკლოს“... ზოგადი სურათი ასეთია: ქალებს ეშინიათ, ფოტოზე ულამაზოები რომ გამოჩნდნენ, მამაკაცებს კი — უჭკუო და სულელები. ქალი ხშირად კარნახობს ფოტოგრაფს, რომელი მხრიდან გადაუღოს მას ფოტო: ალბათ, ერთხელ, ვიღაცამ გადაუღო იმ მხრიდან, მოეწონა და ექსპერიმენტს გაურბის...

— ეთანხმებით იმ აზრს, რომ ფოტოგრაფია წამს აჩერებს?

— არა, რადგან ეს წამი შეიძლება, „ტყუილი“ აღმოჩნდეს. ვთქვათ, აკეთებ ცნობილი ადამიანის პორტრეტს, რომელიც შთამომავლობას უნდა დარჩეს და უეცრად გადაუღე ფოტო, რომელზეც ყურში თითი აქვს გაჩრილი. ამ სურათის დაბეჭდვა „ტყუილი“ იქნება, ვინაიდან მასზე შემთხვევითი კადრია აღბეჭდილი. როცა სურათზე არც ხასიათის ხაზგასმაა და არც რაიმე სხვა მნიშვნელოვანის, ფოტოგრაფი ფოტოპროდუქტს კი არ ქმნის, არამედ — ახალ რეალობას (შენებურად დანახულს), რომელიც რეალურ სინამდვილეს ეწინააღმდეგება...

— კარგი პროდუქტის შესაქმნელად, ფოტოგრაფმა აუცილებლად უნდა იცოდეს რაღაც იმ ადამიანზე, ვისაც სურათს უღებს?

— ფოტოგრაფი უნდა იყოს ფსიქოლოგი, თერაპევტი... სანამ გადაიღებს, უნდა იცოდეს, ვინ არის მისი ობიექტი. შეცნობის პროცესი იმთავითვე იწყება. რა თქმა უნდა, ამაში უპირველესად, ინტუიცია გეხმარება. ადამიანს რომ შეხედავ, მისგან ან დადებითი მუხტი მოდის ან უარყოფითი, თუმცა, ყველა ადამიანშია კარგი და ცუდი. მთავარია, რა მიზანს დაისახავს ფოტოგრაფი... ერთი მეგობარი მყავს, რომელიც ოთახში შესვლისთანავე, კომპიუტერებს აჩერებს: უარყოფითი გამოსხივება აქვს. წარმოიდგინეთ, როცა ამის დანახვა ჩვეულებრივი, შეუიარაღებელი თვალით შეიძლება, როგორ დაინახავს ამას შეიარაღებული თვალი!.. ფოტოგრაფმა შეიძლება, მისი „სიგიჟე“ გაასმაგებულად წარმოაჩინოს ან პირიქით — შეარბილოს...

— საინტერესოა. ეი. როგორი მუხტის მატარებელი იქნება ფოტო, უმეტესწილად, ფოტოგრაფის სურ-

ნინო რამიშვილი



ოთარ კობერიძე

მერაბ ელიოზიშვილი



ვილზეა დამოკიდებული?.. ფოტოგრაფი და მისი პროდუქტი თუ ჰგვანან ერთმანეთს?

— ვფიქრობ, არა მარტო ხელოვანი, არამედ ნებისმიერი ადამიანი, ამაღლებული სულის მქონე უნდა იყოს. ეცადოს, ყველაფერში კარგი და დადებითი დაინახოს. უარყოფითი პიროვნებაც კი შეიძლება გააკეთილშობილო. თუ აგრძნობინებ, რომ აფასებ, მის საჭიროებას ხედავ... მაგალითად, კარგმა „გამარჯობამ“ ადამიანს შეიძლება, განწყობილება შეუცვალოს და ეს განწყობილება მთელი დღის მანძილზე გაჰყვეს. ვინც ამაზე ფიქრობს და ასე იქცევა, ის დიდი ადამიანია.

— წლები ადამიანთა ფოტოპორტრეტებსაც ცვლის თუ ფოტოზე ადამიანები ყოველთვის ერთსა და იმავე ხასიათს, ემოციებს „ტოვებენ“?..

— ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, მთელი ტომი დაიწერება. ბუნებრივია, ყველაფერი იცვლება ამ ცხოვრებაში და მათ შორის — ფოტოპორტრეტებიც. საუკუნის წინ, ცხოვრების სხვა ტემპი, სხვა რიტმი იყო; ამასთან, გადაღების სხვა წესი და ფოტო, ადამიანის სახის ნაკვთებთან ერთად, ამაზეც იძლევა ინფორმაციას. იცით, ყოველთვის ვცდილობ, ის ფაციფუცი, სიგიჟე, რომლითაც ყოველდღიურობა ხასიათდება, ფოტოზე მკაფიოდ არ იყოს გამოხატული. ფოტოგრაფირება მხოლოდ წამის დაჭერა არ არის. ფოტოგრაფი ცდილობს, უსასრულობა, მარადიულობა „დაიჭიროს“. ამასთან დაკავშირებით, შემიძლია, მაგალითიც მოვიყვანო: ერთხელ, სცენარისტსა და მსახიობ გია ბადრიძეს პორტრეტი გავუკეთე, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ვაჩუქე. ისე მოეწონა, ჩარჩოში ჩასვა და კედელზე დაკიდა... მის დაკრძალვაზე ეს პორტრეტი საფლავზე იყო გამოტანილი. მეგობრები (ნახევარზე მეტი) გამოსამშვიდობებელ სიტყვას რომ ამბობდნენ, თითქოს ამ პორტრეტზე ლაპარაკობდნენ... მეამაყებოდა ამ სიტყვების მოსმენა, თუმცა, მრცხვენოდა კიდეც... პორტრეტმა წარმოაჩინა გია ისეთი, როგორი წარმოდგენაც მასზე მის მეგობრებს ჰქონდათ... ზოჯერ, შემთხვევით შეიძლება გამოგივიდეს ასეთი ფოტო, თუმცა, ფოტოგრაფი ყოველთვის ცდილობს, რომ ფოტო ლაპარაკობდეს არა მხოლოდ მასზე ასახულ პიროვნებაზე, არამედ უფრო მეტზე, საერთოდ ცხოვრებაზე...

— ამას წინათ, ერთ-ერთი ცნობილი პიროვნების ფოტოალბომს ვათვალიერებდი. ყველა სურათზე ზედმეტად არტისტული იყო და ვკითხე — ფოტოს გადაღებისას, პოზიორობ-მეთქი? მიპასუხა — ვთამაშობ. რადგან მინდა, ჩემი პიროვნება მრავალმხრივად წარმოვაჩინოო...

— ადამიანები ობიექტივის წინ თამაშობენ — ცდილობენ, უკეთესები გამოჩნდნენ. ჯერ ერთი, ცხოვრება თეატრია და ჩვენ ყველანი ვთამაშობთ; სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობისას, განსხვავებულ ნიღბებს ვირგებთ და მეორე, ჩვენ ამას ვერ მოვიშლით, ვინაიდან ეს ადამიანის ბუნებაში ზის. როგორც ცხოვრებაში არ არის ადამიანი ყოველთვის ერთნაირი, ასევეა ფოტოს გადაღების დროსაც.



— ფოტოკამერასთან გაუცხოების მომენტის დაძლევა როგორ ხდება?

— ფოტოს გადაღება გარკვეულწილად, ადამიანის „დახვრეტაა“ და ამ გარემოების გათვალისწინებაცაა საჭირო, სამუშაოს სათანადოდ ჩასატარებლად, კერძოდ — რომ ობიექტს არ ეუცხოოს კამერა... რატომ მიდიან 18-20 წლის ახალგაზრდები ომში? იმიტომ, რომ მათთვის იარაღი, ჰორმონალური აფეთქების საშუალებად იქცევა; იარაღიდან გასროლა მათთვის პრაქტიკულად, სქესობრივი აქტის ტოლფასია... იგივე მომენტია ფოტოს გადაღების დროსაც: როცა ცივი ობიექტივით „ხვრეტ“ ადამიანს, ის დისკომფორტს განიცდის და არ მოგყვება. ამ დროს, ბევრი რამ ფოტოგრაფზეა დამოკიდებული. ადამიანებს შორის, არსებობს რამდენიმე ველი და მან არსებული დისტანციის გადალახვა უნდა შეძლოს. ერთი ადამიანი ეუცხოება მეორე ადამიანს, მით უმეტეს, თუ ის შეიარაღებულია. ასე რომ, ფოტოგრაფმა უნდა დაიცვას ინტიმური ველი. მოკლედ, არსებობს ინტიმური მანძილი, სადაც ფოტოგრაფი არ უნდა შეიჭრას...

— ყველას უჭირს ფოტოკამერის წინ პოზირება?

— ვინც მიჩვეულია კამერას, იმას 5 ობიექტივი ერთად რომ მიუშვირო, არ შეაწუხებს, მაგრამ წარმოიდგინეთ, როცა რუსთაველის თეატრის მსახიობს, რომელსაც ფოტოსეანსები არ გაუვლია, ეუცხოება პოზირება, რა დღეში იქნებიან უბრალო ადამიანები, რამდენად რთული იქნება მათთვის ცივი ობიექტივის წინაშე „თამაში“!..

— ინტიმური მანძილი ახსენეთ და გამიჩნდა კითხვა: რა ინტიმური მანძილია დაბეჭდილ ფოტოსა და ფოტოზე ასახულ ადამიანს შორის? არის თუ არა ფოტო ადამიანის ენერგეტიკის იმ დოზით მატარებელი, რომ მას ამ ფოტოს მეშვეობით, ჯადო გაუკეთონ?

— ჩვენ ენერგოინფორმაციულ სამყაროში ვცხოვრობთ, ამდენად, „ბოროტი“ ენერგიის გამოსაყენებლად, შესაძლებელია, ფოტოს მივმართოთ. ფოტო მუდმივ კავშირშია მის პატრონთან, მისი ენერგიის



მატარებელია. თუკი ადამიანი ფოტოსთან კავშირს გრძნობს, ეს სურათი მისთვის მნიშვნელოვანია, მაშინ ფოტოსა და ამ ადამიანს შორის კავშირიც ძლიერდება. ჩემი აზრით, ასეთ ფოტოზე გაკეთებული ჯადო უფრო იმოქმედებს, ვიდრე „სუსტ“ ფოტოზე.

— თქვენ დიდი ხანია მუშაობთ ცნობილ სახეებზე. საინტერესოა — რამდენად ემთხვევა საზოგადოებაში მათზე შექმნილი აზრი იმას, რასაც თქვენ „შეიარაღებული თვალით“ ხედავთ?

— რა თქმა უნდა, ფოტოგრაფმა შეიძლება, ისეთი რამ დაინახოს, რაც ეწინააღმდეგება მის შეხედულებას ცნობილ ადამიანზე. მასას უყვარს ცნობილ ადამიანებზე მითების შეთხზვა და შემდგომ, ამ მითების დაჯერება. ერთ მაგალითს მოვიყვან. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერზე მასის აზრს რადიკალურად „ეწინააღმდეგებოდა ჩემი კამერა“: მიკვირდა — როგორ შეიძლებოდა, ამდენი მომხრე ჰყოლოდა ადამიანს, რომელიც ელემენტარულად, ობიექტივში, „თვალში“ არ მიყურებდა?!.

— აუცილებელია, თვალში გიყურონ?

— ეს პატარა საქმე როდია. როცა ადამიანი თვალს ვერ გისწორებს, მას ელემენტარულად, რაღაცის ეშინია... ზოგჯერ იმას, რასაც ვერ ხედავენ ადამიანები, ხედავს კამერა. 90-იანი წლების საქართველოში იმდენად რომანტიკული სიტუაცია, ისეთი ემოციები და მოლოდინი იყო, რომ ადამიანებს უჭირდათ რეალური სურათის აღქმა...

— გინდათ თქვათ, რომ ზოგჯერ, აპარატი ადამიანის თვალზე უკეთ და მეტსაც ხედავს?

— აბსოლუტურად განსხვავებულია ის, რასაც ხედავს ობიექტივი, იმისგან, რასაც ადამიანის თვალი აღიქვამს. ობიექტივი მეტ-ნაკლებად ობიექტურ სურათს „ხედავს“. ფანტასტიკური გამონათქვამია: „უფრო სუბიექტური, ვიდრე ობიექტივია, არ არსებობს“. ადამიანი „უყურებს“ ტვინით, ემოციით, მოლოდინით, მისწრაფებებით, განცდებით, ის არასოდეს უყურებს „სუფთა თვალით“ — ამიტომაც არის ადამიანი. ობიექტივი კი, იღებს იმას, რაც სინამდვილეშია. თუმცა, შემთხვევითობისგან არავინ არის დაზღვეული. ფოტოგრაფმაც შეიძლება, ისეთ რამეს გაუსვას ხაზი, რაც ჭეშმარიტებისგან შორს დგას... არავინ არის ბოლომდე დარწმუნებული იმაში, კარგი ფოტო გადაიღო თუ არა, ამიტომაც, როცა მინდა, დავადგინო, როგორია ჩემ მიერ გადაღებული სურათი, დაახლოებით ათ ადამიანს მაინც ვუჩვენებ — მათ, ვისაც ფოტოსი რაიმე გაეგებათ.

— როგორც ვიცი, პრეზიდენტთანაც გიმუშავიათ. რას „ამბობს“ თქვენი კამერა მიხეილ სააკაშვილზე?

— საკრებულოს არჩევნებისთვის ვუღებდი ფოტოებს, ის კი არჩევდა, მეხმარებოდა *(იცინის)*... მე კი არა, საკუთარ თავს ეხმარებოდა, რადგან კარგად იცის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი გამოჩნდება ფოტოზე... არჩევნების შემდეგ რომ შეხვდა, მითხრა — ჩემი წარმატების 4-5% — შენი დამსახურებაა: წარმატებული ფოტო იგულისხმა.

— შეგიძლიათ დაასახელოთ ცნობილი პიროვნება, რომელსაც ძალზე უყვარს ფოტოგადაღება?

— მიყვარს ასეთი ადამიანების გადაღება. მათ მიიღეს რამდენიმე სურათი, რომლითაც საკუთარ თვალში ამაღლდნენ და ამის გამეორება სურთ — სულ „პატარ-პატარა ორგაზმების“ მიღება უნდათ... ცნობილი ადამიანებიდან, სერგო ფარაჯანოვს დავასახელებ. ის დიდი სიამოვნებით თანხმდებოდა გადაღებაზე, მეტიც — თავად დგამდა კადრს, თამაშობდა... იმ უამრავ ფოტოს, რომელიც მისთვის გადამიღია, სინამდვილეში, ორი ავტორი ჰყავს — სერგო ფარაჯანოვი და იურა მეჩითოვი. ყველაზე ცნობილი სურათი, რომელიც ძეგლად იქცა, თავიდან ბოლომდე მისი დადგმულია: თავად სერგომ მიკარნახა ადგილი, წერტილი, მითხრა, სად უნდა დავმდგარიყავი, რა გამომეჩინა — ყველაფერი დამიზუსტა და რა თქმა უნდა, მეც „დავიჭირე“ კადრი. სხვათა შორის, მუშაობას ვიწყებ წიგნზე — „დიალოგის ქრონიკა“, სადაც ლაპარაკი იქნება დიდ მაესტროზე — სერგო ფარაჯანოვზე — და ჩემზე. სერგო ჩემი მაესტრო იყო, ამდენად, დიალოგები იმართებოდა „ზემოდან — ქვევით“ და „ქვევიდან — ზემოთ“... დიალოგების გარდა, წიგნში იქნება ორივეს ფოტოები. იურა მეჩითოვის მიერ სერგო ფარაჯანოვის 12-წლიანი მეგობრობის მანძილზე გადაღებული და იურას ფოტოები, რომელათგან ბევრი, თავად იურას გადაღებულია...

— კიდევ ერთი თემა — ეროტიკული ფოტოები. რამდენად ძნელია ეროტიკული ფოტოს გადაღება და თქვენ თუ გამოგდით ეს ჟანრი?

— ეროტიკული ფოტოს თემაზე საუბრისას, შემდეგი მომენტია გასათვალისწინებელი: ადამიანს სურს, დაცული იყოს. ამიტომაც, როცა მასთან ვინმე მოდის, ის პირველ რიგში, არკვევს — მოყვარე ესტუმრა თუ მტერი. აი, ეს გახლავთ პირველი ბარიერი, რომელიც ეროტიკული ფოტოს გადაღებისას უნდა გადალახო — ანუ იმ ადამიანისთვის, ვისაც ასეთ ფოტოს უღებ, ძალზე ახლობელი უნდა გახდე. ადამიანი გრძნობს, თუ როგორი განწყობილება გაქვს მის მიმართ და იმასაც ადეკვატური განწყობილება თუ არ შეექმნა, დიალოგი ვერ შედგება. შიშის განცდა

გია ყოგიშვილი

დათო იაშვილი

ობიექტივი მეტ-ნაკლებად ობიექტურ სურათს „ხედავს“

რომ კლებულობს, ადამიანიც იხსნება და ფოტოგრაფსაც მოქმედების საშუალება გეძლევა... 25 წლიდან ვოცნებობდი შიშველი სხეულის გადაღებაზე, მაგრამ მეგონა, რომ ამას ვერ შევძლებდი... შიშველ სხეულს ვერ გადაიღებ, თუ არა გაქვს ეროტიკული გრძნობა. თუმცა, გადაღებისას, ამ გრძნობის სუბლიმაცია, „კონვერტაცია“, ტრანსფორმაცია უნდა მოახდინო... მოკლედ, 48 წლის ასაკში გადავიღე პირველად შიშველი სხეული.

— ქალის?

— დიახ, ქალის, რადგან ტრადიციული ორიენტაციის ადამიანი ვარ და ქალის მიმართ ვიგრძენი ლტოლვა, თან — იმ ასაკში, როცა განცდა აბსოლუტურად სხვანაირია: ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ერთ დროს, წარსულში იქნება... 1999 წელს, გამოფენაზე გამოვფინე შიშველი სხეულის ფოტოები... გავაშიშვლე 25-მდე

ქალი ხშირად კარნახობს ფოტოგრაფს, რომელი მხრიდან გადაუღოს მას ფოტო


დიდი მნიშვნელობა აქვს რაკურსს, იმ წერგილს, საიდანაც გადაღება ხდება

ქალი. სანამ მკითხავდეთ, ქართველები იყვნენ თუ არა, გიპასუხებთ, რომ ყველა არ იყო ეთნიკური წარმოშობით ქართველი. არა, ცნობილები არ ყოფილან და გამოფენისთვის ეს არც მჭირდებოდა. ისე, რომ იცოდეთ, ფოტოგრაფს შეუძლია, ყველაზე ლამაზი სხეული დაამახინჯოს და პირიქით — ყველაზე ცუდი, ლამაზად წარმოაჩინოს. ფოტოხელოვნებას ამისთვის ათასგვარი საშუალება აქვს...

— ფოტოს მეშვეობით შეყვარების თუ გჯერათ?

— თუკი ადამიანს სიყვარულისკენ ლტოლვა აქვს, შეყვარება ფოტოდანაც შესაძლებელია. პირადად ჩემთვის, ფოტოდან შეყვარება უცხოა. თუმცა, გუშინწინ ისე ამაღელვა ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილმა ეროტიკულმა ფოტომ, რომ მისი რეპროდუქცია გავაკეთე და კომპიუტერში „შევაგდე“. აი, გიჩვენებთ, ამ პატარა შავ-თეთრ ფოტოზე „გავითიშე“ *(იცინის)*... თუ შეყვარება გინდა, ფოტოდანაც შეიყვარებ და გაგიჟდები, არა მარტო ადამიანზე — ყვავილზეც კი.

— ალბათ გეკითხებიან, გქონია თუ არა ინტიმური ურთიერთობა ფოტომოდელებთან?

— მეგობრებიც მეკითხებიან ხოლმე... როგორ აინტერესებთ ადამიანებს, თუ რა ხდება ხელოვნის ცხოვრებაში!.. ერთხელ, რუსთაველის თეატრში მქონდა გადაღება. ქალი მთლად გაშიშვლებულიც არ ყოფილა, მაგრამ ყველა ჩვენკენ მორბოდა, აინტერესებდათ, როგორ ხდებოდა გადაღება... ინტიმურ ურთიერთობას რაც შეეხება, ყოველთვის ვერ ვახერხებდი. მხოლოდ ერთხელ ვერ დავიოკე სურვილი და საზარელი საქმე ჩავიდინე. ღირდა: ამის მერე, ფოტოები უკეთესად გადავიღე... დამეთანხმეთ, ხელოვანს ჭანჭიკები მოშვებული უნდა ჰქონდეს...

— მოდი, ხალხში გავრცელებულ აზრზე — რომ ფოტოს დახევა ცუდის ნიშანია, — თქვენი შეხედულება გაგვიზიარეთ.

— საერთოდ, რასაც ხედავ, ყველაფერი არ უნდა გადაიღო; რასაც გადაიღებ, ყველაფერი არ უნდა დაბეჭდო და თუ დაბეჭდავ, ყველას არ უნდა აჩვენო. ხდება, როცა რომელიღაც ქალბატონს საკუთარი ფოტო არ მოსწონს და ვთხოვ, შეინახოს და 10 წლის შემდეგ შეხედოს: ის იმ მომენტში ვერ ხედავს იმას, რასაც 10 წლის შემდეგ დაინახავს. მაგრამ თუ ქალს ფოტოზე საკუთარი თავი არ მოსწონს და ამ დროს, თვით ფოტოც ცუდია — უმჯობესია, ეს სურათი გაანადგუროს. ენერგეტიკის დაზიანებას რაც შეეხება, თუ ამ დროს (ფოტოს დახევის დროს), შავ მაგიასთან არ ექნება კავშირი, ალბათ, საშიში არაფერია. ამით შენს თავს ცუდს ვერაფერს გაუკეთებ. მეც დამიხევია ის სურათები, რომლებიც ჩემთვის სარკის წინ გადამიღია... დახიეთ, დახიეთ, გაანადგურეთ ყველა სურათი, რომელიც არ მოგწონთ! ნუ დაიბინძურებთ ხედვას! ნუ შეინახავთ ცუდ ფოტოებს ალბომში, რადგან არა მარტო სიტყვებით, არამედ ხედვითაც შეიძლება ენერგეტიკის დაბინძურება.

■

რა ხიბლავთ, რა აწუხებთ, რით ერთობიან და რამდენად ახლო ურთიერთობა აქვთ მშობლებთან ცნობილი ადამიანების — პოლიტიკოსების, მსახიობების, მომღერლების მცირეწლოვან შვილებს? ამ კითხვებზე ისინი თავად გაგვცემენ პასუხს. ამჯერად, პაროდისტ ბესო ბერულაშვილის გოგონას, 12 წლის თათას წარმოგიდგენთ, რომელიც წმინდა ნინოს სახელობის, თბილისის 43-ე სკოლაში სწავლობს.

თათა ძალიან ხალისიანი და ენამჭევრი გოგონაა. მისთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს და სწორედ ამიტომ, თავისი ოცნების უფლისწულიც გაგვაცნო და სამომავლო გეგმებიც გაგვიმხილა...

თათა ბერულაშვილი პიესას წერს, საქველმოქმედო საღამოს ამზადებს და უფლისწულზე ოცნებობს

ანა ლემკაშელი

— „იძულებითი“ არდადეგები მქონდა: გავცივდი და ბრონქებმა მიღალატა. ორი კვირაა, სახლში ვიყავი გამომწყვდეული. მაგრამ ამ დროს დაკარგულად მაინც არ ვთვლი, რადგან ფიქრისთვის საუკეთესო საშუალება — განმარტოებაა.

— არ გაგვიმხელ, რით გიზიდავს სიმარტოვე, რაზე ფიქრობ?

— პიესას ვწერ. ჯერ კლასში დავდგამ, მერე კი — პროფესიულ სცენაზე. რა ვიცი, იქნებ, ფილმის ფაბულადაც გამოდგეს...

— ზოდიაქოთი ვინ ხარ და რაზე ოცნებობ?

— ლომი ვარ. მიყვარს ლიდერობა. ვოცნებობ რეჟისორობაზე. ამ პროფესიით მინდა ვიშოვო ბევრი ფული, რომლის უდიდესი ნაწილი დაეთმობა ქველმოქმედებას. მინდა ვიყო დიდი სახლის პატარა დიასახლისი, მყავდეს ბევრი სხვადასხვა ჯიშის ძაღლი, ექიმი ქმარი და ოთხი შვილი. მინდა, ყველა ობოლსა და უსახლკაროს მივცე თავშესაფარი. არ მინდა, ვინმეს შიოდეს, სტკიოდეს და უნუგეშოდ იყოს...

— „იუმორინის“ გარდა, კიდევ რასთან ასოცირდება შენთვის აპრილი?

— ბუნების მეჯლისთან, სიყვარულთან, სიხარულთან, სიყვარულის დღესთან, რომელიც 15 აპრილს აღინიშნება.

— შენთვის თუ გაუმხელია ვინმეს ამ დღეს სიყვარული?

— კი. შარშან, გაზაფხულზე გამომიტყდა და კარგადაც დავამშვენე სითამამისთვის.

— მაინც რა ჩაიდინე, როგორ დასაჯე?

— ერთმა ბიჭმა მითხრა — ძალიან მიყვარხარ და იცოდე, მოგიტაცებო. ხელი გადავუგრიხე იმ ბიჭს. დავიჭირე და იმდენი ვურტყი, ხელიდან ძლივს გამაგდებინეს *(იცინის)*. მეორე დღეს, დედამისი მოვიდა ჩემთან და მითხრა — თუ რამეს დაგიშავებს, მე მითხარი და თვითონ მოვუვლი ჩემს შვილს, შენ ნუ გამიტყიპავ, რცხვენია დანარჩენი ბავშვებისო. მგონი, მტაცებლის ინსტინქტი საბოლოოდ დავუჭლუნგე იმ ბიჭს. ერთმა კიდევ, მითხრა იმ დღეს, ძალიან მომწონხარო. იმასაც თმა დავაწიწკნე, მერე კი, თავდაჯერებულად ვუთხარი — გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არ მოგწონებოდი, მაგრამ შენთვის დაიფერფლე, მე აღარაფერი მითხრა, თორემ, ჩემს საქციელზე პასუხს აღარ ვაგებ-მეთქი. ამ მუქარას ჰქონდა ეფექტი. იმ დღის შემდეგ, ეს ბავშვი ჩემს დანახვაზე იმალება, გარბის, ქუჩის სხვა მხარეს გადადის *(იცინის)*.

— ჰოდა, ჩემო კარგო, ასე თუ გააგრძელებ თაყვანისმცემლების დაფრენას, შეიძლება, გასათხოვარი დარჩე.

— ვგავარ იმ ადამიანს, ვინც შინაბეროებით თავს დაიჩაგრავს?.. ვინც ძალიან მომეწონება, იმას ვერ გავიმეტებ საცემრად. ისე კი, ჩემი აზრი მამაკაცებზე თუ გაინტერესებთ, გამოგიტყდებით, რომ კაცები და დინოზავრები დიდი ხანია, გადაშენდნენ...

— რასაც ამბობ, შენი აღმოჩენაა თუ უფროსებისგან გაიგე?

— ვიღაცის ინტერვიუში წავიკითხე. ეს ფრაზა კი, მხოლოდ იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მეც ზუსტად ასე ვფიქრობ.

— და მაინც, ალბათ არსებობს შენი ოცნების უფლისწული...

— „უფლისწული“... მომწონს ეგ სიტყვა, გამსახურდიას შეგონებებში წავიკითხე — ქედმაღლობა მეფეების უდიდესი უბედურებაა, რადგან ავიწყდებათ, რომ ამქვეყნად ყოველი ადამიანი უფლისწულიაო... ანუ

უფლისწული ჩემთვის ის ადამიანია, ვინც მეყვარება და არა ზღაპრიდან მოსული, თეთრ რაშზე ამხედრებული რაინდი, რომელიც კონკიას ოქროს ქოშით დამეძებს. მინდა, ჩემი უფლისწული იყოს მაღალი, ცისფერთვალება, კეთილი ექიმი, რომელიც ჩემს ყველა ამოსუნთქვას უდარაჯებს...

— თმის ფერი როგორი ექნება?

— მოდი, ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ თმა აუცილებლად ექნება. ფერზე კი, აი, რას გეტყვით: მოწითალო თმას ვერ შევეგუები, მუქი თმაც მისაღებია და ქერაც. ძალიან მომწონს მამაჩემის თმის ფერი (ქერას მომწვანო-მოფერფლისფრო გადაჰკრავს). თმაში, რასაკვირველია, დარჩენილ თმას ვგულისხმობ *(იცინის)*.

— ეი. დაბლები და მსუქნები ნუ გამოგვეხმაურებიან?..

— ჰო, თავი შეიკავონ. დაბლები არ მომწონს. რაც შეეხება სიმსუქნეს — ეს მამაკაცებს ხშირად, დაოჯახების შემდეგ ემართებათ. აი, მაგალითად, დედაჩემი დაახლოებით ისეთ მამაკაცს გაჰყვა ცოლად, როგორიც მე მომწონს — მაღალს, გამხდარს, ქერას, ცისფერთვალებას, თეთრს... მაგრამ მამამ, დაიგულა თუ არა ცოლი სახლში, ნაკლებად აღელვებს თავისი ზომა და წონა. არ გჯერათ? ახლავე გაჩვენებთ ჩემი მშობლების ქორწილის ფოტოებს და თვითონ დარწმუნდებით, რომ არ ვხუმრობ *(მოაქვს სურათები)*. დაიჯერებს ვინმე, რომ ეს მაღალი და სუსტი აღნაგობის ბიჭი — ბესო ბერულაშვილია?

— სხვა გზა არა მაქვს, უნდა დავიჯერო, რადგან, მტკიცებულების საბუთი თვალწინ დამიდე.

— არადა, გგონიათ, რომ ბევრს ჭამს?.. ერთი კვირა, „გრეჩიხის“ გარდა, გემო არაფრისთვის გაუსინჯავს.

— ბესოს წონის კონტროლი ჩემს კომპეტენციაში არ შედის, თათა, ამიტომ, ისევ ჩვენს უფლისწულს დავუბრუნდეთ. რაკი იცი, რომ შინაბერობით თავს არ დაიჩაგრავ, ისიც გეცოდინება, ვინ ეუბნებიან შენს მშობლებს — დაგვიმძახლდითო.

— ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა *(იცინის)*, მაგრამ რადგან მამაჩემი ვერ შემელევა და სიძის ჩვენს სახლში მოწვევა უნდა, რასაც მე კატეგორიულად ვაპროტესტებ, ბიძაჩემმა ლადო გეგეშიძემ (დედაჩემის მამიდაშვილმა) იპოვა გამოსავალი და თვითონ დაადგა ერთ ჩემს მეზობელს თვალი. უნდა, მეხუთე სართულიდან მეშვიდეზე გამათხოვოს. ზუსტად ჩვენი ბინის თავზე.

— ბესოს და მეგის თუ მოსწონთ ლადო გეგეშიძის მიერ არჩეული სასიძო?

— ბესოსთვის ეს ინფორმაცია ექსკლუზიურია. მეგიზე კი, რა გითხრათ?.. რადგან ლადოს ამ თემაზე ღადაობის უფლებას აძლევს, ალბათ, მთლად დაქცეული არ ეჩვენება. სიმართლე რომ გითხრათ, იმ ბიჭს წესიერად არც დავკვირვებივარ, თანაც, რაღაც ბაყაყისფერ სათვალეს ცოცხალი თავით არ იხსნის და როგორი „კლიენტია“, ვერ ვიგებ. არადა, თვალებია ყველაზე საინტერესო: ხომ იცით, რომ თვალები სულის სარკეა.

— შენი სითამამე ძალიან მომწონს, მაგრამ იმ ხვლიკისფერთვალებიანმა რომ წაიკითხოს ახალი ამბავი, არ ეწყინება?

— არა მგონია, ის ყმაწვილი ჟურნალ-გაზეთების კითხვით თავს იკლავდეს. წაიკითხოს, რა, ეგ იყოს ჩვენი ბოლო დარდი... თანაც, ლადო გეგეშიძემ აარჩია და არა — მე. ჰო, კიდევ ის გაითვალისწინა, რომ მამამისი ოქრომჭედელია და მე ძალიან მიყვარს ოქროს სამკაულები, „ალაგ-ალაგ“ — ბიჟუტერიაც. მაგრამ მშობლები და ახლობლები მაინც თოჯინებს და ფუმფულა სათამაშოებს მჩუქნიან. ვერ გავაგებინე ამ ხალხს, რომ გავიზარდე...

— კიდევ რა ვერ გააგებინე მშობლებს?

— დედმამიშვილი არ მაღირსეს. კიდევ — მამაჩემი ღამურაა და სახლში გვიან მოდის — მაშინ, როცა ფაქტობრივად, მძინავს და სულ, მასთან სიახლოვის დეფიციტს განვიცდი. ერთხელ, დედაჩემი და ბესო გამთენიისას მოვიდნენ სახლში. დაეძინათ. სკოლაში ისე წავედი და მოვედი, რომ არც ერთს არ გაუგია. ვისადილე, გაკვეთილებიც ვისწავლე და დაბადების დღეზე წასასვლელად გამოვიპრანჭე. 6 საათი ხდებოდა. საათი 9-ის 10 წუთზე დავაყენე და ბესოს გაღვიძება დავიწყე, ჯერ, „საყვარელო მამიკოს“ ძახილით, მერე კი — დაშანტაჟებით. იმ დღეს, ორ საგანში გვქონდა საკონტროლო წერა. ჰოდა, გამოვაცხადე, მამის გასაგონად: თუ ახლავე არ ადგები და არ წამიყვან სკოლაში მანქანით, არ წავალ-მეთქი. ბუზღუნით წამოდგა და ჩაცმა დაიწყო. დედაც დაფაცურდა, ჩემთვის საუზმის მოსამზადებლად... ასე, მოტყუებით წავიყვანე ნაბახუსევი საქეიფოდ. ისე, კურიოზების გაჩალიჩება მამის მოგონილია. მეც მემკვიდრეობით გადმომეცა ეს უნარი.

მამაჩემი ღამურაა და სახლში გვიან მოდის

— შენ „დაქალოჩკები“ ვინ არიან?

— დედა, მამიდა ნანა (რომელსაც ენის ადგმისთანავე, ნანიდა დავარქვი — სახელისა და სტატუსის კომბინაციით, ბიცოლა ანანო, დედა ნინაკა (გელაშვილი), რომელიც ჩემი მეორე დედაც არის, მისი შვილი მეა, მარიკა ვერულაშვილის შვილი სალომე, დათო როსტომაშვილის შვილები, ჩემი კლასელები — თაკო წეროძე და მარიამ შონია. კიდევ ბევრი სხვა...

— მარტო თაყვანისმცემელ ბიჭებს უჭრელებ ხოლმე გვერდებს თუ გოგონებსაც უწვნევიათ შენგან ცემატყეპა?

— როგორ გეკადრებათ! გოგონაზე ხელს როგორ ავწევ?! არც ჩხუბი მიყვარს, მაგრამ ცოცხალ ადამიანს მაინც მოგიწევს ვინმესთან შელაპარაკება. ამას წინათ, მე და ერთმა კლასელმა გოგონამ წავიჩხუბეთ. საქმის გარჩევის დროს, ყველა ჩემს მხარეს დადგა, იმიტომ, რომ მართალი ვიყავი. იმან კიდევ, წამომაყვედრა — იმიტომ გყავს ამდენი მხარდამჭერი, რომ ბესო ბერულაშვილის შვილი ხარო. მხარდამჭერი, თორემ, მეც ახლა, საპრეზიდენტო არჩევნებში არ ვიყრიდე კენჭს!.. ბესო რომ ჟვანიას ან ბენდუქიძის პაროდიას აკეთებს, რა კავშირშია ეს ფაქტი ჩემი და კლასელების ურთიერთობასთან?! ან როგორ ფიქრობთ — მამაჩემი ფილარმონიაში მაყურებლადაც რომ არ იყოს შესული, ვინმეს ღირსებას შევალახვინებდი?.. მაგრამ ამ ხალხს ეს ვერ გავაგებინე და რა ვქნა?!

— გავიგე, სკოლაში საქველმოქმედო აქციებს აწყობ ხოლმე...

— ობლების ხვედრი ძალიან მაწუხებს. თანაკლასელ ბავშვებს ვთხოვე, კოჯრის ბავშვთა სახლისთვის ფულისა და სხვა შეწირულობების გაღება. კლასის ხელმძღვანელსაც ვთხოვე თანადგომა. დირექტორთანაც მივედი ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად. მშობელთა კრებაც მოიწვიეს, სადაც ჩემი იდეა ხმამაღლა დავაფიქსირე. იმ კრებაზე გვესწრებოდა ჩემი თხოვნით მოწვეული, კოჯრის ბავშვთა სახლის პედაგოგიც, რომელმაც დამამშვიდა: იმათ არაფერი აკლიათ და ჯერ პატარები ხართ ასეთი აქციის განსახორციელებლადო. ღმერთმა ქნას, მართლაც, არაფერი აკლდეთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ასეა... მე ჩემსას მაინც არ ვიშლი. ახლა, მათთან ურთიერთობის სხვა ფორმა მოვიფიქრე: ჩემი სცენარით, ერთ კონცერტს მაინც გავმართავ და იმ ბავშვებს ლამაზ დღეს ვაჩუქებ. მინდა, სიხარულის სხივი დავინახო მათ თვალებში...

— ვის პაროდიებს შეასრულებ იმ საღამოზე?

— ნინო ბურჯანაძის, ელენე თევდორაძის, სოსო პავლიაშვილის და კიდევ ბევრი სხვისას...

— ობოლთა ხვედრის გარდა, კიდევ რაზე გტკივა გული?

— მატრიარქატი დაგვიბრუნდა, ფუნქცია დაკარგეს მამაკაცებმა და ძველი დიდებიდან, მხოლოდ გრძელი ენები შემორჩათ. ქართული მენტალიტეტის მთავარ გამოხატულებად, ერთპიროვნული მმართველობა მიაჩნიათ. ნამდვილი მამაკაცი ასიდან მხოლოდ ათია!

— ეგ სტატისტიკა შენ მიერაა დადგენილი თუ სადმე წაიკითხე?

— ვხედავ, ვამჩნევ... კიდევ, ძალიან მაღიზიანებს სხვის დასანახავად ატეხილი ფაციფუცი. ცუდი დიასახლისი სახლს მაშინ ალაგებს, როცა სტუმარს ელოდება. ასეა ქვეყანაც. მადლობა უფალს, რომ ბუში ჩამოვიდა თბილისში, თორემ, რაც გვაქვს, ესეც არ გვექნებოდა. მართალია, მას ცელოფანის პარკით თეთრ სახლში არ წაუღია ჩვენი „აჭია-ბაჭია ფერებით“ გადაღებული ფასადები და ისევ ჩვენ დაგვრჩა, მაგრამ მისი აღმატებულების 3-4 ვიზიტი კიდევ გვჭირდება, რომ ქალაქი ქალაქს დაემსგავსოს...

პარლამენტარი კობა ხაბაზი ხელისუფლების დიდ მიღწევად მიიჩნევს, რომ ქვეყნის ბიუჯეტი 500 მილიონიდან 3 მილიარდამდე გაიზარდა და უფრო უკეთესი მომავლის იმედი აქვს. ბატონი კობა ჯერ კიდევ სტუდენტობისას — 1980-იან წლებში ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, რის გამოც, უდიპლომო მშენებლად დარჩა. თუმცა, როგორც დღეს ამბობს, ეს პროფესია მას არც არასდროს ხიბლავდა. სახლების მშენებლობას, ქვეყნის მშენებლობა არჩია და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კვლავ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

„ყოველთვის მივიჩნევდი, რომ შალვა მწყრალად იყო იუმორთან, მაგრამ...“

ქართველი ღარი ღე ფიუნესის მოჭიდავე ცოლს იმედები გაუცრუვდა

ნინო ჯავახიშვილი

— ძალიან კარგად ვიცნობდი ირაკლი კოსტავას — არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, საოცარი ღირსებისა და შემართების მქონე, კარგი პოეტი და გული მწყდება, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 1987 წელს, როდესაც მერაბ კოსტავა ციხიდან გამოვიდა, შევხვდი და ვუთხარი, რომ მინდოდა, მის გვერდით ვმდგარიყავი. მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ, ზურაბ ჭავჭავაძემ და ირაკლი წერეთელმა ჩამოაყალიბეს პირველი ორგანიზაცია — „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა არაფორმალურ მოძრაობას და რომლის მე-12 წევრიც გახლდით. ასე გავხდი „არაფორმალი“ *(ასე ეძახდნენ მაშინ, საბჭოთა ხელისუფლების ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს. — ავტ.)*. მამაჩემისთვის არაერთხელ შეუთვლიათ, რომ შვილს მოუკლავდნენ, თუკი არ შევწყვეტდი ჩემს საქმიანობას. იყო სხვა სახის მუქარებიც. რამდენჯერმე დამპატიმრეს კიდეც, ოღონდ — მცირე ხნით... ეროვნული მოძრაობის შემდეგ გულგატეხილობის პერიოდი მქონდა — პოლიტიკას მთლიანად ჩამოვშორდი და ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მეფუტკრეობას მივყავი ხელი. ამჟამად, მე და ჩემს ძმას, საკმაოდ წარმატებული მეურნეობა გვაქვს.

— როგორც ვიცი, უმაღლესი განათლება არ გაქვთ. რატომ?

— საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ამჟამად, ტექნიკურ უნივერსიტეტში) სამშენებლო ფაკულტეტზე ჩავაბარე. 5 წელი ვსწავლობდი და შემდეგ, როდესაც ეროვნულ მოძრაობაში ჩავები, სწავლას თავი დავანებე. 1988 წლიდან, ერთი დღეც არ მიცხოვრია პოლიტიკის გარეშე. ვიცოდი, რომ ჩემი პროფესიით არასდროს ვიმუშავებდი. ვინც ერთხელ „მოიწამლება“ პოლიტიკით, მერე უჭირს პოლიტიკის გარეშე ცხოვრება.

— უდიპლომო მშენებელი რომ ხართ, ამის გამო ხშირად გსაყვედურობთ ოპოზიცია?

— სამწუხაროა, რომ უდიპლომობასა და გაუნათლებლობას ერთმანეთთან აიგივებენ. ვისაც ჩემი უდიპლომობა აწუხებს, შეუძლია, ნახოს ჩემი აკადემიური მოსწრების ფურცლები და მიხვდება, რომ გამორჩეული სტუდენტი და არაერთი ოლიმპიადის გამარჯვებული ვიყავი. დედაჩემი სკოლის ბიბლიოთეკარი იყო, თვითონ მე საუკეთესო კერძო ბიბლიოთეკა მაქვს. ვისაც სურს, დაჯდეს ჩემთან ერთად და ვისაუბროთ ნებისმიერ თემაზე — დაწყებული ანტიკური პერიოდის ხელოვნებით, დამთავრებული თანამედროვე კულტურით, ვნახოთ, ვინ უფრო განათლებული აღმოჩნდება...

— პოლიტიკაში დაბრუნება რამ გადაგაწყვეტინათ?

— ძმები ბერძენიშვილები 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ პერიოდში გავიცანი. პოლიტიკურად ჩვენი გზები არსად გადაკვეთილა, სხვადასხვა შეხედულება გვქონდა რიგ საკითხებზე. მაგრამ როდესაც ნაციონალური მოძრაობა ჩამოყალიბდა და შეიქმნა ერთიანი ბლოკი, საკუთარი ინიციატივით დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს, კენჭი მეყარა ქობულეთში. უყოყმანოდ დავთანხმდი-მეთქი შემოთავაზებულ წინადადებას — ამას ვერ ვიტყვი. ერთადერთი, რაც მაინტერესებდა იყო ის, რომ საქმე შუა გზაზე არ მიგვეტოვებინა და ბოლომდე მიგვეყვანა. საკაშვილის პასუხი ასეთი იყო — ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ აჭარაში ასლან აბაშიძის ხელისუფლება აღარ იყოს, საქართველოში — შევარდნაძის, ჩოლოქზე კი — სამარცხვინო ხერგილებიო... სიტყვა შეასრულა კიდეც, რითიც ყველა ქობულეთელს უდიდესი ტვირთი მოგვეხსნა. ჩვენ გვრცხვენოდა სტუმრის, რომელიც ისე გადმოლახავდა ადმინისტრაციულ საზღვარს, თითქოს სხვა, უცხო ქვეყანაში გადადიოდა... ხშირად გაიგონებთ — პოლიტიკა ბინძური საქმეაო. დიასახლისი თუ ჭუჭყიანი ხელებით გამოაცხობს პურს, ის პური სუფთა ვერ იქნება. გააჩნია, როგორი გულით, როგორი ხელებით, როგორი სინდისით აკეთებ საქმეს.

— ერთ-ერთი ტელედებატების დროს, თქვენ კორუმპირებულობაში დაგდეს ბრალი და დაგადანაშაულეს იმაში, რომ საარჩევნო კამპანიის დროს, ბევრი ფული დახარჯეთ. ამაზე რას იტყვით, როგორი რეაქცია გქონდათ?

— ამბობენ, ვითომ ბათუმში სახლს ვაშენებ, თბილისში — სასტუმროს და ა.შ. აბსურდული ბრალდებებია. თბილისში ნაქირავებ ერთოთახიან ბინაში

როდესაც ჩემმა მეგობარმა, ნინა წკრიალაშვილი ნახა, მაშინვე მითხრა — იცოლე, თქვენი ღუეი ყველაზე წარმაგებული გამოვაო

ვცხოვრობ. მყავს ავტომანქანა და მაქვს სახლი ქობულეთში, სადაც ჩემი მშობლები და ძმა ცხოვრობენ. არც საარჩევნო კამპანიაში დამიხარჯავს მილიონები. ჩემი საარჩევნო კამპანია ნაციონალურმა მოძრაობამ დააფინანსა. მე მხოლოდ წვრილმანი — მაგალითად, სატრანსპორტო ხარჯები ვიკისრე. ასეთ ჭორებს უკვე მივეჩვიე და რეაქცია აღარ მაქვს. ვინც მიცნობს, იცის, როგორ ვცხოვრობ. ამ აბსურდული ბრალდებისთვის და იმისთვის, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანეს, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბოდიში უნდა მოუხადონ მოსახლეობას.

— ბატონო კობა, რევოლუციების შემდეგ, არაერთი პოსტი გამოიცვალეთ. აჭარაში რატომ ითხოვდნენ მინისტრის პოსტიდან თქვენს გადაყენებას?

— რევოლუციების შემდეგ, ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრი, მერე — აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრი, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, მერე — აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგიონული სამსახურის უფროსი, შიდაპოლიტიკის სამსახურის უფროსი და დღეს, ისევ პარლამენტში ვარ. მოკლედ, პარლამენტარობით დავიწყე და ბოლოს, კვლავ იქ მოვხვდი... რაც შეეხება საპროტესტო გამოსვლებს ჩემი მინისტრობის დროს: რევოლუციის შემდეგ ბუნებრივია, ძალზე დიდია მოლოდინი იმისა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ხალხი ერთ დღეში ითხოვდა ცვლილებებს და პროტესტიც ამან გამოიწვია. ამას კი ხელი შეუწყო „კმარას“ აქციებმა ჩემი გადადგომის მოთხოვნით.

— როგორ შეხვდით შალვა ნათელაშვილის ხუმრობას — როცა ქართველი ლუი დე ფიუნესი გიწოდათ?

— *(იცინის)* ყოველთვის მივიჩნევდი, რომ შალვა მწყრალად იყო იუმორთან, მაგრამ ვაღიარებ — ეს მართლაც, წარმატებული ხუმრობა გამოუვიდა, გაუმართლა. თუმცა, საერთოდ არ მაღიზიანებს ის, თუ რას ამბობს შალიკო ჩემ შესახებ. მასზე ცოტა უკეთესი ბიოგრაფია მაქვს და ცოტა მეტი ვიცი მის შესახებაც. როდესაც ჩემმა მეგობრებმა ის გივის შეადარეს — კინოფილმიდან „ცისფერი მთები“, — მათ ვუთხარი — არა, ბატონო, გივი ძალიან მნიშვნელოვანი პერსონაა ფილმში, შალიკოს კი დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში არანაირი დატვირთვა არა აქვს-მეთქი. ის გაბრაზებულია ყველასა და ყველაფერზე — არშემდგარი პოლიტიკოსობისა და აუხდენელი ოცნებების გამო. ვიცი, ყოველღამე იძინებდა იმ იმედით და ოცნებით, რომ ქვეყნის პრეზიდენტი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ყოველდღიურად სარკის წინ ვარჯიშობდა, გაპრეზიდენტების შემთხვევაში როგორი მიმიკა და როგორი მეტყველება უნდა ჰქონოდა...

— თქვენ კი, მსახიობის ამპლუა ვერ მოირგეთ. აი, რეპერის ამპლუაში კი, საკუთარი თავი მშვენივრად წარმოადგინეთ, არა?

— ცხოვრებაში ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ სცენაზე სიმღერა და ცეკვა მომიწევდა, მით უმეტეს — რეპის ჟანრში. სტუდიაში ჩემი სიმღერის ჩაწერისას, მართლაც, ძალიან იწვალეს, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაირა და თქვეს, რომ ყველაზე უკეთესი, ჩვენი და დათო კირკიტაძისა და ლექს-სენის დუეტები გამოვიდა. სხვათა შორის, როდესაც ჩემმა მეგობარმა, ნინა წკრიალაშვილი ნახა, მაშინვე მითხრა — იცოდე, თქვენი დუეტი ყველაზე წარმატებული გამოვაო. რატომ-მეთქი? — ვკითხე. — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიმღერა სიყვარულზეა, საპირისპირო სქესის დუეტია და თანაც, ნინა ძალზე ეფექტური გოგოაო.

— ახლა თქვენს ოჯახზეც მოგვიყევით.

— ჩემი მეუღლე, მანანა რობაქიძე ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტია. ამჟამად, არ მუშაობს. 1991 წელს დავქორწინდით, ერთმანეთი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გავიცანით. თავიდანვე მიიქცია ჩემი ყურადღება. შეყვარებულობის დროს, თითქმის მთელი საქართველო ფეხით შემოვიარეთ. სხვათა შორის, შეუღლების შემდეგ გავიგე, რომ მანანა მოჭიდავე ყოფილა — ძიუდოზე დადიოდა და თურმე, საკმაოდ სოლიდური წარმატებებიც ჰქონდა — სამი ტურნირის გამარჯვებულია.

— დაქორწინებამდე რომ გაეგებილა ეს ამბავი?..

— თქვენი აზრით, ადრევე რომ გაეგებილა, მოჭიდავე ვარო, გავრისკავდი მის ცოლად მოყვანას?.. მანანა დარწმუნებული იყო, რომ კარგი ქმარი ვიქნებოდი, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. ცუდი მამა და მეუღლე ვარ, რადგან ჩემი მოუცლელობის გამო, საოჯახო საქმეები მთლიანად მანანას კისერზეა. გვყავს ორი შვილი: ზურიკო მეექვსე კლასშია, ნინიკო — მეორეში. შვილების ნახვას, ფაქტობრივად, ვერ ვახერხებ.

— თქვენი ბიძაშვილი — მერაბ ხაბაზი და ქვისლი — ვანო გულედანი, უშბაზე ასვლისას დაილუპნენ. ალბათ, განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ ამ მწვერვალის მიმართ...

— საოცრად კარგი ადამიანები იყვნენ და ძალიან მიჭირს მათზე წარსულ დროში ლაპარაკი. მე და მერაბი სტუდენტობისას, ერთად ვცხოვრობდით და უამრავი გასაჭირი თუ სიხარული განგვიცდია ერთად. მთა არც ჩემთვის არის უცხო, მაგრამ იცით, რამ გამაოცა ყველაზე მეტად სვანეთში ყოფნისას?.. ადამიანები, რომლებსაც უშბაზე ახლობლები, ოჯახის წევრები დაეღუპათ, მაინც უშბის სადღეგრძელოს სვამდნენ... მე ვერაფრით დავლიე ეს სადღეგრძელო, რადგან უშბას, ჩემთვის ძალზე ახლობელი ადამიანები შეეწირნენ...

■

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკავკასიაში



მრავალნლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები - მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები.
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები

თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ

გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

ბულაკეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ჟურნალის საპასუხისგებლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისაკენ არ გაგიქცეთ თვალი.

1. ვინ თამაშობს კახაბერის როლს ქართულ მხატვრულ ფილმში „ნერგები“?
2. ამ ქართველი პოეტის დედა, ეფემია, გრიგოლ ორბელიანის და და ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო.
3. რა აქვთ საერთო ჩოგბურთელ ანდრე აგასის, პეიზაჟისტ ალექსანდრ აივაზოვსკის, მომღერლებს — შარლ აზნავურსა და შერს?
4. ანტიკურ ორთვლიან ეტლს, რომელშიც ოთხი ცხენი ერთ მწკრივად იყო შებმული, კვადრიგა ერქვა. ვინ მართავს მოსკოვის დიდი თეატრის ფრონტონზე კვადრიგას?
5. ფშავში ხატის დღეობის გამმართველ მამაკაცს, რომელიც დღეობაზე მისულ ხალხს ლუდით უმასპინძლდება, შულტა ჰქვია. რისი უფლება არა აქვს მას ამ დღეს?
6. დემოსთენე ზღვის კენჭებით ივსებდა პირს და ისე ვარჯიშობდა... რაში?
7. ლაკონიკაში ჩაკეტილი სპარტელებისთვის ფილიპე მაკედონელს ლაკონიურად მიუწერია — თუ მანდ მოვედი, ძირფესვიანად ამოგთხრითო. რა უპასუხეს სპარტელებმა ულაკონიურესად?
8. როგორ ისჯებოდა სპარტაში აღმზრდელის მიერ დასმულ შეკითხვაზე მოუფიქრებელი პასუხის გაცემისთვის აღსაზრდელი?
9. სად მოეწყო მსოფლიოში ეგრეთ წოდებული ყველაზე დიდი „ჩაის სმა“?
10. დაასახელეთ ფრანგი მწერლის ცნობილი რომანის მთავარი პერსონაჟი, რომლის სამზარეულოსათვის ზუთხი რუსეთიდან ჩაჰქონდათ, სალამურა თევზი კი — იტალიიდან. მისი მზარეული ცოცხლად ჩაყვანილი თევზების ნაწილს ღვინოში კლავდა, ნაწილს — რძეში.
11. დაასახელეთ ქალაქი, სადაც ამერიკელთა მტკიცებით, უფრო მეტს ლოცულობენ, ვიდრე მექასა და იერუსალიმში.
12. რატომ ჰქონდათ ამორძალებს ცალი ძუძუ აკრული?
13. რას უდრის სათამაშო რულეტის ციფრთა ჯამი?
14. რატომ არ ჰქონდა აღა-მაჰმად-ხანს ჰარამხანა?
15. რა ბედი ელოდა მოსკოვს, გერმანელთა გამარჯვების შემთხვევაში?
16. რა ჰქვია კომპასს ქართულად?

ანეკდოტები

* * *

დაქალები საუბრობენ.

— იცი, გუშინ პარკში მანიაკი დამესხა თავს.

— სექსუალური?

— როგორ გითხრა... არც მაინცდამაინც...

* * *

დიალოგი ტურისტულ ბიუროში:

— მართალია, რომ ბაჰამის კუნძულებზე 365 დღე, მზე ანათებს?

— რასაკვირველია! ეგ კიდევ რბილად ნათქვამია!...

* * *

დედა ღორს მკითხავმა კარტი გაუშალა:

— ოოო, თქვენ დიდი მატება



გელით, მოსალოცად გქონიათ საქმე. თუმცა მოითმინეთ... აი, 31 დეკემბერს კი, დიდი უსიამოვნებაა მოსალოდნელი...

* * *

ბიჭი გოგოს ეარშიყება. გოგოს ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმის:

— თავი დამანებე!.. არ მინდა... არ შემიძლია... ახლა არა... მასე არა...

* * *

ცხოვრებისეული დაკვირვება: რესტორანში წასვლის შეთავაზება უფრო ხშირად სრულდება სექსით, ვიდრე სექსის შეთავაზება.

* * *

დირექტორმა კლასში ახალგაზრდა ქალი შეიყვანა.

— ბავშვებო, გაიცანით, ეს თქვენი ახალი მასწავლებელია. იმედია, მოგეწონებათ.

— მდაა, ფიგურას არა უშავს, — ამბობს ერთ-ერთი მოსწავლე.

დირექტორი ამაყად იმართება მხრებში:

— მე თავად შევარჩიე!

* * *

მიმდინარეობს თამაში ჭლიტურ კლუბში — „რა? სად? როდის?“ წამყვანი:

— ძვირფასო მოთამაშეებო, გთხოვთ, ყურადღებით მოუსმინოთ შეკითხვას, რომელიც ჩვენმა ჩეჩენმა ტელემაყურებელმა გამოგვიგზავნა: რა დევს შავ ყუთში?..

* * *

11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, ამერიკის დროშებზე დიდი მოთხოვნილებაა: ამერიკელები დროშებს ყიდულობენ და აივანზე ფენენ, არაბები — ყიდულობენ და წვავენ, ებრაელები კი — ქსოვენ და ყიდიან.

* * *

— რას ნიშნავს ქართულად I DON'T KNOW?

— არ ვიცი!

— რავა არავინ არ იცის, ამის დედა ვატირე!..

* * *

პოლიციის უფროსის კაბინეტში დაკავებული შეიყვანეს:

— უფროსო, აგერ ეს ტიპი დავაკავეთ. თქვენ დაჰკითხეთ, ჩვენ კი სამორიგეოდ ვბრუნდებით.

— რა დააშავა? — დაინტერესდა უფროსი.

— ზოოპარკში გალიაში შეპარულიყო და ვეფხვს აუპატიურებდა!

— მერე, მაგასთან ერთად მტოვებთ კაბინეტში მარტოკას, თქვენი დედა რომ ვატირე?!

* * *

ბინ ლადენი მივიდა მკითხავთან და ეკითხება:

— როდის მოვკვდები?

— შენ მოკვდები დიდ ამერი-

კულ დღესასწაულზე.
— მერედა, როდის იქნება დიდი ამერიკული დღესასწაული?
— როცა შენ მოკვდები.

* * *

სვანი მივიდა ქელეხში. სუფრაზე ჭიქები გადაბრუნებული აწყვია. დახედა და თქვა:

— ეეე, ამას თავი არა აქვს.
აიღო და გადმოაბრუნა:
— ვა, არც ძირი ჰქონია!

* * *

ცოლი ქმარს ეჩხუბება:
— ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შემოგწირე!
— ღმერთო, ჩემო! ესე იგი, ამაზე უფრო უარესი წლებიც მელის?..

* * *

ცოლი დგას სარკესთან და ქმარს ეკითხება:
— რა მოგწონს ჩემში ყველაზე მეტად: ჩემი ლამაზი სახე თუ მშვენიერი ტანი?
— შენი იუმორის გრძნობა.

* * *

— ექიმო, კედლებს იქით რა ხდება, იმას ვხედავ. რა ვქნა?
— აბანოში წადი...

* * *

გურული მანქანით მიდის. უეცრად სამი კაცი გადაუდგა წინ. გააჩერეს და დაუღრიალეს:
— აბა, ჩქარა გადმოდი მოპარული მანქანიდან!
— რა მოპარული, ძამა, ჩემია აი მანქანა!
— შენი იყო, ახლა მოპარულია!

* * *

— მამა, უცოლო კაცს საქმრო ჰქვია?
— კი.
— ცოლიან კაცს რაღა ჰქვია?
— ეეჰ, შვილო, შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ, რომ ასეთი სიტყვები იცოდე.

* * *

სვანის რეკლამა „SONY“-ს რეკლამის სტილში: „IT'S A SVANI!!!“

* * *

ორი ტარაკანა საუბრობს:
— გუშინ ერთ რესტორანში ვიყავი. ისეთი სისუფთავე იყო, ისეთი, რომ ...
— კარგი, რა! რა საზიზღრობებს ჰყვები, ვერ ხედავ, საჭმელს ვჭამ.

* * *

ერთმა ახალგაზრდამ, რომელსაც მატარებელზე აგვიანდებოდა, იქვე მდგომ ფერმერს თხოვნით მიმართა:
— შეიძლება, მოკლე გზით თქვენს მინდორზე გადავიარო, რომ შვიდ საათზე მიმავალ მატარებელს მივუსწრო?
— მიბრძანდით, მაგრამ თუ ჩემმა ბუღამ დაგინახათ, შეიძლება, შვიდის ნახევარზე მიმავალსაც მიუსწროთ.

* * *

მიხო და მიტო ვენახს წამლავენ. უეცრად მათ თავზე ვერტმფრენი

დაეკიდა. მიხო ეუბნება მიტოს:
— მიტო, რათ გაჩერდა ეგ ოხერი?
— რავი, აბა, ალბათ ბენზინი გაუთავდა.

ჯრიჭის საკანონმდებლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მიხეილ მესხი (უმცროსი).
2. ნიკოლოზ ბარათაშვილი.
3. აქ ჩამოთვლილი ადამიანები წარმოშობით სომხები არიან.
4. აპოლონი.
5. შულტას დღეობაზე არა აქვს დათრობის უფლება.
6. მეტყველებაში.
7. „თუ!“
8. სპარტაში აღმზრდელის მიერ დასმულ შეკითხვაზე მოუფიქრებელი პასუხის გაცემისთვის, აღსაზრდელს ერთობ უცნაური სასჯელი ელოდა: აღმზრდელი მას ცერა თითზე კბენდა.
9. მსოფლიოში ყველაზე დიდი „ჩაის სმა“ ბოსტონში მოეწყო, სადაც ამერიკელებმა იაფფასიანი ინგლისური ჩაი გემებიდან ოკეანეში გადაყარეს.
10. გრაფი მონტე-კრისტო.
11. ლას-ვეგასი.
12. რათა ბრძოლის დროს, მშვილდის მოზიდვაში არ შეშლოდათ ხელი.
13. 666.
14. იგი საჭურისი იყო.
15. ჰიტლერის ბრძანებით, ფაშისტებს მოსკოვი უნდა დაეტბორათ.
16. ყიბლანა.

ჯანმრთელობისთვის
ფეხბურთელ
ბანაკ
ბანაკ
ბანაკ

ორგანიზაცია

შიო გვეტაძე

ქუთაისის სამართალდამცველები — პოლკოვნიკი ბალანჩივაძე, პროკურორი ხომერიკი, გამომძიებელი მინდელი და თბილისიდან ჩამოსული პოდპოლკოვნიკი ძიძიგური — ქალაქში აღმოჩენილი ბანდის დასაჭერად, გეგმავენ ოპერაციას, რომელიც ერთდროულად ორ ადგილას — ქუთაისში, ექთან ნატალია დევიძის ბინაში და წყალტუბოს სასტუმროში უნდა განხორციელდეს. მთავარი სამიზნე — ბანდის მეთაური, გამოცდილი და ამავე დროს, ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობი კრიმინალი, მეტსახელად ჭაღარაა. ერთ-ერთი ბოროტმოქმედის — ვინმე მათე ჩარგიევის (რომელიც რუსეთიდან ჩამოსული ქალის, ბასკაკოვას საქმროდ ასაღებს თავს) შესაპყრობად, მას რესტორანში პროვოკაციას მოუწყობენ და მოწმის სტატუსით დაკითხვის საბაბით, მილიციის სამმართველოში წაიყვანენ. ამავე დროს, ქუთაისში მყოფი ბანდის წევრები მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ოპერატიულ ჯგუფს და მის ერთ-ერთ წევრს მძიმედ დაჭრიან...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-16)

კურცხალიამ და კუხიანიძემ ქუჩაში შეპყრობილი ბანდიტი შემოიყვანეს. ბურდულმა ინტერესით შეათვალიერა იგი: საშუალო ტანის, ტყვიასავით ჩამოსხმულს, შემოხეული პერანგიდან ტატუირებული, ბრინჯაოსფერი გულმკერდი უჩანდა. გახეთქილი თავიდან სისხლი სდიოდა. მთელი სახეც სისხლით ჰქონდა მოსვრილი, ნიკელის სამაჯურებით ხელშებორკილი, გალიაში მომწყვდეული ფოცხვერივით აბრიალებდა თვალებს და ბრაზიანად იგრიხებოდა.

დაჭრილ ჩრდილელს ზიზღიანი მზერა შხამივით შეასხა, შემდეგ გათოკილებს გადახედა. მგელივით დაუბრიალა თვალები.

ბანდიტებმა მისი მზერა დაიჭირეს, შეუმჩნევლად დაუკრეს თავი. ბურდულს არ გამოჰპარვია მათი მუნჯური დიალოგი, მიხვდა — გარედან შემოყვანილმა, ოთახში მყოფთ სრული დუმილი უბრძანა.

— ამხანაგო ნატა, შეუხვიეთ ჭრილობა, — ანიშნა დევიძემ ბანდიტზე.

— რა გულის ამაჩუყებელი კაცთმოყვარეობაა! — დაცინვით წარმოთქვა თავგახეთქილმა და შემდეგ, კუშტად დაუმატა: — ეს ძუკნა აქედან მომაშორეთ, თორემ, კბილებით დავგლეჯ!

დევიძე ჩუმად იდგა, მთელი სხეული უცახცახებდა.

ბურდულმა ბანდიტის მიერ დატოვებული, სკამზე გადაკიდებული პიჯაკი აიღო, თავგახეთქილს ბეჭებზე მოასხა.

— გეშინიათ, არ გავცივდე?.. — ცივად ჩაიცინა მან.

— დაცინვასაც რომ ბედავს ეს პარაზიტი! — აღშფოთდა კურცხალია და ბანდიტს თვალები დაუბრიალა.

— გამოთქმები შეარჩიეთ, ხომ არ გგონიათ, ვინმე ბაცაცას ელაპარაკებით! — მიუგო ბანდიტმა.

— ჩუმად! — შეუტია კურცხალიამ. — შენისთანა ხორცმეტს მხოლოდ ტყვიის ენით უნდა ელაპარაკოს ადამიანი.

— ასე იყოს, თქვენგან ზრდილობიან მოპყრობას არც ველოდები: პროფესიას ხომ არ უღალატებთ!.. რა ვუყოთ, ახლა თქვენი დარია. მაგრამ თუ ხელიდან წაგივედით, სხვა დროს გადაგიხდით...

— ტყუილი იმედია, სხვა დრო აღარ დაგიდგებათ! — მიუგო კურცხალიამ.

ბანდიტს ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა.

—

ბურდულმა მხოლოდ ახლა მოათვალიერა მეგობრები: კუხიანიძეს პალტო შემოხეოდა, გოგლიძეს შუბლზე კოპი აჯდა, კურცხალიას ნაკბენი ხელი დალურჯებოდა, მაჯაზე შავ ღაქებად აჩნდა კბილების კვალი.

ჩრდილელი ფრთხილად გადაიყვანეს საკაცეზე, სანიტრებმა ტვირთი ასწიეს და ნელა დაიძრნენ გასასვლელისკენ.

ბურდული ექიმს გაჰყვა. მერე, გარეთ გასულმა, მიმოიხედა. მეზობელ სახლებში შუქი აენთოთ. სროლის ხმაზე გაღვიძებული ადამიანები ბეღურებივით შესეოდნენ ფანჯრებს...

ქუჩაში მძიმე, დახურული მანქანა გაჩერდა. კაბინიდან ახალგაზრდა ლეიტენანტი გადმოხტა და ჩქარი ნაბიჯით აუყვა საფეხურებს. კიბის შუაში გაჩერდა, სანიტრები გაატარა.

— მოგვიკლეს ვინმე? — შეშფოთებული შეეკითხა ბურდულს.

— არა, დაჭრეს, მძიმედ დაჭრეს ავაზაკებმა ჩრდილელი, — ნაღვლიანად უპასუხა ბურდულმა და ოთახში შებრუნდა.

ლეიტენანტი ფეხდაფეხ მიჰყვა.

ბანდიტები სათითაოდ ჩასხეს მანქანაში. ოპერმუშაკებიც დახურულ ძარაში მოთავსდნენ.

— სამმართველოსკენ! — უბრძანა მძღოლს კაბინაში შესულმა ბურდულმა.

მძღოლმა ძრავა აამუშავა, მანქანა ნელა დაიძრა ვიწრო ჩიხიდან.

ღამის 2 საათი სრულდებოდა.

მეორე დღეს ამინდი შეიცვალა. ზამთრისათვის უჩვეულო, მზიანი დილა გათენდა. ოქროსფერ სხივებზე ალაპლაპებული ქალაქი ვეებერთელა თეთრ თაიგულს დაემსგავსა: სახურავებიდან ქუჩებს ცრემლად დაედინა ნაგროვები თოვლი.

ღამენათევ მინდელს მხოლოდ 10 საათზე გაეღვიძა, სწრაფად წამოდგა. „მაინც არ გამაღვიძა“, — გაიფიქრა წყენით და თვალით მეუღლეს დაუწყო ძებნა.

ბინაში არავინ იყო, საწოლთან ტუმბოზე რვეულის ფურცელს მოჰკრა თვალი.

„უსაუზმოდ არ წახვიდე, ჩაი მზადაა“, — წაიკითხა მინდელმა და გაიღიმა. შემდეგ სააბაზანო ოთახში გავიდა, წვერი გაიპარსა. დილის ვარჯიშითა და ცივი მასაჟით გახალისებულმა, მადიანად ისაუზმა.

სულ ორი საათიც არ სძინებია, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გაკაჟებული ორგანიზმისათვის.

დილის 10 საათსა და 40 წუთზე, წვერგაპარსული და ენერგიით სავსე გამომძიებელი მილიციის სამმართველოში იჯდა და შეპყრობილი ბანდიტების დაკითხვის გეგმას აზუსტებდა.

თითქმის ერთი საათი იმუშავა, შემდეგ კალამი გვერდზე გადადო, ჩაფიქრდა, გონებაში წინა ღამით ჩატარებული ოპერაცია აღიდგინა. ჯუღელის მიერ რესტორანში ატეხილი სკანდალი მოაგონდა, გაეღიმა, თვალწინ დაუდგა ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელიც „მტანჯველად განიცდიდა“ რესტორანში ჩადენილ „ხულიგნურ საქციელს“.

„ტუტუცი, ნადირი და კიდევ ვინ იცის, რა არ მიწოდეს, — უყვებოდა მილიციის განყოფილებაში მინდელსა და ძიძიგურს ჯუღელი, — ისე გამთათხეს, ვერც ერთი მექისე ვერ გამრეცხავს. კიდევ კარგი, ბიჭები დროზე შემოვიდნენ, თორემ, აღშფოთებული ხალხი სულს ამომხდიდა“, — ჩიოდა იგი.

მინდელს ხმამაღლა გაეცინა. შემდეგ, ბასკაკოვა და მისი თანმხლები მამაკაცი დაუდგა თვალწინ.

„ჩარგიევი... მათე ალექსის ძე ჩარგიევი... ვითომ ჩარგიევია?.. — დაუსვა კითხვა საკუთარ თავს და თვითონვე უპასუხა: — ვნახავთ... გავარკვევთ“.

...ჩარგიევი თავაზიანად მიიწვიეს ხარაბაძის კაბინეტში, სრული სერიოზულობით შეადგინეს აქტი, დაჰკითხეს დაზარალებულები. ჩარგიევმა მოკლედ, ღირსებით სავსე ტონით გადმოსცა მომხდარი და დინჯად მოაწერა ჩვენებას ხელი. შემდეგ წამოდგა, სასტუმროში წასვლა დააპირა. ვერც კი მიხვდა, რომ ჯუღელის ხულიგნობა, განყოფილებაში მისი მიყვანის საბაბი იყო მხოლოდ... აღშფოთდა, პროტესტი განაცხადა და ცხარედ შეედავა განყოფილების უფროსს, ოღონდ, ეს ყველაფერი დახვეწილი თავაზიანობითა და ღირსეულად გამოხატა.

კუთხეში მჯდარი მინდელი ინტერესით უსმენდა.

არც ერთი ვულგარული სიტყვა, არავითარი ჟარგონი!..

მილიციის განყოფილების უფროსს უკანონოდ დაკავებული, ზრდილი და განათლებული კაცი ელაპარაკებოდა და ცხარე პროტესტს გამოთქვამდა პიროვნების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დარღვევის გამო.

ვინ არის ბასკაკოვა? — ეს რა მათი საქმეა?! ჩვენს ქვეყანაში ადამიანი თავისუფალია და არავის აქვს უფლება, ახსნა-განმარტება მოსთხოვოს, თუ რატომ მეგობრობს ქალი მამაკაცთან ან — პირიქით. — სად გაიცნო? — არც ეს არის მათი საქმე; რა უნდათ მისგან მილიციის მუშაკებს? ნუთუ, ასეთი „პატივით“ ხვდებიან ისინი ყველა არაქართველ დამსვენებელს?! თუ ასეა, თუ მილიციის მუშაკები ამდენ უფლებას აძლევენ საკუთარ თავს და კანონის დარღვევასაც არ ერიდებიან, იგი, ჩარგიევი მონახავს ადგილს, ძვირად დაუჯენს თავხედობას გათამამებულ მაიორს. მანამდე კი, ხმასაც არ ამოიღებს, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა საკუთარი ღირსების დამცირებად მიაჩნია...

მინდელს ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია ჩარგიევის ნალაპარაკებიდან. მათე დინჯად, გამართული რუსულით ლაპარაკობდა. არც ერთი გრამატიკული შეცდომა, არც ერთი დამახინჯებული სიტყვა, თვით წინადადების კონსტრუქციაც კი — სხარტი და უნაკლო...

ხარაბაძე კითხვას კითხვაზე უსვამს: ვინ ხართ? როდის ჩამოხვედით წყალტუბოში? სად ბინადრობთ და საიდან მოხვედით?

ჩარგიევი ზოგ მათგანზე პასუხობს: ტაშკენტში ცხოვრობს, ტაქსომოტორის პარკის დისპეტჩერია, წყალტუბოში დასასვენებლად ჩამოვიდა. სასტუმროში გაჩერდა, 103-ე ნომერში. უკვე 18 დღეა, ჩამოსულია, რამდენიმე დღეში უკან უნდა დაბრუნდეს.

ხარაბაძეს ეჭვი ეპარება მისი პასუხების სისწორეში, განმეორებით ეკითხება, სად გაიცნო ბასკაკოვა.

ჩარგიევი აღშფოთდა, უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე და კატეგორიულად მოითხოვა პროკურორთან შეხვედრა.

— კეთილი, აი, გათენდება და პროკურორიც მოვა. მანამდე, ჩემი ვალია, დაგაკავოთ, — აცხადებს ხარაბაძე.

— დამაკავოთ?! რომელი კანონით, რა საფუძველზე?! ხომ არ ჰგონია პატივცემულ მაიორს, რომ ამ უკანონობას შეარჩენენ?! მადლობა ღმერთს, კანონი, სამართალი არსებობს და ის დროც წავიდა, როდესაც ასეთი მუშაკები უდანაშაულო ხალხს ამწყვდევდნენ ციხეში. ან იქნებ, მაიორი გაზეთებს არ კითხულობს?.. — დაინტერესდა ჩარგიევი.

გამოირკვა, რომ ხარაბაძე გაზეთებს კითხულობს, კანონიც იცის, ამიტომ...

— ამიტომ, დილამდე აქ დარჩებით! — შეუვალად აცხადებს განყოფილების უფროსი და ეჭვმიტანილის დაკავების ოქმს ადგენს.

ჩარგიევის აღშფოთება კულმინაციურ წერტილს აღწევს:

— ეს ძალადობაა! თქვენ პასუხს აგებთ უდანაშაულო ადამიანის შეურაცხყოფისათვის! — უტევს ის მაიორს.

ხარაბაძე დინჯად განაგრძობს წერას.

— რა ბრალდებით მაკავებთ? — უკვე ყვირის ჩარგიევი.

— რესტორანში დებოშის ატეხისათვის, — მშვიდად პასუხობს მაიორი.

— მშვენიერი სამართალი გქონიათ! ეს ალბათ, კარგად იციან აქაურმა ხულიგნებმა და ამიტომაც, უშიშრად ესხმიან თავს ადამიანებს რესტორანშიც კი, — მწარედ იღიმება ჩარგიევი.

ხარაბაძე არ პასუხობს, ოქმის წერას ამთავრებს.

— გაჩხრიკეთ! — უბრძანებს ლეიტენანტს.

ჩარგიევი უძრავად ზის, მიახლოებულ ლეიტენანტს გამჭოლ მზერას აგებებს.

— ინანებთ, მაიორო! — ეუბნება ხარაბაძეს.

— შესაძლოა, მაგრამ მაინც უნდა გაგჩხრიკოთ!

ჩარგიევს მეორე ოფიცერიც მიუახლოვდა. მათე ნელა წამოდგა ფეხზე, ბრაზიანად მიაშტერდა მაიორს, მერე აქეთ-იქიდან მის გვერდით ატუზულ ოფიცრებს გადახედა:

— კეთილი, — დაიცხრო მან სიბრაზე, — გამჩხრიკეთ. მაგრამ იცოდეთ, პასუხს გაგებინებთ.

ჩარგიევი გაჩხრიკეს: პასპორტი, სამხედრო ბილეთი, 2.000 მანეთამდე ფული და... სხვა არაფერი.

ხარაბაძე ოდნავ დაბნეულად დასცქერის მაგიდაზე დაწყობილ ფულსა და საბუთებს, შემდეგ, ჩხრეკის ოქმს ადგენს, ჩარგიევს ხელს აწერინებს და ხელქვეითებს სამორიგეო ოთახში დაკავებულის ჩაყვანას უბრძანებს.

— უსათუოდ შევცდით, ცრუკვალს გავყევით და ოპერაციაც ჩავშალეთ, — შეშფოთდა მაიორი, როგორც კი ჩარგიევი გაიყ-

ვანეს.

ძიძიგური მინდელს მიაჩერდა.

გამომძიებელს ოდნავ გაეღიმა.

— ყველაფერი ჩინებულად მიდის, ოპერაციაც შესრულებულია! — ამბობს ლევანი მშვიდად.

— შესრულებულია?! — იკითხა გაკვირვებულმა ხარაბაძემ და შემდეგ დაუმატა: — მერე — ჭაღარა?.. სადღაა ჭაღარა? განა, ჩვენი ვარაუდით, ის ამაღამ არ უნდა აგვეყვანა?

— უნდა აგვეყვანა!

— სად, ქუთაისში? — განცვიფრდა ძიძიგური.

მინდელს ისევ ეღიმება.

— შესაძლოა, ქუთაისში, ეს მალე გაირკვევა, — უპასუხა დაყოვნებით.

— მაშ, თქვენ ოპერაცია დამთავრებულად მიგაჩნიათ? — იჭვნეულად იკითხა ძიძიგურმა.

მინდელმა საათს დახედა.

— ჯერ არა. ახლა, მხოლოდ 11 საათი და 50 წუთია. შემუშავებული გეგმით კი, დევიძე 12 საათის შემდეგ მიიღებს ჩვენს ბიჭებს.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

გარკვევით ისმოდა, როგორ ტკაცუნობდა ხმელი შეშა თუნუქის ღუმელში.

— გამაგებინე, ლევან, რას ფიქრობ? — დაარღვია დუმილი მაიორმა.

— ვფიქრობ, დიდი გასაჭირი დაადგებათ ჩვენებს დევიძის ბინაზე. ჩვენ მართლაც შევცდით, მაგრამ — არა ჩარგიევის დაკავებით... ბანდიტებს ძირითადი ბინა დევიძის სახლში აქვთ და არა წყალტუბოში.

— მაშ, ბასკაკოვა? — დაიწყო ხარაბაძემ.

— ბასკაკოვა აქ არაფერ შუაშია, — შეაწყვეტინა მინდელმა. — ის, ისევე, როგორც დევიძე, საფოსტო ყუთად იქნა გამოყენებული. ამიტომაც, მე ვუბრძანე მორიგეს, რომ ის უკან, სასტუმროში მიეცილებინა.

— საფოსტო ყუთად? — განცვიფრდა ძიძიგური.

— დიახ, მხოლოდ საფოსტო ყუთად.

— კი, მაგრამ ხოტოველი ხომ მას ხვდებოდა.

— სწორია. მაგრამ ბასკაკოვამ არაფერი იცის ბანდიტების საქმიანობაზე — ახლა დაბეჯითებით შეიძლება ამის თქმა.

— და ეს შენ იცოდი, როცა წყალტუბოში მოვდიოდით?

ძიძიგურმა გამომცდელად შეხედა მინდელს.

— არა, მაგრამ ახლა უკვე ვიცი, — გაიღიმა მინდელმა.

— არაფერი მესმის, — მხრები აიჩეჩა ხარაბაძემ.

მინდელი წამოდგა, გაირა-გამოიარა.

— ამხანაგო ელიზბარ, — მიმართა მტკიცე ხმით ხარაბაძეს, — ჩარგიევი ამაღამვე გადაიყვანეთ ქუთაისში, მაგრამ — დიდი სიფრთხილით: იცოდეთ, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— გაქცევა? — განცვიფრდა ხარაბაძე.

— გაქცევაც. ეგ, დახვეწილ მანერებში გახვეული, ნახტომისათვის გამზადებული მხეცია.

პოდპოლკოვნიკმა ვეღარ მოითმინა.

— ამიხსნი თუ არა! — შეუტია მინდელს.

— ჯერ ვერა, სერგო. ხვალ კი, ზოგიერთი საკითხის შემოწმების შემდეგ, შენს სურვილს დავაკმაყოფილებ. მოითმინე ხვალამდე, კარგი?

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — ჩაიბურტყუნა ძიძიგურმა.

ყველას გაეცინა.

ძიძიგური და მინდელი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მინდელმა გამომძიებლად დაიწყო მუშაობა, ძიძიგური კი იმთავითვე, სამძებრო სამუშაოს გაჰყვა. ორივემ, როგორც იტყვიან, თავთავისი ადგილი მონახა.

ძიძიგურს მუშაობის დაწყებიდან დღემდე, არაერთი საშიში რეციდივისტი ჰყავდა შეპყრობილი. მან სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს, სიძულვილთან ერთად, დიდი შიშიც ჩაუნერგა, მათ შორის ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული.

ბანდიტები რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ კიდეც, სამჯერ დაჭრეს, მაგრამ მისი მოკვლა მაინც ვერ მოახერხეს. შიშის ზარს სცემდა თავზე ხელაღებულ ქურდ-რეციდივისტებს.

გულადი, მამაცი, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი, აუღელვებლად მოქმედებდა. მას არასოდეს ღალატობდა პროფესიონალური ალღო, მაგრამ თავისი საქმის უბადლო ოსტატს, „წვრილმანების“ შემჩნევისა და გაანალიზების უნარი აკლდა.

მინდელი მეტად ჭკვიან გამომძიებლად მიაჩნდა და დიდ პატივს სცემდა. ახლაც მიხვდა, რომ გამომძიებელმა მისთვის შეუმჩნეველი, რაღაც წვრილმანი „დაიჭირა“ და მტკიცედ ჩაეჭიდა.

მაგრამ გამომძიებელი ჩაიკეტა და ჯერჯერობით, არაფერი გაანდო ამხანაგს.

ძიძიგური სხვა რამეს არც მოელოდა, იცოდა — საერთოდ გულახდილ მინდელს საქმეზე თავისი აზრების წინასწარ გამჟღავნება არ უყვარდა...

გვიან ღამით დაბრუნდნენ ქუთაისში. ჩარგიევიც ჩამოიყვანეს.

სამმართველოდან პირდაპირ საავადმყოფოში წავიდნენ. მღელვარებით ელოდნენ ოპერაციის დასრულებას.

ღამის 5 საათზე, საოპერაციოდან დაღლილი გრძელიძე გამოვიდა. ყველანი შემოეხვივნენ სახელოვან დასტაქარს, დაჟინებული მზერა მიაპყრეს, კითხვით კი, ვერაფერი ჰკითხეს.

გრძელიძეს დაღლილ თვალებზე ღიმილის ჩრდილმა გადაურბინა.

— ჯერ უგონოდ არის, ბევრი სისხლი დაუკარგავს, ფილტვი აქვს დაზიანებული, მაგრამ იცოცხლებს. ლომის გული ჰქონია, — უპასუხა მან მუნჯ შეკითხვას და ბალანჩივაძესთან ერთად, მთავარი ექიმის კაბინეტს მიაშურა.

ოფიცრები გამხიარულდნენ, ერთბაშად დაავიწყდათ დაღლა და განცდილი ხიფათი. მეგობრულად ეხუმრებოდნენ „ხულიგან“ ჯუღელს. არც კურცხალია დავიწყებიათ, ერთხმად ურჩევდნენ — შრატი გაიკეთე, მართალია, თოვლში დახრჩობას გადაგარჩინა ბურდულმა, მაგრამ სისხლის მოწამვლის საფრთხე ჯერ კიდევ გემუქრებაო.

კურცხალია უხერხულად იღიმებოდა, ნაკბენ, შეხვეულ ხელს დასცქეროდა...

მინდელი და ბალანჩივაძე საღამოს 6 საათზე დაბრუნდნენ სამმართველოში. პოლკოვნიკი ჩინებულ ხასიათზე იყო. გულდასმით მოუსმინა მინდელს, შემდეგ, ორივემ, მეორე დღის სამუშაო განრიგი დასახა და დაკითხვის გეგმა შეიმუშავა. გათენებისას, ძლივს მოსწყდნენ სამუშაოს. გასაკეთებელი კი, ბევრი იყო. ჩარგიევის ოთახისა და პირადი ნივთების ჩხრეკამ საქმეს ვერაფერი შემატა. ტანსაცმელი, თეთრეული, ორიოდე წიგნი — აი, ყველაფერი ის, რაც აღმოაჩინეს. არც დანა და არც ცეცხლსასროლელი იარაღი, არც სხვა რაიმე, რაც ოდნავ მაინც მიაყენებდა ჩრდილს მის პიროვნებას...

დევიძის ბინაში შეპყრობილ ბანდიტებს 4 რევოლვერი, 100-მდე ვაზნა აღმოაჩნდათ. 4-დან 3 რევოლვერი, „პარაბელუმის“ სისტემის იყო, მეოთხე — „ვალტერი“.

მინდელს კარგად ესმოდა, რომ საქმე მხოლოდ ახლა იწყებოდა. სამართალს თავისი ფორმალური მხარე აქვს და სათანადო ფორმაში მისი მოქცევის გარეშე, სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ გაუხსნელ დანაშაულად რჩება...

მინდელს ბევრი აბურდული საქმე გამოეძიებინა და იცოდა, რომ პირველი დაკითხვა თითქმის ყოველთვის, გადამწყვეტი იყო. ამიტომ, ბალანჩივაძესთან ერთად, ღამით საგულდაგულოდ შეადგინა შეპყრობილთა დაკითხვის გეგმა. გაითვალისწინეს ყველა მოსალოდნელი ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ დევიძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტების მიმართ საკმაო მამხილებელი მასალა იყო შეგროვილი, მინდელი ერთი წუთითაც არ ეჭვობდა, რომ სასურველ შედეგს მიაღწევდა, მაგრამ ისინი შეეცდებოდნენ, მხოლოდ ის ეღიარებინათ, რისი უარყოფაც შეუძლებელი იყო, ხოლო დანარჩენი — მთავარი — მიეჩქმალათ და თავიდან აეცილებინათ.

გამომძიებელი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ არც ერთი ბანდიტი არ დაასახელებდა ჭაღარას და ყველა საშუალებით შეეცდებოდა, გზა-კვალი აერია გამოძიებისათვის. ეს ესმოდა მას და გადაწყვიტა, მოკლე დროში მოეგო

ბრძოლა, გაეტეხა ბოროტმოქმედთა სიჯიუტე და ზუსტად აღედგინა დანაშაულის მთელი სურათი.

კაბინეტის კარი გაიღო, ოთახში ბალანჩივაძე შემოვიდა და კმაყოფილებით შეავლო თვალი სუფთად წვერგაპარსულ, მუნდირში გამოწყობილ მინდელს. გამომძიებელი წამოდგა, მაგრად ჩამოართვა გამოწვდილი ხელი.

— ადრე მოსულხარ, ლევან. აკი გაგაფრთხილე, 12 საათამდე ლოგინიდან არ ადგე-მეთქი!

— მშვენივრად დავისვენე, დავით ილიჩ, სრულებით არ ვგრძნობ დაღლას, — გაიღიმა მინდელმა.

— მაინც არ უნდა ამდგარიყავი, ჯანმრთელობას გაფრთხილება უნდა.

— თქვენ მოგბაძეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— და ძალიან ცუდადაც მოიქეცი. მე სხვა ვარ, კიდევ ორიოდე წელი და პენსიაში გავალ, დავისვენებ... — პოლკოვნიკმა ფართოდ გაუღიმა და დასძინა: — რა გაეწყობა. ასაკი თავისას შვრება.

— ჩრდილელისა რა იცით, დავით ილიჩ?

— კარგი ამბავი; ამ დილით მეორედ გადაუსხეს სისხლი. გრძნობაზე მოვიდა, მიცნო. მაგრამ გრძელიძემ კატეგორიულად აუკრძალა ლაპარაკი. მეც მხოლოდ მოკლედ ვუამბე ოპერაციის შესახებ და მალე წამოვედი. ჩვენმა ბუზღუნა დასტაქარმა პალატაში არ დამაყენა.

— ჩინებულია! შალვა თავდადებული მუშაკია, მისმა დაჭრამ ყველანი ძალიან დაგვაღონა.

— რას ვიზამთ, ოპერმუშაკთა გზა ია-ვარდით მოფენილი როდია. ეს იგივე ფრონტია, ზოგჯერ კი, უფრო რთული ამოცანის გადაჭრა გიწევს:

ომში გამარჯვების „მოწმე“, მოკლული მტერია, აქ კი, ბანდიტები ცოცხლად უნდა შეიპყრო, ბრძოლისას, თანაბარ პირობებშიც არ ვიმყოფებით. ისინი სასიკვდილოდ გვიმეტებენ, ჩვენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ ვესვრით, — ფიქრიანად წარმოთქვა პოლკოვნიკმა და ასანთს გაკრა.

ბალანჩივაძე ფიქრებში ჩაიძირა, ცხვირის ნესტოებიდან კვამლის ბოლქვებს უშვებდა.

მინდელი ქაღალდებს ჩასცქეროდა და მოთმინებით ელოდა, კვლავ როდის აღაპარაკდებოდა უფროსი.

პოლკოვნიკი სავარძელში შესწორდა.

— დავიწყოთ! — მოკლედ მოჭრა მან და ზარის ღილაკს დააჭირა თითი. — გადაეცით მორიგეს, დაკავებული ხოტოველი ამოიყვანოს, — უბრძანა შემოსულ სერჟანტს.

ორიოდე წუთის შემდეგ, ახალგაზრდა ლეიტენანტი კაბინეტში ხოტოველს შემოუძღვა. პოლკოვნიკმა ცივად შეათვალიერა უკანასკნელ მოდაზე კოხტად ჩაცმული ხოტოველი, რომელიც შიშისგან მობუზულიყო და ხაფანგში გაბმული ვირთაგვასავით ახამხამებდა თვალებს.

— დაჯექით! — უბრძანა ბალანჩივაძემ.

ხოტოველი დაჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და თავი ჩაქინდრა. სადღა იყო მისი გამომწვევი გამოხედვა და უდანაშაულოდ დაკავებული კაცის სიფიცხე?! ოთახის კუთხეში, თითქოს საკუთარ ხვედრთან შეგუებული ადამიანი იჯდა და მოთმინებით ელოდა, როდის დაიწყებდნენ მასთან საუბარს.

შემუშავებული გეგმის მიხედვით, დაკითხვა მინდელს უნდა ეწარმოებინა, მაგრამ გამომძიებელი არ ჩქარობდა, ქაღალდებს ათვალიერებდა და სუფთა ფურცელზე რაღაც შენიშვნებს იწერდა.

დუმილმა რამდენიმე წუთს გასტანა. ბოლოს, ხოტოველმა ჯიბე მოისინჯა, პაპიროსი ამოიღო:

— ნებას მომცემთ, მოვწიო? — იკითხა.

— მოსწიეთ, — უპასუხა პოლკოვნიკმა.

მინდელმა საქაღალდე დაკეცა, საწერი მაგიდის უჯრიდან დაკითხვის შეუვსებელი ბლანკი ამოიღო და დაკავებულის ანკეტური მონაცემების შევსება დაიწყო. ხოტოველი მოკლედ პასუხობდა.

ლევანმა კალმისტარი გვერდზე გადადო და ხოტოველს თვალი თვალში გაუყარა. ხოტოველი შეეცადა, მზერა გაესწორებინა მისთვის, მაგრამ ვერ შეძლო, ნელ-ნელა დახარა თავი და გამომძიებლის გამჭოლი მზერა აიცილა.

მინდელი მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.

— იქნებ გირჩევნიათ, თქვენ თვითონ დაწეროთ ჩვენება? — დაუსვა მოულოდნელი კითხვა.

— რა ჩვენება? — იკითხა გაკვირვებით დაკავებულმა.

— ვითომ არ იცით... — გაეღიმა გამომძიებელს. — თუ ახლაც ტყუილად ხართ დაკავებული?..

ხოტოველი ერთხანს დუმდა, შემდეგ, თითქოს გადაწყვეტილება მიიღო, გამომძიებელს პირდაპირ თვალებში ჩახედა და ხმამაღლა თქვა:

— ვხედავ, დუმილი ზედმეტია, მაგრამ მე იმდენი განათლება არა მაქვს, რომ თვითონ დავწერო. დამკითხეთ და გიპასუხებთ.

— კეთილი, — მიუგო გაკვირვებულმა მინდელმა.

გამომძიებელი ბრძოლას ელოდა, ხოტოველი კი, მორჩილად აცხადებდა, მკითხეთ და ყველაფერს გიამბობთო...

— გაითვალისწინეთ, რომ მე გულახდილი ვარ გამოძიების წინაშე და ყველაფერს ვაღიარებ, — კვლავ ალაპარაკდა ხოტოველი.

— გონიერი საქციელია, — წააქეზა მინდელმა და განაგრძო: — აბა, დაიწყეთ. გვიამბეთ, ვინ გაგგზავნათ ბასკაკოვასთან და რა დავალებით?

ხოტოველის თვალებში უდიდესი

განცვიფრება გამოიხატა.

— დავალებით? რა დავალებით?

— ჩვენც მაგას გეკითხებით: რა დავალებით იყავით-მეთქი და ვისგან? — კითხვა გაუმეორა გამომძიებელმა.

— რას ბრძანებთ, უფროსო?! არაფერი დავალება მე არ მქონია. ბასკაკოვასთან პირად საქმეზე ვიყავი მხოლოდ, არავისაც არ გავუგზავნივარ.

— ეს არის თქვენი გულახდილობა?!.

— მე სიმართლეს მოგახსენებთ, მხოლოდ მომისმინეთ!

— გისმენთ!

— ბასკაკოვა ამ ოთხიოდე დღის წინ, შემთხვევით გავიცანი ქუთაისში. ბრილიანტის ბეჭედს ეძებდა, კარგ ფასს იხდიდა. სწორედ იმ დღეს, საიუველირო მაღაზიამ ბეჭდები მიიღო. ბასკაკოვას მისამართი დავიტოვე და წუხელ საღამოს ჩავუტანე, 800 მანეთი მოვიგე. ეს იყო და ეს, რა დავალება, რომელი დავალება?!

— მხოლოდ ამიტომ იყავით წყალტუბოში ჩასული?

— ცოლ-შვილი ამომიწყდეს, სახლკარი დამეწვას, თუ ვტყუოდე!

— ფიცს თავი დაანებეთ და სიმართლე თქვით.

— მე მხოლოდ სიმართლეს ვამბობ.

— ესე იგი, ისპეკულანტეთ, არა? — დამცინავად შეეკითხა პოლკოვნიკი.

— დიახ, უფროსო და გულწრფელად ვაღიარებ, გთხოვთ, ოქმშიც ასე ჩაწეროთ.

— სისულელეს თავი დაანებეთ და საქმეზე ილაპარაკეთ! — მკაცრად შეუტია მინდელმა.

— საქმეზე მოგახსენებთ, მაგრამ რომ არ მიჯერებთ?!

— რამდენი გადაგიხადათ ბასკაკოვამ ბეჭედში?

— 2.900 მანეთი, — მიუგო ხოტოველმა.

— ჯიბეში რამდენი აღმოგაჩნდათ?

— ჯიბეში 2.000 მანეთი მქონდა.

— დანარჩენი რა უყავით?

— დანარჩენი ხვალ უნდა მოეცა, — მტკიცედ უპასუხა ხოტოველმა.

— უცნობ ადამიანს ამოდენა ფული როგორ ანდეთ?

— მერე რა მოხდა, რომ ვანდე?! ვიცოდი, მომცემდა.

— გამოდის, რომ თანახმა ხართ, პასუხი აგოთ სპეკულაციისათვის? — კვლავ დამცინავად შეეკითხა პოლკოვნიკი.

— კი, უფროსო, აბა, სხვა რაღა დამრჩენია?! მაგრამ მე მგონია, მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას და თავდებში გამიშვებთ.

მინდელს გაეცინა, მაგრამ უმალვე შეიკავა თავი.

— ხოტოველო, — დაიწყო მან. — სპეკულაციაში თვითდაბრალებას შეეშვით, არაფერი გამოგივათ, გვითხარით სიმართლე — ვინ გაგგზავნათ ბასკაკოვასთან?

— არავინ, უფროსო, მე თვითონ ვიყავი, ბეჭედი ჩავუტანე.

— არ გინდათ, თქვათ სიმართლე? კარგი, ჩვენ გათქმევინებთ. ვის მიჰყიდეთ ამ ოთხი დღის წინ არაყი და ძეხვი?

— ეგ საქმე ხომ გამოირკვა! კიდევ მედავებით?

— ვის მიჰყიდეთ-მეთქი? — სუსხი დაეტყო მინდელის ხმას.

— რა ვიცი, ვინ იყო.

— სტყუით!

— არა, ღმერთმანი...

— სტყუით-მეთქი! მან 50-მანეთიანი გადმოგცათ, მაინცდამაინც წყალტუბოს ძეხვი გთხოვათ; ეს ფული ჯიბეში ჩაიდეთ, მანამდე კი გასინჯეთ, აღარ გახსოვთ?

— რა ვიცი, რამდენი მყიდველი მოდის, ყველას ხომ ვერ დავიხსომებ!

— ყველას — არა, მაგრამ ვახტანგის მიერ გამოგზავნილი კი, უეჭველად კარგად დაიხსომეთ: მან ხომ დავალება მოგიტანათ...

— რა დავალება? — ყოყმანით შეეკითხა ხოტოველი.

მინდელმა საქაღალდე გაშალა.

— აი, რა დავალება, — მიუგო მკაცრად და ფოტოსურათი გაუწოდა, — გეცნობათ?

ხოტოველმა ფოტოზე დაბეჭდილი 50-მანეთიანი ბანკნოტი დაათვალიერა, შემდეგ, მეორე გვერდსაც შეავლო თვალი.

— არაფერი მესმის! — ჩაილაპარაკა ჩუმად და ფოტოსურათი ფრთხილად დადო მაგიდაზე.

— პირიქით, ყველაფერი გესმით და სიცრუის თქმასაც აზრი აღარა აქვს, — მიაგება მინდელმა. — უკანასკნელად გირჩევთ, აღიაროთ სიმართლე.

ხოტოველი დუმდა.

— გსურთ თუ არა ჩვენების მიცემა? — შეუტია გამომძიებელმა.

ხოტოველმა თავი ასწია.

— მე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

— კეთილი. სასჯელის შემსუბუქების უკანასკნელ შანსსაც კარგავთ! ერთი საათის შემდეგ, თქვენს აღიარებას დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება.

— შემოიყვანეთ მოქალაქე ბასკაკოვა! — მიმართა მინდელმა გამოძახებულ სერჟანტს.

...ბასკაკოვა კაბინეტში შემოვიდა და უხმოდ ჩამოჯდა გამომძიებლის მიერ მითითებულ სავარძელზე.

ხოტოველმა ქვეშ-ქვეშ შეხედა ქალს, მაგრამ ბასკაკოვას ეს არ შეუნიშნავს, რადგან მისკენ ზურგშექცევით იჯდა.

— იცნობთ ამ მოქალაქეს? — შეეკითხა მინდელი ხოტოველს.

— ვიცნობ. აკი მოგახსენეთ, ბეჭედი მივყიდე-მეთქი, — უმალ, რუსულად უპასუხა ხოტოველმა.

— რუსულად იმიტომ მპასუხობთ, რომ იმედი გაქვთ, სიცრუეს დაგიდასტურებენ?.. — ქართულად შეეკითხა გამომძიებელი და შემდეგ, ბასკაკოვას მიუბრუნდა: — თქვენ იცნობთ ამ მამაკაცს?

ბასკაკოვა წყნარად შებრუნდა. რამდენიმე წამი უცქირა ხოტოველს.

— დიახ, ვიცნობ.

— რამდენჯერ შეხვედრიხართ?

— ორჯერ. პირველად, ოთხიოდე დღის წინ, მეორედ კი — წუხელ ღამით.

— სად?

— წყალტუბოში, სასტუმრო „თბილისის“ 407-ე ნომერში.

— ვინ გაგაცნოთ?

— მათე ჩარგიევმა.

— სად გაგაცნოთ?

— წყალტუბოს პარკში.

— რაზე გქონდათ საუბარი?

— არავითარი საუბარი არ გვქონია. მათემ მითხრა, ამ კაცს ჩემი ფული მართებს, მე შეიძლება, ერთი-ორი დღით თბილისში წავიდე და თუ ფული მოგიტანოს, დაიტოვეო.

— შემდეგ?

— მეტი არაფერი. ხოტოველი მაშინვე დაგვემშვიდობა და წავიდა.

— წუხელ რაღაზე მოვიდა?

— აკი გითხარით — ფული მოიტანა და დამიტოვა, მათესთვის გადასაცემად.

— რამდენი?

— 5.000 მანეთი.

ხოტოველი გაფითრდა. ზიზღით შეხედა ბასკაკოვას, მაგრამ ქალმა გამომწვევად გაუსწორა მზერა.

— რა უყავით ფული?

— ჩემს ნომერში მქონდა, ჩემოდანში შენახული. წუხელ კი, მილიციის მუშაკებმა ჩამომართვეს.

— კეთილი, — მიუგო გამომძიებელმა და შემდეგ, ხოტოველს მიუბრუნდა: — რას იტყვით?

— არაფერს, იმის მეტს, რომ ეს ქალი აშკარად ტყუის! — ახლა უკვე ქართულად უპასუხა ხოტოველმა.

— ხოტოველო, ნუ ჯიუტობთ.

— არაფერსაც არ ვჯიუტობ. მე მაგას ბეჭედი მივყიდე — მორჩა და გათავდა!

— ხოტოველო, ეგ ბავშვობაა, თავის მოტყუებაა, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ გამოსავალი აღარ გაქვთ?

— არ მესმის, რატომ უნდა დაუჯეროთ ამ ქალს და არა მე. რით არის მისი ჩვენება უფრო სარწმუნო, ვიდრე ჩემი?

— თქვენ ასე გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ.

— კეთილი...

მინდელი წამოდგა, წიგნების კარადიდან პატარა, მოგრძო ყუთი გადმოიღო, მაგიდაზე დადგა და შტეფსელში შეაერთა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ოჯახი, რომელზეც ახლა გიამბობთ, საქართველოში ელინური წარმომავლობის იმიგრანტთა მესამე თაობას წარმოადგენს. მიხა ალიმონაკი, ძმებთან ერთად, ათენიდან დედინაცვალს გამოჰპარვია და გემით ფოთში ჩასულა. საქართველოში ისინი ფოთელ ბერძნებს შეუფარებიათ. რამდენიმე წლის შემდეგ, მიხა, გარკვეული მიზეზების გამო, საბერძნეთში დაბრუნებულა. საქართველოში კი, მეუღლე — სონია ბაჩილავა და შვილი — საშა ალიმონაკი დაუტოვებია. თუ როგორ წარმართა ამ ოჯახის ბედი, ამის შესახებ მწერალი ლერი ალიმონაკი (საშას ვაჟი) და ქალბატონი მერი ბურჯანაძე (საშას მეუღლე) მოგვითხრობენ.

„საქართველოში ფორთხვით რომ მოვიწიოს ჩასვლამ, იქ მაინც დავბრუნდები“

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო ლერი, რამდენი წლის იყო ბაბუათქვენი — მიხა, როცა საქართველოში ჩამოვიდა?

— ალბათ, 12 წლის. მაშინ აქ ბევრი ბერძენი ცხოვრობდა და ძმებიც მათ შეუფარებიათ. ბაბუის უფროსი ძმა მხატვარი ყოფილა. მის მიერ შესრულებული, 7 წლის შვილის (მამაჩემის) პორტრეტი, ჩვენს ოჯახში ახლაც ინახება. იგი მოგვიანებით რუსეთში, ხოლო მათი უმცროსი ძმა, როგორც ამბობენ — არგენტინაში წასულა.

— ბაბუას რა ბედი ეწია?

— მას ჭიათურაში, მარგანეცის მაღაროებში ცნობილ მრეწველ პერსენაკისთან დაუწყია მუშაობა. შემდეგ კი, საცხოვრებლად ფოთში გადასულა.

— ქართული იცოდა?

— არ იცოდა. ბერძნულ და რუსულ ენებზე ლაპარაკობდა. ფოთში ყოფნის დროს, სონია ბაჩილავა გაიცნო და მასზე დაქორწინდა. სონიას დის ქმარი, გიორგი ხაჯოპულო კომერსანტი გახლდათ. საქართველოდან დაფნა, თხილი, ნიგოზი გაჰქონდა და მას ამ საქმიანობაში ბაბუა ეხმარებოდა.

— ბაბუათქვენი საქართველოდან რატომ წავიდა?

— მოგეხსენებათ, რომ გასაბჭოების შემდეგ, ვაჭართა ფენას ნიადაგი გამოეცალა. გაკოტრებულ ბაბუას სახლი გაუყიდია და ერთ პატარა ბინაში გადასულა საცხოვრებლად. 1927 წელს კი, გემით საბერძნეთში წასულა, რათა გაერკვია — რა პირობები იყო იქ და შემდეგ ცოლ-შვილიც წაეყვანა. მამაჩემი, საშა ალიმონაკი მაშინ 17 წლის ყოფილა. მას თვითონ გაუცილებია აცრემლებული ბაბუა, რომელსაც მხოლოდ ერთი ჩემოდანი ჰქონდა და მას შემდეგ, მამა აღარც უნახავს.

— საქართველოში დაბრუნება და ცოლ-შვილის წაყვანა რატომ ვეღარ შეძლო?

— მას საბერძნეთიდან რამდენიმე სურათი გამოუგზავნია, მისამართით და წარწერით — დაუყოვნებლივ გამოემგზავრეთო. ბებია წინააღმდეგი არ ყოფილა, მაგრამ მამაჩემი საქართველოდან წასვლაზე ვერ დაუთანხმებია, უთქვამს — ვერ შეველევი საყვარელ მეგობრებს, ქალაქს, ფეხბურთსო. შემდეგ, საზღვრები ჩაიკეტა და გამგზავრებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

— შემდგომ წლებში, ხომ აღდგა ქვეყნებს შორის მიმოსვლა. მამათქვენს საბერძნეთში წასვლა არც მაშინ უცდია?

— მამას, საქართველოს გარდა, სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ეს არაერთხელ უთქვამს. თუმცა, ბერძენი ნათესავების ბედიც აინტერესებდა. მან „წითელი ჯვრის“ დახმარებით მიაკვლია დეიდაშვილს, კოპა ხაჯოპულოს *(გიორგი ხაჯოპულოს ქალიშვილი. — ავტ.)* და დედაჩემთან ერთად მის მოსანახულებლად საბერძნეთში ჩავიდა. მაშინ იპოვეს ახლო ნათესავი ელენიცა ალიმონაკიც. მათგან გაიგეს, რომ ბაბუას საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, ცოლი აღარ შეურთავს და ცხოვრების უკანასკნელი წლები, მოხუცთა თავშესაფარში გაუტარებია. ჩემი მშობლები ერთი თვე იყვნენ საბერძნეთში. კოპა და მისი შვილები ახლაც იქ ცხოვრობენ, მაგრამ ერთმანეთთან კავშირი აღარ გვაქვს.

— რას გვეტყვით მამათქვენზე?

— მამა ფეხბურთს ჯერ ბათუმის, შემდეგ — ქუთაისის გუნდში თამაშობდა. საკმაოდ წარმატებული ფეხბურთელი იყო. შემდეგ, ფრონტზე წავიდა. 5 წლის ვიყავი, როდესაც ქუთაისი დავტოვეთ და საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით. მამა ომიდან რომ დაბრუნდა, სტადიონზე წამიყვანა. ის ფეხბურთს დაუბრუნდა. მახსოვს, წითელი მაისური ეცვა. მაშინ ქალები სტადიონზე არ დადიოდნენ, მაგრამ გამონაკლისი ხდებოდა — როცა მამაშენი თამაშობდა, ქალები მის სანახავად მოდიოდნენო — მიყვებიან მისი თანამედროვენი, ქუთაისის კოლორიტები — ოთარ მამფორია, ხუხა ეძგვერაძე, ოთარ სულაბერიძე.

— საქართველოში თქვენი გვარის რამდენი ადამიანი ცხოვრობს?

— მე, ჩემი და და ჩემი 2 შვილი.

მერი ბურჯანაძე:

— საშა ჩემი ძმის მეგობარი იყო. ქუთაისში ჩვენს სახლში ხშირად მოდიოდა სტუმრად. დროთა განმავლობაში, ერთმანეთი შეგვიყვარდა და ცოლად გავყევი. იგი ჩემზე 9 წლით უფროსი იყო.

— თქვენს მშობლებს საყვედური ხომ არ გამოუთქვამთ იმის გამო, რომ სიძე ქართველი არ იყო?

— არა, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი დედამთილის მშობლები წინააღმდეგნი ყოფილან, ქალიშვილი მიხა ალიმონაკისთვის მიეთხოვებინათ.

— რატომ იყვნენ წინააღმდეგნი?

— ჩემი დედამთილი, სონია ბაჩილავა გახლდათ. მიხა თხილის ექსპორტს ეწეოდა. იმისთვის, რომ თხილი შეეძინა, სამეგრელოს სოფლებში ცხენით დადიოდა. ერთ-ერთ სოფელში სონია გაუცნია, მისი სილამაზით მოხიბლულა და დაოჯახებაც გადაუწყვეტია, მაგრამ სონიას მშობლები არ დათანხმებულან — მიზეზი ის გახლდათ, რომ მაშინ ბერძნებს ცუდი სახელი ჰქონდათ. მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, მათ მაინც შექმნეს ოჯახი.

— რატომ ჰქონდათ ბერძნებს ცუდი სახელი?

— არ ვიცი, რატომ უნდა ჰქონოდათ ცუდი სახელი, მთელი კულტურა ხომ საბერძნეთიდან მოდის. მიხა განათლებული



მერი ბურჯანაძე

საშა ალიმონაკი, კოპა ხაჯოპულო და მერი ბურჯანაძე (საბერძნეთში ყოფნის დროს)

კაცი იყო, წიგნიერი, სონიამ კი, მხოლოდ მეგრული იცოდა.

— როგორ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს?

საშა ალიმონაკი და კოპა ხაჯოპულო

დორა

— გათხოვების შემდეგ, სონიამ რუსული ისწავლა. მათ ოჯახში ხშირად საქართველოში მცხოვრები ბერძნები იკრიბებოდნენ. სონიას და — დორა, რომელიც მათთან სტუმრად იმყოფებოდა, ბერძენ გიორგი ხაჯოპულოს მოეწონა და ცოლად შეირთო. გიორგი მდიდარი კაცი იყო. მას ფოთელი ფეხბურთელებისთვის საბერძნეთიდან საჩუქრად ფორმები, ბუცები და ბურთები ჩამოუტანია... დორას და გიორგის მალე ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც კოპა დაარქვეს. სამწუხაროდ, დორა მეორე შვილზე ფეხმძიმობის დროს გარდაიცვალა; ეს ამბავი გიორგის ძალიან განუცდია — თურმე, ოთახში იკეტებოდა და საათობით ტიროდა. მას მალე საქართველოდან წასვლა და შვილის წაყვანა განუზრახავს. ვიზაც მიუღია საბერძნეთიდან, მაგრამ სონია მის ჩანაფიქრს მიხვედრილა და 6 წლის კოპა სამეგრელოში გადაუმალავს. სახლში დაბრუნებულ გიორგის შვილი რომ ვეღარ უნახავს, აღშფოთებულა — ყველაფერი დაუმტვრევია, მერე სამეგრელოში ჩასულა და შვილი წამოუყვანია. ჩვენ კოპას შესახებ, დიდი ხანი არაფერი ვიცოდით. იგი რამდენიმე წლის წინ, „წითელი ჯვრის“ დახმარებით აღმოვაჩინეთ. მე და ჩემი მეუღლე მასთან სტუმრად საბერძნეთში ჩავედით. იქ პირველად ვნახეთ ერთ-ერთი ახლო ნათესავი — ელენიცა ალიმონაკიც.

საბერძნეთში სტუმრობის დროს

— თქვენს მეუღლეს დარჩენის სურვილი ხომ არ გამოუთქვამს?

— რას ამბობთ?! საბერძნეთში ყოფნის დროს მითხრა — ტრანსპორტი რომ არ იყოს და საქართველში ჩასვლამ ფორთხვით მომიწიოს, მაინც წავალო. ■

ეს ადამიანი ღმერთს სულზე საკუთრებით კრავს ადამ

შორენა მერკვილაძე

მარტყოფელის ღვთაების მონასტერი, სოფელ მარტყოფიდან 5 კილომეტრის მოშორებით, იალნოს მთაზე მდებარეობს. მონასტერი დაარსებულია VI საუკუნის მეორე ნახევარში, ერთ-ერთი ასურელი მამის, ანტონ მარტყოფელის მიერ. მონასტრის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს სიწმინდეს წარმოადგენს წმინდა ანტონის წმინდა ნაწილები, რომელიც მონასტრის მთავარი — ხელთუქმნელი ხატის ტაძარში ინახება. ამავე ტაძარში იყო დაბრძანებული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ასლი — კეცზე ამოტვიფრული პირი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა („კეცისად“ წოდებული), რომელიც მამა ანტონს შემთხვევით უნახავს მწვალებელთა ტაძარში, მისი ჩუმად გამოტანა მოუხერხებია და დიდი სასოებით ინახავდა თურმე. როდესაც მამა ანტონი იოანე ზედაზნელთან ერთად საქართველოში გამოემართა, როგორც უფლის ერთ-ერთი რჩეული, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის კეცზე ასახული ასლიც წამოუღია და მუდამ თან ატარებდა. დღეისათვის სასწაულმოქმედი ხატის ადგილსამყოფელი უცნობია...

საქართველოში მამა იოანესთან ერთად ჩამოსული მამა ანტონი ერთხანს, იოანე ზედაზნელთან მოღვაწეობდა ზედაზ-

ნის მთაზე. შემდეგ, მამა იოანეს კურთხევით, ჯერ ზედაზნის მთის ჩრდილოეთით იწყო ქადაგება ქრისტეს სჯულისა, მოგვიანებით კი, საქადაგებლად კახეთში გადავიდა. მამა ანტონის წმინდა ცხოვრებამ და ქადაგებამ მრავალ ადამიანს გაუჩინა მასთან მოღვაწეობის სურვილი. როდესაც მონაზონთა რიცხვმა ძალზე იმატა, წმინდა მამამ მათთვის ალაზნის გაღმა მონასტერი დააარსა, თვითონ კი, განმარტოებით მოღვაწეობის დაუოკებელი სურვილის გამო, ახმეტასთან ახლოს, მიუვალ მთებში დაეყუდა, მაგრამ მალე იქაც მიაკვლიეს და მასთან სიარული იწყეს. ამის შემდეგ, მამა ანტონი იმ ადგილსაც განერიდა და აკრიანის მთას მიაშურა, რომელიც მთლიანად ტყით იყო დაფარული. მთის მწვერვალზე საკუთარი ხელით გამოკვეთა ქვაბული და იქ დაბინავდა.

მიუვალ მთებში მარტოდმარტო მყოფი მამა ანტონი უმეტეს დროს, მაცხოვრის კეცზე ამოტვიფრული ხელთუქმნილი ხატის წინაშე ლოცვაში ატარებდა. თავდაპირველად, მხოლოდ მცენარეული საკვებით საზრდოობდა, შემდეგ, უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებულ ბერთან, ყოველ საღამოს მიდიოდნენ ირმები და ღირსი მამა მათი რძით საზრდოობდა.

ერთ საღამოს, მამა ანტონთან ირმები ჩვეულებრივზე ადრე მივიდნენ, მათ უკან დაჭრილი ნუკრი მისდევდათ. ბერს ირმები დამფრთხალნი ეჩვენა, წამოდგა, გულზე მაცხოვრის ხატი დაიკიდა და ირმებს გაჰყვა. მთის ძირას, სანადიროდ გამოსულ, ახლომდებარე სოფლის მამასახლისს — ნორიოს შეხვდა, რომელმაც ირმებს შორის გულზე ხატდაკიდებული ბერი საშიშ კაცად მიიჩნია და მხლებლებს უბრძანა, სამჭედლოში წაეყვანათ ხელის მოსაჭრელად. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ როგორც კი წმინდა მამის ხელის მოსაჭრელად აღმართა, რკინა გაუვარდა, ხელი კი, ჰაერში დარჩა გაშეშებული. მომხდარით გაოგნებულმა და შეშინებულმა მჭედელმა მეტყველების უნარი დაკარგა. ანტონი მასთან მივიდა, ჯვარი გადასახა და განკურნა. ამ სასწაულის შესახებ, სასწრაფოდ მოახსენეს მამასახლისს. იგი მიხვდა, რომ მათ წინაშე ღვთის მადლით მოსილი კაცი იდგა, თაყვანი სცა და მიმართა: „რა გნებავს სთქუ და ყოველი მოგცე“. ბერმა მხოლოდ ქვამარილის ნატეხი მოითხოვა და კვლავ თავის სადგომს მიაშურა. ქვამარილი კი, სენაკის ახლოს დადო ირმებისთვის...

ამის შემდეგ, მამა ანტონის სახელი ახლომახლო სოფლებშიც შეიტყვეს და მისი მოღვაწეობის ადგილს უამრავი ადამიანი მოადგა. ბევრი იმდენად მოხიბლა წმინდა მამის ცხოვრების წესმა, რომ მისი მიბაძვა და მასთან მოღვაწეობა მოისურვა. მამა ანტონმა მათთვის ღვთაების მონასტერი დააარსა, რომელიც მოგვიანებით, მარტყოფის ღვთაების მონასტრის სახელწოდებით გახდა ცნობილი.

ახალდაარსებულ მონასტერში დამკვიდრებულ ბერებს, ანტონმა სამონასტრო ტიპიკონი განუჩინა, დამოძღვრა ისინი, თვითონ კი, მთის მწვერვალზე თხუთმეტი მეტრის სიმაღლის კოშკი (სვეტი) აღმართა, იქ დაეყუდა და დარჩენილი სიცოცხლის 15 წელიწადი სრულიად

მარტოდმყოფმა გაატარა. სწორედ ამის გამო ეწოდა მამა ანტონს მარტომყოფელი, ხოლო მოგვიანებით — მარტყოფელი (მისი მოღვაწეობის ადგილიდან ახლომდებარე სოფელ აკრიასაც მარტომყოფი, მოგვიანებით კი — მარტყოფი ეწოდა). სამონასტრო კომპლექსის აღმოსავლეთით, მაღალი მთის მწვერვალზე დღემდეა შემორჩენილი წმინდა ანტონ მარტყოფელის კოშკი.

მთის მწვერვალზე აღმართულ სვეტზე განდეგილ ანტონ მარტყოფელს უფლისგან წინასწარ ეუწყა ამა სოფლიდან გასვლის ჟამის შესახებ, მოწაფეები იხმო, რათა უკანასკნელად დაემოძღვრა და ეკურთხებინა ისინი, თვითონ კი, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის წინ დაჩოქილი აღესრულა, ლოცვის დროს.

მოწაფეებმა წმინდა ანტონის ნეშტი სვეტიდან ჩამოასვენეს და მის მიერვე დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს, ღვთისმშობლის ხატის წინ. ღვთაების მონასტერში დააბრძანეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ასლიც — კეცისად წოდებული, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა მამა ანტონს.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ძალითა და მადლით, მრავალი ადამიანი განიკურნა სნეულებისგან. ერთხელ, მას მეფე დავით ულუც განუკურნავს. მეორედ კი, აღარ გახდომია შემწედ, რადგან, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს: „მოაკლო ღვთისმსახურება და იწყო რღვევად საყდართა და შლად, ამისათვის აღიღო ხელი ღმერთმან წყალობისა“.

XV საუკუნეში — 1395 წელს, ღვთაების ანტონ მარტყოფელის სავანე თემურ ლენგმა დაარბია. მარტყოფის იმჟამინდელ ეპისკოპოსს, გიორგი მარტყოფელს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გადამალვა მოუსწრია, რათა ეს უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე უსჯულოებს არ ჩავარდნოდათ ხელში. მტერთან ბრძოლის დროს, გიორგი მარტყოფელიც დაიღუპა და თან გაიყოლა ამ უდიდესი სიწმინდის ადგილსამყოფლის საიდუმლოც. ამის შემდეგ, ბევრი ეპისკოპოსი შეეცადა, ხატის ადგილსამყოფლისთვის მიეკვლია, მაგრამ ამაოდ...

1752 წელს, მარტყოფის მონასტერი ლეკებმა დაარბიეს. ამის შედეგად, მონასტერი ძალზე დაზიანდა, დაიკარგა წმინდა ანტონ მარტყოფელის საფლავიც. ეს უდიდესი სიწმინდე მოგვიანებით აღმოაჩინა მამა იოანე მაკარაშვილმა. მარტყოფის მონასტრის აღდგენისთვის ზრუნვის დროს, სოფელ ნორიოში ის სრულიად შემთხვევით შეხვდა ერთ ღრმად მოხუცებულ უსინათლო კაცს, რომელსაც ახსოვდა, თუ სად იყო წმინდა ანტონ მარტყოფელის საფლავი ძველ ეკლესიაში. სწორედ ამ უსინათლო მოხუცის დახმარებით მოახერხა მამა იოანემ წმინდა მამის სამარხის მიკვლევა, სადაც ანტონ მარტყოფელის სხეული უხრწნელი დახვდათ. წმინდანის ნეშტთან ლიტანია გადაიხადეს და საფლავი კვლავ ამოავსეს.

1923 წელს, მარტყოფის მონასტერი ძლიერმა მიწისძვრამ დაზიანა, მთლიანად ჩამოიქცა ტაძრის გუმბათი. ამის შემდეგ მონასტერი ეგზარქოს ისიდორეს განუახლებია და საზაფხულო რეზიდენციად უქცევია...

კომუნისტური მმართველობის წლებში, მარტყოფის მონასტერში ორი ბერი — გერმანე და ხარლამპი მოღვაწეობდა, რომლებსაც უფლისგან სასწაულმოქმედების ძალა ჰქონდათ მომადლებული, მაგრამ მარტყოფში მოღვაწე მამებს, „ჩეკისტებმა“ მიაკვლიეს და მონასტრიდან გამოდევნეს. ეს მოხდა 1934 წელს. ამის შემდეგ, მარტყოფში სამონასტრო ცხოვრება შეწყდა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, მარტყოფის მონასტერში, ჯერ უპატრონო ბავშვთა სახლი, შემდეგ კი — ერთ-ერთი ქარხნის დასასვენებელი სახლი ყოფილა განთავსებული. ბოლოს, მონასტერი ფინანსთა სამინისტროს დაუქვემდებარეს.

1989 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით, მარტყოფის მონასტერში სამონასტრო ცხოვრება კვლავ განახლდა.

■

ავარჯიშეთ მეხსიერება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

არსებობს მოსაზრება, რომ დაბერების ერთ-ერთი ნიშანი, მეხსიერების გაუარესებაა. მართლაც, ბევრ მოხუცებულს ავიწყდება სახელები, გვარები, ტელეფონის ნომრები, წაკითხული წიგნების შინაარსი, ვერ იხსენებს, სად დადო სათვალე, წუხს, რომ ვერ იმახსოვრებს სულ მცირე მოცულობის ინფორმაციასაც კი. ამ პრობლემასთან გასამკლავებლად, საჭიროა მეხსიერების გამუდმებული ვარჯიში. ასეთი ტრენინგისათვის 6 ძირითადი წესის გამოყენება შეგიძლიათ:

● ისეთი სამუშაოს წინ, რომელიც ახალი ინფორმაციის დამახსოვრებას მოითხოვს, კარგად დაისვენეთ, განეწყვეთ ინფორმაციის მისაღებად და ახალი ძალებით შეუდექით საქმეს.

● გონება მოიკრიბეთ, დაადგინეთ, ასათვისებელი მასალის მოცულობა და მნიშვნელობა, ეცადეთ, საკუთარ თავში აღძრათ ინტერესი იმ ინფორმაციისადმი, რომლის დამახსოვრებაც მოგიწევთ.

● მოემზადეთ ინფორმაციის დასამახსოვრებლად, წარმოიდგინეთ იგი თქვენთვის სასურველი ფორმით. ამ მიზნით, მთელი მასალა უნდა დაყოთ ფრაგმენტებად, მცირე მოცულობის მქონე ნაწილებად, რომელთაც თავიანთი აზრობრივი მნიშვნელობა ექნება. მოძებნეთ თითოეული ნაწილის მთავარი აზრი.

● გამოიყენეთ ასოციაციის მეთოდი: დასამახსოვრებელი ინფორმაცია თქვენთვის უკვე ცნობილს დაუკავშირეთ. ამგვარად, შემდგომში უფრო იოლად შეძლებთ მის გახსენებას.

● დასამახსოვრებელი ინფორმაცია ბევრჯერ გაიმეორეთ.

● ინფორმაციის ათვისებისას, დროდადრო შეისვენეთ. ასეთი შესვენებების ხანგრძლივობა ინდივიდუალურად განისაზღვრება და ორი წუთიდან, ორ დღემდე ცვალებადობს.

ეს მეთოდიკა, განსაკუთრებულად ეფექტურია იმ შემთხვევებში, როცა ლაპარაკია დიდი მოცულობის მქონე შემეცნებით ინფორმაციაზე. მისი მეშვეობით, თქვენ აიძულებთ ტვინს იმუშაოს, მოახდინოს აღქმის, ლოგიკური აზროვნების, წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარის სტიმულირება.

თუ ყოველდღიურ ყოფაში გრძნობთ, რომ გაქვთ ცუდი მეხსიერება, ხართ დაბნეული, ამ შემთხვევაში, გამეორების მეთოდი უნდა მოიშველიოთ. დღეში

რამდენჯერმე გონებაში გაიმეორეთ ქუჩების, გეოგრაფიული ადგილების დასახელებები, ტელეფონის ნომრები, ის აუცილებელი დავალებები, რომლებიც დღის განმავლობაში უნდა შეასრულოთ.

ტვინისთვის თავისებურ ვარჯიშს წარმოადგენს ასეთი მარტივი ილეთებიც:

● იკითხეთ ჟურნალებსა და გაზეთებში სტატიები, რომლებსაც ადრე არაფრის დიდებით არ წაიკითხავდით — ამით ტვინი გავარჯიშდება და მისი ინფორმაციისაგან თავისუფლი უჯრედები შეივსება.

● უყურეთ ტელევიზორში გადაცემებს, რომლებიც აქამდე არ გაინტერესებდათ — თქვენ აუცილებლად შეამჩნევთ, რომ თქვენი მზერა უფრო მახვილი და ყურადღებიანი გახდა.

● რადიოგადაცემების მოსმენისას ეცადეთ, რომ წარმოიდგინოთ მიმდინარე მოვლენები და ამასთან, ხმამაღლა გაიმეორეთ ზოგიერთი ფრაზა.

როგორც სპეციალურმა გამოკვლევებმა აჩვენა, მოხუცებულებში ყოველ მესამე ადამიანს, მეხსიერების პრობლემები ტვინის ფუნქციების მოშლის შედეგად უვითარდება. ტვინის ნორმალური მუშაობისათვის კი, დიდი მნიშვნელობა აქვს ტვინის კვებასაც.

დადგენილია, რომ ჩვენს ორგანიზმს, აზროვნების პროცესის სრულფასოვნებისათვის, სჭირდება პროდუქტები, რომლებიც შეიცავს გლუკოზას, ლეციტინს, B1, B6 და B12 ვიტამინებს, რკინას, თუთიას, სპილენძს, კალციუმს და მაგნიუმს. ასეთ პროდუქტებს მიეკუთვნება: ძროხის ხორცი, ღვიძლი, თევზი, სოკო, კარტოფილი, ბარდა, ხახვი, ნიორი, პირშუშხა, ოხრახუში, ნიახური, კიტრი, სტაფილო, ზეითუნისა და მზესუმზირის ზეთები, რძე, კაკალი, თაფლი, ჩირი, ფორთოხალი, ვაშლი, გარგარი, გრეიპფრუტი, ყურძენი, მოცხარი, ალუბალი, ხურტკმელი.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საპენსიო ასაკის მქონე ადამიანთა ნახევარს, გონებრივი მუშაობის უნარი იმიტომ უქვეითდება, რომ მათი ტვინი, მთვლემარე მდგომარეობაში გადადის, არ ეწევა აქტიურ მუშაობას. ტვინის გასაღვიძებლად, ავარჯიშეთ იგი სკანვორდებისა და კროსვორდების შევსებით, ლექსების სწავლით, თუ საშუალება გაქვთ, დაიწყეთ უცხო ენის შესწავლაც.

ტვინის შესაძლებლობები მით მეტია, რაც უფრო ოპტიმისტურია განწყობილება და ემოციურად დატვირთულია ცხოვრება. მოხუცებულობისას დაგროვილი დაღლილობა, აჩლუნგებს გრძნობებს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევებრძოლოთ სიბერეს. ამ ბრძოლაში, აუცილებლად დაგეხმარებათ ამერიკელი მეცნიერის, რობერტ ელიოტის მიერ გამოთქმული 2 პრინციპი: ***1. ნუ ინაღვლებთ წვრილმანების გამო; 2. ყველაფერი წვრილმანია.*** ■

თევზი დეპრესიის წინააღმდეგ

ბრიტანელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ცუდ განწყობილებასა და ფსიქიკურ მოშლილობას, უმჯობესია, ვუმკურნალოთ არა მედიკამენტებით, არამედ კვების სტილის შეცვლით. ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რაციონის ცვლილებები ზოგიერთი სულიერი დაავადების განვითარების მიზეზი ხდება. პროდუქტების წარმოებისა და დამუშავების ახალი მეთოდები, ნახევარფაბრიკატების მოხმარება, იწვევს მინერალების, ვიტამინებისა და ცხიმების ბალანსის დარღვევას.

ბოლო 50 წლის განმავლობაში, ბრიტანელების რაციონში შემცირდა ბოსტნეულისა და თევზის რაოდენობა და გაიზარდა ნაჯერი ცხიმებისა და შაქრის ოდენობა. კვების ასეთმა ცვლილებებმა კი, შეიძლება დეპრესიები, მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები, ყურადღების დეფიციტის სინდრომი და შიზოფრენიის განვითარებაც კი გამოიწვიოს. ■

„ხმამაღალი“ ძილი

თუ ძილში ხვრინავთ, თქვენი „ხმამაღალი“ ძილი პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ გარშემო მყოფთათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავად თქვენთვის.

ხვრინვის ძირითადი მიზეზი, შეიძლება იყოს ანატომიური დარღვევები (სიმსუქნე, პოლიპები ცხვირში, ცხვირ-ხახის თანდაყოლილი სივიწროვე), არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური მდგომარეობა (ძლიერი დაღლილობა, რომელიმე ორგანოს დაავადება, ალკოჰოლური ინტოქსიკაცია — სიმთვრალე), ფსიქოლოგიური პრობლემები (ქვეცნობიერი სურვილი მეტად დაფასებული იყოთ ცხოვრებაში, უკმაყოფილება ირგვლივ მყოფებით ან მათზე განაწყენება).

ხვრინვა ჯანმრთელობისთვის, ზოგჯერ კი, სიცოცხლისთვისაც საშიშია. იგი შეიძლება გახდეს ჰიპერტონიის, გულის რიტმის დარღვევის, ინსულტის, ინფარქტის მიზეზი. ამიტომ, თუ ხვრინავთ და ჭარბი წონა გაქვთ, ეცადეთ, რაც შეიძლება მალე გახდეთ. სასურველია, ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტის კონსულტაცია — შესაძლოა, გაქვთ ზედა სასუნთქი გზების აგებულების რაიმე გადახრა და ოპერაცია გესაჭიროებათ. ამავდროულად, დაიწყეთ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ხალხური მედიცინა გვირჩევს: ერთი თვის განმავლობაში, ძილის წინ, სვით თითო ჭიქა კომბოსტოს ახალგამოწურული წვენი. ამის შემდეგ, 30-ჯერ ხმამაღლა წარმოთქვით ბგერა „ი“, ისე რომ ხორხის კუნთები დაძაბოთ. ერთი თვის შემდეგ, ხვრინვას თავს სამუდამოდ დააღწევთ.

■

სპორტი არ ვნებს

ბოსტონელი ექიმები მიიჩნევენ, რომ სპორტული ვარჯიში სასარგებლოა გულის მანკით დაავადებული ბავშვებისთვის. მკვლევარებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც გულ-სისხლძარღვთა სისტემის თანდაყოლილი პათოლოგიების მქონე ბავშვები მონაწილეობდნენ. ამ ბავშვებმა, სიცოცხლის უმეტესი ნაწილი, კლინიკებში გაატარეს, მათ ნებისმიერ ფიზიკურ დატვირთვას უკრძალავდნენ.

12-კვირიანი გამაჯანსაღებელი პროგრამა, სპორტული თამაშებისა და ვარჯიშებისაგან შედგებოდა. ის შეიცავდა აერობიკის, რიტმიკისა და კიკბოქსინგის ელემენტებს. ბავშვები ვარჯიშობდნენ კვირაში ორჯერ — თითო საათს. ამის გამო ყველას მოემატა ჟანგბადის დონე სისხლში, გაუაქტიურდა ნივთიერებათა ცვლა და რაც მთავარია, არავითარი უარყოფითი შედეგი ამ დატვირთვას არ ჰქონია.

■

ბოლო სიგარეტი

სიგარეტისთვის თავის დანებება, უეცრადაა საჭირო — დაასკვნეს ბრიტანეთის სიმსივნურ დაავადებათა კვლევის საზოგადოების მეცნიერებმა.

მათ გამოჰკითხეს 2 ათასამდე ყოფილი და ამჟამინდელი მწეველი და დაადგინეს, რომ ის, ვინც უეცრად ანებებს სიგარეტს თავს, უკეთეს შედეგებს აღწევს. მწეველები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ემზადებიან საპასუხისმგებლო ნაბიჯისათვის, ხშირად ისევ უბრუნდებიან ამ მავნე ჩვევას. კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ, ექიმები გვირჩევენ, რომ უკეთესი შედეგების მისაღწევად, კარგი იქნება, თუ შეიქმნება თამბაქოს საწინააღმდეგო რეკლამები, რომლითაც მყიდველებს სიგარეტის ერთბაშად გადაგდებისკენ მოუწოდებენ.

■

„ზამთრის“ ბავშვები „ზაფხულისაზე“ უფრო ჭკვიანები არიან

წელიწადის სხვადასხვა დროს დაბადებული ბავშვები ერთმანეთისგან წონით, სიმაღლით, თავის ზომით და გონებრივი შესაძლებლობებით განსხვავდებიან. ასეთ დასკვნამდე, ჰარვარდის უნივერსიტეტის ის მეცნიერები მივიდნენ, რომლებიც 21 ათასი გოგონასა და ბიჭის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აკვირდებოდნენ. „ზამთრის“ ბავშვები, დაბადებისას უფრო გრძელები აღმოჩნდნენ, 7 წლის ასაკში კი, მათ უფრო მეტი წონა, სიმაღლე და თავის გარშემოწერილობა ჰქონდათ, ვიდრე მათ „ზაფხულის“ თანატოლებს. მათი გონებრივი განვითარების მაჩვენებელიც, შედარებით მაღალი იყო.

მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ ზამთარსა და ზაფხულში, მომავალი დედების რაციონი ერთნაირი არ არის, სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს მათ ორგანიზმში ჰორმონული პროცესებიც, განვითარებად ნაყოფზე კი, სხვადასხვა ხარისხით ზემოქმედებს მზე და ვირუსები.

■

მოკლედ

● ვაშლის წვენი და შავი მოცხარის მურაბა, ორგანიზმს მოხუცებულობის ჭკუასუსტობის განვითარებისგან იცავს.

● თუ ყოველდღიურად შეჭამთ თევზს, მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკი, 2-ჯერ შემცირდება.

● დიეტა, კალორიების შეზღუდვით, სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

● ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს: იმისათვის, რომ მოზარდმა საკუთარი თავი მიმზიდველად ჩათვალოს, საჭიროა არა ლამაზი გარეგნობა, არამედ, თეთრი, სწორად განლაგებული კბილები.

■

როგორ დავუბრუნოთ თმას ძალა და ბრწყინვალება?

თუ თქვენს სავარცხელსა და ტანსაცმელზე თმის რაოდენობა იზრდება, სასწრაფოდ მიიღეთ სათანადო ზომები. თმის მომატებული ცვენის მიზეზი, შეიძლება იყოს ავიტამინოზი, ნერვული დატვირთვა ან კვების რეჟიმის დარღვევა. ვიტამინებისა და აქტიური ნივთიერებების აღდგენაში, თმის გამამაგრებელი საშუალებები დაგეხმარებათ. მათი კომპონენტები, თმის ძირებში, ნივთიერებათა ცვლის პროცესებს ააქტიურებს და ცვენას აჩერებს. ასევე კარგია, თავის კანის მასაჟი, რომელიც სისხლის მიმოქცევას ააქტიურებს და თმის ძირებს აცოცხლებს (კოსმეტოლოგები ამ პროცედურის ჩატარებას, კვირაში 2-ჯერ გვირჩევენ). თმის დაბანისა და ბალზამის წასმისას, მასაჟი გამამაგრებელი საშუალების ეფექტურობას კიდევ უფრო აძლიერებს. დაიმახსოვრეთ: თავის კანი ფრჩხილებით არასდროს დაისრისოთ, ეცადეთ, მას თითებით მსუბუქად შეეხოთ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ნებისმიერი თანამედროვე შამპუნი, გამწმენდი ეფექტის გარდა, კიდევ ისეთ შემადგენლობას შეიცავს, რომელიც ჩვენი თმის ტიპს უნდა შეესაბამებოდეს. აუცილებლად გამოიყენთ ნიღაბი თმისთვის და თავის კანისთვის, რომელიც პირველ რიგში, მკვებავის ფუნქციას შეასრულებს. თმის ყველაზე მძიმე დაზიანების შემთხვევაში, მისი სტრუქტურის აღსადგენად, ასეთი ნიღაბი კვირაში ორჯერ მაინც უნდა გაიკეთოთ. ის თმის კულულს კვებავს, სისხლის მიმოქცევას ააქტიურებს და მკვდარი კანის უჯრედებისგან ე.წ. ქერტლისგან გვათავისუფლებს.

თმის ცვენის შესაჩერებლად ეფექტურია შემდეგი ეთერზეთების ნიღბები: ევკალიპტის, გვირილის, ქონდრის, სალბის, ფორთოხლის. სურნელოვანი ზეთები, თმის ძირებში წაისვით და 20 წუთის შემდეგ, თავი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

როგორ გავუმკლავდეთ ქერტლს? — აიღეთ 2 წვეთი ლიმონის, 2 წვეთი ლავანდის, 2 წვეთი ნემსიწვერას, 2 წვეთი ბერგამოტისა და 1 წვეთი ჩაის ხის ეთერზეთი. კარგად აურიეთ, გახსენით თბილ წყალში ან თმის ბალზამში და თმაში შეიზილეთ. გაიჩერეთ 15 წუთი, შემდეგ კი, თავი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ვარჯიში ლაპმაზი თვალებისთვის

თვალებმა ბრწყინვალება დიდხანს რომ შეინარჩუნონ და კარგი მხედველობაც გქონდეთ, საჭიროა არა მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, არამედ მათი სწორად მოვლა. როცა ადამიანი დიდხანს და გამუდმებით უყურებს ახლომდებარე საგნებს, თვალის კუნთები იძაბება. ამ დაძაბულობას კი, შემდეგი ვარჯიში მოგიხსნით:

1) რამდენიმე წუთი შორს, ერთ წერტილს უყურეთ (მზერის ობიექტი სასურველია, მწვანე ფერის იყოს), შემდეგ, მზერა უცბად ახლო ობიექტზე გადაიტანეთ. სავარჯიშო სამჯერ გაიმეორეთ.

2) თავი გაუნძრევლად გეჭიროთ. თვალები ჯერ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, შემდეგ კი, პირიქით, მის საწინააღმდეგოდ ატრიალეთ. ეს სავარჯიშო თვალის დამშვიდებას და მხედველობის დაძაბვის მოხსნას უწყობს ხელს.

3) თვალებზე, ყველაზე ცუდად წითელი და ლურჯ-იისფერი ფერები მოქმედებს, ხოლო მწვანე, ყვითელი, თეთრი — ასვენებს.

4) დაღლილობის მოსახსნელად, თვალებზე ჩაის ან გვირილის ნაყენის კომპრესი გაიკეთეთ. ■

როგორ გავხადოთ ტუჩები მიმზიდველი?

იმისთვის, რომ ტუჩები უფრო სექსუალურად გამოიყურებოდეს, საჭიროა რამდენიმე წესის დაცვა:

2) სანამ ხელში პომადას აიღებდეთ, ტუჩები მშრალი კბილის ჯაგრისით დაიზილეთ და შემდეგ, მასზე ვაზელინის თხელი ფენა გადაისვით.

2) კონტურისთვის ისეთი ფანქარი გამოიყენეთ, რომელიც პომადის ფერზე ოდნავ მუქი იქნება.

3) კონტურის წასმამდე ფანქრის წვერი თითებით დაარბილეთ.

4) მეტი სიმკვრივისთვის, ფანქარს ტუჩზე, პომადის ქვეშაც ისვამენ.

5) პომადა ფუნჯით წაისვით — შუაგულიდან კუთხეებისკენ. ნუ გადააცილებთ ტუჩის კონტურს.

6) თუ გსურთ ტუჩები ოდნავ დაიპატარაოთ, კონტური ტუჩის საზღვრის შიდამხარეს გაივლეთ. თუ მისი გადიდება გსურთ, კონტური საზღვრის გარეთ წაისვით, ოღონდ ზედმეტი არ მოგივიდეთ. გაითვალისწინეთ: ტუჩის და პომადის ფერი, ერთმანეთისგან ძალიან არ უნდა განსხვავდებოდეს. ■

ხელის კანისა და ფრჩხილების მოვლა

დღის კრემი: 2 წვეთი გვრილის, 2 წვეთი ლიმონის და 1 წვეთი ნემსიწვერას ეთერზეთი, 10 გ მცენარეულ ზეთში აურიეთ, კარგად ათქვიფეთ და შემდეგ, 5 გ ხელის კრემს შეურიეთ.

ღამის კრემი: 2 წვეთი ლავანდის, 2 წვეთი ლიმონის, 1 წვეთი პიტნის, 1 წვეთი ქონდრის ეთერზეთი, 10 გ მცენარეულ ზეთში აურიეთ. დაუმატეთ 3 გ თაფლი და 1 ჩ/კ ალოეს წვენი. ურიეთ მანამ, სანამ ერთგვარონ თეთრ მასას არ მიიღებთ.

ფრჩხილების გასამაგრებლად, შემდეგი ეთერზეთები გამოიყენება: ლიმონის, ევკალიპტის, ლავანდის, გვირილის, ბერგამოტის, როზმარინის. აიღეთ 3 წვეთი ლიმონი, 3 წვეთი ევკალიპტი, 3 წვეთი ლავანდის ეთერზეთი და ისინი ერთმანეთს შეურიეთ. დაამატეთ წინასწარ მომზადებული ჟოჟობასა და ნუშის ან ასკილის ზეთი და წაისვით ფრჩხილებზე. გაიჩერეთ 15-20 წუთი, შემდეგ კი, თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ეს პროცედურა, კვირაში ორჯერ მაინც უნდა ჩაიტაროთ. ■

ანზორ კავაზაშვილი – მეკარე, რომელიც «დინამოდან» წასვლით მოგებული დარჩა

ავსტრალიაში მილიონად ნაყიდი ქართველი

ანდრო ჟორდანიამ თბილისის „დინამოში“ ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა თავმოყრა რომ დაიწყო, გუნდში ერთბაშად ორი მაღალი კლასის მეკარე — სერგო კოტრიკაძე და ანზორ კავაზაშვილი — აღმოჩნდა. საბოლოოდ კი მოვლენები ისე განვითარდა, რომ მეორე მათგანმა თბილისური კლუბი დატოვა და თამაში რუსეთში არჩია. თუმცა, ამით მას ნამდვილად არ წაუგია, ჯერ საბჭოთა კავშირის 60-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ მოსკოვის „ტორპედოში“, ხოლო შემდეგ „სპარტაკში“ მოხვდა. მანამდე, ქართველი ერთი წელი ლენინგრადის „ზენიტში“ გამოდიოდა. კარიერის მანძილზე კავაზაშვილი ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი გახდა, ამდენჯერვე ქვეყნის საუკეთესო მეკარედაც აღიარეს. გარდა ამისა, მან მონაწილეობა ინგლისისა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატებში მიიღო. გამოსვლის დასასრულს, კავაზაშვილი, ცოტა ხნით, საქართველოში დაბრუნდა, სადაც ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას იცავდა. თუმცა მალევე მოსკოვში დაბრუნდა და დღემდე იქ ცხოვრობს. 1992 წელს, მან ვიქტორ პონედელნიკთან ერთად რუსეთის საფეხბურთო ასოციაცია ჩამოაყალიბა, რომელსაც გარკვეული ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. გასულ წელს, მან კენჭი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის თანამდებობაზე იყარა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ეს პოსტი პუტინის ფავორიტმა სანქტ-პეტერბურგელმა ვიტალი მუტკომ დაიკავა. ალბათ, უინტერესო არ იქნება გადავხედოთ, თუ რა გზა გაიარა ბათუმელმა ბიჭმა ეზოს ფეხბურთიდან საბჭოთა კავშირის ნომერ პირველ მეკარემდე.

გიორგი ლანჩავა

ევროპის საუკეთესო ჭაბუკი მეკარე

12 წლის კავაზაშვილმა ბათუმში ეზოს ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც „კიროვის ქუჩა“ ერქვა და ქალაქის მასშტაბით „ტყავის ბურთის“ პრიზზე უნდა ეთამაშა. მას არ სურდა, რომ დედას დაენახა, სპორტულ ფორმაში ჩაცმული, სტადიონზე როგორ მიდიოდა და ამიტომ ცოტა ხანს სახლში შეყოვნდა, რის გამოც თამაშზე დააგვიანდა. დანიშნულების ადგილამდე რომ მიირბინა, თანატოლებს სათამაშო პოზიციები უკვე განაწილებული ჰქონდათ და მხოლოდ მეკარის პოზიცია იყო თავისუფალი. მანამდე, კარში არასოდეს მდგარა და ყოველთვის თავდამსხმელად თამაშობდა, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა მეკარეობა ეტვირთა. მალევე, „კიროვის ქუჩის“ კარის დარაჯი თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მცველმა ბორის ფროლოვმა შეამჩნია და ბათუმის „ნორჩ დინამოელში“ აიყვანა. ამის შემდეგ, აჭარის ჭაბუკთა ნაკრებში მოხვდა, რასაც ბათუმის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების გუნდში თამაში მოჰყვა, რომლის რიგებში აჭარის ჩემპიონი გახდა. 16 წლის ასაკში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში მიიწვიეს და საბჭოთა კავშირის პირველობაზე იასპარეზა. ცოტა ხანში, ალექსანდრე პანამარიოვმა ანზორი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში აიყვანა და 1957 წელს ევროპის ჩემპიონატზე ათამაშა, სადაც მას საუკეთესო მეკარის პრიზი გადასცეს. ნიჭიერი მეკარის გამოსვლა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ და მალე ის რესპუბლიკის საუკეთესო გუნდში ჩარიცხეს. კავაზაშვილის აზრით, ფეხბურთის კარგად თამაში საკმაოდ ძნელია და მას კარიერის განმავლობაში ხშირად სდევდა ტრავმები, მაგრამ მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად ხელს საკუთარი ხასიათი უშლიდა. კავაზაშვილი წელიწად-ნახევრის განმავლობაში არაფრით გამორჩეული ბათუმური გუნდიდან თბილისის „დინამოში“ მოხვდა და ცხადია, გაუმართლა, რადგან მისი აზრით, იმ პერიოდში, თანატოლებზე უკეთ ნამდვილად არ თამაშობდა. მოგვიანებით ბატონი ანზორი აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობაში საკუთარ თამაშს საღად არ აფასებდა. იგი თურმე მხოლოდ გამოცდილების შეძენით მიხვდა, რომ აუცილებელია, მეკარეს საკუთარი შესაძლებლობის სჯეროდეს, მაგრამ ზედმეტად თავდაჯერებული არასოდეს უნდა იყოს.

მახსოვს, ჩემთან პირისპირ გამოსულმა პელემ დასარტყმელად მარცხენა ფეხი მოიქნია და მე სამი მეტრი ვიფრინე, რომ მისთვის გოლის გაგანის საშუალება არ მიმეცა...

თვითმფრინავის ბილეთი სიძის სახელზე

1959 წლის სეზონში სერგო კოტრიკაძემ ტრავმა მიიღო და კარში მისი ადგილი კავაზაშვილმა დაიკავა. გამოჯანმრთელების შემდეგ, მწვრთნელები კოტრიკაძის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას არ ჩქარობდნენ. იმავე წელს, ახალგაზრდა ანზორს რადიკულიტი დაემართა და იძულებით დასვენებამ მოუწია. ვარჯიში რომ განაახლა და სათანადო სათამაშო ფორმაში შევიდა, „დინამოს“ კარში დგომის პრეტენზია კვლავ გაუჩნდა. კავაზაშვილს მიაჩნდა, რომ მას და კოტრიკა-

ძეს მორიგეობით უნდა ეთამაშათ. 1959-ში „დინამო“ ბელგიაში ტურნირზე გაემგზავრა და გუნდის ხელმძღვანელობამ კავაზაშვილი თბილისში დატოვა. ამან მეკარე გაანაწყენა და გადაწყვიტა, გუნდი დაეტოვებინა. მან ლენინგრადის „ზენიტის“ მთავარ მწვრთნელ იური ჟირკოვს დაურეკა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებიდან იცნობდა და ამ უკანასკნელმა მაშინვე უთხრა: „სასწრაფოდ ჩამოდი“. ანზორი თბილისის აეროპორტში ბილეთის საყიდლად რომ მივიდა და საკუთარი გვარი დაუსახელა, მოლარემ მოცდა სთხოვა. ცოტა ხანში, ის დაბრუნდა და განუცხადა, რომ არ შეეძლო ბილეთის გაცემა. თუმცა ამის მიზეზი არ დაუკონკრეტებია. კავაზაშვილს ხასიათი გაუფუჭდა, მაგრამ მოულოდნელად თავისი სიძე დაინახა, რომელიც არც კი იცოდა, თბილისში თუ იყო. მას ყველაფერი აუხსნა და ბილეთიც სიძის სახელზე შეიძინეს. ამის შემდეგ, თავის დაზღვევის მიზნით, მან კეპი ჩამოიფხატა და თვითმფრინავში ისე შევიდა. შემდეგ ბატონი ანზორი იხსენებდა, რომ ყველაფერი ცხელ გულზე გააკეთა. თუმცა, მიიჩნევს, რომ სწორად მოიქცა, რადგან კოტრიკაძე „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში კიდევ დიდხანს თამაშობდა და ასეთი ნაბიჯის გადადგმის გარეშე, სათადარიგოებში ჯდომა წლების განმავლობაში მოუწევდა.

ავსტრალიელების მიერ მილიონ გირვანქა სტერლინგად ნაყიდი

ლენინგრადის „ზენიტში“ გატარებული ერთი წლის შემდეგ, კავაზაშვილის პიროვნებით მოსკოვის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა დაინტერესდა. მაშინ მოსკოველებს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავდათ და მათ ანზორთან მოსალაპარაკებლად სლავა მეტრეველი მიაგზავნეს. ცხადია, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ მეტრეველიც ქართველი იყო და მიიჩნიეს — უფრო ადვილად დაიყოლიებსო. სლავას სახლში სუფრა გაიშალა და კავაზაშვილის გარდა, იქ მეტრეველის ცოლი ნატაშა, ასევე „ტორპედოს“ მწვრთნელი ვიქტორ მასლოვი იყვნენ. თავიდან ანზორს არყის დალევა შესთავაზეს, მაგრამ იუარა, რადგან იმ პერიოდში სასმელს საერთოდ არ ეკარებოდა. საბოლოოდ, აღნიშნული შეხვედრა იმით დასრულდა, რომ იგი „ტორპედოში“ გადასვლაზე დათანხმდა. თავიდან მოსკოვურ კლუბში ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ქართველ მეკარეს სურდა. ერთ-ერთ შეკრებაზე მან ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და 1961-1962 წლების სეზონი ტრავმის მკურნალობაში გაატარა. მომდევნო წელს კი, სათადარიგოებში იჯდა, რადგან მისი კონკურენტი ანატოლი გლუხოტკო მაღალ დონეზე თამაშობდა. თუმცა კვლავ გაუმართლა, რადგან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, რომელსაც არმიის სპორტული კლუბის დაკომპლექტება ჰქონდა გადაწყვეტილი, გლუხოტკო ჯარში გაიწვიეს და ანზორსაც თამაშის საშუალება მიეცა. სწორედ აქედან დაიწყო კავაზაშვილის აღმასვლა და ის 1964 წელს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ აღიარეს. თუმცა მაშინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, ტაშკენტში დანიშნულ გადამწყვეტ მატჩში, მას თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშის საშუალება არ მისცეს. ამის მიზეზი კი კავაზაშვილის ქართველობა გახლდათ. საბოლოოდ, ტორპედოელებმა თამაში დათმეს, ხოლო მისმა შემცვლელმა შაპოვალენკომ განვლილ შეხვედრაში ოთხი გოლი გაუშვა. იმავე წელს „ტორპედოს“ ტურნე ავსტრალიაში ჰქონდა, სადაც გუნდმა ორი ამხანაგური თამაში ჩაატარა და ადგილობრივ გაზეთებში ქართველის დიდი ფოტო დაბეჭდეს, რომელსაც ქვეშ ასეთი წარწერა ახლდა: „რუსი მეკარე ანზორი ავსტრალიამ მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა“. მეორე დღიდან მოყოლებული „კაგგებეს“ კაპიტანი ორლოვი კავაზაშვილს გვერდიდან არ მოშორებია და საითაც წავიდოდა, იქით მიჰყვებოდა. ბოლოს და ბოლოს, ამან სპორტსმენი დაღალა და ორლოვს, რომელიც გუნდს კულტურის სამინისტროს წარმომადგენ-

ლის სტატუსით ახლდა, განუცხადა: „ამხანაგო კაპიტანო, არსად დარჩენას არ ვაპირებ, რადგან სახლში დედ-მამა მელოდება“.

კავაზაშვილის ლობისტი მოროზოვი

ინგლისის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ადვილად გაიარა და დანიასთან, უელსთან, ასევე საბერძნეთთან გუნდს არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. კავაზაშვილის დებიუტი დანიელებთან მოსკოვში ჩატარებულ შეხვედრაში შედგა, რომელიც მასპინძლებმა 6:0 მოიგეს. მატჩის მსვლელობისას, მას მეტოქის ფორვარდი მადსენი შეეჯახა და დანიელმა ტრავმა მიიღო. მეკარე იძულებული გახდა, მეტოქე ხელში აეყვანა და მოედნის ფარგლებს გარეთ გაეყვანა. კავაზაშვილის აზრით, ახალგაზრდა მეკარისთვის, რომელიც „ძირითადში“ დამკვიდრებას ცდილობს, ასეთი ეპიზოდები საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან საკუთარი თავის რწმენა გემატება. მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ეგიდით 1965 წელს საბჭოთა გუნდმა მოსკოვში ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგური თამაში ჩაატარა. ის მატჩში სამხრეთამერიკელთა გამარჯვებით დასრულდა 3:0 და ორი გოლი პელემ გაიტანა. ორგზის მსოფლიო ჩემპიონებთან თამაშს ბატონი ანზორი ასე იხსენებს: „მახსოვს, ჩემთან პირისპირ გამოსულმა პელემ დასარტყმელად მარცხენა ფეხი მოიქნია და მე სამი მეტრი ვიფრინე, რომ მისთვის გოლის გატანის საშუალება არ მიმეცა. თუმცა ვიდრე ჰაერში ვიყავი, ბრაზილიელმა ფეხის შეცვლა მოასწრო და მარჯვენათი ბურთი თავზე გადამიგდო. ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ ფეხბურთის „მეფეს“ შეეძლო და ეს ეპიზოდი არასოდეს დამავიწყდება“. ინგლისში გამგზავრებამდე ნაკრებში მეკარეებთან დაკავშირებით საკმაოდ უცნაური სიტუაცია შეიქმნა. საქმე ისაა, რომ შესარჩევი ციკლის 6 შეხვედრაში მონაწილეობა სამმა მეკარემ: კავაზაშვილმა, იაშინმა და ბანიკოვმა მიიღო. მათ შორის, პირველ ნომრად იაშინი ითვლებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარე. თუმცა, გუნდის თავკაცი ნიკოლაი მოროზოვი უპირატესობას ქართველს ანიჭებდა. იგი ერთი პერიოდი „ტორპედოს“ წვრთნიდა და ამ კლუბის ფეხბურთელებს კარგად იცნობდა. აქედან გამომდინარე, მოროზოვი მათ ინტერესს ნაკრებში ყოველნაირად იცავდა. კავაზაშვილი აზრით, ქვეყნის უპირველესი საფეხბურთო გუნდისთვის, სხვას რომ ეხელმძღვანელა, შემადგენლობაში მისთვის ადგილი არ მოიძებნებოდა. 1966 წლის დასაწყისში, ყველა ამხანაგური თამაში სწორედ მან ჩაატარა, ხოლო იაშინი სათადარიგოთა შორის იჯდა.

ფეხბურთელები ჯრივის ხელთათმანებით

ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებს პირველი შეხვედრა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან უნდა ჩაეტარებინა და გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი — ბორის ნაბოკოვი კორეელთა ამხანაგური მატჩის სანახავად გაგზავნეს, რომელსაც ისინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან ატარებდნენ. ნაბოკოვი აზიელთა შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე პასუხისმგებელი გახლდათ და მას აღნიშნული თამაში უნდა გადაეღო. ეს შეხვედრა დახურული გახლდათ და ცხადია, გულშემატკივრები არ ესწრებოდნენ. ნაბოკოვს სტადიონზე რომ შეეშვათ, გერმანული შინელი ჩააცვეს, ტრიბუნის ბოლო იარუსზე დასვეს და ზემოდან სამხედო საწვიმარი დაახურეს, რადგან წვიმდა. მან თამაში დიდი გაჭირვებით გადაიღო და ლონდონში ჩამოსულმა, თურმე ფეხბურთელებს განუცხადა: „აბა, ბიჭებო, მოემზადეთ, ახლა კორეელებზე ფილმს



გასულ წელს, მან კენჭი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის თანამდებობაზე იყარა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ეს პოსტი პუტინის ფავორიტმა სანქტ-პეტერ-ბურგელმა ვიტალი მუტკომ დაიკავა

ვუყურებთო. თუმცა კინოაპარატი რომ ჩართეს, ეკრანზე არაფერი გამოჩნდა. თურმე სტადიონზე ასეთ ვითარებაში მყოფი ნაბოკოვი ძალიან ნერვიულობდა და დაავიწყდა ხელის დაჭერა აპარატის იმ ღილაკზე, რომლის გარეშეც რაიმეს გადაღება შეუძლებელი გახლდათ. ამის წყალობით, საბჭოელებს დაპირისპირებამ სრულიად უცნობ მეტოქესთან მოუწიათ და თამაშიც საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მატჩის დაწყებამდე სამწვრთნელო შტაბმა მოთამაშეებს თურმე შემდეგი განუცხადა: „ბიჭებო, თქვენ საერთოდ არ იცნობთ კორეულ ფეხბურთს, ამიტომ პირველსავე წუთიდან ხისტ ილეთებს მიმართეთ და ჯარიმის ზღვარზე ითამაშეთ“. მართალია, ის შეხვედრა საბჭოთა კავშირმა 3:0 მოიგო, მაგრამ მეორე დღეს ადგილობრივ პრესაში კარიკატურები დაბეჭდეს, რომლებზეც საბჭოთა ნაკრების ფეხბურთელები კრივის ხელთათმანებით იყვნენ გამოსახულნი და ისინი მეტოქეს გამეტებით ურტყამდნენ.

იაშინის ფაქტორი

კორეელებთან დაპირისპირებისას, გუნდის კარს კავაზაშვილი იცავდა და ის მატჩი საბჭოთა ნაკრების არსებობის ისტორიაში მე-100 აღმოჩნდა. მოროზოვი საკმაოდ რისკიანი კაცი იყო და აზიელებთან თამაშამდე, შეკრებილ მწვრთნელთა საბჭოს მან კავაზაშვილის კანდიდატურა შესთავაზა. ცხადია, ამას ბევრი არ მოელოდა, რადგან იმ დროს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ნომერ პირველი მეკარე ლევ იაშინი იმყოფებოდა. თუმცა მოროზოვმა თავისი მაინც გაიტანა. მეორე შეხვედრა საბჭოელებმა იტალიელებს 1:0 მოუგეს, ხოლო მესამე — ჩილეს 2:1 და კარში კვლავ ქართველი იდგა. უნგრელებთან ჩასატარებელ მეოთხედფინალში სათამაშოდ კვლავ კავაზაშვილი ემზადებოდა, მაგრამ მოედანზე იაშინი გამოიყვანეს. ნაკრებმა 2:1 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა, რაც დიდი მიღწევა იყო, რადგან მანამდე საბჭოთა გუნდს ასეთი შედეგისთვის არ მიუღწევია. აქვე გეტყვით, რომ მაშინ ქართველებიდან გუნდში ასევე თამაშობდნენ: მურთაზ ხურცილავა, სლავა მეტრეველი და გიორგი სიჭინავა. მომდევნო თამაში მიდღსბროში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან გაიმართა და იგი მოროზოვის გუნდმა 1:2 დათმო. შეხვედრის შემდეგ, პრესკონფერენციაზე მთავარმა მწვრთნელმა წაგება იაშინს დააბრალა. მისი განცხადებით, ამ უკანასკნელმა ორი საკმაოდ იოლად ასაღები ბურთი გაუშვა. ამ ინფორმაციამ მოსკოვამდე სწრაფად მიაღწია და უახლოესი ორი დღის განმავლობაში საბჭოთა მთავრობის რეაქციამაც არ დააყოვნა. მოროზოვს, როგორც იტყვიან, საკმაოდ მაგრად „მოხვდა“. პარტიულმა ლიდერებმა იგი გააკრიტიკეს და განაცხადეს, რომ თავად ვერ გაითვალისწინა რაღაცები, რის გამოც, წაგებაში ბრალი ქვეყნის სახელგანთქმულ მეკარეს დასდო. მესამე ადგილისთვის მატჩში საბჭოთა გუნდი პორტუგალიას ლოდონში უნდა შეხვედროდა. მოროზოვმა კავაზაშვილი თავისთან გამოიძახა და განუცხადა: „მოემზადე, ხვალ ლონდონში მივდივართ“. თამაშამდე სამი დღე იყო დარჩენილი და ადგილზე ჩასვლის შემდეგ, გუნდი ფაქტობრივად არ ვარჯიშობდა. ნაკრები ჰაიდ-პარკის მახლობლად ცხოვრობდა და ამ ხნის განმავლობაში, მოთამაშეები დილაობით მხოლოდ მსუბუქ მოთელვას ატარებდნენ. მხოლოდ ქართველი მეკარე ვარჯიშობდა თავგამოდებით და ერთხელ ის „ჰაიდ პარკში“ ბუცებით და ბურთით მივიდა, თან თანაგუნდელი მიიყვანა, რომელსაც უნდა ევარჯიშებინა. თუმცა, პარკის მომსახურე პერსონალმა მათ ბუნებრივია, ამის ნება არ დართო. კავაზაშვილს თამაშამდე სჯეროდა, რომ კარში მას დააყენებდნენ, მაგრამ შემადგენლობის გამოცხადებისას იაშინის გვარი როდესაც ამოიკითხეს, იგი თურმე კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. ჩემპიონატის დასრულებისას სახლში რომ ბრუნდებოდნენ, მწვრთნელმა ანზორს უთხრა — ასე მოქცევა მაიძულესო, — მაგრამ არ დაუკონკრეტებია, ვინ იდგა ამის უკან. თუმცა მისთვის ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ყველაფერი მოროზოვის მიერ იაშინის გაკრიტიკებამ გამოიწვია. პორტუგალიასთან საბჭოელებმა 1:2 წააგეს, მაგრამ ბატონი ანზორი დღემდე ფიქრობს, რომ მაშინ მარცხს არ იმსახურებდნენ. მას მიაჩნია, რომ საბჭოთა ჩინოვნიკებს მოროზოვისთვის თავისუფლად მოქმედების საშუალება რომ მიეცათ, მესამე ადგილი მათ დარჩებოდათ. სხვათა შორის, კავაზაშვილი ამ მწვრთნელს დღემდე ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნევს და ასე ახასიათებს: „ინგლისში ნაკრებმა წარმატებას რომ მიაღწია, ეს ძირითადად მოროზოვის დამსახურება გახლდათ. იგი ხასიათით რადიკალურად განსხვავდებოდა გავრილ კაჩალინისგან და ნებისმიერ ადამიანთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა. ამას მოროზოვი, ხშირ შემთხვევაში, კულტურული საუბრით ახერხებდა, მაგრამ როდესაც სჭირდებოდა, არც გინებას ერიდებოდა. ამიტომ, ტყუილუბრალოდ არ შეარქვეს მას გუნდში მეტსახელად „ბლატნოი“. სწორედ მოროზოვის დამსახურებაა, რომ გუნდში ერთად უჭკვიანესი ვალერი ვორონინი, ასევე „ბლატნოი“ გიორგი სიჭინავა და ძალიან მძიმე ხასიათის მქონე იოჟეფ საბო თამაშობდნენ. მან მრავალეროვანი ნაკრები ჩამოაყალიბა, რომელიც ერთი სულისკვეთებით გახლდათ გამსჭვალული“.

მსაჯის საბედისწერო შეცდომა

1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ერთბაშად 6 ქართველი ფეხბურთელი — სლავა მეტრეველი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, გივი ნოდია და ანზორ კავაზაშვილი ირიცხებოდა. არც მანამდე და არც მას შემდეგ, ასეთი რაოდენობით ჩვენი თანამემამულეები ქვეყნის უპირველეს გუნდში არ ყოფილან. მექსიკის მსოფლიო პირველობას კავაზაშვილი ასე იგონებს: „ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარის პრიზი მომეპოვებინა და ჟურნალისტები ინტერვიუს წინასწარ მართმევდნენ. ჯგუფში პირველი შეხვედრა მასპინძლებთან ფრედ 0:0 ვითამაშეთ, შემდეგ ჯერ ბელგიას 4:1 მოვუგეთ, მერე სალვადორს 2:0. მეოთხედფინალში ურუგვაის ნაკრებთან „აცტეკის“ სტადიონზე თამაშმა აუტანელ სიცხეში მოგვიწია. მეტოქის ფორვარდმა კუბილამ მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენი მცველი აფონინი დატანჯა. დამატებითი დროის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, აფონინმა ფეხი მოიქნია და ბურთი კუთხურზე გადაადო. მე, კაპლიჩნიმ და შესტერნიოვმა ხელის აწევით მსაჯს ამის თაობაზე ვანიშნეთ. ანგარიში 0:0 იყო და ბურთის ასაღებად ორი ნაბიჯი გადავდგი, თან ვფიქრობდი, რომ დარჩენილ დროში გოლი გაგვეტანა. ამ დროს კუბილამ ბურთი პირით ხაზს იქიდან შემოიტანა და პასი ესპარაგოს გადააწოდა. მსაჯს შევხედე და დავუყვირე, — რას აკეთებს-მეთქი? — მაგრამ მან მანიშნა, — ითამაშეო. კარისკენ კი გავიქეცი, თუმცა ვეღარ მოვასწარი ჩადგომა და ურუგვაიელებმა ანგარიში გახსნეს. მთელი გუნდი მსაჯს მივცვივდით, რომელიც უკანმოუხედავად გაიქცა, ხოლო გონს მაშინ მოვეგეთ, როდესაც ნახევარი მოედანი გავირბინეთ. თამაში გავაგრძელეთ, მაგრამ ანგარიში ვეღარ გავათანაბრეთ. საბოლოოდ, 0:1 წავაგეთ და ბრძოლას გამოვეთიშეთ. ამის გამო, საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელობამ დაგვსაჯა და ჩემპიონატის საყურებლად აღარ დაგვტოვა. მეორე დღესვე ნიუიორკში გადავფრინდით, საიდანაც გეზი მოსკოვისკენ ავიღეთ. მახსოვს, ერთ-ერთი ჩემი თანაგუნდელი ტიროდა — ჩემპიონატს ბოლომდე რატომ არ დაგვასწრესო“.

■



პაგარა ალექსანდერ-პიტერი — ტიმოგი დალტონის მრავალმილიონიანი ქონების ერთადერთი მემკვიდრე

ამას წინათ, ცნობილმა კინომსახიობმა ტიმოტი დალტონმა 60 წლის იუბილე აღნიშნა, სადაც საპატიო სტუმრებს ტრადიციული ინგლისური კერძებითა და რუსული შინ ნახადი არყით გაუმასპინძლდა... ტიმოტი აღმერთებს ყველაფერს, რასაც რუსეთთან აქვს კავშირი.

ყოფილმა ჯეიმს ბონდმა რუსი ცოლი უფულოდ დატოვა!

მიყრუებული რუსეთის ნაჟური, ტრადიციული რუსული არაყი ტიმოტი დალტონს მისმა სიდედრმა, მორდოვეთის მკვიდრმა ლუდმილა ჩერნუხამ დააგემოვნებინა. ვინ იფიქრებდა, რომ ექსაგენტი 007 რუსული კლასიკის, ტრადიციული რუსული სამზარეულოსა და არყის თაყვანისმცემელთა რიგებს შეუერთდებოდა? რუსეთისადმი სიყვარულმა ტიმოტი დალტონის სულში მას შემდეგ იფეთქა, რაც მშვენიერი სარანსკელი ოქსანა გაიცნო...

დალტონის ბრწყინვალე საყვარლები ბრუკ შილდსი, ელიზაბეტ ტეილორი, ვანესა რედგრეივი ადრე თუ გვიან, კარგად ხვდებოდნენ, რომ მათი გმირი ოჯახურ უღელში შებმას ცეცხლივით უფრთხოდა. რაოდენ დიდი იყო ვანესა რედგრეივის გაოცება, რომელმაც ტიმოტის გვერდით 14 წელი გაატარა, როცა 1994 წელს, მის ზედმიწევნით თავშეკავებულ მეგობარს უეცრად ცვლილება შეამჩნია. 20 წლით გაახალგაზრდავებული მსახიობი პატარა ბავშვივით ატაცებული ჩანდა. ვანესა ყველაფერს უსიტყვოდ მიხვდა და გაცლა ამჯობინა.

იმას, რასაც კინოვარსკვლავებმა ვერ მიაღწიეს, უბრალო რუსმა გოგონამ, ოქსანა გრიგორიევამ (რომელმაც ინგლისში დასახლების შედგომ, ყურისმომჭრელი გვარი — ჩერნუხა დედის ქალიშვილობის გვარით შეცვალა) დიდი ძალისხმევის გარეშე მიაღწია. სანამ ტიმოტის შეხვდებოდა, ოქსანა ფოტომოდელის კარიერაზე ოცნებობდა. ლონდონის ჟურნალების ფურცლებზე მოხვედრამდე კი მომვლელად მუშაობდა, ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა, ინგლისურ ენაშიც გაიწაფა და ჟურნალებში ნელ-ნელა მისი ფოტოებიც გამოჩნდა (ჯერ კიდევ სარანსკში, 29 წლის ოქსანამ სილამაზის ადგილობრივ კონკურსში გაიმარჯვა). 1994 წელს, ნიკიტა მიხალკოვმა „ოსკაროსანი“ ფილმის „მზით დაღალულნი“ — ლონდონურ პრეზენტაციაზე ოქსანა გრიგორიევა თარჯიმნად მიიწვია და შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე. რუსი კოჭკიასა და ინგლისის ყველაზე სასურველი სასიძოს შეხვედრა შემთხვევითობა იყო. თარჯიმანი გოგონას წარსული ქალაქ სარანსკის სკოლის ატესტატითა და ყაზანის კონსერვატორიის 3 კლასის განათლებით ამოიწურებოდა, ტიმოტის ზურგს უკან კინოჰიტების — „ბონდიანისა“ და საკულტო სერიალის „ჯეინ ეარი“ — კასკადი ჩანდა. გოგონა 24 წლის იყო, დალტონი კი 48-ის. „თავბრუ დამეხვა, როდესაც ოქსანა პირველად დავინახე. მას მაღალი, ჩამოსხმული ტანი, მბზინავი თმა და საოცარი ღაწვები ჰქონდა“, — ასე აღწერს ტიმოტი დალტონი მათ პირველ შეხვედრას. მათი რომანი თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა და სულ მალე, წყვილი ერთად დასახლდა.

ოქსანასთან შეხვედრამდე ყველაზე ხანგრძლივი (14 წელი) რომანი დალტონს ვანესა რედგრეივთან ჰქონდა

1997 წელს, ტიმოტი დალტონის ლოს-ანჯელესის სახლში ბიჭუნა დაიბადა, რომელსაც ინგლისელი და რუსი პაპების პატივსაცემად ორმაგი სახელი ალექსანდერ-პიტერი დაარქვეს. „მაშინ ვიგრძენი, მამობა რას ნიშნავს. უეცრად ხვდები, რომ სიცოცხლე მშვენიერია“, — ამბობდა მამობრივი გრძნობით აღვსავსე მსახიობი, რომელსაც იმჟამად 51 წელი შეუსრულდა. ტიმოტიმ შვილის დაბადებისთანავე საქორწინო კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც, მისი მრავალმილიონიანი ქონების მემკვიდრე ვაჟიშვილია, ხოლო მეუღლე (მათი კავშირი ოფიციალურად არ გაფორმებულა) მხოლოდ „მიმდინარე ხარჯებისათვის“ აუცილებელ თანხას მიიღებს. ამ პირობის თანახმად, ოქსანა ახლა ქმარზეა დამოკიდებული, მისი გარდაცვალების შემდგომ კი, შვილის ხელის შემყურე იქნება, მაგრამ შეყვარებულმა ქალმა კონტრაქტს ხელი უსიტყვოდ მოაწერა, რადგან ფული რა სალაპარაკოა იქ, სადაც სიყვარულია?!

ფინანსებისადმი ტიმოტის სერიოზული დამოკიდებულება მისმა წარსულმაც განაპირობა. როდესაც 60-იანი წლების დასაწყისში დალტონმა ხელოვნებისათვის ხარკის გადახდა მოისურვა, მამამ მის დაფინანსებაზე სასტიკი უარი განაცხადა. ტიმოტიმ ოჯახური ტრადიციის (სარეკლამო ბიზნესი) გაგრძელება არ მოისურვა და უფულოდ დარჩა, მაგრამ ამ არჩევანის გამო არასდროს უნანია.

17 წლის დალტონის წინაშე დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიის კარი

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ფართოდ გაიღო, რომელიც 2 წლის შემდგომ, თავადვე მაგრად გამოიჯახუნა: „პედაგოგები გვთრგუნავდნენ. რანი გამოვიდოდით ამის შემდეგ? — ხელმოცარულნი“. ტიმოტი ლონდონის თეატრების სცენებზე გამოჩნდა. თეატრი მის სახლად იქცა, შექსპირი — რელიგიად, რასაც ხელი არ შეუშლია იმაში, რომ კინოსამყაროსთანაც მჭიდრო კავშირი დაემყარებინა. რამდენიმე ტელეფილმში უკვე გადაღებული იყო, როდესაც მის ცხოვრებაში ნამდვილი გარღვევა მოხდა — 21 წლის მსახიობმა ჰოლივუდის სურათში „ლომი ზამთარში“ საფრანგეთის მეფის ფილიპეს როლი მიიღო. „ჩემი უბადრუკი ოთახის ფანჯრიდან დავინახე, რომ ჩემს წასაყვანად ზღაპრული „როლს-როისი“ მოვიდა. შემდეგ ამას მოჰყვა ნიუ-იორკი, პრემიერა, მდიდრული სასტუმრო და წვეულებები. სიზმარი 5 დღეს გაგრძელდა და ბოლოს, ისევ ძველი დეკორაციის ფონზე, ლონდონში აღმოვჩნდი. ამ მეტამორფოზამ რეალობის და ფანტაზიის გამიჯვნა მასწავლა“. დალტონმა ადრეულ ასაკში გაიგო და შეითვისა მწარე სიმართლე



ტიმოტი დალტონის მეუღლე ოქსანა ვრიგორიევა გულწრფელად აღიარებს, რომ ჰოლივუდელი სუპერმენი ბავშვობიდან თავდავიწყებით უყვარს. მის გვერდით ყოფნა – უდიდესი ბედნიერებაა და ასეთ დროს ფული რა მოსაგანია?

— სიმდიდრე და დიდება წარმავალია. დიდების შარავანდედით მოსილი დღევანდელი კერპი ხვალ ყველასგან დავიწყებულ უიღბლოდ იქცევა. კინოს ისტორიას მრავალი ასეთი ამბავი ახსოვს! სწორედ ამიტომ, ფინანსურ საკითხებს ტიმოტი დალტონი მუდამ გულისყურით ეკიდება. ეს კარგად ესმოდა ოქსანაც, როდესაც იმ კონტრაქტს აწერდა ხელს, რომლის წყალობით, იგი ფინანსურად სამუდამოდ სხვებზე დამოკიდებული დარჩა. ალბათ, სწორედ მისი სიბრძნის დამსახურებაა ის, რომ მათ ოჯახში დღემდე სიყვარული და მშვიდობა სუფევს! ■

ელტონ ჯონი „რომეო და ჯულიეტას“ მულტიპლიკაციურ ვერსიას გადაიღებს

ელტონ ჯონი და კომპანია Miramax შექსპირის უკვდავი ტრაგედიის — „რომეო და ჯულიეტა“ მულტიპლიკაციური ვერსიის ერთობლივ პროექტზე მუშაობენ. მულტფილმს Gnomeo ეწოდა. ფილმის მთავარი გმირები, ბაღის ბინადარი ჯუჯები არიან. ახალი მულტფილმის სიუჟეტი, სწორედ ამ მინიატიურულ სამყაროში განვითარდება. ჯულიეტას როლს, ცნობილი ბრიტანელი ვარსკვლავი, კეიტ უინსლეტი გაახმოვანებს. Gnomeo კი, როგორც ჩანს, თავად ელტონ ჯონის ხმით ილაპარაკებს. ახალ პროექტზე, ტიმ რაისი იმუშავებს, რომელმაც ენდრიუ უებერთან ერთად, მიუზიკლების — „ოპერის აჩრდილი“ და „იესო ქრისტე-სუპერვარსკვლავი“ ლიბრეტო შექმნა. მულტფილმში, სერ ელტონ ჯონის შექმნილი და შესრულებული სიმღერები აჟღერდება. Gnomeo კომპანია Miramax-ის გამოშვებული პირველი მულტფილმია, რომელშიც კომპიუტერული გრაფიკა იქნება გამოყენებული. სურათი ეკრანებზე 2008 წელს გამოვა. ■

როდ სტიუარტი და რეიჩელ ჰანტერი გაიყარნენ

7-წლიანი იურიდიული ბატალიების შემდეგ, ლეგენდარული როკერის, როდ სტიუარტისა და სუპერმოდელის, რეიჩელ ჰანტერის განქორწინება, როგორც იქნა, ოფიციალურად გაფორმდა. 15-წლიანი ოჯახური თანაცხოვრების შემდეგ, რეიჩელმა, როდ სტიუარტის 100-მილიონიანი ქონებიდან ვერაფერი მიიღო. ჰანტერის ადვოკატებმა, როდს რის ვაი-ვაგლახით, მხოლოდ ბავშვების — 13 წლის რენესა და 11 წლის ლაიემისათვის ალიმენტის გადახდა გამოსტყუეს. ■

ჯულია რობერტსი პომიდვრების წვიმაში

ჰოლივუდის ვარსკვლავის, ჯულია რობერტსის თეატრალური დებიუტი სკანდალით დასრულდა. ბროდვეიზე დადგმულ რიჩარდ გრინბერგის პიესაში — „სამი წვიმიანი დღე“, მსახიობს თავდაჯერებულობა აშკარად აკლდა. მისი ხმა, დარბაზის პირველ რიგებში მსხდომ მაყურებელსაც კი, ცუდად ესმოდა. პირველი მოქმედების დასასრულს, ზოგიერთმა იმედგაცრუებულმა მაყურებელმა დარბაზი დატოვა. მეორე მოქმედების დროს კი, ჯულია რობერტსს დარბაზიდან პლასტმასის პომიდვრები

დაუშინეს... თეატრში მისული მისი ერთგული მაყურებელი, მსახიობის გუნება-განწყობილების ამაღლებას მოკრძალებული აპლოდისმენტებით და ავტოგრაფების თხოვნით შეეცადა, მაგრამ თაყვანისმცემელთა ნაძალადევმა აღფრთოვანებამ, ჯულია რობერტსი ვერ შეაცდინა. წარუმატებლობის მიუხედავად, თეატრის ხელმძღვანელობა წაგებული მაინც არ დარჩა! მსახიობის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ეს დადგმა პუბლიკასთან მისი გამოთხოვება იქნებოდა (მსახიობი შვილების აღზრდით არის დაკავებული), თეატრის სალაროებთან უამრავი მაყურებელი მიიზიდა და სპექტაკლზე დასასწრები ყველა ბილეთი ჯერ კიდევ მანამდე გაიყიდა, სანამ ჯულია რობერტსი რეპეტიციებს შეუდგებოდა. საბოლოოდ, სპექტაკლის შემოსავალმა 4 მლნ დოლარს გადააჭარბა. ■

ნებისმიერი ქალბატონი ოცნებობს ნამდვილ სიყვარულზე, რომანტიკულ თავგადასავლებსა და ძლიერ მამაკაცზე და უპირატესობას სწორედ ისეთ ადამიანს ანიჭებს, რომელიც საიმედო საყრდენად ეგულება, მაგრამ თურმე არსებობს შემთხვევები, როდესაც ქალი ფიქრობს, რომ უკვე იპოვა ის ერთადერთი და განუმეორებელი, მომხიბვლელი და მოსიყვარულე, ყურადღებიანი და დახვეწილი... ამ დროს კი, ვერ ამჩნევს, როგორ გაება ალფონსის ბადეში... როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, მამაკაცი ასეთი იდეალური მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ქალისგან რაღაცას გამოელის. ხშირ შემთხვევაში კი, ეს „რაღაც“, ფული და მატერიალური კეთილდღეობა გახლავთ. თავდაპირველად, ალფონსების შესახებ აზრი ფსიქოლოგ მარინა რეხვიაშვილს ვკითხეთ:



გაფლანგული დანაზოგი, ინტიმი ვნების გარეშე და...

მათ შეუძლიათ, ქალი გააშიშვლონ...

მარი ჯაფარიძე

— ალფონსი იმ მამაკაცთა ტიპს წარმოადგენს, რომელიც ქალის ქონებაზე ნადირობს. ასეთმა მამაკაცმა, ჯერ შესაფერისი კანდიდატურა უნდა იპოვოს. ხშირ შემთხვევაში, მისთვის ქალის ოჯახურ მდგომარეობას მნიშვნელობა არა აქვს. შემდეგი ეტაპი, მიზანში ამოღებული ქალბატონისთვის თავის შეყვარება გახლავთ, რადგან შეყვარებული და გრძნობებს აყოლილი ქალისთვის თავბრუს დახვევა და მისი მოტყუება, გაცილებით იოლია. მესამე ეტაპი, ინტიმური ურთიერთობაა. ეს აუცილებელია საიმისოდ, რომ მეტი სიახლოვე და ამასთან ერთად, მეტი უფლებები ჰქონდეს მასზე. ამ სამი ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ, ყველაზე მთავარი იწყება — მიზანში ამოღებული ქონების „გადამისამართება“ საჭირო მიმართულებით. ალფონსები ძირითადად, წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცები არიან. მათ არ უჭირთ ქალის გულის მონადირება, თუნდაც, ის გათხოვილი იყოს. არიან უზომოდ ყურადღებიანნი, მოსიყვარულენი, იციან — როგორ მოიგონ ყველაზე ცივი ქალის გულიც კი. ყველაზე შეუხედავ ქალსაც კი დაარწმუნებენ, რომ ის მსოფლიოში ყველაზე ლამაზია, მაგრამ სხვები ამას იმიტომ ვერ ამჩნევენ, რომ ბრმები არიან. ასეთ შემთხვევაში, ის აქცენტს ქალის კარგ ბუნებაზე, შინაგან სამყაროზე აკეთებს და ამტკიცებს, რომ გარეგნული სილამაზე სულაც არ არის მთავარი. ასეთი მამაკაცები გემოვნებით, მდიდრულად იცვამენ და შეძლებული მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მათ მიერ ნასროლი ბადე „აბრეშუმითაა“ ნაქსოვი და თითქმის ვერავინ ხვდება, როგორ იხლართება მასში. უმეტეს შემთხვევაში, ალფონსები ძლიერი სექსუალური პარტნიორები არიან და ქალზე შთაბეჭდილების მოსახდენად ძალღონეს არ იშურებენ. ისინი მზად არიან, მიზნის მისაღწევად საქორწილო ბორკილიც კი დაიდონ. დიდი სიყვარულით სარგებლობენ მეუღლის ოჯახის წევრებს შორის და მოკლე დროში, მათ ნდობას იმსახურებენ. თუ ასეთი ადამიანების ბიოგრაფიას გადავხედავთ, მათ „ანგარიშზე“ რამდენიმე ქორწინებასა და სოლიდურ თანხას აღმოვაჩენთ. მათი გონება ერთი აზრითაა შეპყრობილი: რა გავაკეთო, რომ არაფერი არ გავაკეთო? როდესაც მაქსიმალურად ამოწურავენ ოჯახის შესაძლებლობას, თავის მისიას დასრულებულად მიიჩნევენ და ახალი თავგადასავლების საძიებლად მიდიან. მიტოვებული ქალი და მისი ოჯახის წევრები კი, მხოლოდ ამის შემდეგ ხვდებიან, თუ რაოდენ მოხერხებულად გააცურა და გამოიყენა ალფონსმა სიძემ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ეს მაშინ ხდება, როდესაც ოჯახის ბიუჯეტი უკვე ნულზეა დასული. ასეთ დროს, ვერც პრეტენზიას წაუყენებ ვინმეს, რადგან არავის არაფერი წაურთმევია. ყველაფერი საკუთარი ნებით გადააბარე სხვას...

ვიდრე ამ თემაზე, ქართული სინამდვილიდან მაგალითებს გაგაცნობდეთ, ვნახოთ, რა ხდება ევროპაში:

საბერძნეთსა და თურქეთში არსებობენ პროფესიონალი ალფონსები, რომლებიც საათში 100 დოლარის საფასურად მზად არიან, კლიენტ ქალბატონს გვერდი დაუმშვენონ სპექტაკლზე, რესტორანსა თუ ელიტურ თავყრილობაზე. თუ მამაკაცი მოდელია, რა თქმა უნდა, ის მომსახურების საფასურს ზრდის — საათში 250-დან 500 დოლარამდე. 2001 წელს, ტაილანდის პოლიციამ აღმოაჩინა პროფესიონალი ჟიგოლოების მომზადების ცენტრი. მოსწავლე მამაკაცების რაოდენობა 500-ს აჭარბებდა. აღნიშნული დაწესებულება რეგისტრირებული იყო, როგორც ცეკვის სკოლა. ვენეციაში უკვე 5 წელია, მოქმედებს ალფონსი მამაკაცების პროფკავშირი, რომელსაც „სიყვარული“ ჰქვია. მათი შემოსავალი წელიწადში 26 მილიონი ევრო გახლავთ. ამ პროფკავშირის ყველა წევრს სამსახურებრივი მობილური ტელეფონი და ინტერნეტი აქვს... მათ მოვალეობაში შედის: კლიენტი ქალბატონის კარის წინ თაიგულით ხელში, მუხლებზე დგომა, ვახშამი რესტორანში, რომანტიკული გასეირნება, ცეკვა, ვახშამი, ძილის წინ ლექსების კითხვა... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც კლიენტი მოისურვებს. მომსახურების სრული პაკეტი საათში 1.000 ევროს აღწევს...

ელზა, *35 წლის*:

— სკოლა საბჭოთა წყობილების დროს დავამთავრე და მოგეხსენებათ, მაშინ ცხოვრება არ ჭირდა. მამაჩემი პარტიული მუშაკი იყო, კარგ ადგილზე მუშაობდა და დიდძალი ქონებაც დააგროვა. განებივრებული ბავშვი ვიყავი, მაგრამ ძალზე შეუხედავი. მიუხედავად იმისა, რომ სულ უცხოეთიდან ჩამოტანილი, ძვირად ღირებული ტანისამოსი მეცვა — ვერაფერს ვიხდენდი. ჩემი გარეგნობის გამო, მეჩვენებოდა, რომ ყველა დამცინოდა. რა თქმა უნდა, სკოლა ისე დავამთავრე, რომ შეყვარებული არ მყოლია. ჩემი მეგობრები პაემნებზე რომ დარბოდნენ, ბოღმით ვივსებოდი ხოლმე. დედას ვგავდი და ამისთვის ისიც კი

შევიძულე, თუმცა, მოგვიანებით მთელი გულით მოვინანიე ჩემი საქციელი. უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, მაშინ ერთ ბიჭს მოვეწონე, რომელიც ჩემზე მეტად შეუხედავი გახლდათ. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. მამაკაცებთან დაკავშირებით ძალზე პრეტენზიული გემოვნება მქონდა. ვიცოდი, რომ ის, ვინც მე მომწონდა, ჩემი შესაფერისი არ იყო, მაგრამ მე სხვა არ მინდოდა. ჩვენს კურსზე ერთი სოფლიდან ჩამოსული ბიჭი სწავლობდა, რომელსაც მატერიალურად ისე უჭირდა, რომ თბილისში ბინასაც ვერ ქირაობდა. სამაგიეროდ, გარეგნობით ყველას ჩრდილავდა. მან ეშმაკობა იხმარა და მეგობრობას „მიაწვა“...

— ეს რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ლევანი დაუმეგობრდა ყველას, ვინც მის გარშემო ტრიალებდა. ყველას თავი შეაყვარა და შეაცოდა. ბიჭები მზად იყვნენ, რომ თავისთან გადაეყვანათ საცხოვრებლად და ისიც, რა თქმა უნდა, დიდი ხვეწნის შემდეგ თანხმდებოდა. უნივერსიტეტი ისე დაამთავრა, რომ ხან ერთ ჯგუფელ ბიჭთან ცხოვრობდა, ხან — მეორესთან. მათ მშობლებსაც სულ იოლად აყვარებდა თავს და როდესაც საცხოვრებლად მორიგი მეგობრის ოჯახში გადადიოდა, მისი გაშვება არც კი უნდოდათ ხოლმე. მისთვის ისევე ყიდულობდნენ ტანისამოსს, როგორც საკუთარი შვილისთვის, ზაფხულობით დასასვენებლად მიჰყავდათ და ოჯახის წევრად მიიჩნევდნენ. არ ვიცი, სხვებიც ხვდებოდნენ თუ არა, რომ ის უბრალოდ ყველას იყენებდა, მაგრამ მე ამაში დარწმუნებული ვიყავი და მხოლოდ და მხოლოდ მის მიმართ სიმპათიისა და შეიძლება ითქვას, სიყვარულის გამო, ჩემს ეჭვს არავისთან ვამჟღავნებდი.

— თქვენ ლევანი გიყვარდათ?

— დიახ, მიყვარდა, რადგან შეუძლებელი იყო, ამ ადამიანის მიმართ გულგრილი ყოფილიყავი. გოგონები მისი გულისთვის ჭკუას კარგავდნენ. ისიც, ამას იფერებდა და თავისი დახვეწილი მანერებით, ქცევითა და გარეგნობით თაყვანისმცემელთა რიგს დღითი დღე ზრდიდა. ბოლო კურსზე ვსწავლობდით, როდესაც ჩვენი ერთ-ერთი ჯგუფელის ოჯახში გადაბარგდა საცხოვრებლად. ამ ბიჭის მამა მაღალი თანამდებობის პირი იყო და მატერიალურად არ უჭირდა. ამიტომ, ლევანმა სხვა ხერხს მიმართა — ადგა და მისი ცოლი ჩაიწვინა ლოგინში. მისგან კი, რა თქმა უნდა, უამრავ საჩუქარსა და ფულს იღებდა. მალე ლევანმა მანქანაც შეიძინა... ასაკით უმცროსი მამაკაცის სიყვარულით თავბრუდახვეული ქალი, რომელიც ალბათ, აშკარა სხვაობას გრძნობდა თავის ღიპიან ქმარსა და ამ ლამაზ ბიჭს შორის, არაფერს იშურებდა მისთვის. მათი ამბავი უნივერსიტეტის დამამთავრებელი ბანკეტის დღეს გამჟღავნდა — ქმარს სხვის ალერსში გართული ცოლისთვის მიუსწრია. რა თქმა უნდა, მათ ოჯახი დაენგრათ და ლევანი შინიდან კინწისკვრით გამოაგდეს, მაგრამ მას უკვე მოესწრო საკმაო ქონების დაგროვება და დამოუკიდებლად განაგრძო ცხოვრება. ერთ მშვენიერ დღეს, შინ დამირეკა. ძალზე გავოცდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. ლევანი შეხვედრას მთხოვდა. ნეტავ, რა გაუჭირდა ასეთი-მეთქი? — გავიფიქრე და დათქმული ადგილისკენ გავემართე. კარგა ხნის განმავლობაში, მის ლაპარაკს ვისმენდი. თავგამოდებით ცდილობდა, ჩემი თანაგრძნობა დაემსახურებინა. მე მაშინვე მივხვდი, რომ ამჯერად ჩემი, უფრო სწორად, მამაჩემის ქონება ჰქონდა მიზანში ამოღებული, მაგრამ ამას არ შევუშინდი. ახლა ჩემი დროა-მეთქი — გავიფიქრე და ბადის ქსოვა დავიწყე. მას ჩემი სიმდიდრე აინტერესებდა, მე — კარგი ქმარი და ვფიქრობდი, რომ ეს ორივესთვის ხელაყრელი ვარიანტი გახლდათ. ამიტომ, მის გასაგონად, გამუდმებით ვიმეორებდი, რომ მამაჩემის ქონება ჩემი ქმრის საკუთრება გახდებოდა... ჩემმა მონდომებამ ნაყოფი გამოიღო, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილება მიიღო და ხელი მთხოვა. რა თქმა უნდა, გამიხარდა...

— როგორ, თქვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, უყვარდით თუ არა?

— ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის შექმნას, თანაც ისეთ მამაკაცთან, რომლისგანაც ლამაზ შვილებს გავაჩენდი... დავქორწინდით. მე საკმაოდ კარგი სამსახური მქონდა და ხშირად მიწევდა უცხოეთში მივლინებებში სიარული. რა თქმა უნდა, ისიც ჩემთან ერთად დადიოდა, ნახევარი მსოფლიო მოიარა, ყველა ქვეყნის საუკეთესო მაღაზიაში ყიდულობდა ტანისამოსს. არც ახლა მუშაობს, ნაშუადღევს იღვიძებს, ძვირად ღირებული ავტომანქანით დაქრის, ელიტურ ფიტნეს-კლუბში დადის, უყვარს რესტორნებში შუადამემდე ჯდომა სტუდენტობის მეგობრებთან ერთად, თავის გარდერობს კი, მხოლოდ იმ ბუტიკებში აახლებს, სადაც ძვირად ღირებული ტანისამოსი იყიდება. არც შვილებზე ზრუნვა აკისრია და არც ოჯახის რჩენა ევალება... მოიწყო ცხოვრება... მე კი, სამაგიეროდ, მომხიბვლელი, ერთგული და ყურადღებიანი ქმარი მყავს...

მარინა რეხვიაშვილი:

— როგორც თქვენი ნაამბობიდან ჩანს, ეს ქალბატონი 22-23 წლის ასაკში გათხოვდა. ამ ასაკის გოგონები, როგორც წესი, უკვე ჩამოყალიბებულნი არიან და ზუსტად იციან, რა უნდათ. ამიტომ, თუ მან არჩევანი ისეთი მამაკაცის სასარგებლოდ გააკეთა, რომელსაც არ უნდა, საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა, ის ამაზე შეგნებულად წავიდა და მასთან თავს კომფორტულად გრძნობს. ის თავისი გარეგნობის საკომპენსაციოდ ქმარს ფულს უხდის, სანაცვლოდ კი, ერთგულებას იღებს. სულ სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია, რომ ქალმა საკუთარ თავზე აიღოს ოჯახის რჩენის პასუხისმგებლობა და შეითავსოს ქალისა და მამაკაცის ფუნქციები... თუ რაღაც პერიოდის შემდეგ, ის ვეღარ შეძლებს იმ ცხოვრების დონის შენარჩუნებას, რომელსაც მისი ალფონსი მეუღლე შეეჩვია, ოჯახი აუცილებლად დაენგრევა და მისი ქმარი სხვა, უფრო მდიდარ ქალბატონთან გადაბარგდება. მას ვერც შვილები, ვერც საერთო მოგონებები ცოლთან და ვერც სხვა სენტიმენტალური გრძნობები ვერ შეაჩერებს...

— ქალბატონო მარინა, შეიძლება ალფონსის ამოცნობა?

— არსებობს რამდენიმე ტიპის ალფონსი. მაგალითად: ალფონსი-ინტელექტუალი, ალფონსი-რომანტიკოსი, მშრომელი ალფონსი და ა.შ... სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, ასეთი მამაკაცების რიცხვი გაიზარდა. მათ შეუძლიათ, ქალი გააშიშვლონ, ამ სიტყვის სრული და ირიბი მნიშვნელობით. იმის გამო, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავს ადამიანებთან ურთიერთობა, შემიძლია, მათ ამოსაცნობად, რამდენიმე რჩევა შემოგთავაზოთ: ალფონსი მამაკაცი პირველ პაემანზე მთელი წესისა და რიგის მიხედვით მიდის, არც ყვავილების ყიდ-

ვა ავიწყდება და ა.შ. მაგრამ შემდგომი პაემნების დროს, ნუღარ იოცნებებთ თაიგულებსა და საჩუქრებზე ის საუბრისას ცდილობს, გაერკვეს მომავალი „მსხვერპლის“ ინტერესებში, აკეთებს მრავალმნიშვნელოვან პაუზებს და ამ პაუზებს ვნებიანი გამოხედვითა და მოკლე რეპლიკებით ავსებს. იმის შიშით, რომ საუბრისას ზედმეტი არ წამოროშოს, ცდილობს, ბევრი კითხვა დაგისვათ და უმეტესწილად თქვენ გალაპარაკოთ. მისი ინტერესის საგანი გახლავთ არა იმდენად თქვენი გარეგნობა, რამდენადაც თქვენი სოციალური და მატერიალური მდგომარეობა. ამის გამო, თუ თქვენ გაგიგრძელდებათ საკუთარ თავზე ლაპარაკი, ის გაგაწყვეტინებთ საუბარს ფრაზით — მოიცა, მოიცა... და დაგისვამთ მისთვის საინტერესო შეკითხვას. ბევრ რამეში არ დაგეთანხმებათ, რომ კამათის პროვოცირება გამოიწვიოს. მათ ზუსტად იციან, რომ ქალი სწორედ კამათის დროს იხსნება და ამ დროს, მისი ბუნების, აზროვნების, ლოგიკის, ცხოვრებისეული პრინციპების გაგება იოლია და რაც ყველაზე მთავარია — დამთმობია თუ არა ქალი, ამის მიხედვით ის მომავალი მოქმედების გეგმას აწყობს. თუ მიხვდა, რომ საქმის ბოლომდე მისაყვანად ხანგრძლივი დრო დასჭირდება, ამ დროს თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. პირველ რიგში, დაიწყებს ფსიქოლოგიურ თამაშს. საამისოდ კი, თავისი „საიდუმლოს გამხელა“ დასჭირდება. აუცილებლად მოჰყვება ამბავს, რომლის მოსმენის შემდეგ, ქალი გაიგებს, რომ მას მძიმე წარსული ჰქონდა. ამბავი აუცილებლად სასიყვარულო გრძნობებზე იქნება აგებული და ის გეტყვით, თუ როგორ იკლავდა თავს საყვარელი ქალისთვის ან საყვარელი ქალი — მისთვის. შესაძლოა, ამბავი ეხებოდეს მის რთულ სიტუაციას ოჯახის წევრებთან, შეფთან, მეგობრებთან... თუ თანაგრძნობა წარმოიშვა, ჩათვალეთ, რომ მის მიერ დაგებულ მახეში უკვე გაებით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მათ არასოდეს ამოძრავებთ ვნება. ეს მათთვის მხოლოდ ქმედების მომდევნო, ნაკლებმნიშვნელოვანი ეტაპია, რომლის საშუალებითაც არა მხოლოდ დაიპყრობს ქალს, არამედ — დაიმორჩილებს კიდეც. ალფონსი მამაკაცები არ არიან ენაწყლიანები, საწოლში არასოდეს წარმოთქვამენ პარტნიორის სახელს. „მსხვერპლთან“ ურთიერთობისას, განსაკუთრებულ აქცენტს ინტიმურ ურთიერთობებზე აკეთებენ და ამავდროულად, მაქსიმალურად აკონტროლებენ საკუთარ ქმედებებს. ალფონსი არ განიცდის ლტოლვას, მაგრამ იქცევა ისე, რომ ქალი სექსუალურად მთლიანად მასზე იყოს დამოკიდებული. საამისოდ, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ის სექსუალური გიგანტი იყოს. მთავარია, ჰქონდეს გამოცდილება, რასაც არც ერთი ალფონსი არ უჩივის... ის არაფერს მოგთხოვთ კონკრეტულად, მაგრამ თავის პრობლემას იმგვარად დაგანახვებთ, რომ სინდისის ქენჯნასაც კი იგრძნობთ, დახმარების ხელს თუ არ გაუწვდით. თუ ასეთ დროს რჩევის მიცემას ეცდებით, წააწყდებით წინააღმდეგობას — ის პირდაპირ გეტყვით, რომ რჩევა არაფერში გამოადგება. ყოველთვის შეინარჩუნებს რომანტიკული შეყვარებულის ნიღაბს, მაგრამ არასოდეს ეცდება, გააღრმავოს ურთიერთობა საჩუქრებითა და სიურპრიზებით. მისთვის ასეთი რამ უცხოა.

მზია, 30 წლის:

— გასათხოვარი დავრჩი იმის გამო, რომ შეყვარებული ავტოავარიაში დამეღუპა და მისი გარდაცვალება ვერ მოვინელე. პროფესიით პიარმენეჯერი ვარ და უზომოდ მიყვარს ხელოვნება, განსაკუთრებით — ლიტერატურა. ერთ მშვენიერ დღეს, ახალგაზრდა მამაკაცი გავიცანი. გვქონდა იმის საშუალება, რომ კარგა ხანს გვესაუბრა. ვუთხარი — ლიტერატურაზე ვგიჟდები-მეთქი. აღმოჩნდა, რომ თურმე ბევრი საერთო გვქონია. — მწერალი ვარო — მითხრა. თუმცა, მისი არც ერთი ნაწარმოები არ მქონდა წაკითხული, მაგრამ თავისი აზროვნებისა და საუბრის მანერით დამარწმუნა, რომ ნიჭიერი მწერალი იყო, მაგრამ მავანნი მისი ნაწარმოებების დაბეჭდვას ერიდებოდნენ. საუბრის ბოლოს კი, ისიც მიამბო, რომ დაეღუპა მეგობარი გოგო, რომლის ცოლად მოყვანასაც აპირებდა და ამის შემდეგ, მთლად ჩაიქნია ცხოვრებაზე ხელი. თავისი ნაწარმოებები ცეცხლს მისცა და აღარც უცდია, კალმისთვის ხელი მოეკიდებინა. მის მიმართ თანაგრძნობა გამიჩნდა, ძალზე შევწუხდი. ვთხოვე, დაეწყო ახალ ნაწარმოებზე მუშაობა და მის გამოცემაში დახმარება აღვუთქვი. თანახმა იყო, ოღონდ ერთი რამ უშლიდა ხელს: მასთან სახლში ცხოვრობდა დაქორწინებული ძმა, რომელსაც 3 პატარა შვილი ჰყავდა. ბავშვები კი მუშაობას არ დააცდიდნენ. მეორე დღესვე ჩემს სახლში გადმოვიყვანე საცხოვრებლად. ერთი ოთახი გამოვუყავი და შევასახლე. ჩემი კომპიუტერიც მას დავუდგი, რომ მუშაობა გაადვილებოდა. მე კი, მთელი სერიოზულობით დავიწყე გამომცემლობის ძებნა, სადაც მის რომანს დავბეჭდავდით. ყოველ საღამოს ვეკითხებოდი — ნაყოფიერი იყო თუ არა მისი მუშაობა. ის კმაყოფილი მიქნევდა თავს და — ამ სიკეთეს არ დაგივიწყებო — მეუბნებოდა. ერთხელ ვთხოვე, რომ რაც დაწერა, იმის წაკითხვის უფლება მოეცა, მაგრამ სასტიკი უარი მივიღე — როგორ შეიძლება, რომ დაუმუშავებელი ნაწარმოები წაიკითხოო? — ისე მითხრა, რომ გავჩერდი. ამასობაში, ერთი წელი გავიდა. მე ვმუშაობდი, მას ვარჩენდი, ის კი, წერდა და წერდა... საქმე იქამდე მივიდა, რომ ლოგინშიც კი ჩავუწექი... ერთდღეს კი გამომიცხადა, რომ მუშაობა დაამთავრა და უფლება მომცა, მისი რომანი წამეკითხა. ეს იყო საშინელი რამ, რომლის მსგავსიც არსად არაფერი წამიკითხავს. ამას ვინ იყიდდა? ვერ მოვახერხებდი იმ ხარჯის დაფარვას, რომელიც წიგნის გამოცემაში უნდა ჩამედო... დაუფარავად ვუთხარი ჩემი აზრი... სულაც არ სწყენია. — მეორეს დავწერო — თქვა და თითქმის 2 წლის განმავლობაში წერდა მომდევნო რომანს. არც ის გამოუვიდა. მივხვდი, რომ თავიდანვე მატყუებდა და არაფრის მაქნისი ყოფილა... ვიკამათეთ და შინიდან დავითხოვე. — არსადაც არ წავალო — გამომიცხადა. სიტყვა აღარ შევუბრუნე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, შინიდან რომ გავიდა, უკან მობრუნებულს მისი ჩემოდანი კართან დახვდა... იმის შემდეგ, აღარ მინახავს...

მარინა რეხვიაშვილი:

— ასეთი ტიპის ალფონსს „საყოფაცხოვრებო პარაზიტი“ ჰქვია. მას ძალზე მოხერხებულად შეუძლია, გენიოსის ნიღაბი მოირგოს. უმეტეს შემთხვევაში, ისინი შემოქმედი ნატურები არიან, რომლებიც მსხვერპლს შეგნებულად აჩვენებენ თავს გულუბრყვილო ადამიანებად, ხოლო სხვის ზრუნვას დამსახურებულად მიიჩნევენ. სამწუხაროდ, მათი გარეგნული მომხიბვლელობა ქალს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ დროზე დაშორდეს...

■

„მაზოხისტი" გინეკოლოგის უცნაური ამბავი

ინგა ჯაყელი

ჩემი გინეკოლოგი მეგობარი ზურა ისეთი ენაკვიმატი ვინმეა, კარგა ხანია, არავინ აღარაფერს უჯერებს და ღმერთიც რომ დაიფიცოს, თავს გადახდენილ უცნაურ ამბებს გამოგონილად უთვლიან. არადა, ამის გამო, სულ უფრო და უფრო ხშირად გვებუტება, თან გვემუქრება: ჩემგან სიტყვასაც ვერ ეღირსებითო...

არც იმ დღეს აპირებდა ხმის ამოღებას, როცა ცხვირგატეხილს და სახეზე თაბაშირდადებულს მოსანახულებლად კლინიკაში ვეწვიეთ.

— არ დაიწყო ახლა ზღაპრები, ბავშვმა თავის მაგივრად ფეხი გამოყო „იქიდან" და წიხლი მდრუზა ცხვირ-პირშიო! — მწარედ ჩაუნისკარტა დათომ, რომელიც ვერა და ვერ შეეგუა ძმაკაცის პროფესიას — მე ჩემი ცოლისთვის ერთხელაც არ შემიხედავს სინათლეზე „იქინე", ამის წარმოდგენაზეც გული მერევა, ეგი ვინაა, ეს მაზოხისტი, თავისი ნებით რომ მიძრობა შითო!..

— გაათრიეთ გარეთ ეს იდიოტი, თვარა, მართლა შევტენი ერთ დღეს იქ, საიდანაც გამოძვრა და სამუდამოდ დევისვენებო — შეძლებისდაგვარად იღრიალა ზურამ და ძლივს დამშვიდდა, როცა ყველამ ერთად დავტუქსეთ ენად გაკრეფილი დათო.

მერე, ბევრი ვეხვეწეთ, ცხვირის გატეხის მიზეზი მოეყოლა, მაგრამ დაიფიცა და აღარ გატეხა დუმილის აღთქმა. ალბათ, ვერც თქვენ მოგიყვებოდით რამეს, ჩემო მკითხველო, „ტრაგედიის" მეორე მონაწილეს რომ არ აშლოდა ლაპარაკის საღერღელი. პალატიდან გარეთ გაგვიხმო და საორდინატოროში განმარტოებულებს ყავაც მოგვართვეს ზაზას პატივისცემით იქაურმა ექიმებმა.

მიხვდით ალბათ, რომ ზაზაც გინეკოლოგია და ზურასთან ერთად მუშაობს სამშობიაროში.

— გუშინ, რუბენას ცოლმა იმშობიარა ჩვენთან, უცებ გამდიდრებული „ახალი ქართველი" რომაა საფიჩხიაზე, იმაზე ვუბნობ. ვარდების რევოლუციამდე პურის ამოსატანადაც არ უშვებდა მამამისი მაღაზიაში, ძაღლები წაართმევენ და მშიერს დაგვტიეებსო და რა ქნა ამფერი იმ რუსთაველზე დგომით, კაცმა არ იცის, თავადაც უცებ გამდიდრდა და მთავრობის კაცებიც ყველა მისი ძმაკაცი შეიქნა ერთბაშად. ისე არ გეივლიენ ქუთეისში, მის ოჯახში რომ არ შეჩერდენ სადილზე.

— რომელი რუბენა, წერა-კითხვა რომ ვერ ისწავლა და ცხრა კლასი ძლივს დაამთავრა?! — გაიხსენა თანასკოლელი დათომ.

— ცხრა კლასი კი არა, ორი დიპლომი უდევს ჯიბეში და ცალკე მაგისტრის დიპლომს აფრიალებს — მე და პრეზიდენტი ერთად ვსწავლობდით ამერიკაშიო!..

— ჩვენი პრეზიდენტიც თუ რუბენასავით „ნასწავლია", ავშენებულვართ და ისაა! — თავში ხელი შემოირტყა ნიკუშამ და პათეტიკურად დაიგმინა.

— მოკლედ, ახალი გათენებული იყო, რუბენამ ცოლი რომ შემოიყვანა ჩვენთან და იარაღით დაგვადგა თავზე — ჩემს ბიჭს პატივი ეცით, თორემ დაგხოცავთო!..

— ბიჭსო თუ ქალსო! — შეუსწორა დათომ.

— ბიჭსო, ბიჭსო! მემკვიდრეს ელოდებოდა და სიხარულით აღარ იყო. სანამ ქალი სამშობიარო ბლოკში შევიყვანეთ, გამოიძახა ვიდეოს ოპერატორი, დოლგარმონიანი დამკვრელები და კატეგორიულად მოგვთხოვა, რომ მშობიარობაზე დასწრებისა და გადაღების ნება მიგვეცა. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ გადავათქმევინეთ. კიდევ კარგი, დამკვრელების გარეთ დატოვებაზე დაგვთანხმდა. შეკვეთილი მელოდიები წინასწარ ჩამოუთვალა — არც ერთი არ დაგავიწყდეთო, — დაუბარა და სულთამხუთავივით დაგვადგა თავზე.

ზურა ჩვეულებრივად შეუდგა საქმიანობას და ფეხებშუა ჩაუდგა ქალს. გადაირია რუბენა:

— რას შობი, თუ იცი, სად მისჩერებიხარ ჩემს ქალსო?!

— აპა, სად მივაჩერდეო?! — დაიკვნესა ზურამ და თან ხელი შეყო „იქ", რაღაცაში დასარწმუნებლად...

— ჰოდა, ლეწა რუბენამ ხომ ცხვირში მუშტი! — ენამ წინ წაუსწრო დათოს.

— არა, მაშინ გადარჩა, რადგან რუბენას ყურადღება ქალის კივილმა და მერე, ბავშვზე ადრე დაღვრილმა „სითხემ" მიიპყრო: რაია, ეგი, რაის წყალია, ასთე ხომ დეიხრჩობა ბაღანაო! — და ლამის თავად შეძვრა თავ-ფეხიანად მემკვიდრის გადასარჩენად, ძლივს გამოვათრიეთ უკან.

— ხომაა ახლა ღირსი, მივატოვო და წავიდეო! — შეიგინა ზურამ და გამოჩენილ თავში წაავლო ბავშვს ხელი, რომელიც, ბუნებრივია, სისხლით იყო მოსვრილი. ზუსტად ვერ გეტყვით, რა იფიქრა რუბენამ, მაგრამ ამის დანახვაზე გული წაუვიდა და კაფელის „პოლზე" მოადინა ბრაგვანი. მაგას რომ ტვინის ნატამალი ჰქონოდა თავში, უსიკვდილოდ იქვე დაანთხევდა... ის კი გადარჩა, მაგრამ როგორღაც ზურას წაავლო კოჭებში ხელები და თავისკენ რომ მოქაჩა, მაშინ დაემხო ქალის ფეხებშუა მაგიდაზე და მიიმსხვრია ცხვირ-პირი... ცას სწვდებოდა მისი კივილი.

— ბავშვი?!.

— ბავშვიც „გადმოხტა" იმ მომენტში და კალათბურთელს შეშურდებოდა, ისეთი ნახტომი გააკეთა ვიდეოს გადამღებმა, რომელმაც აპარატი გვერდზე მოისროლა და კედელს შეანარცხა, ბავშვი კი ჰაერში დაიჭირა. არადა, რომ დახედა, ჭიპლარით ისევ დედასთან იყო „მიერთებული", წამოაზიდა თუ რა იყო არ ვიცი, ძლივს გაასწრო გარეთ...

მთელი საავადმყოფო იქ შეიკრიბა. ვინ რუბენას ასულიერებდა, ვინ ზურას და ვინ დედა-შვილს!..

— რაო, რუბენამ, გონს რომ მოვიდა?!

— ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ ცოცხალი იყო მისი შვილი და არც თავგახეთქილი დაიბადა. ორი დღე ვერ გაბედა ახალშობილის ნახვა... ცოლს კი, დღემდე ვერ იტანს თურმე. ეგ კი არა, ეშინიათ, ნერვულ სტრესზე სამუდამოდ არ დაკარგოს „კაცობა"... მემკვიდრის უვნებლად დაბადებით გახარებულმა რუბენამ ზურას მკურნალობის ხარჯები საკუთარ თავზე აიღო, აქაურებს არ ენდო და პირდაპირ მოსკოვიდან ჩამოუყვანა სპეციალისტები. ეხვეწება: გატეხილის ნაცვლად თუ შეიძლება, ოქროს ძვალი ჩაუდოთო!..

— ზურა რას ამბობს?!

— ჯერ არაფერს, დუმს, მაგრამ ხომ იცით მაგის ამბავი, ადრე თუ გვიან, მოხსნის გუდას პირს და დასაწერი იმისი მონაყოლი იქნება, თუ იქნება, ნამდვილი მწერალივით გაალამაზებს! — დაასკვნა ზაზამ და ალბათ, ასეც იქნება, მაგრამ მე აღარ დაველოდე და მანამ ვაქციე განაგონი საჟურნალე მასალად, სანამ ზურა არ დამმუქრებია — დაწერ და ენას ამოგაძრობო!..

■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-16)

ახალგაზრდა ექიმის, ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ვითარდება. ლანას ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი ალმაცერად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს. ქალიშვილთან დაახლოებას კი, იმის გამო ცდილობს, რომ ლანას ბებიის, ქეთოს მიერ დატოვებული რაღაც განძეულობის ხელში ჩაგდება სურს. დვალი ლანას ემუქრება კიდეც: თუ ლევანს გაჰყვები ცოლად, მის შვილს კარგი დღე არ ელისო... ცოტა ხანში, ლანა თბილისში ბრუნდება და იმ ნოტარიუსს ეწვევა, რომელთანაც ქეთოს, დალუქული წერილი დაუტოვებია.

ამ წერილით ქეთო შვილიშვილს აუწყებს, რომ ბანკში ანდერძი აქვს ჩაბარებული და იმასაც ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან, კონკრეტულად ვის რა შეხვდა...

ბანკიდან გამოსულ ლანას, გზაში ლევანი წამოეწევა. ამ მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ქალიშვილი ლევანს შინ წაჰყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გაატარებს. თუმცა მოგვიანებით, წყვილს უსიამოვნება მოუვა. შესარიგებლად მისულ ლევანს, ლანა თავიდან, გაცოფებული დახვდება, მაგრამ მერე, ცოტა მოლბება და მის არგუმენტებსაც შედარებით მშვიდად მოისმენს. მოულოდნელად, მას ახალდაქორწინებული თინიკო და ლაშა მიადგებიან კარზე. თინიკო მეგობარს უცნაურ ამბავს აუწყებს: გივი გიგაური ისევ თავის ფირმაში გვეპატიჟებაო, — რაზეც ლანას ცივ უარს მიიღებს.

— ისე, იცი, რამდენის მადლს მოისხამდი? — აკისკისდა თინიკო. — ვის აღარ აქვს მაგის „ზუბი“?!

— მაგრამ მაინც არ ასვენებს გამჩენი და ყოველდღე ახალ-ახალ მტრებსაც იჩენს...

— შენ ეგა თქვი! — კვერი დაუკრა მეგობარს თინიკომ. — აი, თუნდაც, ჩვენი ამბავი ავიღოთ. რა უნდოდა, რისთვის გადაგვიკიდა?.. ან ახლა, რა შერიგება აუტყდა?.. სიმართლე გითხრა, ცნობისმოყვარეობა მკლავს. თანაც, დღეს დილითაც დამირეკა, დამპალმა, და უკვე რამე ხომ არ მოიფიქრეთო, არ მეკითხება?!

— მოიფიქრეთო, ხომ? — გაღიზიანდა ლანა. — მაგ მართლა დამპალს ჰგონია, რომ მეც რამეს მოვიფიქრებ?

— რას გეტყვი, იცი? — სკამის საზურგეზე არხეინად გადაწვა თინიკო. — პრინციპში, ჩვენი რა მიდის?! ავდგეთ და ერთხელ მართლა გავიაროთ ფირმაში, ძველი ნაცნობი ვნახოთ, გიზოს დაველაპარაკოთ, მერე იქნებ, გივისაც შევუაროთ... ჰა, რას იტყვი?

— არ ვიცი, არ ვიცი... — თავი უკმაყოფილოდ გააქნია ლანამ. — მე ჯერ ბებიაჩემის ორმოცი მაქვს წინ და იმის მერე მოვიფიქრებ, საერთოდ, რა უნდა გავაკეთო. შეიძლება, მართლა ქეთოს საქმე გავაგრძელო. რაც არ უნდა იყოს ქალმა ყველაფერი მე დამიტოვა და ვალდებული ვარ...

— ალბათ, ასეა, — დაეთანხმა თინიკო, — მაგრამ მე პირადად, რაც გავთხოვდი, ერთ მარტივ ჭეშმარიტებასაც მივხვდი...

— რას?

— იმას, ჩემო ლამაზო, რომ ქართველ კაცს ტყუილად არ უთქვამს, ჯერ თავო და თავო და მერე — ცოლო და შვილოო...

— ესე იგი, გათხოვდი თუ არა, მაშინვე გაეგოისტდი?

— კი არ გავეგოისტდი, გავრეალისტდი. როცა ფორმაში ხარ, საქმეც კარგად მიგდის და პირადი ცხოვრებაც, ყველას უნდიხარ და უყვარხარ. მაგრამ საკმარისია, ფეხი გადაგიბრუნდეს, რომ გვერდით ერთი-ორი ადამიანი თუ შეგრჩება. ამიტომაც, უნდა გააკეთო ყველაფერი, რომ მსგავსი რამ არ დაგემართოს. ყველაფრის გასაკეთებლად კი, ბევრს ბევრ რამეზეც უნდა უთხრა უარი, ბევრის აზრის, სურვილების, მიზნებისა თუ გრძნობების იგნორირება უნდა მოახდინო. ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა?

— გამოგიტყდები და — დიდი გაჭირვებით... — აღიარა ლანამ.

— რა ვერ გაიგე, გოგო? — ხმას აუწია თინიკომ. — ამქვეყნად საკუთარ თავზე, საკუთარ ინტერესებზე წინ არავინ არ უნდა დააყენო-მეთქი! არც მშობლები, არც ძმა, არც ქმარი და შენ წარმოიდგინე, რაღაც მომენტში, არც შვილი.

— შენ უკვე ამ პრინციპით ცხოვრობ?

— პრაქტიკულად — კი... იცი, ამას წინათ დედაჩემს რა წამოსცდა?

— რა?

— რა არის, იცი? — წამით ჩაფიქრდა თინიკო. — ისე კი არ გამიგო, თითქოს, არ ვიცოდე, რომ დედაჩემს, ჩემზე და ჩემს ძმაზე მეტად, ამქვეყნად არავინ უყვარს, მაგრამ ფაქტია, რომ მაინც დაიწუწუნა — ნეტავ, ჯერ არ გათხოვილიყავიო.

— რატომო? — გაუკვირდა ლანას.

— იმიტომო, რომ გივისთან ცოტა ხანს კიდევ იმუშავებდი და ბარემ დარჩენილ ვალსაც ამოვილებდითო...

— კარგი, კარგი, — გააწყვეტინა ლანამ. — აღარ მინდა გივიზე ლაპარაკი!

— აი, მე კი მინდა!.. და თუ ჩემი ინტერესი იქნება, გივისთან კი არა, ეშმაკთანაც კი მივალ სამუშაოდ და შენც იმავეს გირჩევ.

— რჩევისთვის დიდი მადლობა, მაგრამ გიგაურთან მაინც არასოდეს დავბრუნდები. — საბოლოოდ ბეჭედი დაუსვა ლანამ.

— ხომ გაგიგონია — არასოდეს თქვა არასოდეს, — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ. — სხვა შენს ადგილზე შურის საძიებლად მაინც დაბრუნდებოდა.

— გიგაურიც ჭირს წაუღია და მასზე შურისძიებაც!

— რას ჰგავს თქვენი საქციელი? — უეცრად, სამზარეულოს კარი შემოაღო თამარმა. — გამოდით ახლა იქით, თორემ, უთქვენოდ მთლად ჩამოყარეს კაცებმა ყურები!..

— მოვდივართ, დეიდა თამარ! — ფეხზე წამოხტა თინიკო, რომელსაც ლანაც უმალ აჰყვა.

...ოთახში შესულ ლანასა და თინიკოს მამაკაცები უკვე ოდნავ შეზარხოშებულნი დახვდნენ.

— რა ამბავია?.. დაგავიწყდა, რომ მანქანით ვართ? — დაუტატანა თინიკომ ქმარს.

— მერე რა მოხდა?! — მხრები შეათამაშა გამხიარულებულმა ლაშამ. — მანქანას ლანასთან დავტოვებთ და ფეხით წავალთ. თუ არადა, აგერ, ლევანი წაგვიყვანს თავისი მანქანით.

— ლევანი, თორემ, მაგას წვეთი არ ექნება პირში ჩასული, აი!

— კარგი, გოგო, რას ჩაირთე?! გვერდით თითქმის ძალით მოისვა გაკაპასებული ცოლი ლაშამ. — ამხელა კაცებს ერთი ბოთლი კონიაკი მოგვერევა?.. აი, ხომ ხედავ, ძმაო, რა დღეში ვარ?! — ხმადაბლა გადაულაპარაკა მან შემდეგ ლევანს. — გეუბნები მე შენ, არ გაბრიყვდე და ცოლი არ მოიყვანო-მეთქი!

— კარგი. — დაეთანხმა ლევანი, — ვიფიქრებ მაგ საკითხზე... ახლა კი, იცი, ვის გაუმარჯოს?

— ვის? — სასწრაფოდ ჭიქას მოჰკიდა ხელი ლაშამ.

— ქალბატონ თინიკოს და საქალბატონე ლანას, რომლებმაც როგორც იქნა, გვიკადრეს და ქალბატონი თამარის მიერ გაშლილი, უამისოდაც ლამაზი სუფრა კიდევ უფრო დაგვიმშვენეს!

— გაუმარჯოს! — ჭიქა მიუჭახუნა ლაშამ ლევანს, თან, აღრენილ თინიკოს მხარზე ხელი მიუთათუნა...

მამაკაცების მჭევრმეტყველებამ და ქათინაურებმა ნაკლებად გაჭრა და, ცოტა ხანში, თინიკომ სუფრა მაინც აშალა.

— ხვალ რას აკეთებ? — დამშვიდობებისას ჰკითხა ლევანმა ლანას.

— ისეთს არაფერს, — კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა ლანამ.

— ასეთს? — ჩაეძია ლევანი.

— პირდაპირ მითხარი, რა გინდა?

— რა უნდა მინდოდეს?.. თუ გცალია, შევხვდეთ და სადმე გავიაროთ.

— მე კი მცალია, მაგრამ შემთხვევით, შენც ხომ არ დაანებე სამსახურს თავი?!.

— მთავარია, შენ გეცალოს ჩემთვის, თორემ, სამსახური ყოველთვის მოიცდის.

— კარგი, — დანებდა ლანა. — შევხვდეთ. ოღონდ, მე თვითონ დაგირეკავ!

— არის, უფროსო! — „ჩესტი“ აუღო მას ლევანმა. — შენს ზარს მოუთმენლად დაველოდები...

მეორე დილით ლანამ ადრიანად ისაუზმა და წასასვლელად მოემზადა.

— ასე საგანგებოდ ვისთვის გამოეწყვე? — სარკის წინ მოტრიალე შვილი ეჭვით აათვალიერ-ჩაათვალიერა თამარმა.

— კონკრეტულად — არავისთვის, — მშვიდად უპასუხა ლანამ. — საქმეზე მივდივარ.

— რა საქმეზე?

— ვითომ არ იცი... — უკმაყოფილო სახე მიიღო ლანამ. — ბანკში უნდა შევიარო და გავარკვიო, ქეთომ კიდევ რა სიურპრიზი მომიმზადა.

— ისიც მოდის? — რატომღაც ისევ ნაცვალსახელით მოიხსენია ლევანი თამარმა.

— არა. მარტო მივდივარ.

— აბა, რომ გითხრა, შევხვდეთ და სადმე წავიდეთო?

— მითხრა, მაგრამ იმაზეც შევთანხმდით, რომ მე უნდა დავურეკო. ჰოდა, მოვილევ საქმეს და მერე დავურეკავ.

— თუ ასეა, მე მაინც უნდა წამოგყვე! — სასწრაფოდ გადაწყვეტილება მიიღო თამარმა. — ბანკში მარტოს ხომ ვერ გაგიშვებ...

— კარგი, რა, დედა, ნუ ბავშვობ! — შეუტია მას ლანამ. — ბანკში მივდივარ, ომში ხომ არა!

— იცოდე, დროზე მოდი, არ მანერვიულო! — მალევე დანებდა შვილს თამარი.

— თუ შევატყვე, რომ მაგვიანდება, დაგირეკავ. — შემოსასვლელი კარი გამოაღო ლანამ...

ბანკის თანამშრომელმა ლანას მალევე მოუტანა ბებიის დანატოვარი პატარა ყუთი და შემდეგ, მარტო დატოვა. ყუთში ოთხად მოკეცილი რამდენიმე თაბახის ფურცელი და ძველებური ლალისთვლიანი ბეჭედი იდო, რომელსაც წვრილი ტყავის თასმა ჰქონდა შებმული. ლანამ ფრთხილად ამოიღო ბეჭედი ყუთიდან, გულმოდგინედ დააკვირდა და მიუხედავად იმისა, სამკაულებში ნაკლებად ერკვეოდა, მაინც მიხვდა, რომ უბრალოდ ლამაზი კი არა, ძალზე ძველი და ძვირად ღირებული ნივთი ეჭირა ხელში. ამის შემდეგ, ლანამ თაბახის ფურცლები გაშალა და კითხვა დაიწყო.

„ჩემო საყვარელო შვილო. — წერდა ქეთო, — ეს ბეჭედი საუკუნეებს ითვლის. მე ის ცხონებულმა ბებიაჩემმა გადმომცა სიკვდილის წინ. მისგანვე ვიცი, რომ ჩვენი პაპის პაპა, რომელსაც დათა რქმევია, ერთ-ერთ ქართველ მეფეს (სამწუხაროდ, ბებიამ არ იცოდა, კონკრეტულად რომელს) ომში უბრალო მეომრად ხლებია. დათა დევივით ღონიერი კაცი ყოფილა და ხმალსაც მარჯვედ იქნევდა თურმე. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მას პირველს შეუნიშნავს, რომ ბრძოლაში გართულ მეფეს მტრის მეომარი მიეპარა და ზურგში მახვილის ჩაცემა დაუპირა. დათა მაშინვე მეფეს აჰფარებია, მტრისთვის ხმალი მოუქნევია, მაგრამ იმ ვერაგს დაუსწრია და ხმლიანი ხელის მტევანი ძირში წაუჭრია.

დათას თავგანწირვით აღფრთოვანებულ მეფეს ხელიდან სწორედ ეს ბეჭედი წაუძვრია და, მადლიერების ნიშნად, უბოძებია. მეფის დასტაქარს კი მისთვის ჭრილობაზე რაღაც მალამო წაუსვამს და შეუხვევია. მალამოს კარგად უმოქმედია და ჭრილობასაც მალევე შეუკრავს პირი. მეფის დასტაქარს იონა რქმევია. დათა მას გადაჰკიდებია: ცალხელა მეომარი აბა, ვიღას რაში დასჭირდება, ამიტომ — იქნებ, შენი ხელობა მეც მასწავლო, რომ მეფეს მომავალშიც რამეში გამოვადგეო. თავიდან იონას თავი შორს დაუჭერია, მაგრამ მერე და მერე, დათა თვითონაც მოსწონებია და დამხმარედ დაუყენებია. ომის დამთავრების შემდეგ კი, თავისთანაც წაუყვანია და ერთადერთი ქალიშვილი ცოლად გაუტანებია. გახარებულ დათას მეფის ნაბოძები ბეჭედი ხელიდან წაუძვრია და ქალი ისე დაუნიშნავს. იონას კი შვილის ხელზე აელვარებული ბეჭდისთვის დაუხედავს და უთქვამს: ამ ბეჭედს თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ, რადგან მირონცხებული მეფის ნაბოძებია და სანამ ის თქვენს ოჯახში იქნება, ღმერთი ყოველივე ავისგან დაგიფარავთო.

მას შემდეგ, ჩემო შვილო, ეს ბეჭედი, ხელობასთან ერთად, ჩვენს გვარში უფროს შვილს ან შვილიშვილს გადაეცემოდა. იცი, რომ ჩემი უფროსი შვილი დათა იყო, რომელიც ღმერთმა მალევე წაიყვანა. დათას სიკვდილის შემდეგ, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ყველაფერი, რაც წესით, მას უნდა რგებოდა, შენთვის დამეტოვებინა. ვიცი, შენც თვალისჩინივით გაუფრთხილდები... ისე, უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს გვარში მაინც აღმოჩნდა ერთი სულმოკლე ადამიანი — მამაჩემის უმცროსი ძმა ვიქტორი, რომელმაც ბებიაჩემს ბეჭედი მოჰპარა და სოფელში დასასვენებლად ჩამოსულ ცნობილ ოქრომჭედელს მიურბენინა: ფული მჭირდება და იქნებ, იყიდოო? ბეჭდის დანახვაზე ოქრომჭედელს გაოცებისგან თვალები შუბლზე ასვლია, უკითხავს — ეს საიდანო? — მაგრამ მერე, მაინც სიხარბეს დაუძლევია და ვიქტორისთვის გროშები შეუთავაზებია. რას ამბობ, კაცო?! — გადარეულა ბიძაჩემი. — ამით მთელი ოჯახი ვაპირებთ აშენებასო, — და ბეჭედი უკან წამოუღია. ბებიაჩემს ვიქტორისთვის მაშინ წაუსწრია, როცა ბეჭედს ისევ თავის ადგილზე დებდა. რომ გაუგია, რაც მოხდა, თავში ხელი წაუშენია — ეს რა ჩაიდინე, ამიერიდან ჩვენს გვარს უბედურება აღარ ასცდებაო!.. უბედურებას, მართლაც არ დაუხანებია და ერთ დღესაც, ტყეში შეშაზე წასული ვიქტორი მოჭრილ ხეს ქვეშ მოუყოლებია. თუმცა მანამდე, ბებიაჩემს ის ოქრომჭედელი მისდგომია კარზე და ბეჭედში ძალიან დიდი თანხა შეუძლევია. ბებიაჩემს იმ ხარბი კა-

ცისთვის კუდით ქვა უსროლინებია, ბეჭედი კი ტყავის თასმით ყელზე შეუბამს. მხოლოდ სიკვდილის წინ მოიხსნა, რომ ჩუმად ჩემთვის გადმოეცა,. მაგრამ სოფელში მაინც დაირხა ხმა, რომ ჩვენს ოჯახს მისგან დიდი სიმდიდრე დარჩა. ამიტომაც, ვინ მოთვლის, მას შემდეგ რამდენმა ქურდბაცაცამ დააყენა ჩემი ქოხი თავდაყირა, მაგრამ აბა, რას იპოვიდა, როცა ბეჭედი მეც ყელზე მქონდა შებმული და წამითაც კი არ ვიშორებდი! ბოლოს, გაღმასოფლელმა ნიკოლოზ დვალმა „დამაფასა“ და თავის ამფსონებთან ერთად, ჩემს სახლში იმ დროს შემოიპარა, როცა მეზობელ სოფელში, მძიმე ავადმყოფთან ვიყავი წასული, მაგრამ მოულოდნელად, უკან დავბრუნდი და ქურდებს თავზე წავადექი. სახლში ყველაფერი თავდაყირა იდგა, დვალი კი ცარიელ მაგიდას უჯდა და ამფსონებს ახალ-ახალ განკარგულებებს აძლევდა. ჩემს დანახვაზე, წარბიც კი არ შეუხრია, ისე მითხრა: ქეთო ბებია, სადა ხარ ამდენ ხანს, მოვკვდით შიმშილით მე და ჩემი ბიჭებიო... მივხვდი, რა კუჭის წვაც ჰქონდა, მაგრამ სუფრა მაინც გავუშალე. რამდენიმე ჭიქის შემდეგ, პირდაპირ საქმეზე გადავიდა: ვიცი, საგვარეულო განძი გაქვს და თუ მომცემ, ცოცხალს დაგტოვებო. წარბიც არ შემიხრია: რასაც იპოვით, ყველაფერი თქვენი იყოს, ჩემი სიცოცხლე კი, ღვთის ხელშია და თუ მან გადამიწყვიტა, რომ სწორედ ახლა და შენი ხელით უნდა მოვკვდე, ასეც იქნება-მეთქი... ამ სიტყვების შემდეგ, დვალის ამფსონები დაგეშილი ძაღლებივით წამოცვივდნენ, მაგრამ მან შეაჩერა: ამ ბებრუხანას სიკვდილს რა თავში ვიხლი, ცალი ფეხი ისედაც სამარეში აქვს, განძს კი, ალბათ, რომელიმე შვილს ან შვილიშვილს დაუტოვებს და იმას უფრო ადვილად წავართმევო... ის შვილიშვილი შენ ხარ, ჩემო გოგონავ.. კარგად ვიცი, რა დარტყმის ქვეშაც გაყენებ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. თანაც, გულის სიღრმეში ისიც მტკიცედ მჯერა, რომ ღმერთი არ გაგწირავს...“

ხომ ყველაფერი რიგზეა? — ლანას მოულოდნელად წამოადგა თავს ბანკის თანამშრომელი.

— დიახ, დიახ... — ფურცლები სასწრაფოდ დაკეცა ლანამ და ჯინსის შარვალის ჯიბეში შეინახა. ბანკის თანამშრომლის გასვლის შემდეგ კი, კოლოფიდან ბეჭედიც ამოიღო, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ყელზე ფრთხილად შეიბა და შვებით ამოისუნთქა...

ბანკიდან გამოსულ ლანას ასიოდე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მისკენ მომავალი უშნოდ აწონილი და ავადმყოფურად მოხრილი ახალგაზრდა დაინახა. ლანას რომ მიუახლოვდა უცნობი კიდევ უფრო მოიხარა და ფერდზე ხელი მიიჭირა. „აშკარად რაღაც უჭირს ამ საცოდავს“, — გაიფიქრა ლანამ. ამიტომ როგორც კი ერთმანეთს გაუსწორდნენ, შედგა და ის იყო, უნდა ეკითხა ხომ ვერაფრით დაგეხმარებიო, რომ მოულოდნელად უცნობი წელში ზამბარასავით სწრაფად გასწორდა, ლანას დაეძგერა, ხელჩანთასთან ერთად კინაღამ მხარიც წააგლიჯა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

სახტად დარჩენილმა ლანამ უცნობს თვალი უნუგეშოდ გააყოლა და სიმწრის ცრემლი წასკდა. უეცრად, ქუჩის პირას მდგარი სახლის ფანჯარა ხმაურით გაიღო და შუახნის ფაშფაშა ქალმა გამოიხედა:

— ჩანთა წაგართვა ხომ? — თანაგრძნობით ჰკითხა მან ლანას და პასუხისთვის არც დაუცდია, ისე დაუმატა: — გაწყდა მაგათი სინსილა! დღისით-მზისით ხალხის ძარცვაგლეჯა გაგონილა?! პატრულს გამოვუძახებდი; მაგრამ რა ხეირი? სანამ მოვლენ, იმ არგასახარებელმა ამ უბნიდან კი არა, შეიძლება, ქალაქიდანაც მოასწროს გასვლა!.. ისე, თუ გინდა, მაინც გამოვუძახებ, კი არ მეზარება...

— არა, არ არის საჭირო... — როგორც იქნა, სიტყვის ჩართვა მოახერხა ლანამ.

— მაშინ, წყალს მაინც გადმოგაწოდებ, დალიე და ცოტა გულზე მოგეშვება — არ მოეშვა ქალი.

— ნუ წუხდებით, ქალბატონო, არ მინდა, — ისევ იუარა ლანამ.

— ეტყობა, ბევრი წაიღო, ხომ?

— რა? — ვერ მიუხვდა ქალს ლანა.

— ფული... ჩანთაში ბევრი ფული გედო?

— ა-ა... არა, 5-6 ლარი თუ იქნებოდა, მაგრამ პირადობის მოწმობა კი ნამდვილად დამენანა.

— ეგ არაფერი, — დაამშვიდა ქალმა. — ორ კვირაში ახალს მოგცემენ!

— ჰო... ალბათ... — თავისთვის ჩაილაპარაკა ლანამ და გზას უხალისოდ გაუდგა, მაგრამ ქუჩის კუთხემდეც არ იყო მისული, რომ ვიღაც ქოშინით წამოეწია და მკლავში ხელი ჩაავლო.

ლანას შიშით გაცრა ტანში და დაფეთებული შებრუნდა, მაგრამ ისევ ის ქალი შერჩა ხელში:

— ნუ გეშინია, მე ვარ... — დაიწყო ქალმა.

— რა გნებავთ? — სული ძლივსღა მოითქვა ქალმა.

— მე კი არა, შენ გნებავს. — ლარიანი გაუწოდა მას ქალმა.

— ეს რა რის? — ფულს უნდოდ დახედა ლანამ.

— რა არის და ლარიანი... არ გეწყინოს, მაგრამ მეტის მოცემა ნამდვილად არ შემიძლია...

— ან ამას რაში მაძლევთ? — გაუკვირდა ლანას.

— გადამრევ შენ, ხომ იცი!.. — არანაკლებ გაუკვირდა ქალსაც. — სახლში წასვლა მაინც ხომ გინდა!.. ჰოდა, წეღან არ მითხარი, რაც ფული მქონდა, სულ იმ ჩანთაში მედოო?!.

— ა-ა, დიახ... — როგორც იქნა, გონს მოვიდა ლანა და ქალს ლარიანი გამოართვა. — ხვალვე დაგიბრუნებთ.

— აბა, შენ იცი!. — დოინჯი შემოიყარა ქალმა. — ხვალაც ჩვენს ქუჩაზე გამოიარე, იქნებ, რაიმე წაგართვან ან გაგხადონ კიდეც!..

ლანა ქალს გამოეშვიდობა და რამდენიმე წუთში მეტროში ჩავიდა. ესკალატორზე ფეხი შედგა თუ არა, მაშინვე ვიღაც გვერდში ისე ახლოს ამოუდგა, რომ მისი გახშირებული სუნთქვა ზედ ყურის ძირში იგრძნო. ლანამ თავი შიშით მიაბრუნა და კინაღამ შეკივლა: მის გვერდით ნიკოლოზ დვალი იდგა.

— შე-ენ? — გაოცებისგან კინაღამ ხმა საბოლოოდ ჩაუწყდა ლანას. — შენ აქ საიდან?.. მოსკოვში არ უნდა იყო?

— ვარ კიდეც, — ავად გაეღიმა დვალს. — სიმღერა მაინც არ გაგიგონია — „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარო?..“

— როდის ჩამოხვედი?

— ამ დილით და მას შემდეგ, შენს სახლს ვდარაჯობ... ერთი კი ვიფიქრე, სტუმრად ხომ არ ვეწვიო-მეთქი, მაგრამ რომ გამახსენდა დედაშენს დაუპატიჟებელი სტუმრები როგორ „უყვარს“, გადავიფიქრე. თანაც...

— ჩემს სახლს რისთვისღა უთვალთვალებდი? — გააწყვეტინა ლანამ.

— რას ჰქვია, რისთვის?! — უშნოდ გაიკრიჭა დვალი. — არ უნდა ვიცოდე, ჩემი მომავალი ცოლი სად დადის ან მას ვინ აკითხავს? — მკლავზე ხელი მოუჭირა მან ქალს.

— მე შენი ცოლი არასოდეს გავხდები! — ხელი ძალით გააშვებინა ლანამ და ახლაღა შენიშნა, რომ დვალს მეორე ხელში მისი ხელჩანთა ეჭირა. — შენ ეს ჩანთა ვინ მოგცა? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ლანას.

— ე-ეს?.. — დამცინავად გაეღიმა დვალს და ხელჩანთა ხელში შეათამაშა. — ქუჩაში ვიპოვე.

— მე არ მეხუმრება, — ხმას აუწია ლანამ.

— არც — მე, — უცბად დასერიოზულდა დვალი და ხელჩანთა გაუწოდა. — გინდა, აიღე, თუ არა და აგერ, მეტროში, დაკარგული ნივთების საკანში ჩავაბარებ...

გაცოფებულმა ლანამ მამაკაცს ხელჩანთა ხელიდან გამოჰგლიჯა და ხმაურით გახსნა.

— ნუ ღელავ, ყველაფერი ადგილზეა — დაამშვიდა ის დვალმა.

— შენ რა იცი, ჩანთაში რა მედო?

— რადგან გეუბნები, ესე იგი, ვიცი. გინდა, ჩამოგითვალო?

— არ არის საჭირო! — ელვა ისევ ხმაურით შეკრა ლანამ და ხელჩანთა მხარზე გადაიკიდა — ახლა კი, კარგად ბრძანდებოდე...

— მადლობა მაინც მითხარი...

— მადლობა?! — ნერვიულობისგან ხმა უკვე მერამდენედ ჩაუწყდა ლანას. — რაში?.. ვიღაც ახვარმა შენი დავალებით რომ კინაღამ მხარი წამაცალა?! თუ გგონია, იმ ზღაპრის მჯერა, წეღან რომ მომიყევი?..

— არც უნდა გჯეროდეს. — წარბიც კი არ შეუხრია, ისე უპასუხა დვალმა. — მაგრამ საკუთარ ნივთებსაც ცოტა მეტად უნდა გაუფრთხილდე... ისე, რას იფიქრებდა ის უბედური, რომ იმისთანა ბანკიდან გამოსულ ამისთანა ქალს ჩანთაში სულ ექვსი ლარი გექნებოდა?.. სხვა დანარჩენი სად წაიღე?

— რა დანარჩენი? — გაუკვირდა ლანას.

— თავს ნუ იკატუნებ, კარგად იცი, რაზეც გეკითხები: ბებიაშენის დატოვებული საგვარეულო განძი სად წაიღე-მეთქი? — კბილებში ავად გამოცრა დვალმა.

— აჰ, აი, თურმე, რისი კუჭის წვა გაქვს! — თვალები ავად დააკვესა ლანამაც. — ერთბაშად მოგინდა, ხომ, გამდიდრება!

— აბა, ზოგიერთებივით მთელი ცხოვრება ხომ არ „ვიტილავებ“!

— ვის გულისხმობ?

— ვის და შენს ქვაწვია ქართველიშვილს, ერთადერთი შვილისთვის წესიერი საჩუქარიც რომ ვერ უყიდია. მართლა, როგორ გრძნობს თავს პატარა თამუნა?

— ძალიან კარგად.

— ესე იგი, მოიკეთა, ხომ?

— აბა, რას იზამდა!

— ჰოდა, თუ არ გინდა, რომ ისევ...

— აბა, ერთი იქით გაიხედე! — გააწყვეტინა უცბად დვალს ლანამ.

— საით?

— აი, იქით, ვაგონის ბოლოში, ორი პოლიციელი რომ დგას.

— გავიხედე, მერე?

— მერე ის, რომ თუ მუქარას აღარ შეეშვები, ვიკივლებ, ეს კაცი მოკვლას მიპირებს და მომაშორეთ-მეთქი!

— იკივლე მერე, რაღას უცდი? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა დვალმა ქალს.

— გგონია, ვხუმრობ? — საკვლელად მართლა დააღო პირი ლანამ, მაგრამ ნერვიულობისგან ყელიდან მხოლოდ რაღაც ხავილის მსგავსი ხმა ამოუშვა.

— შენი ბედი, რომ ხმა ჩაგიწყდა, — ბოროტად ჩაილმუვლა დვალმა. — ახლა კი, კარგად დამიგდე ყური: ეს ძალად „ძაღლები“ შენს გაჭირვებას ვერაფრით უშველიან, მე კი საბოლოოდ გადამიკიდებ? ამიტომ, ჭკუას მოუხმე და სიმართლე მითხარი, იმ ყუთში რა იდო?

— აქვე რომ მომკლა, მაინც არ გეტყვი! — უკან დახევა საბოლოოდ გადაიფიქრა ლანამ.

— შენი სიკვდილი ძალიან ნაადრევია გოგონი. ჯერ, შენი დახმარებით ბევრი საქმე მაქვს მოსაკვარახჭინებელი.

— მე შენს ბნელ საქმეებში მონაწილეობას არ მივიღებ.

— აბა, რას იზამ? გულხელდაკრეფილი იჯდები და დაელოდები, ქართველიშვილს და მის ნაბიჭვარს ყელს როდის გამოვჭრი?!. თუ დაგავიწყდა, რომ მოწოდებით ყასაბი ვარ?..

— ერთი წამით მაინც არ გიფიქრია, რომ შეიძლება, ყველაფერი ლევანს ვუთხრა?

— როგორ არა, ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ვიცი, რომ ამას მაინც არ გააკეთებ.

— რატომ?.. საიდან ასეთი თავდაჯერებულობა?

— ზემოთ რომ ავალთ, ამას მერე გეტყვი! ესკალატორისკენ უხეშად უბიძგა დვალმა მატარებლის ვაგონიდან გამოსულ ლანას...

მეტროდან სირბილით გამოსულ ლანას დვალი მალევე წამოეწია და მხარში ხელი ჩაავლო.

— ხელი გამიშვი, თორემ, მართლა ვიკივლებ! — ხმადაბლა გადაულაპარაკა მას ლანამ.

— გადააბრუნე, რა, „პლასტინკა“! — ქალის სიტყვები მაინც არად ჩააგდო დვალმა. — წამო აგერ, კაფეში დავსხდეთ და ისე ვილაპარაკოთ, — მეტროს გვერდით მდებარე კაფეში ძალით შეიყვანა და პირველსავე მაგიდასთან დასვა მან შემდეგ ლანა.

მათ დანახვაზე, მანამდე ბარმენთან მოლაზღანდარე ოფიციანტი გოგონა წამში მაგიდასთან გაჩნდა და დვალს მოწიწებით ჰკითხა:

— რას ინებებთ?

— რას, ჩემო ლამაზო, და... — გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა ოფიციანტი დვალმა. — ჯერჯერობით ორ ფინჯან ყავას და ერთ ბოთლ კონიაკს...

— მე არ დავლევ. — კბილებში ავად გამოცრა ლანამ.

— ისე, შენც მართალი ხარ... — ლანასკენ არც კი გამოუხედავს, ისე უპასუხა დვალმა. — თბილისში ყავა ნამდვილად არ დაილევა.

— მე კონიაკს ვგულისხმობ...

— კონიაკს რას ერჩი?.. — ჩაიქირქილა დვალმა. — მართალია, ფრანგული არ იქნება, მაგრამ...

— ფრანგულიც გვაქვს... — სიტყვის დასრულება აღარ აცალა ოფიციანტმა დვალს.

— რომელი? — გაეცინა დვალს. — ავჭალის ქარხანაში ჩამოსხმული?..

— არა, ავჭალის ქარხანაში — რატომ?.. — დაიბნა გოგონა.

— რა გქვია? — მოულოდნელად ჰკითხა მას დვალმა.

— მე-ე?.. თამუნა.

— თამუნაო? — მაშინვე მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ლანას დვალმა.

— არა, თამუნას მოფერებით მეძახიან, ისე თამარი მქვია... — საბოლოოდ დაიბნა ოფიციანტი.

— კარგი, კარგი, გოგონი მთლად კი ნუ დაიკარგები! — გაამხნევა ის დვალმა, თან, ჯიბეში ორმოცდაათლარიანი ჩაუკუჭა. — წადი ახლა და მიხედე საქმეს. ჩვენ კიდევ, ჩვენსას მივხედავთ, — ისევ ლანას მოუბრუნდა ის შემდეგ: — რა მითხარი, განძი სად არისო?

— მე არაფერი მითქვამს.

— რა პრობლემაა?! — გულხელი დაიკრიფა დვალმა. — ახლა მითხარი. ამასობაში, ის გოგჩო ადგილობრივ „ფრანგულ“ კონიაკს მოგვირბენინებს და ჩვენი შეხვედრაც აღვნიშნოთ...

— მე წავედი! — მამაკაცის ანგლობას ვეღარ გაუძლო ლანამ და წამოსადგომად წამოიწია.

— იჯექი! — თვალები ბოროტად დაუბრიალა მას დვალმა. — გატყობ, ბოლომდე კიდევ ვერ მიმხვდარხარ, ვისთან გაქვს საქმე?!

— ბანდიტთან, ყაჩაღთან და მკვლელთან...

— რას მეუბნები! — სკამზე არხეინად გადაწვა დვალი, მაგრამ სანამ კიდევ რამეს იტყოდა, მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა.

დვალმა ჯიბიდან აპარატი ამოიღო და მასზე დაფიქსირებულ ნომერს გაკვირვებულმა დახედა.

— გისმენ! — ჩასძახა მან შემდეგ ყუმილში. — შენს ნომერს რა ცნობა უნდა?.. ასე უცბად მართლა საიდან ჩამოვარდი, შე ჩემა?.. კარგი ერთი!.. როდის?.. გავიგე... ნახევარ საათში მანდ ვიქნები... გითხარი, ვიქნებიმეთქი!.. თუ არ ჩერდება, თოკით დააბი!.. — დაუმატა ბოლოს, გაღიზიანებულმა და აპარატი გათიშა.

— კიდევ კარგი, მოკვლა მაინც არ უბრძანე... — ზიზღით გახედა ლანამ მოღუშულ დვალს.

— ამ დღეებში ვიღაცას მართლა უწერია ჩემი ხელით სიკვდილი. მაგრამ მანამდე, პირადად შენ, ერთ შანსს კიდევ მოგცემ, — გულის ჯიბიდან კალამი ამოიღო, ქაღალდის ხელსახოცზე რაღაც წააწერა და ლანას გაუწოდა დვალმა.

— ეს რაღაა? — ხელსახოცს უნდოდ დახედა ლანამ.

— ჩემი მობილურის ნომერია.

— შენი ნომერი მე რაში მჭირდება?

— ამ წუთში — არაფერში, მაგრამ მალე შეიძლება, ჰაერზე მეტადაც კი დაგჭირდეს. — ფეხზე წამოდგა და კაფედან უკანმოუხედავად გავიდა დვალი...

დვალის გასვლა და ოფიციანტის გამოჩენა ერთი იყო. გოგონამ ლანგრით ყავა, ლამაზად გაფორმებული შავი, მაღალი ბოთლი მოიტანა და მაგიდაზე ამაყად დადგა:

— აი, მიირთვით!

— ეს რა არის? — ბოთლს ალმაცერად გადახედა ლანამ.

— ფრანგული კონიაკია, ეს კიდევ — ყავა... — დაიწყო ახსნა ოფიციანტმა.

— ორივე თქვენთვის დაიტოვეთ.

— მაშინ, ფული უნდა დაგიბრუნოთ... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ოფიციანტმა და ჯიბიდან საგანგებოდ გასწორებულ-დაკეცილი ორმოცდაათლარიანი ამოიღო.

— ეგეც დაიტოვეთ... — უთხრა მას ლანამ და ფეხზე წამოდგა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„პამიმართლა, ჩემი მეულლე პრეტენზიული მჭამელი არ არის“

ნატო გელაშვილისეული რეცეპტი

ნატო გელაშვილი, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი კომპოზიტორია, კარგი მზარეულიც ყოფილა. მისი თქმით — რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი გემრიელი გამოსდის. თუ რა კერძები უყვართ მის შვილებს, რა კერძით მოაწონა თავი მომავალ მეუღლეს და რის მომზადებას სთხოვენ მეგობრები, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ეკა მინდაძე

— ნატო, რამდენი წლის იყავი, პირველად კერძის მომზადება რომ სცადე?

— 8 წლის ვიყავი, როცა პირველად შევწვი კვერცხი ხახვში. მანამდე, ამ კერძს ბებია მიკეთებდა და ძალიან მიყვარდა.

— თუ სადმე რაიმე კერძი მოგეწონა, მის რეცეპტს თუ იწერ ხოლმე?

— იმ შემთხვევაში, თუ რაიმე განსხვავებულ კერძს გავსინჯავდი და მომეწონებოდა, მის რეცეპტს აუცილებლად ვიწერდი. პირველად მე-8 კლასში ვიყავი, როცა „აჩმის“ რეცეპტი ჩავიწერე. დღესაც, თუ რაიმე ორიგინალურ კერძს გავსინჯავ, მისი მომზადების წესით ვინტერესდები ხოლმე.

— გურმანი თუ ხარ?

— ვერ ვიტყვი, რომ ჭამაზე ვგიჟდები, მაგრამ გემრიელი კერძები მიყვარს. სხვათა შორის, თუ კერძის სუნი არ მომწონს, მისი ჭამის სურვილი არ მიჩნდება. მიმაჩნია, რომ გემრიელ კერძს მადის აღმძვრელი სუნი უნდა ჰქონდეს.

— ოდესმე, რომელიმე კერძი თუ მოგნატრებია?

— კი, ზამთარში ყოველთვის აჯაფსანდალი მენატრება. ოღონდ, ნამდვილი ჭოპორტის პომიდვრით მომზადებული მიყვარს.

— ნატო, ყველაზე გემრიელად მაინც რა კერძს ამზადებ?

— ამბობენ, რომ ყველაფერი გემრიელი გამომდის. მაგალითად, ჩემს მეგობრებს ძალიან უყვართ ჩემი გაკეთებული კატლეტი. საერთოდ, ნებისმიერი კერძის მომზადება ვიცი. ერთადერთი, რაც არასოდეს გამიკეთებია, საცივია, რატომღაც მგონია, რომ კარგი არ გამომივა, მაგრამ მის მომზადებასაც შევძლებ.

— ნამცხვრებიც კარგი გამოგდის?

— რა თქმა უნდა, მაგრამ კარგა ხანია, ნამცხვარი არ გამომიცხვია, რადგან, ჩემს შვილებს დიდად არ უყვართ. მე კი სულ დიეტაზე ვარ და ამიტომ, ნამცხვრის ჭამაზე უარის თქმა მიწევს ხოლმე.

— როცა დიეტაზე ხარ, საკუთარ თავს კიდევ რის ჭამას უკრძალავ?

— დიეტის პერიოდში, ძირითადად, ბოსტნეულს, სალათას, მოხარშულ ხორცს ვჭამ და რაციონიდან პურს ვიღებ. ამრიგად, ჩემი დიეტა ასეთია: ვჭამ ყველაფერს — უპუროდ და 6 საათის შემდეგ, აღარ გეახლებით.

— მოგწონს ლამაზად გაფორმებული და გაწყობილი სუფრა?

— რა თქმა უნდა, ვფიქრობ, სულ სხვა ელფერი დაჰკრავს სუფრაზე ლამაზი ჭურჭლით მიტანილ კერძს.

— გაქვს თუ არ სახლში ისეთი ჭიქა ან თეფში, რომლითაც მხოლოდ შენ სარგებლობ?

— ერთი ყავის ჭიქა მაქვს ამოჩემებული, რომელიც ჩემს შვილს აჩუქეს, მაგრამ მას რატომღაც ჩემ გარდა არავინ ხმარობს. სხვათა შორის, ძალიან ლამაზი ჭიქაა, მასზე თვალები და ცხვირია გამოსახული.

— უცხო ქვეყნის სამზარეულოდან, რომელს ანიჭებ უპირატესობას?

— ძალიან მიყვარს ტაილანდური კერძები. სხვათა შორის, ის ჩინურზე ბევრად გემრიელია. განსაკუთრებით მომწონს: ბრინჯი ბოსტნეულით, სოკოს ბლინები და სოკოს წვნიანი... გამორიცხულია, რომ ბაყაყისგან ან ქვეწარმავლისგან მომზადებული კერძი გავსინჯო.

— შენს შვილებს შენი მომზადებული კერძებიდან ყველაზე მეტად რა უყვართ?

— მათ ჩემი გაკეთებული ყველაფერი უყვართ, სხვის მომზადებულ კერძებს კი, არ ჭამენ. განსაკუთრებით პრეტენზიული მჭამელი ჩემი უფროსი შვილია, რომელსაც 9 წლის ასაკში ძლივს შევაყვარე გლეხურად გაკეთებული ლობიო. სამაგიეროდ, ძალიან უყვართ ბორშჩი, ჩახოხბილი და ზეთში გამომცხვარი მჭადები.

— მეუღლე როგორ აფასებს შენს ნახელავს?

— მადლობა ღმერთს, რომ ვახო პრეტენზიული მჭამელი არ არის და ჩემ მიერ მომზადებულ ყველა კერძს სიამოვნებით მიირთმევს.

— პირველად მეუღლეს რომელი კერძი მოუმზადე?

— პირველად, ვახომ ჩემი გაკეთებული ბადრიჯანი მაიონეზში მიირთვა და იმდენად მოეწონა, რომ მას შემდეგ, სულ ბადრიჯნის გაკეთებას მთხოვდა.

— თუ არის რაიმე ისეთი ნივთი, რაც გულით გინდა, სამზარეულოში გქონდეს და არ გაქვს?

— ძალიან მინდა, რომ დანების და მაკრატლების ნორმალური ნაკრები მქონდეს. 200-მდე დანა და მაკრატელი ვიყიდე, მაგრამ არც ერთი არ გამომადგა.

— დაბოლოს, რომელიმე კერძის შენეულ რეცეპტს ხომ ვერ გაგვიმხელ?

— აიღეთ ბადრიჯანი, დაჭერით გრძლად და კარგად შეწვით. შემდეგ გადმოიტანეთ თეფშზე და პარალელურად, დაიწყეთ წვენის მომზადება, რაშიც ეს შემწვარი ბადრიჯანი უნდა ჩაალაგოთ. აიღეთ ერთი ქილა მაიონეზი და გახსენით ცოტა წყალში. ეცადეთ, მასა თხელი არ გამოგივიდეთ. ამის შემდეგ მასში ჩაყარეთ დანაყილი ქინძი ნიორთან და უცხო სუნელთან ერთად და ჩააჭერით ცოცხალი ქონდარი (გემოვნებით). მიღებულ მასაში აურიეთ შემწვარი ბადრიჯანი. ცოტა ხანს გააჩერეთ და შემდეგ გემრიელად მიირთვით. ■

„ლუზიტანიის“ უკანასკნელი კლერკი



1915 წლის 12 აპრილს, საღამოს, პარკის სკამზე ჩამომჯდარ გერმანიის სამხედრო ატაშეს, მისი არისტოკრატი ნაცნობები ველარ იცნობდნენ, გაცრეცილ საწვიმარსა და გახუნებულ შლაპაში გამოწყობილი, კაშნეში ნიკაპჩარგული ოფიცერი უკანასკნელ კლერკს წაგავდა.

ცოტა ხანში, მას რუს ლაბადაში გამოწყობილი მამაკაცი მიუახლოვდა. „ჩვენ ერთმანეთი „ტომის ბარში“ გავიცანით“, — პაროლი ზუსტი იყო, პოლკოვნიკ ფონ ბოიმს პასუხი არ დაუყოვნებია: „თითქმის არ მახსოვხართ, მაგრამ თუ ჩვენი ნაცნობობა გაგრძელდება, მოხარული ვიქნები“. მათ რამდენიმე წუთს ისაუბრეს, შემდეგ გერმანელი ოფიცერი შინისაკენ გაეშურა და ძილის წინ, უბის წიგნაკში ერთადერთი სიტყვა — „ლუზიტანია“ — ჩაწერა.

მეორე დღეს, გერმანიის გენშტაბის დაზვერვის განყოფილებამ დაშიფრული შეტყობინება მიიღო. ცნობა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბს გადაეგზავნა. ადმირალი დეპეშას გაეცნო და მხოლოდ მისთვის გასაგები ფრაზა წარმოთქვა: „უმჯობესი იქნება, თუ ამ საქმეს შვიგერი მიხედავს. წყალქვეშა ნავი — V-20 მგონი, მან მიიღო“.

„ლუზიტანია“ ბრიტანულ ლაინერს ერქვა — მსოფლიოში მეორე ასეთი ხომალდი არ არსებობდა. მის ტურბინებს, იმ დროისათვის წარმოუდგენელი, 70000 ცხენის ძალის განვითარება შეეძლო და ტრანსატლანტიკურ ლაინერებს შორის, სიჩქარის რეკორდი არაერთხელ დაუმყარებია. ლაინერის სალონები და კაიუტები მდიდრულ ოტელს მოგაგონებდათ. ხომალდის ბორტზე, რამდენიმე ათასი მგზავრი ეტეოდა. „ლუზიტანია“, მისი მფლობელი კომპანია „კიუნარდის“ აქციონერთა სიამაყე იყო.

გერმანული წყალქვეშა ნავი სილამაზით არ გამოირჩეოდა. დაბალი, ვიწრო კორპუსი, ადამიანთა დაუბანელი სხეულისა და მაზუთის სუნით გაჟღენთილი სათავსები, 9 ტორპედო, ზარბაზანი და კაპიტნის ჯიხურზე მიწერილი რიგითი ნომერი V-20 — ასეთი იყო წყალქვეშა ნავი, რომლის ეკიპაჟს 35 მეზღვაური და 3 ოფიცერი შეადგენდა. მას სამყაროს მოვალი უნდა შეეცვალა, მაგრამ მაშინ, 1915 წელს, ეს აზრი შეშლილის ბოდვად ეჩვენებოდათ.

1915 წლის 30 აპრილს, „ლუზიტანია“ ნიუ-იორკის ნავსაყუდელში იდგა. კაპიტანი, ოფიცრები და მგზავრები, მოახლოებულ უბედურებას ვერ გრძნობდნენ. გაგანია ომში, გერმანული სუბმარინები ინგლისურ გემებზე ნადირობდნენ, მაგრამ „ლუზიტანიას“ 26 კვანძის სიჩქარის განვითარება შეეძლო, მაშინ, როდესაც

გამობრძმედილმა ზღვის მგელმა გომას ტერნერმა კარიერა უბრალო მეზღვაურობით დაიწყო. დახრჩობას მრავალჯერ გადაურჩა. ერთხელ კიანადამ ზვიგენის საკბილოც გახდა. მრავალ საფრთხეს გადარჩენილმა კაპიტნობას მიაღწია და ბოლოს „ლუზიტანიის“ ეკიპაჟს ჩაუდგა სათავეში.

საუკეთესო წყალქვეშა ნავების სიჩქარე, მხოლოდ 15 კვანძი თუ იყო.

„რა შეიძლება დაემართოს, უსაფრთხოების უკანასკნელი მოთხოვნების მიხედვით აგებულ ხომალდს?! „ლუზიტანია“ მრავალ წყალგაუმტარ ნაწილადაა დაყოფილი. ტორპედოს მოხვედრის შემთხვევაში, გემი მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ გადაიხრება“, — ამბობდა მილიონერი ალფრედ გუინი ვანდერბილტი, რომელსაც ლონდონში მიეჩქარებოდა. იგი არაფრად აგდებდა მათ რჩევას, ვინც მას მგზავრობის გადადებას ურჩევდა.

პირველი მსოფლიო ომი, უკვე 1 წლის დაწყებული იყო. ხმელეთზე გარკვეული წონასწორობა დაირღვა — უპირატესობა ვერც გერმანიამ მოიპოვა და ვერც მისმა მოწინააღმდეგეებმა. ზღვებზე კი, უწინდებურად დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ბატონობდა. ბრიტანულ გემებს, გერმანული პორტები ბლოკირებული ჰქონდა; სამაგიეროდ, კაიზერის სუბმარინები ფსკერისკენ უშვებდნენ ნებისმიერ მცურავ ობიექტს, რომელიც ბრიტანეთის სანაპიროებთან მიახლოებას გაბედავდა. ევროპული შუღლისგან შორსმყოფი ამერიკა კი, ყვაოდა. სამხედრო მიწოდებებს უზარმაზარი შემოსავალი მოჰქონდა და ალფრედ ვანდერბილტის ვარაუდით, საზღვაო ბლოკადას მისი გეგმებისათვის ხელი არ უნდა შეეშალა. საერთაშორისო საცხენოსნო-საგამოფენო ასოციაციის მილიონერი პრეზიდენტი, ინგლისში კოლეგებთან შესახვედრად მიემგზავრებოდა და რაღაც წყალქვეშა ნავების გამო, ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის გადადებას არ აპირებდა.

52 წლის ფეიქარი ელიზაბეტ დაკვორტი, ინგლისში სენტიმენტალური მოსაზრების გამო ბრუნდებოდა. ის ამერიკაში საცხოვრებლად მრავალი წლის წინ გადაბარგდა. ქალიშვილი იქ გაათხოვა, დაბინავა და სამშობლო მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, როდესაც ევროპაში ომის ქარცეცხლი დატრიალდა. გაზეთებში გამოქვეყნებული სამხედრო ცნობებით დანაღვლიანებულმა ქალბატონმა, ბარგი ჩაალაგა და ახლობლებს განუცხადა, რომ სამშობლოში ბრუნდებოდა. ქალიშვილის ხვეწნა-მუდარა უშედეგო აღმოჩნდა — მისის დაკვორტი მტკიცე ხასიათის ქალი იყო. ახლა, ის მატარებლით ნიუ-იორკს უახლოვდებოდა, ხელჩანთაში კი, „ლუზიტანიის“ მესამე კლასის ბილეთი ედო.

„ლუზიტანია“ იტვირთებოდა. შვიდსართულიანი სახლის სიმაღლის 4 მილი, მაღალი ანძები, ლარივით ფორშტევენი მშვენიერი სანახავი იყო. მრავალი ათასი მილის დაშორებით კი, ამერიკის დასავლეთ სანაპიროსთან, წყალქვეშა ნავი V-20 ზღვის ზედაპირზე მისრიალებდა. კაპიტანი ვალტერ შვიგერი, საბრძოლო ჯიხურის გახსნილ ლიუკთან იდგა და სუფთა ჰაერით ტკბებოდა.

V-20, პორტიდან „ლუზიტანიის“ ზღვაში გასვლამდე ერთი დღით ადრე, 30 აპრილს გავიდა. მეზღვაურთა და

ოფიცერთა საწოლებთან (ეკიპაჟს, პირდაპირ საბრძოლო პოსტების გვერდით ეძინა, დაკონსერვებული სოსისის ქილები, კარტოფილის და ხახვის ტომრები, ყავა და სანელებლები ელაგა. ვალტერ შვიგერი ინგლისის ნაპირებისკენ მიემართებოდა, რათა ბრიტანული დროშით მცურავი ნებისმიერი ხომალდი ჩაეძირა. ზღვაში გასვლის წინ მიღებული ინსტრუქცია, სხვა წყალქვეშა ნავებისათვის მიცემული ბრძანებისგან არაფრით განსხვავდებოდა. ისტორიკოსები დღემდე კამათობენ იმის შესახებ, მიიღო თუ არა კაპიტანმა დამატებითი, ზეპირი ბრძანება, რომელიც არქივებში არ შემონახულა. შვიგერი სულაც არ მიიჩნევდა, რომ მკვლელი იყო. მისი ნავი, არცთუ ისე კარგი ტორპედოებით იყო აღჭურვილი. ამ ტორპედოებით დაზიანებული დიდი ხომალდის ჩაძირვას, საათ-ნახევარი სჭირდებოდა. ამიტომ, მტრის ეკიპაჟი ნავებში ჩასხდომას და თავის გადარჩენას მუდამ მოასწრებდა.

ნავზე კაპიტნის ბრძანება გაისმა: „არტილერისტებო, იარაღთან!“ ჰორიზონტზე ინგლისის დროშაა აღმართული, სამანძიანი შხუნა გამოჩნდა. კაპიტანს მასზე ტორპედოს დახარჯვა დაენანა, მეზღვაურებს ნავების ჩაშვება და თავის გადარჩენა ადროვა, შემდეგ კი, ათი 88-მილიმეტრიანი ნაღმი გაუშვა და ძველი ჯაბახანა ფსკერისკენ დაეშვა. დღის 12 საათი იყო. სწორედ ამ დროს, „ლუზიტანიის“ კაპიტანი უილიამ ტომას ტერნერი, გემბანიდან დაკალასებული მუხის პანელებით გაწყობილ საკუთარ კაიუტაში დაეშვა. გამობრძმედილმა ზღვის მგელმა კარიერა უბრალო მეზღვაურობით დაიწყო. ვანტებსა და ანძებზე ჩიტივით დაფრინავდა. დახრჩობას მრავალჯერ გადაურჩა, ერთხელ, კინაღამ ზვიგენის საკბილოც გახდა (მისი მეგობრები ირწმუნებოდნენ, რომ ტერნერმა ზვიგენს თვალში მუშტი ჩასცხო და ისე მოიგერია). ასე იყო თუ ისე, მრავალ საფრთხეს გადარჩენილმა ტერნერმა კაპიტნობას მიაღწია და ბოლოს, „ლუზიტანიის“ ეკიპაჟსაც ჩაუდგა სათავეში. ტერნერი, სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის თადარიგის, მეორე რანგის კაპიტნის ჩინს ატარებდა და ფიცი ჰქონდა დადებული, რომ ამ რეისის დროს, „ლუზიტანიის“ ტვირთის შესახებ, კაპიტნის გარდა, ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა. გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო. ნიუ-იორკის პორტში, ჩვეული ფუსფუსი სუფევდა. „ლუზიტანიის“ მეზღვაურები ნაპირზე ჩავიდნენ და ახლომახლო მდებარე დუქნებში მიმოიფანტნენ. ხომალდის გემბანზე მხოლოდ კაპიტანი, სუპერკარგო და ის ხალხი დარჩა, ვისაც ტვირთის მიღება და დაბინავება ევალებოდა. ლაინერის უზარმაზარი ტრიუმი, ყუთებითა და ფუთებით აივსო. საბაჟო მანიფესტში აღნიშნული ავტომობილები, ავტომობილის ნაწილები, ყველი, ხორცი, ზეთი, ტყავი და კონექტიკუტური ხამანწკები — მთელი ტვირთი 75 ათას დოლარად იყო შეფასებული. ხომალდი დაიტვირთა, კაპიტანმა ტერნერმა, ტვირთის გამგზავნი ფირმების წარმომადგენელი ჯენტლმენები კაიუტაში ჭიქა ვისკიზე მიიპატიჟა. „ლუზიტანიაზე“ საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა.

„ლუზიტანიის“ მომავალმა მგზავრებმა, უკვე ქალაქში მოიყარეს თავი. მათ შორის, იყვნენ: მაღალი საზაგადოების ქალბატონები და ბირჟის მაკლერები, ნაკლებად ცნობილი დრამატურგი და სახელგანთქმული თეატრალური პროდიუსერი, მაუდით მოვაჭრე ოჯახთან ერთად, მდიდარი ლუდისმხდელი და სუფრაჟისტი ქალი, სკანდალურად ცნობილი მისტიკოსი და ბრიტანეთის არმიის რეზერვისტები. ელიზაბეტ დაკვორტი იაფფასიან სასტუმროში დაბინავდა, ალფრედ გუინი ვანდერბილტმა კი, ვან ჰოვერნების საგაზაფხულო მეჯლისს მიაშურა. ლონდონის საუკეთესო მკერავის მიერ შეკერილ უზადო ფრაკში გამოწყობილ 59 წლის მამაკაცს, ცეისის ოსტატების ნახელავი მონოკლი ამშვენებს. მილიონერი, ახალგაზრდა ქალბატონს მოხდენილად ესალმება („მის მერტ, ლონდონში მიემგზავრებით? „ლუზიტანიით“? რა დამთხვევაა!!! ესე იგი, ხვალ გემბანზე ისევ შევხვდებით...“) საათის ისრები 8 საათს უახლოვდება.

ცხრის ნახევარზე, მხედრული აღნაგობის მხარბეჭიანმა შუბლზე ქუდჩამოფხატულმა მამაკაცმა (რომელშიც გერმანიის სამხედრო ატაშეს ვერავინ შეიცნობდა), პორტისპირა დუქანში შეიარა და მეზღვაურის სვიტერში გამოწყობილ მამაკაცს

გერმანული წყალქვეშა ნავის კაპიტანი შვიგერი მსხვერპლის რაოდენობის შემცირებას გულწრფელად ცდილობდა

რამდენიმე ფრაზა ჩაულაპარაკა. ეს ის კაცი იყო, რომელიც ცოტა ხნის წინ, „ლუზიტანიის“ სუპერკარგოს დიდხანს ესაუბრა, უფრო ადრე კი, მებაჟეებს შორის წრიალებდა. საუბრის შემდგომ, ატაშემ გერმანიის ელჩის რეზიდენციას მიაშურა და ელჩი „ვისტის“ თამაშს მოსწყვიტა. ნახევარ საათში ბერლინისაკენ დაშიფრული კაბლოგრამა გაფრინდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ უწინდელი ცნობები დადასტურდა და ითხოვდა, ანგარიში გაეწიათ იმ ფაქტისათვის, რომ „ლუზიტანიის“ მგზავრებს შორის, ამერიკის შეერთებული შტატების უამრავი მოქალაქე იყო.

— ეს რა ჯანდაბაა? ადრე, როდესაც ლაპარაკი სამგზავრო ლაინერებს ეხებოდა, მსგავსი ბრძანების გაცემა არავის უფიქრია.

— ვერაფერს გეტყვით, გრაფ! გამოგიტყდებით, რომ ეს ამბავი სრულიად არ მაღელვებს. უნდა გითხრათ, რომ იმპერიის ბედი ბრძოლის ველზე წყდება. ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლე და შვილების მომავალი კი,

„ლუზიტანიის“ კაიუტები და სალონები მდიდრულ სასტუმროს მოგაგონებდათ (პირველი კლასის კაიუტის საძინებელი)

მტრის ნაღმების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

— ვიცი, ყველაფერი კარგად ვიცი... მაგრამ კაიზერის, გერმანიასა და საკუთარი სინდისის წინაშე მოვალენი ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ გარდაუვალი ბოროტება მინიმუმამდე შევამციროთ. როგორც ყოველთვის, ახლაც თქვენი იმედი მაქვს.

უზარმაზარმა საათმა ცხრაჯერ დარეკა. ელჩი სამხედრო ატაშეს გამოეთხოვა. ნიუ-იორკის ცენტრი ისევ ფხიზლობდა. უნივერსალური მაღაზიების ვიტრინები ჩახჩახებდა. რესტორნებთან ავტომობილები ჩერდებოდა. ვან ჰოვერნის სასახლეს ფერადი ილუმინაცია ანათებდა. ვანდერბილტი მასპინძლებს გამოემშვიდობა და მისის მერტს მიეახლა. ახალგაზრდა ქალმა ხელი გაუწოდა. ალფრედი ქალის თითებს ეამბორა და ხელი მოუჭირა. მის მერტი შეკრთა, მაგრამ გარშემო მყოფთ არაფერი შეუმჩნევიათ.

ქალაქის გარეუბნების მოსახლეობას უკვე ეძინა. წყნარად ეძინა ელიზაბეტ დაკვორტსაც. პორტი ჩაჩუმდა. „ლუზიტანიის“ მთვრალი მეზღვაურები ხომალდზე ბრუნდებოდნენ, კაპიტანი ტერნერი, ცხელი გროგის ფინჯნით ხელში მგზავრთა სიას ფურცლავდა. 1257 გაყიდული ბილეთი საომარი მოქმედებების დროს — მშვენიერია!

ამ დროს კი, წყალქვეშა ნავი V-20, უკვე ორკნეის კუნძულებთან (ატლანტის ოკეანე. შოტლანდიის ჩრდილოეთით) წყალქვეშ მისრიალებდა. კაპიტანი ვალტერ შვიგერი, პერისკოპთან მონადირესავით გარინდულიყო. სამიზნე ინგლისის სავაჭრო გემის ბორტისკენ ნელ-ნელა გადაიხარა. ცოტაც და ათიდან პირველი ტორპედო მიზანში ამოღებული გემისკენ გაფრინდება.

„ლუზიტანიას“ ზღვაში ორკესტრის ჰანგები აცილებდა. ელიზაბეტ დაკვორტი გემბანზე მესამე კლასის მგზავრებთან — ქალებთან, ბავშვებთან და კანადელ რეზერვისტებთან ერთად ავიდა.

პირველი კლასის მგზავრები ხომალდზე ასვლას არ ჩქარობდნენ. სანაპიროზე კოჭლობით მოსეირნობდა სარკასტული ჩარლზ ფრომანი — პროდიუსერი, რომელმაც თეატრი მომგებიან საწარმოდ აქცია, აყვავებული ჰოლდინგი შექმნა და მასში ოცდაათამდე ამერიკული და ინგლისური დასი გააერთიანა. რუხ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი სიარულისას მას ფეხს უწყობდა. ფრომანს ევროპაში ახალი პროტეჟე, ჯუსტუს ფორმანი მიჰყავდა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ბროდვეიზე მარცხი განიცადა, მაგრამ ფრომანის საკუთარი ინტუიციისა და ფორმანის ბედის ვარსკვლავის მტკიცედ სწამდა — მას დრამატურგი ლონდონში მიჰყავდა.

მომხიბვლელი ბელგიელი მარი დე პაჟი, ამერიკას მნიშვნელოვანი მისიით — ომის მსხვერპლთათვის ფულის შესაგროვებლად ეწვია: გამობრძმედილმა და მჭევრმეტყველმა, ცისფერთვალება ქერათმიანმა მარიმ

ელიზაბეტ დაკვორტმა ათეულობით მგზავრი გადაარჩინა

„ლუზიტანიის“ კატასტროფის ყველაზე ცნობილი მსხვერპლი მილიონერი ალფრედ ვანდერბილტი იყო (1914 წლის ფოტო)

მთელი ქვეყანა შემოიარა და ხალხს უამბობდა, თუ როგორ ჟლეტენ მოსახლეობას კაიზერის ჯარისკაცები, ანადგურებენ ქალაქებსა და სოფლებს, ხვრეტენ მძევლებს — სასულიერო პირებს ქალებსა და ბავშვებს. ამ ნაამბობით, მარი დე პაჟმა კაიზერის რეპუტაცია საკმაოდ შელახა და ახლა ინგლისში ვალმოხდილი ბრუნდება.

ბიზნესმენ პლემანდონის ოჯახი ვაჟიშვილს ემშვიდობება, მისის ჰაბარდი უბის წიგნაკში ჩანაწერებს აკეთებს, მსახიობი ქალი რიტა ჯოლივე ვანდერბილტს თვალებს უჟუჟუნებს. მილიონერი და მის მერტი, ერთმანეთთან ნაცნობობის დაფარვას გულმოდგინედ ცდილობენ.

სანაპიროზე თავმოყრილი საზოგადოება, საღამოს გაზეთებში გამოქვეყნებული გერმანიის საელჩოს განცხადების შესახებ მსჯელობს. ახალგაზრდა პლემანდონმა ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და გერმანის ელჩის განცხადება ხმამაღლა წაიკითხა: „დიდი ბრიტანეთისა და მისი მოკავშირეების დროშით მცურავი ყველა გემი განადგურდება. ისინი, ვინც სამხედრო მოქმედებათა ზონაში დიდი ბრიტანეთის გემებით გაემგზავრებიან, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ...“ ხალხი ახმაურდა: ვიღაცამ ჩაიცინა, ვიღაცამ ამოიოხრა. — ვერ გაბედავენ! — გაისმა შეძახილები. ჩარლზ ფრომანმა მხრები აიჩეჩა: „ამგვარი რეპლიკები პირველი აქტის დასასრულს უხდება, ცხოვრებაში კი, ყალბად ჟღერს. გაბედავენ თუ ვერ გაბედავენ, ამას სამწუხაროდ, ჩვენ პირველები შევიტყობთ... ოოო... მისტერ ო'დონელიც აქ ყოფილა. ნუთუ თქვენს გაზეთს იმის გაგება სურს, თუ რას ფიქრობენ „ლუზიტანიის“ გაურკვევლობისკენ მიმავალი მგზავრები?

— სწორედ ასეა სერ!

— ჩვენც იმასვე ვფიქრობთ, რასაც ბატონი ელჩი გულისხმობდა. მას ალბათ, უკვე ესაუბრეთ?

— დიახ, სერ, მე და ჩემი კოლეგები საელჩოში ვიყავით. გრაფი დაბნეული ჩანდა. მან განაცხადა, რომ ეს მუქარა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს არ ეხება, რომ ეს მხოლოდ მეგობრული გაფრთხილებაა და მისი თანამემამულენი არავის მოკვლას არ აპირებენ...

ამ დროს, სანაპიროზე ფოსტალიონი გამოჩნდა, რომელმაც ვანდერბილტს კონვერტი გადასცა. ვანდერბილტმა კონვერტი გახსნა. წერილი ჯერ ჩუმად წაიკითხა, შემდეგ კი, ხმამაღლა: „სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ „ლუზიტანიას“ ტორპედოებით შეუტევენ. გამგზავრება დაუყოვნებლივ უნდა გადადოთ. ხელმოწერა: „სიკვდილი“.

„ლუზიტანიის“ მგზავრები ჩაჩუმდნენ, მაგრამ სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. მათთან მეორე ფოსტალიონი მივიდა, მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე, დაბოლოს, ცნობილ პიროვნებათა უმრავლესობამ მსგავსი შინაარსის წერილი მიიღო. ფრომანის წერილს ჯონ ბრაუნი აწერდა ხელს, მის მერტისას — თომას სმიტი. აყაყანებულმა მგზავრებმა ტრაპს მიაშურეს, ნაპირზე არც ერთი მათგანი არ დარჩენილა. „ლუზიტანია“ ზღვაში ზუსტად დათქმულ დროს გავიდა და თან, 1257 მგზავრი გაიყოლა.

...მზე, მზის სხივებით აელვარებული წყლის სარკისებრი ზედაპირი, მსუბუქი რწევა... პირველი კლასის რესტორანს კორინთული სვეტები ამშვენებს, მეორე კლასს — მკაცრი იონიური, მესამე კლასის სასადილოს, ლაკონიური დორიული სტილიც ეყოფა. პირველი კლასის მგზავრთა მენიუ პარიზის რესტორანს — „მაქსიმთან“ მოგაგონებთ. მაგრამ უკმაყოფილონი არც მესამე კლასის მგზავრები არიან — მათ ასეთი გემრიელი სადილი, ხმელეთზე არასოდეს უგემიათ. ელიზაბეტ დაკვორმა ცარიელი თეფში გვერდზე გასწია, თანამესუფრეებს გამოემშვიდობა და გემბანს მიაშურა. დღეს მისთვის ბედნიერი დღეა, ის მალე სამშობლოს კვლავ იხილავს.

გაგრძელება იხ. გვ. 72

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

გარინჩას მეორე ტრიუმფი

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩილეში ჩატარება, ფიფა-ს მხრიდან ცოტა არ იყოს უცნაური გადაწყვეტილება იყო. ამ ქვეყნის ნაკრებს მანამდე, თავი არაფრით გამოუჩენია. გარდა ამისა, ჩილე ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, პოლიტიკური ვითარებაც უკვე მაშინ, პინოჩეტის მიერ მოწყობილ სამხედრო გადატრიალებამდე 11 წლით ადრე, მეტისმეტად არასტაბილური გახლდათ. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში მუნდიალის მასპინძლობის უფლების მოპოვება, არცთუ ისე იოლი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ჩილეს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა, კარლოს დიტბორნ პინტომ ეს მაინც მოახერხა.

როდესაც 1956 წლის 10 ივნისს, ფიფა-ს კონგრესზე ტურნირის ჩილეში ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს, გერმანული წარმომავლობის პინტო მხოლოდ 32 წლის იყო. მიუხედავად ამისა, მან თითქმის მარტომ გადაწყვიტა საორგანიზაციო საკითხები.

1960 წელს ჩილეში მომხდარი დიდი მიწისძვრის შემდეგ, ფიფა-ში, მსოფლიო ჩემპიონატის სხვა ქვეყანაში გამართვის შესახებ დასვეს საკითხი. „დაგვიტოვეთ მსოფლიო ჩემპიონატი მაინც — მის გარეშე ხომ აღარაფერი დაგვრჩენია!“ — უთქვამს შეშფოთებულ დიტბორნს, რომლის ეს ისტორიული ფრაზაც მოგვიანებით, სანტიაგოს სტადიონის ტრიბუნაზე გამოსახეს. სამწუხაროდ, თავად დიტბორნი, მძიმე სენის გამო, ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გარდაიცვალა.

ჩილეში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის არაერთი მატჩი (განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე) მეტისმეტი უხეშობით (და თუ გნებავთ, სისასტიკითაც კი) გამოირჩეოდა. ამის გამო, ბევრმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო, ბევრიც მოედნიდან გააძევეს. უფრო ზუსტად, მსაჯებს 7-ჯერ დასჭირდათ წითელი ბარათის გამოყენება. მათ უფრო მეტი პრინციპულობა რომ გამოეჩინათ, ეს ციფრი კიდევ გაიზრდებოდა. მაგალითად, იტალიისა და ჩილეს ნაკრებთა დაპირისპირებისას მომხდარი ჩხუბის შემდეგ, ინგლისელმა არბიტრმა, ასტონმა მოედნიდან მხოლოდ ევროპული გუნდის წარმომადგენელი, ფერინი გააძევა.

ფინალური მატჩის წინ, ბრაზილიელთა ბანაკი დიდმა მღელვარებამ მოიცვა: დისკვალიფიკაციის გამო, გარინჩას თამაშის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. ბრაზილიის პრემიერ-მინისტრი ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტს ტელეგრამას ტელეგრამაზე უგზავნიდა და მისგან გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვდა. მართლაც, ფიფა-მ პოლიტიკოსისაგან ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლო და დათმობაზე წავიდა: გარინჩა მატჩზე დაუშვეს. მოვლენების ასეთი განვითარებით გაგულისებულმა ჩილელებმაც მოითხოვეს, რომ მათი ერთი მოთამაშისთვის მაინც მოეხსნათ დისკვალიფიკაცია. იუგოსლავიელთათვის საუბედუროდ, როხასი შეიწყალეს. სწორედ მან, მესამე ადგილისთვის გამართული მატჩის ბოლო წუთებზე, იუგოსლავიის ნაკრების კარში გაიტანა გოლი, რომლის წყალობითაც, მასპინძლები ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ფინალში ბრაზილიელები ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. მატჩს საბჭოთა არბიტრი, ნიკოლაი ლატიშევი სჯიდა, რომელიც ტურნირის საუკეთესო მსაჯად აღიარეს. ისევე, როგორც 4 წლით ადრე, ამჯერადაც ბრაზილიის გუნდმა პირველმა გაუშვა გოლი. მაგრამ სულ მალე, სამხრეთამერიკელებმა 3 ბურთი გაიტანეს აღმოსავლეთევროპელთა კარში (3:1) და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ფინალურ ტურნირში, რომელიც 30 მაისიდან 17 ივნისამდე მიმდინარეობდა, 16 გუნდი მონაწილეობდა. გუნდები 4 ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, სადაც წრიული სისტემით თამაშობდნენ. ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო ნაკრები მეოთხედფინალში გადიოდა და ოლიმპიური სისტემით აგრძელებდა ასპარეზობას.

გაიმართა 32 მატჩი. დაესწრო 776000 მაყურებელი (საშუალოდ, 24250 თითო შეხვედრას).

გავიდა 89 გოლი (საშუალოდ, 2,78 თითო შეხვედრაში).

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მსაჯებმა 6-ჯერ გამოიყენეს წითელი ბარათი, თანაც ეს მხოლოდ ორ მატჩში მოხდა: იუგოსლავია-ურუგვაისა და ბრაზილია-ჩილეს წყვილებში მეტოქეებმა 10-10 მოთამაშით დაასრულეს პაექრობები. იტალიელთა და მასპინძელთა დაპირისპირებისას კი, ევროპელები უკვე პირველსავე ტაიმში დარჩნენ 9 ფეხბურთელის ამარა.

ბრაზილიის ნაკრებმა ფინალურ ტურნირში სულ 12 მოთამაშე გამოიყენა. 5 მათგანი „ბოტაფოგოს“ წარმომადგენელი იყო, ხოლო 4 ფეხბურთელი, მათ შორის პელეც, „სანტოსის“ ღირსებას იცავდა.

იმის გამო, რომ ტურნირში ყველაზე მეტი — 4 გოლი 6-მა ფეხბურთელმა გაიტანა, საუკეთესო ბომბარდირი კენჭისყრის შედეგად გამოავლინეს. მონეტამ ბრაზილიელ გარინჩას „გაუღიმა“. ამასთან, პირველად, საუკეთესო ბომბარდირთა შორის, საბჭოთა ფეხბურთელი, ვალენტინ ივანოვი მოხვდა. ■

„სპუალრა აძურა“ ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს

იტალიის ნაკრების თავკაცის, მარჩელო ლიპის თქმით, მომავალი მსოფლიო პირველობის ფავორიტი — ბრაზილიის ნაკრებია, მაგრამ მისი გუნდიც არ აპირებს გერმანიაში „არდადეგების“ გატარებას. „ბრაზილიელები სუპერფავორიტები არიან, მათ ექვსი-შვიდი შემადგენლობის გამოყვანაც კი შეუძლიათ, რომელიც ჩემპიონის ტიტულის დაუფლებაზე განაცხადებს პრეტენზიას, — დასძინა Corriere Dello Sport-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ლიპიმ. — მაგრამ არსებობს კიდევ გუნდები, რომლებიც ყველაზე მაღალი მიზნისთვის იბრძოლებენ. ესენია: ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, არგენტინა, გერმანია და, რა თქმა უნდა, იტალია. ჩვენ წარმატების მისაღწევად კარგი შანსი გვაქვს“. ■

მთავარი ფავორიტი – გერმანიის გუნდია

კარლოს ალბერტო პარეირამ გაზეთ Folha de Sao Paulo-ს კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გერმანიის ნაკრებს წარმატების უფრო დიდი შანსი აქვს, ვიდრე მის გუნდს. „ამ პირველობის მთავარი ფავორიტები, იტალიისა და გერმანიის გუნდები არიან, — ამბობს პარეირა, — ვფიქრობ, გერმანელებს ყველა დანარჩენ ნაკრებზე მეტი შანსი აქვთ, რადგან ისინი თავიანთი ქომაგების თვალწინ ითამაშებენ“. ■

ორჯერ მეტი ანაზღაურება – მსაჯებს

არბიტრები, რომლებიც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე იმუშავებენ, ორჯერ მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე 2002 წლის მუნდიალის მომსახურე მსაჯები. ფიფა-ს გენერალური მდივნის, ურს ლინისის განცხადებით, მთავარი და გვერდითი მსაჯები ანაზღაურების სახით ერთნაირ თანხას მიიღებენ — 32 ათას ევროს. „წინა ჩემპიონატთან შედარებით, მსაჯთა ანაზღაურება ორჯერ გაიზარდა — 16-დან 32 ათასამდე, — დასძენს ლინისი, — ამავე დროს, პირველი შვიდი სათადარიგო მსაჯი იმავე თანხას გამოიმუშავებს, რასაც ძირითადი არბიტრები. ისინიც თავდაუზოგავად შრომობდნენ. მათ დიდი სამუშაო ჩაატარეს, რათა მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრილიყვნენ და ბრალი არ მიუძღვით იმაში, რომ მოედანზე გასვლა არ მოუწევთ“. სულ 2006 წლის მუნდიალის მატჩებისთვის 23 რეფერი შეირჩა. საერთო თანხა, რომელსაც ფიფა მსაჯთა შრომის ასანაზღაურებლად გაიღებს, 3,56 მილიონ ევროს შეადგენს. ■

ბექსი კაპიტნად არ ვარგაო...

შეიძლება ითქვას, რომ საფეხბურთო სამყაროში დიდი პოლემიკა გამოიწვია ინგლისის ნაკრების კაპიტნობის თემამ. მაგალითად, ალბიონელთა ეროვნული გუნდის ყოფილი მოთამაშე და ამჟამად „ვესტ ბრომვიჩის“ მთავარი მწვრთნელი, ბრაიან რობსონი მიიჩნევს, რომ დევიდ ბექჰემს არ უნდა ეკეთოს კაპიტნის სამკლავური. რობსონმა ამის შესახებ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, რომლის ნაწყვეტებიც Daily Mail on Sunday-იმ გამოაქვეყნა. „ბექჰემი კაპიტნის როლისთვის არ გამოდგება. ნაკრების მწვრთნელი მე რომ ვიყო, მას არ მივანიჭებდი უპირატესობას. ის შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ ლიდერის მონაცემები არ გააჩნია. ჯონ ტერი ან სტივენ ჯერარდი კაპიტნობას უკეთ გასწევდნენ. უფრო მისაღებია ტერი. ის მცველია, მაგრამ ბევრი გოლი გააქვს. გარდა ამისა, ჯონს პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვაც შეუძლია“, — წერს ბრაიან რობსონი, რომელსაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი, ფრანც ბეკენბაუერიც ეთანხმება. „ინგლისის ნაკრების საქმეებში ჩარევა მე არ მეხება, მაგრამ ამ გუნდს მხოლოდ კარგს ვუსურვებ. ამიტომაც ვიტყვი: მეჩვენება, რომ ბექჰემი ეროვნული ნაკრების კაპიტანი არ უნდა იყოს. საქმე მის თამაშში როდია. ამ ამპლუაში ის მართლაც, ჩინებულია. მე ფსიქოლოგიას ვგულისხმობ. ბოლო დიდ ტურნირებზე ბექჰემმა მხოლოდ წარუმატებლობით „გამოიჩინა თავი“. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ის არგენტინასთან შეხვედრისას მოედნიდან გააძევეს, ხოლო 2004 წლის ევროპის პირველობაზე, მან ორჯერ ვერ გაიტანა პენალტი — საფრანგეთისა და პორტუგალიის გუნდებთან შეხვედრისას. გაიხსენეთ, ორივე შემთხვევაში ინგლისელები აგებდნენ...“

რობსონისა და ბეკენბაუერის აზრს არ იზიარებს ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სვენ გორან ერიქსონი. „კაპიტნის სტატუსს არ ჩამოვართმევ ადამიანს, რომელსაც საჯარიმოების, კუთხურების საუცხოოდ გამოყენება, ბურთის ბრწყინვალედ ჩაწოდება, მწვავე პასების მიცემა და დაცვაში თამაში შეუძლია, — დასძენს ალბიონელთა თავკაცი The People-სათვის მიცემულ ინტერვიუში, — „ტუსოვკები“, რომლებშიც იგი მონაწილეობს, ნამდვილი ცირკია, მაგრამ დევიდი სახელგანთქმული ადამიანია და იძულებულია, მიიღოს მონაწილეობა ასეთ ღონისძიებებში. მინდორზე ის ნამდვილი პროფესიონალია და თავს არასოდეს ზოგავს. ბექჰემი იდეალური კაპიტანია“. ■

ოლეგ ბლოხინი: „მთავარი – ქვეჯგუფიდან გასვლაა“

ოლეგ ბლოხინი აცხადებს, რომ თავდაპირველად, უკრაინის ნაკრებმა ქვეჯგუფიდან გასვლა უნდა შეძლოს. „უკვე დადებითი მოვლენაა ის, რომ ჩვენ ფინალურ ტურნირზე ვითამაშებთ. ახლა, შემდგომ ეტაპზე გასასვლელად უნდა ვიზრუნოთ. თუ ვერ გავალთ, ეს წარუმატებლობად არ ჩაითვლება. გავითვალისწინოთ ის, თუ რამდენი კარგი ნაკრები ვერ მოხვდა ჩემპიონატზე“, — დასძენს ბლოხინი, რომლის თქმითაც, მის სამუნდიალო შემადგენლობაში ჯერ მხოლოდ 10 გვარია, თუმცა, სავარაუდო სია უკვე არსებობს. ■

Porsche სუპერმანქანების ბაზარს ტოვებს

კომპანია Porsche-მ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სუპერმანქანის — Carrera GT — წარმოება შეწყვიტა. ამ სახელწოდების უკანასკნელი ავტომობილი წლეულს, 6 მაისს ჩამოვა კონვეიერიდან. თითოეული „კარერა“, მათ შორის უკანასკნელი, უკვე გაყიდულია.

Carrera GT-ის პროტოტიპი პირველად, 2000 წელს იქნა წარმოდგენილი. ავტომოყვარულთა და სპეციალისტთა პოზიტიური რეაქციით შთაგონებულმა, გერმანული მარკის მესვეურებმა სუპერმანქანის სერიულ წარმოებას მიჰყვეს ხელი და 2003 წლის 15 სექტემბერს ამ მოდელის პირველი სავაჭრო ეგზემპლარი გამოვიდა საზოგადოების სამსჯავროზე. თავდაპირველად, 1500 „კარერას“ გამოშვება იყო დაგეგმილი, მაგრამ საბოლოოდ, წარმოების მოცულობა ნაკლები აღმოჩნდა — 1270 ეგზემპლარი შეადგინა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ აშშ-ში — ქვეყანაში, რომელიც „პორშეს“ ძირითად ბაზარს წარმოადგენს, — გამკაცრდა ეკოლოგიური მოთხოვნები. რეალიზაციის მოცულობით მეორე ადგილზე გერმანიის ბაზარია. მას მიჰყვებიან: დიდი ბრიტანეთი, ახლო აღმოსავლეთი, იაპონია და, ბოლოს, 6 Porsche Carrera GT ჩინეთში გაიყიდა.

ავტომოყვარულებს შევახსენებთ, რომ Porsche Carrera GT ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი ე.წ. კარბონის მონოკოკისგანაა დამზადებული. ეს მასალა არა მარტო ძარას, არამედ მანქანის შასის ზოგიერთი კვანძის შექმნისას იქნა გამოყენებული. სიძვირის მიუხედავად, ამან არა მარტო შეამცირა მანქანის მასა, არამედ ძარას სიმყარის გაზრდაც განაპირობა.

Carrera GT-ის „გულს“, უნიკალური ძრავა — V10 წარმოადგენს, რომელსაც ე.წ. მშრალი კარტერით აღჭურვილი შეზეთვის სისტემა აქვს. მისი სამუშაო მოცულობა 5,7 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე — 612 ცხ.ძ-ს შეადგენს; მაქსიმალური სიჩქარე 330 კმ/სთ-ია, 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,9 წმ-ში, ხოლო 200 კმ/სთ-ს — 10 წმ-ში ავითარებს. ■

SSangYong საპრემიერო ოთხკარიან პიკაპს ამზადებს

სეულში დაგეგმილ საავტომობილო გამოფენაზე, რომელიც რამდენიმე დღეში გაიხსნება, კომპანია „სანგიონგი“ უჩვეულო ოთხკარიან პიკაპს წარმოადგენს. ყველგანმავალ SSangYong Actyon-ის ბაზაზე აგებულ ამ მოდელს Actyon Sports SUT უწოდეს. მისი პრემიერა 2005 წლის შემოდგომაზე გაიმართა.

საბაზო მოდელს პიკაპი, ძარას წინა ნაწილს დაესესხა; სამაგიეროდ, საკმაოდ მოცულობითი სატვირთო დანაყოფი „ერგო“. ახალი მოდელი გამოირჩევა აგრეთვე, ორიგინალური, მასიური, ძარას უკანა დგარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პიკაპის მოდელი სამხრეთკორეული მარკის შეფ-დიზაინერს, კენ გრინლის ეკუთვნის, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მინივენის — SsangYong Rodius და ამ ცოტა ხნის წინ, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უშნო ავტომობილად აღიარებული ყველგანმავლის — Kyron-ის სახე.

კომპანიის გეგმის თანახმად, ახალი მოდელი, Musso sports SUT-ის ადგილს დაიკავებს და „მერსედეს-ბენცის“ კომპანიაში დამზადებული ორლიტრიანი დიზელის ძრავათი იქნება აღჭურვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური კონცერნი SAIC, რომელიც ამჟამად, „სანგიონგის“ მარკის მფლობელია, სამხრეთ-კორეული ჯიპების ჩრდილოეთ ამერიკაში იმპორტირებას აპირებს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ მომავალში, იქ ახალი პიკაპი — Actyon Sports SUT-იც მოხვდეს. ■

ახალი თაობის Opel Vectra-ს გაისად წარმოადგენენ

D კლასის Opel Vectra-ს ახალი თაობა ფრანკფურტში 2007 წლის შემოდგომაზე იქნება წარმოდგენილი. სერიულ წარმოებასა და სავაჭრო ქსელებში კი, 2008 წელს გამოჩნდება.

ახალი „ოპელ ვექტრისთვის“ კომპანია მძლავრ 6-ცილინდრიან ძრავებს ამზადებს. პირველი, რომლის სამუშაო მოცულობა 2,7 ლ იქნება, დიზელის საწვავზე იმუშავებს. მისი სიმძლავრე 200 ცხ.ძ-ს შეადგენს. შემუშავების პროცესშია აგრეთვე, 2,8 ლ მოცულობის ბენზინის აგრეგატი.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ახალი თაობის „ოპელ ვექტრას“ ერთ-ერთი მოდიფიკაცია სრულამძრავიანი იქნება. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ბორა; 2. ზაგრები; 3. ბარიკელო; 4. ბრასი; 5. აფალინა; 6. კილიტა; 7. ნიში; 8. კანბერა; 9. რალი; 10. ოლიფა; 11. კაჟი; 12. არაკი; 13. საგა; 14. ამარი; 15. სენი; 16. შტატი; 17. ლუციფერი; 18. ელინი; 19. კონგო; 20. ბურახი; 21. ნიკელი; 22. ოდინი; 23. ეპატაჟი; 24. მაკედონია; 25. კომპლიმენტი; 26. სილვა; 27. პრაღა; 28. კანუ; 29. მინუსი; 30. ერიკ; 31. თართი; 32. ნირი; 33. ვალე; 34. ტიკი; 35. ლოკალი; 36. ისიდა; 37. ტატამი; 38. სატირიკონი; 39. რომი; 40. აბოლიცია; 41. ორატორი; 42. ოკა; 43. მონაკო; 44. დია; 45. დიმი.

სურათებზე: ბენისიო დელ ტორო; გვენ სტეფანი.

kviris astrologiuri prognozi

(27 aprili – 3 maisi)

ვერძი 21.03-20.04

ამ კვირას, გარშემო მყოფებზე შთაბეჭდილებების მოხდენას შეძლებთ, მათ ისიც კი მოეჩვენებათ, რომ ყოვლისშემძლე ხართ და ვერავინ მიხვდება იმას, თუ რა ძალისხმევა დაგჭირდათ ამის მისაღწევად. ენდეთ საკუთარ ინტუიციას — ის სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. შეეცადეთ, რეალობის შეგრძნება არ დაკარგოთ და ნუ შეეჭიდებით ისეთ საქმეს, რომლის შესრულებაც თქვენს ძალებს აღემატება.

კურო 21.04-20.05

დაძაბული კვირა გელით: პატარ-პატარა პრობლემები არა და არ გამოგელევათ. ეს კვირა კარგია საქმიანი ურთიერთობებისთვის. სამშაბათი რუტინული პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ. ოთხშაბათი კარგი დღეა სტუმრების მისაღებად. აი, კვირადღე კი, ოჯახის წევრებთან ერთად ან განმარტოებით გაატარეთ.

ტყუპი 21.05-21.06

ამ კვირას, ნებისმიერი საკითხის გადაჭრა, ერთგულ პარტნიორებთან ერთად უნდა მოახერხოთ. ორშაბათს თამამად შეგიძლიათ დაგეგმოთ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები. ამ დღეს, იოლად შეძლებთ პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვას. შუა კვირაში შესაძლოა, საქმიან პარტნიორებთან ან ოჯახის წევრებთან კამათი მოგიხდეთ, მაგრამ ხუთშაბათს შეძლებთ, დაძლიოთ ყველა უთანხმოება. პარასკევს გირჩევთ, მაღაზიებში შეიხედოთ. შაბათ-კვირა კი, მაქსიმალურად გამოიყენეთ ძალების აღსადგენად.

კიბო 22.06-22.07

ამ კვირას, ადამიანებთან კონტაქტის დამყარება არ გაგიჭირდებათ და ბევრ ახალ ნაცნობსაც გაიჩენთ. ცხოვრება გამოცდას მოგიწყობთ: როცა ადამიანის არ გჯერა, ეს მის უპატივცემულობას ნიშნავს, ყველას თუ ენდობით, შესაძლოა, შეცდომა მოგივიდეთ. ამიტომ უნდა გაითვალისწინოთ: ოქროს შუალედის პოვნა უნდა მოახერხოთ. ორშაბათს, საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. ოთხშაბათს კი, შეიძლება, ორიგინალური იდეები მოგივიდეთ თავში, ამიტომ, უმჯობესია ამ დღეს იმუშაოთ, რუტინა კი — მოიცდის.

ლომი 23.07-23.08

ამ დღეებში, არ დაუშვათ, რომ თქვენი თანამშრომლები ან უფროსები დაეჭვდნენ იმაში, რომ გაქვთ გამოკვეთილი პოზიცია მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ორშაბათს, დღის პირველ ნახევარში, შეეცადეთ, ყველა საქმე მოილიოთ, მეორე ნახევარი კი დასვენებას დაუთმეთ. სამშაბათს, შეიძლება, საინტერესო იდეა დაგებადოთ, რომლის განხორციელება ბევრ დროს წაგართმევთ, მაგრამ ის ამად ეღირება. რაც უფრო მეტი დაკვირვებით გააკეთებთ საქმეს, მით უფრო კარგ შედეგს მიიღებთ.

ქალწული 24.08-23.09

უამრავი ისეთი საქმის მოგვარება მოგიწევთ, რომლის გადაჭრისას, ვერავინ დაგეხმარებათ. სამშაბათს, შესაძლოა, თქვენთვის არასასურველ ადგილას მოგიწიოთ გამგზავრებამ, ამიტომ, კარგი იქნება, თუ მგზავრობას მომდევნო დღისთვის გადადებთ. პარასკევს, ბუნების წიაღში გასვლას გირჩევთ — ეს დახარჯული ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ. შაბათს, ახლობლები ახალი ამბით გაგახარებენ.

სასწორი 24.09-23.10

შეეცადეთ, ოჯახური პრობლემები უცხო პირებს არ გაუმხილოთ. დაზოგეთ ძალები და მიეცით ახლობლებს იმის საშუალება, რომ მათ თავად გადაჭრან საკუთარი პრობლემები. შესაძლოა, ამ დღეებში, საქმიან პარტნიორებთან შეთანხმებული გეგმები შეიცვალოს, რაც ახალ თავსატეხს გაგიჩენთ. შაბათს, ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით. კვირას კი, თავს დასვენების უფლება მიეცით და შეეცადეთ, არაფერზე იფიქროთ.

მორიელი 24.10-22.11

ეს კვირა, შემოქმედებითი თვალსაზრისით, წარმატებული იქნება. კარიერაში წინსვლა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. თქვენს იდეებსა და ინიციატივას უფროსობა დადებითად შეაფასებს. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს ახლობლების გარემოცვაში გაატარებთ და თავს განტვირთვის საშუალებას მისცემთ.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ნებისმიერ საქმეში წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამშაბათს, შესაძლოა, წინააღმდეგობას წააწყდეთ, მაგრამ უკან ნუ დაიხევთ, ყველაფერს უპრობლემოდ მიაღწევთ. დაიმახსოვრეთ — სიჯიუტე არაფერს გარგებთ, პირიქით — პრობლემებს მოგიმრავლებთ. ენდეთ საკუთარ ინტუიციას — ის არ გიღალატებთ. ხუთშაბათი და პარასკევი კარგია მგზავრობისთვის, თავგადასავლისთვის. უქმე დღეებში კი, სახლი მოაწესრიგეთ და მეგობრების შესახვედრად მოემზადეთ.

თხის რქა 22.12-20.01

ამ დღეებში, ყველაფერში ოქროს შუალედის პოვნას გმართებთ. ნუ დააჩქარებთ მოვლენებს და ყველაფერი კარგად იქნება. სამშაბათს, შეეცადეთ, სიტუაცია მართოთ, ოღონდ — ისე, რომ ჩრდილში დარჩეთ. ოთხშაბათს, კარგი იქნება, თუ დაასრულებთ რაღაც ძველ საქმეს, რომელსაც კარგა ხანია, „ეჭიდავებით“. კვირის განმავლობაში, შეიძლება შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ყოფას გაალამაზებს. კვირას კი, სახლიდან არ გახვიდეთ, თორემ, მნიშვნელოვანი ამბავი გამოგრჩებათ.

მერწყული 21.01-19.02

ამ კვირაში, უეჭველად, წარმატებას მიაღწევთ. უფროსობა, კოლეგების ინტრიგებისგან თავის არიდებაში დაგეხმარებათ. ოთხშაბათს, რაღაც ამბავი გაგახარებთ. შაბათი კი, ძალზე დატვირთული იქნება — თქვენ თვითონ არ დაიტოვებთ არც ერთ თავისუფალ წუთს, დააწყობთ გეგმებს და ახალ მიზანსაც დაისახავთ. აი, კვირა კი, მთლიანად დასვენებას უნდა დაუთმოთ.

თევზები 20.02-20.03

ეს კვირა წარმატებული იქნება, თუ ორშაბათის ამაღლებულ განწყობილებას მთელი კვირის განმავლობაში შეინარჩუნებთ. ოთხშაბათს, სიფრთხილე გამოიჩინეთ ნებისმიერი კომპლიმენტის ავტორთან ურთიერთობისას. ნუ მისცემთ თავს მოდუნების უფლებას და თავი აარიდეთ თავდაჯერებული ტონით ლაპარაკს. საერთო ჯამში, გირჩევთ, ძირითადად საკუთარ თავს დაეყრდნოთ.

ცნობილთა ცხოვრებიდან



***

ერთხელ, მარკ ტვენი, ერთ პატარა ქალაქში ჩავიდა ლექციის წასაკითხად, მან ლექციის წაკითხვამდე საპარიკმახეროში შეიარა — წვერის გასაპარსად.

— ამ ქალაქში თქვენ უცხო ხართ? — ჰკითხა დალაქმა.

— დიახ, ამ ქალაქში პირველად ვარ.

— კარგი დრო აგირჩევია ჩამოსვლისთვის. — განაგრძო დალაქმა — დღეს საღამოს, მარკ ტვენმა ლექცია უნდა წაიკითხოს. წახვალთ არა?

— ჰო, ვაპირებ.

— მერე, ბილეთი ნაყიდი გაქვთ?

— ჯერ არა.

— ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. თქვენ ფეხზე დგომა მოგიწევთ.

— რა სამწუხაროა! — ამოიოხრა მარკ ტვენმა. — ბედი არაფერში მწყალობს. ყოველთვის ფეხზე დგომა მიწევს, როცა ის კაცი ლექციას კითხულობს.

***

ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში, ახალგაზრდა კაცი მივიდა.

— რაზე შეწუხებულხართ? — ჰკითხა მას რედაქტორმა.

ახალგაზრდა დუმდა. მან მაგიდაზე დაუდო ყუთი, რომლიდანაც მოულოდნელად სიმღერა გაისმა. სიმღერა რომ დაამთავრა, ყუთმა იკითხა:

— ბატონო რედაქტორო, როგორ მოგეწონათ ედისონის ახალი გამოგონება?

ეს იყო ფონოგრაფი.

ტესტი დაჭყეტ მილიონერთათვის

შეგიძლიათ თუ არა მილიონის შოვნა? არ იცით? მაშინ, შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტი და ამ კითხვაზე პასუხი გეცოდინებათ.

1. ფულის შოვნის ყველაზე იოლი გზაა:

ა) მუხლჩაუხრელი შრომა, სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა, გარისკვა და რაღა თქმა უნდა, ხელთ არსებული ფულის მომგებიანად დაბანდება;

ბ) ნათესავისგან მემკვიდრეობის მიღება, ლატარიაში გამართლების იმედად ყოფნა;

გ) კარიერაზე ზრუნვა, ეტაპობრივად ყველა საფეხურის გავლა — ხელმძღვანელი თანამდებობის ჩათვლით ან პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობა.

2) მულტიპლიკატორ უოლტ დისნეის რომელი პერსონაჟი გხიბლავთ და გართობთ ყველაზე მეტად?

ა) დონალდ დაკი;

ბ) გუსტავ ჰანსი;

გ) დოგობერტ დაკი.

3 თქვენი აზრით, რა რაოდენობის მოგებაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს ვინმესთან ხელშეკრულების დადების სურვილი აღეძრათ?

ა) ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონამდე;

ბ) დაახლოებით 10 მილიონზე;

გ) რამდენიმე ათეულ მილიონზე და უფრო მეტზე.

4. ქვემოთ მოყვანილი რომელი ფრაზაა თქვენთვის ყველაზე მისაღები?

ა) რაც უფრო მეტი ფული გაქვს, მით უფრო მეტი სიამოვნების მიღება შეგიძლია;

ბ) ფული — ძალაუფლებაა;

გ) დიდძალი ფულის ქონა პიროვნებისთვის შურის ობიექტად ქცევას ნიშნავს.

5. ცნობილია თუ არა თქვენთვის ე.წ. თამაში — „ფულის პირამიდა“; თქვენ საფოსტო კონვერტში ათავსებთ მცირე თანხას და აგზავნით თამაშის წამომწყების ანგარიშზე, შემდეგ, ეძებთ მსხვერპლს, რომელიც ასევე იხდის თანხას... და საბოლოო ჯამში, თქვენი კაპიტალდაბანდება საგრძნობლად გაზრდილი გიბრუნდებათ უკან. ამ თამაშში რა როლის შესრულებას ისურვებდით?

ა) საერთოდ არ მსურს მონაწილეობა;

ბ) ვითამაშებდი და მოგებასაც ვნახავდი;

გ) დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ამ თამაშის ინიციატორი.

6. მიანიჭებთ თუ არა მნიშვნელობას იმას, თუკი თქვენ შესახებ სისტემატურად დაიწერება პრესის ფურცლებზე — „მაღალი საზოგადოების ცხოვრების“ რუბრიკაში?

ა) ეს ამბავი ფრიად გამახარებდა;

ბ) ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს;

გ) ჩემ შესახებ ისედაც ხშირად წერენ.

7. რა გზითაა შესაძლებელი დოლზე მოგება?

ა) თუკი გარისკავ და დიდ ფსონს დადებ;

ბ) ფული უნდა დაზოგო და მხოლოდ დოლზე დასწრებით შემოიფარგლო;

გ) ჩემპიონი ცხენი უნდა იყიდო.

8. თქვენი აზრით, სწრაფად გასამდიდრებლად ვის უფრო მეტი შანსი აქვს?

ა) რეჟისორს, მსახიობს მწერალს, მხატვარს, რეკორდსმენ სპორტსმენს;

ბ) ადვოკატს, ექიმს, მაკლერს, პოლიტიკოსს;

გ) ფირმის მეთაურს, გამომცემელს.

9. რა აზრის ხართ მეგობრებს შორის ფულთან დაკავშირებულ გარიგებაზე?

ა) მეგობრებისთვის ფულის სასესხებლად ყოველთვის მზად ვარ. ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს მეც დამჭირდეს მათგან ფულის სესხება?

ბ) ფული და მეგობრობა — შეუთავსებელი ცნებებია;

გ) მზად ვარ ფული ვისესხო მეგობრისგან, მაგრამ თავად არც ერთ მეგობარს არ ვასესხებ ფულს.

10. იყავით გულწრფელნი — მილიონერი რომ გამხდარიყავით, ნეტარების განცდა დაგეუფლებოდათ თუ არა?

ა) რა თქმა უნდა, დამეუფლებოდა;

ბ) ამ ნეტარების გრძნობის დემონსტრირებას მოვახდენდი ყველა იმ ადამიანის წინაშე, ვისაც ჩემი წარმატების არ სწამდა ან თავის დროზე ზემოდან დამცქეროდა;

გ) არ დამეუფლებოდა.

11. სად დააბანდებდით თქვენს მილიონებს?

ა) უძრავ ქონებაში, ხელოვნების ნიმუშების კოლექციაში;

ბ) აქციებსა თუ სხვა ფასიან ქაღალდებში;

გ) მოვიქცევი ისე, როგორც ჩემი მეუღლე მირჩევს.

12. უკვე ორიოდ მილიონის მფლობელი რომ იყოთ, თქვენი ქონების გაზრდაზე კვლავაც იზრუნებდით თუ არა?

ა) მცირე მოგებისთვის თავს არ შევიწუხებდი, მაგრამ სოლიდურ მოგებაზე უარს არ ვიტყოდი;

ბ) რა თქმა უნდა;

გ) არა, რადგან, მე ესეც მეყოფა.

დაავზამეთ ქულები: 1) ა-6; ბ-0; გ-3. 2) ა-3; ბ-0; გ-6. 3) ა-0; ბ-3; გ-6. 4) ა-6; ბ-3; გ-0. 5) ა-3; ბ-0; გ-6. 6) ა-0; ბ-6; გ-3. 7) ა-0; ბ-3; გ-6. 8) ა-0; ბ-3; გ-6. 9) ა-3; ბ-6; გ-0. 10) ა-0; ბ-3; გ-6. 11) ა-3; ბ-6; გ-0; 12) ა-3; ბ-6; გ-0.

ტესტის შედეგები

0-23 ქულა: თქვენთვის გასამდიდრებლად ყველაზე ხელსაყრელი გზა ან მდიდარ საცოლეზე დაქორწინება, ან მემკვიდრეობის მიღება, ანდა ლატარიის თამაშია.

24-48 ქულა: სიმდიდრე თქვენთვის დაუღალავ შრომასთანაა დაკავშირებული. თავი შეიკავეთ ფინანსურ სპეკულაციებში მონაწილეობისაგან. თქვენთვის საუკეთესო ვარიანტი კარიერაზე ზრუნვა და შეფის სავარძლის დაკავებაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არ მოგიტანთ სასურველ მილიონებს, თქვენ გარანტირებული გექნებათ უზრუნველყოფილი მატერიალური მდგომარეობა.

49-72 ქულა: თქვენ საუკეთესო შანსი გაქვთ იმისა, რომ ოდესმე მილიონერი გახდეთ (თუკი უკვე არ ხართ). ბიზნესის კეთების ნიჭით ხართ დაჯილდოებული და საკუთარი ფუფუნებით თავის მოწონებას არ აპირებთ. ხოლო საკუთარი ქონების გასაზრდელად, განგებამ მოთმინების უნარითაც დაგაჯილდოვათ.

„ლუზიტანიის“ უკანასკნელი რეისი

დასაწყისი იხ. გვ. 63

კაპიტანი ტერნერი, პირველი კლასის სალონის განცალკევებულ მაგიდასთან განსაკუთრებით საპატივცემულო სტუმრებს იმის შესახებ ელაპარაკება, რომ მათ წყალქვეშა ნავების შიში არ უნდა ჰქონდეთ, რადგან სრული სვლით მავალ „ლუზიტანიას“ სუბმარინი ვერ დაეწევა. ამასთან, „ნავსაწინააღმდეგო ზიგზაგი“ არსებობს, ეს ის მანევრია, რომლის დროსაც ხომალდი კურსს მუდმივად იცვლის, ამიტომ, ტორპედისტი გემის მიზანში ამოღებას ვეღარ ახერხებს. ნურც დუვრის პატრულს დაივიწყებთ: „ბატონებო, თქვენს სიმშვიდეს მისი უდიდებულესობის კრეისერები იცავენ! კაპიტანი საუბრის თემას ცვლის და მის მიერ ნოკაუტირებული ზვიგენის ამბის მოყოლას იწყებს.

ალფრედ ვანდერბილტისა და მის მერტის მაგიდასთან მსხდომი ქალბატონები თავის ტკივილს უჩივიან, ჯენტლმენი მათ გემბანზე გასეირნებას სთავაზობს. „ლუზიტანიაზე“ რამდენიმე გემბანია, მათზე შეგიძლიათ ისევე ისეირნოთ, როგორც ბროდვეიზე. ეს კი, ძალზე მოსახერხებელია მათთვის, ვისაც ცნობისმოყვარე თვალთაგან შორს ყოფნა სურს, მაგრამ ალფრედ გუინი ვანდერბილტს და მის მერტს ვერც გემის ცხვირთან იპოვით და ვერც კიჩოზე. ჯენტლმენის კაიუტაში კი, სრული ქაოსი სუფევს. იატაკზე მიმობნეულ ნივთებს შორის, სავიზიტო ბარათებს, ქალის მოსასხამს, მამაკაცის აბრეშუმის პერანგსა და მონოკლს შენიშნავთ. ალფრედმა მსახური დილიდან გაათავისუფლა. კაიუტაში მათ გარდა არავინაა, მაგრამ წყვილი რატომღაც მაინც ჩურჩულით საუბრობს: „შენ ხომ ცოლი გყავს, ბავშვები... ოჯახი... საზოგადოება... ეს საშინელებაა. ლონდონში ისევ შეეხვდებით?“ ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოსროლილი ფრაზები. მილიონერი სატრფოს კოცნის, ეფიცება, რომ მუდამ ერთად იქნებიან, რომ განქორწინებას მოითხოვს და თუ ცოლს ვერ დაითანხმებს, შვილებზეც კი უარს იტყვის.

ხომალდი წინ გაბედულად მიიწევს. ჰორიზონტზე ირლანდიის სანაპირო გამოჩნდა, კაპიტანმა ოლდ-ჰედ-ოფ-კინსეილის კონცხის ადგილმდებარეობის მიხედვით, ხომალდის ზუსტი კოორდინატების დადგენა გადაწყვიტა, სვლა შეანელა, 30 წუთის განთავლობაში მუდმივი კურსით სვლის ბრძანება გასცა და ნავსაწინააღმდეგო ზიგზაგზე დროებით უარი თქვა.

„ლუზიტანიის“ მანევრებს კაპიტან-ლეიტენანტი ვალტერ შვიგერი პერისკოპით ადევნებს თვალს. მას მხოლოდ 3 ტორპედო დარჩა, რომლებსაც მეზღვაურებმა „ელვარე მარია“, „ყვითელი ბერტა“ და „სქელი ფრაუ“ შეარქვეს. სულ მალე, ამ 150-კილოგრამიანი ქალბატონების ამოქმედების ჟამი დადგება. შვიგერმა მზადყოფნის ბრძანება გასცა. მეზღვაურები კუთვნილ ადგილებს იკავებენ. კაპიტნის მაჯის საათი 2,50-ს უჩვენებს.

„ლუზიტანიას“ საათით კი, შუადღის 2 საათი და 09 წუთია. ფლირტით გართული მგზავრები სამაშველო კანჯოებს ალმაცერად უმზერენ. ხომალდი იმ ადგილებს უახლოვდება, სადაც კაიზერის წყალქვეშა ნავები პატრულირებენ, ამიტომ კაპიტანმა სიფრთხილის ზომები გაამკაცრა. ირლანდიის ზურმუხტოვანი ნაპირების გამოჩენამ, მგზავრთა მღელვარებას ბოლო მოუღო. „ლუზიტანია“ მალე ლივერპულის ნავსადგურში შევა.

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

(დასასრული შემდეგ ნომერში)

იაპონური სენსაციია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

6	4	2	3	1	7	8	9	5
8	5	7	9	2	6	1	3	4
3	1	9	8	4	5	2	7	6
9	7	5	4	3	1	6	2	8
2	8	1	6	5	9	7	4	3
4	3	6	7	8	2	5	1	9
7	2	3	5	6	4	9	8	1
5	9	4	1	7	8	3	6	2
1	6	8	2	9	3	4	5	6

2	7	3	5	1	6	9	4	8
5	9	6	4	3	8	1	7	2
1	8	4	9	7	2	5	6	3
3	1	7	6	8	4	2	9	5
8	6	9	1	2	5	4	3	7
4	2	5	3	9	7	6	8	1
7	3	1	2	4	9	8	5	6
6	4	2	8	5	3	7	1	9
9	5	8	7	6	1	3	2	4

* მარტივი

6			1	4		7	9	5
7			9	6		2		3
5	9	8	3			6		
	7		4	2	9		5	
8	2	9				3	7	4
	5		7	8	3		2	
		7			4	5	1	8
3		4		1	7			2
2	1	5		9	6			7

** საშუალო

		6		4	5	1	7	3
		4	2	1	3		6	
3	1	9		6			4	
1			6		4	3	5	9
5			8	7	1			6
6	4	2	5		9			7
6			9		5	8	2	
2		1	8	6	7			
83	7	4	5		6			

ფოტოკუთხეები





პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

b 104/14

ლიმალელე — M

გურამიშვილი — M

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი